


ვიოპეი  
ეოეოლაძეილი

„ეხა  
შეილიხ  
ბელიაიიიი“



იპრაქტე და მწერალი

5

ენა და მწერალი

„ენა მწერლის ბალავარია“  
(ვიქრები მიხეილ ჯავახიშვილზე)



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების  
ინსტიტუტი

ენა და მწერალი – რას ნიშნავს ენა მწერლი-  
სათვის და მწერალი – ენისათვის?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემას შევეცადეთ  
დავით კლდიაშვილის, მუხრან მაჭავარიანის, ანა  
კალანდაძისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მი-  
ხედვით...

დღეს ვისაუბრებთ მიხელ ჯავახიშვილის –  
„ქართული ენის ფანტიკოსი“ მწერლის – შესა-  
ხებ...

ცხადია, ესეც არის მცდელობა ამ კითხვაზე  
პასუხის გაცემისა... ვნახოთ...

რედაქტორი ციცილო კვანტალიანი

ტექნიკური რედაქტორი ლევან ვაშაკიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა რუსუდან გრიგოლიასი

გარეკანი ნინო ებრაღიძისა

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2021

© არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 2021

ISBN 978-9941-13-813-3 (ყველა წიგნის)

ISBN 978-9941-13-993-2 (წიგნი 5)

## I. მიხეილ ჯავახიშვილი (შხსაპალი)

ქართული პროზის დიდოსტატი 1937 წელს საბჭოთა რეპრესიებმა შეიწირეს... მწერალი მაშინ 57 წლისა იყო... 17 წელი აკრძალული იყო... 1954 წელს ქართველ მწერალთა IV ყრილობაზე საქართველოს იმჟამინდელმა პირველმა პირმა ვასილ მუავანაძემ თქვა: „საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოარკვია, რომ კაცის მკვლელთა საზიზღარი ბანდის ინტერესებისა და ტერორის მსხვერპლნი გახდნენ ქართული მხატვრული სიტყვის შესანიშნავი ოსტატები – მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე და პაოლო იაშვილი. ეს პირები რეაბილიტირებულნი არიან...“ განცხადება ყველასათვის მოულოდნელი იყო...

მახსოვს, იმჟამინდელმა კულტურის მინისტრმა თენგიზ ბუაჩიძემ თქვა: „მწერლის აკრძალვა იგივეა, მთაწმინდის მთას ხელი მიაფარო და თქვა – აქ არავითარი მთა არ არსებობს...“ დიახ, ჯალათის ხელი ვერ ფარავდა წმინდა მთას...

და დაიწყო (უფრო სწორად, გაგრძელდა) მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოებთა ბეჭდვა... 1958-1964 წლებში გამოიცა მწერლის თხზულებათა ექვსტომეული (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“). ამ გამოცემის ბოლო, VI ტომი წერილებს დაეთმო. მასში 96 კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილი დაიბეჭდა (507 გვ.). როგორც ჩანს, ეს იყო მხოლოდ მცირე ნაწილი მწერლის პუბლიცისტური მემკვიდრეობისა...

2001 წელს მ. ჯავახიშვილის შვილიშვილის – რამაზ შიშნიაშვილის – რედაქტორობით (და ხარჯით!) გამოქვეყნდა

კრებული „წერილები“ (948 გვერდი). წიგნი გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ცნობილმა ტექსტოლოგმა რუსუდან კუსრაშვილმა. წიგნში შევიდა 271 წერილი! როგორც ჩანს, არც ესაა სრული კრებული კრიტიკულ-პუბლიცისტური ნაშრომებისა...

„წერილების“ გამოცემლები „შესავალში“ აღნიშნავენ, რომ „წინამდებარე გამოცემა შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად შევავსეთ (თუმცა აბსოლუტურ სისრულეზე პრეტენზია არა გვაქვს) იმ მრავალფეროვანი წერილებით, რომლებიც დიდმა მწერალმა დაუტოვა შთამომავლობას და რომლებიც დღემდე ქართველი მკითხველისათვის უცნობია ან მივიწყებული“.

აქვე გვინდა მოვიყვანოთ ამონარიდი რ. კუსრაშვილის წინასიტყვიდან: „უსაფუძვლოდ არ ნათლავდნენ მიხეილ ჯავახიშვილს დიდი ილიას მემკვიდრედ. სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული და გულისტკივილი ალაპარაკებდა მას თავის წერილებში, რომლებშიც მისივე ბასრი კალმით, გასაოცარი შემართებითა და პირდაპირობით შეუქს ჰყენდა იმდროინდელი საქართველოს ავ-კარგს. ხელოვნება, კულტურა, მშობლიური ენა, სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური მხარე არა მარტო საქართველოსი. — აი, სპექტრი საკითხებისა, რაც მე-20 საუკუნის დასაწყისის საზოგადოების ინტერესს მოიცავდა და, რაც თითქმის მწერლის ყურადღების მიღმა არ რჩებოდა“ (გვ. 3)...

2005 წელს გამოცემლობა „მერანმა“ დასტამბა მიხეილ ჯავახიშვილის ჩანაწერები სათაურით „უბის წიგნაკიდან 1924-1935“ (365 გვერდი). წიგნი გამოსაცემად მოამზადეს მარინე შიშნიაშვილმა და ცისანა გენძეხაძემ.

უნიკალური გამოცემა! უმნიშვნელოვანესი!... უნდა დავეთანხმოთ გამოცემლებს: „მაშინ, იმ დროში, ცოტა თუ ფიქ-

რობდა იმ თემაზე, კომუნისტები მართლა „(ს)ტირიან თუ არ ტირიან“. შეიძლება გაეფიქრებინა კიდევ, მაგრამ ჩაწერით, ალბათ, ცოტა ვინმე თუ ჩაწერდა თავის უბის წიგნაკში. ჯავახიშვილმა ეს, თითქოსდა ბუნდოვანი, ფრაზა („კომუნისტი არა (ს)ტირის, მაგრამ ტირის“) ჩაინიშნა: რატომ, რისთვის, სად და როგორ უნდა გამოყენებინა, ან კი საერთოდ, აპირებდა თუ არა ამ ფრაზის რომელიმე ნაწარმოებში ჩართვას? — ამჟამად ძნელი სათქმელია, ფაქტი ის გახლავთ, მაინც სტირიან... ახლა იოლია ამ თემაზე ხუმრობა“ (გვ. 3)...

ვთქვით, ეს უნიკალური წიგნია... 1937 წელს, როცა ჩეკას ჯალათები მიხეილ ჯავახიშვილის ბინას არბევდნენ — სამხილებს ეძებდნენ მწერლის „მავნებლური საქმიანობის დასამტკიცებლად“, იატაკზე მიძობნეულ უბის წიგნაკებს ფეხით თელავდნენ... მათთვის უკეთეს (და მწერლისათვის უარესს) სამხილს რას იპოვიდნენ, ვიდრე ეს ჩანაწერები იყო!... თურმე „ქალბატონმა ქეთევანმა, მწერლის ქალიშვილმა, სთხოვა ჩეკისტებს, ამ ხელნაწერებს მოგაშორებთ, სააბაზანოში გავიტან, ისედაც ხელს გიშლით და მოძრაობა უფრო გაგიოლდებათ. არც დაფიქრებულან, ისე დაჰყაბულდნენ. ოჯახის წევრებმა ხელნაწერები გაზიდეს სააბაზანოში...“ (გვ. 5). ასე გადარჩა დიდებული მემკვიდრეობა... არადა, ანტისაბჭოთა საქმიანობის ბრალდებით დაპატიმრებულის სამხილად, ვიმეორებ, უკეთესს რას ინატრებდნენ: „25 თებერვალს მე ვიგრძენი, თუ როგორ შემოვიდა ტანში მჭრელი მახვილი, რომელიც მას აქეთ დღითი-დღე უფრო ღრმად მერჭობა. გაფითრებული ვარ და ტანში მუდმივი ჟრჟოლა მივლის. ეხლა სატევრის წვერი ზედ გულზე მაქვს დაბჯენილი და ვგრძნობ, ოდნავ რომ შევინძრე, ჩამესობა და ისე გამათავებს, რომ გმინვის ამოღებასაც ვერ მოვასწრებ“ (გვ. 250; ჩანაწერი 1923 წლით თარიღდება)... ანდა: „ამ ქვეყნად ისლა დაგვრჩენია სანუგეშო, რომ „ისინიც“ ჩამალდებიან“ (გვ. 294; 1931-1932 წ.)...

თავგანწირვა იყო ამ წიგნაკების გადარჩენაც და მათზე ზრუნვაც... მაგრამ ღირდა თავგანწირვად!...

რომ არა ეს ჩანაწერები, ბევრი რამ მიხელ ჯავახიშვილის ცხოვრებიდან არ გვეცოდინებოდა; ბევრი რამის თაობაზე მწერლის აზრს ვერ გავიგებდით; ბევრი კითხვა დაგვრჩებოდა პასუხგაუცემელი... „ამ წიგნში უამრავი გასაღები დევს, რითაც დღემდე დახურული არაერთი კარის შეღება და ჯავახიშვილის შემოქმედების მრავალი საიდუმლოს ამოხსნა შეიძლება“ (გვ. 6).

ერთი მაგალითი ამისა: თურმე ნუ იტყვიოთ და, მწერალი „ჯაყოს ხიზნებს“ არ მიიჩნევდა დასრულებულად... 1925-1935 წლებში იგი აკეთებს უბის წიგნაკებში ჩანაწერებს, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს მოქმედება „ჯაყოში...“ ამის თაობაზე ადრეც ვწერდით და ამ ჩვენს წიგნში დანართის სახით წარმოვადგენთ...

წიგნის წინასიტყვიდან კიდევ ერთ მონაკვეთს მოვიყვან: ამ „ჩანაწერებით“ შეიძლება „ჩავწვდეთ იმ საიდუმლოს, რამაც გაუხანგრძლივა სიცოცხლე ფიზიკური მოკვდინების შემდეგ ბრწყინვალე მწერალს: მხოლოდ ზნეობრივმა სიმტკიცემ, მოვლენების მაღალმხატვრულმა ასახვამ, მწერლურმა ჯაფამ, სიტყვასთან ჭიდილმა თუ გამუდმებულმა ძიებამ, იმ ბედისწერამ, ლამის მივიწყებულ მშობლიური ენის წიაღს რომ დაუბრუნა და ამავე ენაზე ამეტყველა, გამოძერწა, გააცოცხლა მთელი ეპოქა“ (გვ. 3)...

\* \* \*

მიხეილ ჯავახიშვილი წერს ერთგან, „მე სუფთა ქართულის ფანატიკოსი ვარო“ („წერილები“, 835). სწორედ ესაა თემა ჩემი ნარკვევისა — მიხეილ ჯავახიშვილი, როგორც „სუფთა ქართულის ფანატიკოსი...“ ამ თემაზე ვისაუბრებთ ძირითადად მ. ჯავახიშვილის ორი წიგნის — „წერილების“ და

„ჩანაწერების“ (წიგნს ასე ჰქვია: „უბის წიგნაკებიდან 1924-1935; სიმოკლისათვის ქვემოთ ასე მოვიხსენიებთ – „ჩანაწერები“) მიხედვით. დამოწმებით ასე დავიმოწმებთ: „წერილებს“ – წ. 835 (კუთითებთ გვერდს)... „ჩანაწერებს“ – ჩ. 250 (კუთითებთ გვერდს; საჭიროების შემთხვევაში – წელსაც მივანიშნებთ)...

\* \* \*

XIX საუკუნე უდიდესი ეპოქაა ქართული ენის ისტორიაში. მარტო სამი სახელის გახსენებაც კმარა ამის დასტურად: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი. შეიძლება ითქვას, რომ XX საუკუნეში ესტაფეტა ღირსეულად მიიღო მიხეილ ჯავახიშვილმა. დიახ, XX საუკუნეში არავის ქართველ მწერალთაგან იმდენი არ უფიქრია, უბრძოლია, უშრომია ქართული ენისათვის, რამდენიც მიხეილ ჯავახიშვილს. ორივე ეს წიგნი („წერილები“, „ჩანაწერები“) ამის დასტურია. „წერილებში“ დედაენისადმი მიძღვნილი თერთმეტი წერილი არის დაბეჭდილი (ჩამონათვალი იხ. ქვევით, გვ. 36)...

ჩვენ შეძლებისდაგვარად სათითაოდ მიმოვიხილავთ ამ წერილებს – რა პრობლემებს ეხება ისინი; რა საკითხებია დასმული მათში... თუმცა ეს არ არის სულ მ. ჯავახიშვილის ნაფიქრი და ნააზრევი ქართული ენის შესახებ. კრებულში წარმოდგენილ სხვა, ორმოცზე მეტ წერილში მსჯელობს ქართული ენის შესახებ, დედაენის საკითხებს შეეხება მწერალი... შევეცდებით ამის თაობაზე ვისაუბროთ ამ ნარკვევში...

\* \* \*

„უბის წიგნაკებში“ არაერთი ჩანაწერია დედაენის თემაზე. მწერალი შენიშვნებს აკეთებს ქართული ენის სავალალო მდგომარეობის გამო და მიზეზების ახსნასაც ცდილობს... ინიშნავს ავს თუ კარვს ქართულის შესახებ... აი, ესეცაა ამ ჩანა-

წერების ღირსება... შეიძლება სხვაც ფიქრობდა ასე, მაგრამ თქმა ბევრი რამისა მიხეილ ჯავახიშვილმა გაბედა, შეძლო... ძნელი სათქმელია, ამ ჩანაწერებიდან რას მიიჩნევდა ის გამო-საქვეყნებლად და რას — არა... საგანგებოდ, ცალკე თავში ამ „ჩანაწერების“ შესახებაც ვისაუბრებთ...

და ამ „წერილებითა“ და „ჩანაწერებით“ უფრო კოლო-რიტულად, მასშტაბურად წარმოგვიდგება მიხეილ ჯავახიშვი-ლი — „ქართული ენის ფანატიკოსი!“ ქართველი მწერალი, რომელიც ცდილობს:

**ერთი მხრივ**, დაანახოს და განუმარტოს საზოგადოებას, რა პრობლემების წინაშე დგას ქართული ენა;

**მეორე მხრივ** — დაარისხოს განგაშის ზარები ქართული ენის „წახდენის“ გამო;

**მესამე მხრივ** — გაუცნობიეროს მკითხველს არსი დედაე-ნისა; ნათელი წარმოდგენა შეუქმნას ქართული ენის ისტორია-ზე; დაანახოს ყველა ის სიკეთე, რითაც დაჯილდოებულია ქართული ენა და, შესაბამისად, შეაგნებინოს თავისი ვალდებუ-ლება დედაენის წინაშე;

**მეოთხე მხრივ** — წარმოაჩინოს კონკრეტული ენობრივი დარღვევების ფაქტები, მოახდინოს მათი კლასიფიკაცია-კვალი-ფიკაცია და განმარტოს, რა არის ამის მიზეზი;

**მეხუთე მხრივ** — თავად მიიღოს აქტიური მონაწილეობა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენაში. მოამზადოს პროექტები და გაუწიოს ოპონირება (შესაბამისად, დახმარება) სპეციალისტებს ნორმათა დადგენის პროცესში...

და რაც მთავარია — განსაზღვროს მწერლის როლი იმ დიდ საქმეში, დედაენის გადარჩენა და მსახურება რომ ჰქვია!...

## II. „ქართული ენის ფანატიკოსი“

\* \* \*

წინამდებარე წიგნის ავტორი, ფაქტობრივ, მიხეილ ჯავახიშვილია. მე უბრალოდ გამოვკრიბე ეს ყოველივე მ. ჯავახიშვილის ორი წიგნიდან – „წერილები“ (მითითება – წ.) და „ჩანაწერები“ (მითითება – ჩ.). ზოგჯერ გაკეთებული ჩვენეული მცირე კომენტარი გზამკვლევია და უნდა გვეპატიოს...

შევნიშნავთ – ამ შემთხვევაში მასალას არ ვიწერთ იმ თერთმეტი წერილიდან, უშუალოდ ქართულ ენას რომ ეძღვნება; ამ წერილების შესახებ ცალკე თავში ვისაუბრებ (აქვე: გვ. 33-113);

რამდენიმეჯერ ქეთევან ჯავახიშვილის წიგნებიც მოვიშველიე: არა კომენტარი, ანალიზი, მსჯელობა, არამედ მ. ჯავახიშვილის ის საავტორო მასალა, რომელიც ზემოდასახელებულ მის ორ წიგნში ვერ მოხვდა და არქივმა შემოგვინახა; მაგ.: 1934 წელს გამართული დისკუსიის გამო დაწერილი და ვერდაბეჭდილი წერილი... ორ წიგნს მივმართეთ ქ. ჯავახიშვილისას (1. ქ. ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი – ცხოვრება და მოღვაწეობა, „მერანი“, 1984; აქ დავიმოწმეთ: ქ. 1984, გვ... და 2. ქ. ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება, „მერანი“, 1991, აქ დავიმოწმებთ – ქ. 1991, გვ...).

მოძიებული მასალა თემატურად დავალაგე; ვიღებ პასუხისმგებლობას ამგვარ დალაგებაზე და, როგორც დიდი ილია იტყოდა, „თუ ღმერთი გაგვიწყრა და უხერხოდ მოგვივა რამე“, მოგვიტევოს დიდი მიხეილ ჯავახიშვილის სულმა... და მკითხველმა...

ერთ-ერთ წერილში (სიტყვამ მოიტანა და) მიხეილ ჯავახიშვილი წერს: „ალბათ მკითხველს ეცოდინება, რომ მე სუფთა ქართულის ფანატიკოსი ვარ“ (წ. 835). როგორც ჩანს, ეს მკითხველმაც იცოდა და წიგნიერმა საზოგადოებამაც. დემნა შენგელაია იგონებს: „ჩვენ მაშინ ყოველი მწერლის სუსტი მხარე ვიცოდით. მაგალითად, მიხეილ ჯავახიშვილს ქართულ ენაზე სიტყვას განზრახ იმნაირად ჩამოუუგდებდით, რომ მერე მორჩა... მოიმართებოდა და ლაპარაკობდა გატაცებით, გაუთავებლად“ (ქ. 1984, 252). ქართული ენა იყო მიხეილ ჯავახიშვილის „სუსტი მხარე!“...

ეს ყოველივე მ. ჯავახიშვილისათვის ბუნებრივი მოვლენა ჩანს: „მწერალი ვარ და, ამიტომ ბურებრივია...“ ასეთ შემთხვევაზე ამბობდა...

ის, რაც მიხეილ ჯავახიშვილისათვის „ბუნებრივია“, საუბედუროდ, დღეს მწერლისთვის აღარ არის ბუნებრივი... რას გვიქადის ეს, ამაზე აქ ნუ ვისაუბრებთ, აქ ჯავახიშვილს მოვუსმინოთ (იქნებ ვინმესთვის გაკვეთილად გამოდგეს)...

„მწერალი ვარ და ამიტომ ბუნებრივია, რომ ყველაზე მეტად ლიტერატურისა და ენის სწავლა მაინტერესებს“ (წ. 873).

და შემდგომ სიტყვა მასწავლებლებზე:

„ქართული ენის მასწავლებლად ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა მყავდა (მის პროზას ვგულისხმობ)“ (წ. 887)... ეს ზოგადად; მთელი ცხოვრების განმავლობაში... უფრო კონკრეტულად:

„გარემოებამ ორჯერ გამარუსა და ისე დამავიწყა ქართული, რომ საყველპუროც ძლივსღა მესმოდა. მაგრამ როცა გადავწყვიტე მწერლობისათვის მომეკიდა ხელი, ქართულ წიგნს შევეკედლე. ზედიზედ სამი ზაფხული გავატარე ქარ-

თლში. მივიწყებულიც აღვიდგინე და ახალიც მრავლად შევიბინე. მას აქეთ ამ სისტემას მაშინაც არ ვუღალატე, როცა ხანგრძლივ ჩამოვშორდი მხატვრულ პროზას“ (წ. 771).

ირკვევა, რომ წინამძღვრიანთკარის სასწავლებლის პედაგოგს, დავით დავითაშვილს, ურჩევია ახალგაზრდა მიხეილისათვის: „თუ გინდა მშვენიერი ქართული ისწავლო, წადი თამარაშენში ან ქურთაში. იქ ყველაზე საუცხოოდ ლაპარაკობენ, გლეხებიც კი ლიტერატურულ ენას დაუფლებიან. სხვა არა იყოს რა, ვანო მაჩაბელი იქაა დაბადებული. შექსპირი მიუწვდომლად აქვს ნათარგმნი. მართალია, ამბობენ, ჩინებული ენა იმიტომ ისწავლა, რომ პატარაობიდანვე ეკლესიაში მღვდელს ემსახურებოდა, სამოციქულოსა და ჟამნს კითხულობდაო. ეს სწორეა, მაგრამ უმთავრესი წყარო ისევ „ხალხია, თამარაშენელები და ნაწილობრივ ქურთელები“ (ქ. 1984, 107).

ეს თემა – ქართულის შესწავლისა, უმნიშვნელოვანესია მწერლისთვის და ამიტომაც არავის უკარგავს წვლილს:

„კინაღამ დამავიწყდა: იოსებ იმედაშვილი ჩემი ქართულის ნათლიაა. რუსეთიდან რომ დავბრუნდი, – ვალიარებ ჩემს სირცხვილს! – ქართული თითქმის დავიწყებული მქონდა. ბედმა იმედაშვილის წიგნის დუქანში შემეყვანა. მოვითხოვე ქართული წიგნები. ერთმანეთს გამოვეცნაურეთ. იმ დღიდან ხშირი სტუმარი გახვდი მისი დუქან-სამკითხველოსი. სანამ „ცნობის ფურცელში“ დავიწყებდი მუშაობას, ჩემი ქართულის მასწავლებელი იოსები იყო. პირველად იმან წაიკითხა ჩემი პირველი მოთხრობა „ჩანჩურა“ და იმანვე გაგზავნა „ცნობის ფურცელის“ რედაქციაში“ (წ. 630); იოსებ იმედაშვილს თავისი „უცხო სიტყვათა ლექსიკონიც“ უჩუქებია წარწერით „სამშობლო ენის ოსტატს და სხვა...“ (ქ. 1984, 106).

\* \* \*

და კიდევ: კარგი ქართულის ცოდნისათვის „ყოველდღიური ენობრივი ულუფააო“ საჭირო:

„ლექსიკონი, სასულიერო წიგნები და საერთოდ, კლასიკოსები — აი ჩემი ყოველდღიური ენობრივი უღუფა. განუწყვეტელი ვარჯიშობა — აი, წინდი ყოველგვარი გამარჯვებისა, ლექსიკის მუღმივი გამდიდრება და თავდაპირველად სასაუბრო ხალხური ენის შესწავლა ის საძირკველია, ურომლისოდაც ვერავითარი სალიტერატურო ძეგლი ვერ შეიქმნის. მეტსაც ვიტყვი: თუ საშუალო ნიჭის ავტორმა ზედმიწევნით იცის ქართული, ის ქართულის უცოდინარს ძლიერ ნიჭიერ მწერალსაც აჯობებს“ (წ. 771).

ძალიან საინტერესო დაკვირვებაა მ. ჯავახიშვილისა და, შესაბამისად, შეგონებაც მწერალთათვის (და მკითხველთათვისაც):

„მწერალი გაზეთს მხოლოდ გაკვრით უნდა ათვალიერებდეს. ქართველი მკითხველი (...) საგაზეთო ქართულით იკვებება. ეს ქართული კი ძალაუნებურად ღარიბია, მოუქნელი, ბნელი და ერთფეროვანი. ამგვარი ქართულის კითხვა-ვარჯიშობას მე მირჩევნია ლექსიკონი და ვისრამიანი ვიკითხო.

ამ სისტემას ნამეტან მაშინ ვასრულებ ხოლმე მტკიცედ, როცა მოთხრობას ან რომანს ვწერ. სანამ წერას შევუდგებოდე, კარგა ხანს აღარც უცხო ენაზე დაწერილ წიგნს ვეკარები. მიზანიც გასაგებია: ტვინის ენობრივი აპარატი სუფთა ქართულ მეტყველებაზე გადმომაქვს“ (წ. 771).

ჩვენ ზემოთ „ჩანაწერები“ („უბის წიგნაკებიდან“) ვახსენეთ. განმარტავს ერთგან ამ ჩანაწერების მიზანს, მნიშვნელობას: „წესად დავდე და დღემდე ვასრულებ: თითქმის ყოველდღე რაღაც უნდა ჩავიწერო — სიტყვა, სახე, თქმა, ამბავი, წვრილმანიც და მსხვილმანიც. ზოგი ყურმოკრულია, ზოგი თვალმოკრული და ზოგიც მოგონილი. ეს მასალა — გაგონილი და მოგონილი — შემოქმედის ლაბორატორიაში იხარშება, მუშავდება და ბოლოს ისეთი რამე გამოდის, რასაც ზოგჯერ თვითონ ავტორიც ძლივს იცნობს“ (წ. 766).

ვინც ამ „ჩანაწერებს“ იცნობს, დაძვინჯება: ერთ-ერთი მთავარი თემა ამ „ჩანაწერებისა“ ქართული ენაა. ამ საკითხს ცალკე პარაგრაფებს მივუძღვნით ქვემოთ (გვ. 129, 140), აქ იმას ვიტყვი, რომ ამ წიგნისათვის თვალის ერთი გადავლუბაც კი საკმარისია, მივხვდეთ, რას ნიშნავს მწერლისათვის ენაზე მუშაობა... ეტყობა ეს „წესი“ მ. ჯავახიშვილისა ცნობილი იყო და კოლეგები ღიმილით უყურებდნენ მიხეილის ამ ჩვევას (რა ჰგვრიდათ ღიმილს, ძნელი სათქმელია...). თავად კი მ. ჯავახიშვილს ამის გამო ჩაუწერია: „დღეში ათიოდე აზრს, ნახულს და გაგონილს ვიწერ უბის წიგნაკში. ეს ამბავი ჩვენს მწერლებს სასაცილოდ არ ჰყოფნით; ასე იცინიან ზულუსები და ბუშმენებიც, როცა ევროპელი კბილებს იხეხავს“ (ჩ. 202)... – მწარე ირონიაა...

ალბათ ამის გამოც, მ. ჯავახიშვილი ცდილობს განმარტოს, გაუცნობიეროს მკითხველს (კოლეგას თუ არაკოლეგას), რა მნიშვნელობა აქვს ენის ცოდნას მწერლისათვის, რა არის ენა მწერლისათვის...

### III. „ენა მწერლის ბალავარია“

ღიას, რას ნიშნავს ენა მწერლისათვის, რატომაა აუცილებელი ქართული ენის ცოდნა... მოდით, ეს საუბარიც მოვისმინოთ:

მიხეილ ჯავახიშვილს სწამს:

„ენა მწერლის ბალავარია, მისი უმთავრესი იარაღი. ენის უცოდინარი მწერალი სამფეხა ცხენსა ჰგავს, გენიოსიც რომ იყოს, ვერც გაიქცევა და ვერც დაიძვრება“ (წ. 770);

ანდა: „ენა უმთავრესი სამწერლო იარაღია და ვისაც იგი ჩლუნგი აქვს, ის მწერლად არ ივარგებს“ წ. 424);

ანდა: „მე მრავალჯერ მითქვამს და გავიმეორებ, რომ თუ მწერალს კარგად გამართული ქართული არ ეხერხება, ის მწერალი შორს ვერ წავა... საჭიროა იმ ზომიერების დაცვა, ურომლისოდაც, ვერც ენის მხრივ, ვერც სხვა მხრივ ესა თუ ის ნაწარმოები შორს ვერ წავა“ (წ. 835)...

ანდა: „ნაპოლეონი ამბობდა: ომის მოსაგებად ჯერ ფულია საჭირო, მერე ფული და ბოლოს ისევ ფულიო. მეც ვიტყვოდი: სალიტერატურო გამარჯვებისათვის ჯერ კარგი ქართულია საჭირო, მერე კარგი ქართული და ბოლოს ისევ კარგი ქართული“ (წ. 771).

\* \* \*

მიხეილ ჯავახიშვილი, როგორც მწერალი, თავს ვალდებულია თვლის, თავისი მწერლური ხედვა, პოზიცია, გამოცდილება უშურველად გაუზიაროს სხვას; ანუ: რა არის მწერლობა, რა ტვირთი აწევს მწერალს ზოგადად და, მით უმეტეს,

ქართველ მწერალს... აი, აქ უკვე ის ვალი (ვალდებულება) შემოდის, ქართული ენის ცოდნა, მოვლა და პატრონობა რომ ჰქვია:

„საერთოდ მწერლობა ერის სულიერი კულტურის ერთ-ერთ დედაბოძად ითვლება, ასე იყო ყველგან და ყოველთვის, ასეა ჩვენში დღესაც“ (წ. 623).

რომ „მწერალი პირუთვნელი და ბეჯითი მოსამსახურეა ერის“ (წ. 639); და მწერალი რომ ბეჯითად ემსახუროს ერს, „აუცილებლად მიგვაჩნია მწერლის მორალური დონის აღდგენა“ (წ. 639).

რადგანაც, „ლიტერატურა მარტო ესთეტიკა არ არის, ზნეობრივი ფაქტორიც არის“ (ჩ. 205);

მაგრამ, სამწუხაროდ, „ზნეობა დაიღუპა. აღდგენა ზნეობისა — აი უდიდესი მოვალეობა ქართული მწერლობისა. ჩვენ მეტი ამაზე აღარავინ იზრუნებს“ (ჩ. 310); უამისოდ ქართული მწერლობა თავის მისიას ვერ შეასრულებს... არაა იოლი ეს საქმე, ფაქტია რომ: „მწერლის სახელი უუძმძიმესი ტვირთია“ (ჩ. 98);

მაგრამ სხვათაგან განსხვავებით, „ქართული კალამი ძალიან ჰგავს გოლგოთურ ჯვარს, რომელსაც ხელით ვატარებთ“ (ჩ. 109)...

ქართველი მწერლის უმთავრესი მოვალეობა — უნდა გადაარჩინოს ქართული ენა: „უდიდესი ამოცანაა ენის დაწმენდა, და ამ საქმის პირველი მეთაური ქართველი მწერალი უნდა იყოს, ხოლო ამ უკანასკნელს რომ შეეძლოს სხვათა მხილება, ჯერ თვით უნდა განიკურნოს“ (წ. 626)...

ანუ: „ქართველი მწერალი განუწყვეტლივ, დღედაღამ უნდა თავს დასტრიალებდეს ქართულ სიტყვას, თორემ უმაგი-სოდ ვისაც კარგი გამართული ქართული არა აქვს, მითქვამს და ვიმეორებ, გენიოსიც რომ იყოს, მისი გენიალობა განახვერდება“ (წ. 794);

**რადგანაც:** „უკანასკნელ ხანებში ზოგმა მწერალმა ქართულში, სამწუხაროდ, უცხო ენის ცნება გადმოიტანა, მისი ნათელობა დანისლა, ლექსიკოლოგიურად გააღარბა, ჩვენი სინტაქსი დაამახინჯა და ხალხურ-ლიტერატურული ერთმანეთს დაამორა. ქართულს ეკარგება მუდმივობა, მოქნილობა და გამჭვირვალობა, ამის გამო ჩვენი ენის ბუნების ამღვრევა უდიდეს ხიფათს უქადის ჩვენს მწერლობას, ამიტომ ჩვენი მიმართულება დაუნდობელ ბრძოლას უცხადებს ქართული ენის გადამგვარებელ ძალებს...“ (წ. 639);

**და, რომ:** „უკანასკნელ ხანებში ქართულ მწერლობაში მძლავრად შემოიჭრა ჟარგონი. ყველა ქართველი მწერალი მოვალეა, მკაცრად შეებრძოლოს ამ სამწუხარო მოვლენას. ერთი მხრივ, მან უნდა გაწმინდოს ერთიანი და სუფთა ლიტერატურული ქართული პროვინციალურ კილოკავებისაგან, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს ყოველი კუთხიდან ფრთხილად უნდა ამოკრიფოს უხვად გაბნეული და დღევანდელ მწერლობაში მივიწყებული სიტყვები“ (წ. 638).

**მაგრამ:** „თუ ქართველმა მწერალმა იხმარა ხუთიოდე ნავლწაყრილი სიტყვა და მოინდომა მათი გაცოცხლება, უმაღლვე განგაში ატყდება ხოლმე. მოგანგაშენიც უნებლიეთ თუ ნებსით ქართული ლექსიკონის გაღარბებისათვის და გადაგვარებისათვის მუშაობენ“ (წ. 638);

**რომ:** „ყველა მწერალი უმთავრესად თავის ფოლკლორზე და კლასიკოსებზე იზრდება და შეუძლია მწერალმა სულ დივიწყოს სალიტერატურო ტრადიცია და თანმიმდევრობის კანონი. გარდა ამისა, ის ვერ მოსწყდება თავისი ქვეყნის არეს, გეოგრაფიას, ყოფას, კულტურულ მემკვიდრეობას და საერთოდ იმ ადგილობრივ მასალას, რომელიც აუცილებელი ელემენტია ყოველი ვარგი ნაწარმოებისა“ (წ. 807);

**ისე:** „მე ვიცნობ ისეთ ქართველ მწერლებს, რომლებსაც შესანიშნავი ქართული ენა აქვთ, მაგრამ გრამატიკა არ იციან.

ეს იმას ნიშნავს, რომ საჭიროა ქართული ისწავლოს თავდაპირველად ხალხისგან და არა წიგნით. ისწავლოს ცოცხალი ქართული ენა, რომელიც ჩვენდა საბედნიეროდ უდრის სალიტერატურო ენას“ (წ. 732).

ფაქტია: „მე თვალ-ყურს ვადევნებ საინტერესო ახალგაზრდა ავტორების ენის ევოლუციას. მათ წინსვლა ეტყობათ, მაგრამ მე მაინც არ მაკმაყოფილებს საერთოდ დღევანდელი ქართული ენის გაუმჯობესების ტემპები. ძალიან ნელია და თუ განხორციელდება კურსების მოწყობის იდეა, ქართული ენის საქმე სწრაფად გამოსწორდება“ (წ. 742).

\* \* \*

ესაა, ერთი შეხედვით, ზოგადი მსჯელობა, ზოგადი შეხედულება მიხეილ ჯავახიშვილისა...

სწორედ ამ ხედვით უყურებს მ. ჯავახიშვილი თავის შემოქმედებასაც და სხვისასაც... ქვემოთ ვნახავთ, რომ მწერალი სალიტერატურო ქართულის ნორმათა ცოდნისა თუ, საერთოდ, კარგი ქართულის მოთხოვნით კითხულობს თავის ნაწარმოებებსაც და სხვისასაც...

საუბარს გავაგრძელებთ მ. ჯავახიშვილის დამოკიდებულებით კოლეგების ნაწერებისადმი; ცხადია, ჩვენი ინტერესის სფერო ქართული ენაა...

მიხეილ ჯავახიშვილის იდეალი ილია ჭავჭავაძეა, ილია და მერე აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა...

გვანსოვს ალბათ, იაკობ გოგებაშვილმა თქვა ილია ჭავჭავაძეზე: „იქნება არც ერთს მსოფლიო გენიოსს არა ჰქონდეს იმოდენა მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამოდენიც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსთვის“. იაკობის შემდეგ ისეთი შეფასება, როგორიც მიხეილ ჯავახიშვილმა მისცა ილიას, ვფიქრობ, არც არავის ჰქონია: „ილია ჭავჭავაძე მუხა იყო უდაბნოში ამოსული (დღეს ივანე ჯავახიშვილი); გარშემო

ბუჩქნარი ერცყა, მუხნარად გადააქცია“ (ჩ. 321) („შენიშვნა-საც“ აკეთებს სხვაგან „ბუჩქნარის სასარგებლოდ“: „ჯავანარში გოლიათი მუხა არ გაიზრდებაო“ – ჩ. 328).

ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში ილიას (და აკაკის, ვაჟას) როლი რომ განუზომელია, ამაზეც მიაჩნებოდა მ. ჯავახიშვილი:

„ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას სიკვდილის შემდეგ ქართული მწერლობა თითქოს დადაბლდა... ქართული ენა ბნელ კუნჭულში მიიკრუნჩხა“ (წ. 750)...

ზემოთაც ვთქვით: უპირველესად ილიას, აკაკისა და ვაჟას მიიჩნევს მ. ჯავახიშვილი ქართულის მასწავლებლად...

სწორედ ილია და აკაკი არიან ის მწერლები, რომლებსაც თანამედროვე შემოქმედი უნდა დაემყაროს „ქართული ენის სისწორეში“; ამის თაობაზე მ. ჯავახიშვილი ვრცლად მსჯელობს თავის „მთავარ“ ნაშრომში („ახალი სალიტერატურო ქართულისათვის“) და ილიასა და აკაკის დამცველადაც კი გვევლინება, როცა ს. ხუნდაძემ უცნაური დასკვნა გააკეთა: „ქართული ენის სისწორეში მათზე დამყარება ყოვლად შეუძლებელიაო! (იხ. აქვე, გვ. 65-66)... და მიხეილ ჯავახიშვილი „იცავს“ ილიასა და აკაკის ს. ხუნდაძისაგან... ამ თემაზე საუბრისას აღვნიშნავთ, რომ, მ. ჯავახიშვილის აზრით, ახალი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისათვის, განმტკიცებისა და დამკვიდრებისათვის ფასდაუდებელია სწორედ ამ მოღვაწეთა დამსახურება... ეს უნდა იყოს ორიენტირი, მაგალითი ყველა ქართველი მწერლისათვის; ამგვარი სულისკვეთებით უნდა ემსახუროს ქართულ ენას... სწორედ ამიტომაც საჭირო დაუნდობელი ბრძოლა სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის... რადგან სჯერა ილია ჭავჭავაძის შეგონებისა: „ჩვენ ყველანი ქართული ენის ხმარებაში ცოდვილნი ვართ და ჩვეულება ურთიერთის ცოდვების ჩვენებისა არ იქნება მომატებული. მაშ, რო-

გორ უნდა გავსწორდეთ, თუ ჩვენი სიმრუდე არ გვეცოდინება?... ბოროტების აღვიარება ნახევარი გასწორებაა...”

და მიხეილ ჯავახიშვილმა იდო თავს ეს, როგორც ილია იტყოდა, „ბოროტება ერთიანად აღწეროს და დაგვანახოს...”

და: საქებას აქებს... საკრიტიკოს აკრიტიკებს და, მისი ღრმა რწმენითა და ჩვენი აზრითაც, ორივეგან ცამდე მართალია...

მაგრამ, როგორც იმდროინდელი დისკუსიებიდან ჩანს, პოლემიკებიდან, არ იყო უმტკივნეულო ეს პროცესი — მტერი გაიჩინა ბევრი მწერალმა... თუმცა „მართლის მთქმელს ცხენი ჰყავდა შეკაზმული...” (თუ არ ჰყავდა?...)

ეს ზოგადი პოზიციაა მ. ჯავახიშვილისა: „მე მრავალჯერ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ, რომ თუ მწერალს კარგად გამართული ქართული არ ეხერხება, ის მწერალი შორს ვერ წავა“ (წ. 835). აი, ამ პოზიციიდან უყურებს, აფასებს მ. ჯავახიშვილი თანამოკალმეებს...

ყურადღებას მივაპყრობთ ორიოდე საინტერესო შეხედულებას ქართული მწერლობის შესახებ. დავიმოწმებთ რამდენიმე ფრაგმენტს „ჩანაწერებიდან“:

**„დღევანდელ ქართველ მწერალს რწმენა აკლია, და კრიზისის სათავეც სწორედ აქ არის. რასაც ამბობს, არა სჯერა და რაცა სჯერა, ვერა სწერს. როცა სატირალი აქვს, იცინის და სადაც ეცინება, სტირის. ამიტომ არის მისი პათოსი ყალბი და მჩატე. მოჰგლიჯეთ პირიდან ბოქლომი და ნახეთ: ისე ატირდება, რომ მისი ცოდვით ქვაც კი დადნება და ისეთ ლოცვას იტყვის, რომ ღვთისმშობელსაც კი გააცოცხლებს“** (ჩ. 208).

ასეთი რამის მოსმენა, ცხადია, არაა „სასიამოვნო“ კოლეგისაგან... არც ასეთის:

„ზოგ მწერალს ყველაფერი რომ მივაკუთვნოთ, ის „რალაც“ მაინც არა აქვს, რომელიც ჯერ არავის უნახავს, არც აუწონია, არც გაუგია, არც გაუზომია, მაგრამ მას ყველა

ჰგრძნობს, ვისაც ეს ღვთიური მადლი საბოლოოდ დახშული არა აქვს“ (ჩ. 226).

უფრო კონკრეტული ზოგადი შენიშვნა: „მწერალმა თავ-დაპირველად ლექსიკა უნდა დაიმორჩილოს“ (ჩ. 113);

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ „ზოგი მწერალი კალმით კი არ სწერს, არამედ მარგალით“ (ჩ. 124);

უბედურება ისაა, რომ მწერალი არ არის თავისუფალი იდეოლოგიური წნეხისაგან; ამას იგაუვრად გვეუბნება: „ერთმა ქათამმა თავი ჩამოიხრჩო და ასეთი წერილი დასტოვა: „მე დღეში მხოლოდ ერთი კვერცხის დადება შემეძლო, და მე კი წკაპლით მთხოვდნენ 4-ის დადებას“. ამ ქათმის დღეშია დღე-ვანდელი ქართული მწერლობაც“ (ჩ. 142).

და ყოველივე ამას ხედავს მიხეილ ჯავახიშვილი; გრძნობს და ამბობს... ამბობს იმიტომ, რომ არ სურს თავი დაიტანჯოს უთქმელობით:

„ზოგი მწერალი (გ. ტაბიძე, ჟურული) წითელ ლექსებს სწერენ. მერე ჩუმათ სტამბაში ათეთრებს. სკანდალი ხდება. რაღაც აწვება მათ შიგნიდან. სხვა რამის თქმა უნდათ. წვალობენ, იტანჯებიან“ (ჩ. 193)...

ეს თემა მიხეილ ჯავახიშვილთან მეტად აქტუალური თემაა; ზოგს სხვაგან ვიტყვით (უფრო იდეოლოგიური აქცენტებით)... აქ კოლეგებზე განვარძობთ საუბარს — მიხეილ ჯავახიშვილის თვალთ დანახული კოლეგის შემოქმედება; უფრო კონკრეტულად — მისი ენა...

ფაქტია, მას შეუძლია კარგზე კარგის თქმა, ავზე — ავი-სა... ზოგჯერ შეიძლება საკმაოდ მკაცრიც გვეჩვენოს...

\* \* \*

„ერთ-ერთ დისკუსიაზე მ. ჯავახიშვილმა თქვა: „ყოველი დისკუსიის დროს (...) ამა თუ იმ მწერლის ენის განხილვიდან ვიწყებ ხოლმე და დღესაც აქედან დავიწყებო“ (წ. 734); ეს

წესი იყო მისთვის: უპირველესად მწერლის ქართულზე ამხვილებს ყურადღებას.

სიამოვნებით, კმაყოფილებით შეუძლია აქოს კოლეგა. ვასილ ბარნოვზე: „მისი ქართულიც ავტორივით მშვიდია და უბრალო, ნათელი და ლექსიკურად მეტად მდიდარი“ (წ. 816);

თუ მოსწონს, არავის ტოვებს უყურადღებოდ: ივანე გომართელზე წერს: „ჯუზეპე გარიბალდის ცხოვრების აღწერა ეკუთვნის ივ. გომართელის კალამს. ავტორი ცნობილია ჩვენში, როგორც ნიჭიერი ლიტერატორი. ეს წიგნაკიც თავიდან ბოლომდე მშვენივრად არის დაწერილი სადა და მკაფიო ენით. მას ხალისით წაიკითხავს მკითხველი“ (წ. 137);

მ. ჯავახიშვილი გულუხვია დემნა შენგელაიას მიმართ — მისი ენა სხვაზე მეტად მოსწონს;

„დემნა შენგელაიას მშვენიერი ქართული ჯერ კიდევ განსვენებულმა ვ. ბახტაძემ აღნიშნა. საუცხოო ქართული აქვს. ლექსიკა უმდიდრესი, გამოუღვეველი. მისი ქართული ნათელია, მკაფიო, გამჭვირვალე, იშვიათად თუ სადმე წაიბორძიკებს, ესეც კანონიერი უნდა იყოს“ (წ. 841); ისევ დემნა შენგელაია: „დემნას უხვი ლექსიკა აქვს, იქაურიც და აქაურიც, და ამიტომ არჩევანიც დიდი აქვს. მე პირადად ცალხელა ვარ, იქაური ცოტა ვიცი, სჯობდა, რა თქმა უნდა, ცალხელა ხურჯინს ორხელა“ (წ. 641); მაგრამ დ. შენგელაიას „ბათა ქექიამ“ დიალექტური ლექსიკის თემაც შემოიტანა და ეს ხომ მ. ჯავახიშვილისათვის ღვიძლი თემაა... ვერ აცდა საყვედურს მისგან მოწონებული ავტორიც:

„ზოგიერთი მეგრული სიტყვები რომ აქვს შემოტანილი, ამას თავს ააცდენდა იმიტომ, რომ მას დიდი ლექსიკური მარაგი აქვს. უხვად აქვს გამოყენებული მეგრული სიტყვები. ეს იმიტომ, რომ გაუნათლებელ მეგრელს აწერინებს და შეუძლებელი იყო, რომ თავიდან ბოლომდე საერთო სალიტერატურო ლექსიკა მოეცა. ხალხში იმდენი სიტყვა არსებობს, რომ

ხუთჯერ უფრო მეტია, ვიდრე სალიტერატურო ენას სჭირდება და აქვს. არ შეიძლება შევიმუშავოთ ხევსურული, ქართლ-კახეთშიც არსებობს მახინჯი ფორმები, ხომ არ შეიძლება მათი შემოტანა, მით უფრო რომ დიალექტურ ლექსიკონს არ ვაღგენტ“ (იქვე);

მ. ჯავახიშვილი ერთ საინტერესო პასაჟზეც ამახვილებს ყურადღებას: „ბათა ქექიაში“ ორი პერსონაჟი საუბრობს; „ორივემ იცის რომ ერთმანეთს ატყუებენ და მაინც ატყუებენ; ფრანგები ამაზე ამბობენ, ფრანგული ენამახვილობააო და ბათას შესახებ შეიძლება ითქვას, რომ მას მეგრული ენამახვილობა აქვს“ (წ. 841); ეს თითქოს დადებითი შეფასებაა, მაგრამ „ჩანაწერებში“ ერთგან ვკითხულობთ: „**მახვილ სიტყვას რომ ფასი ჰქონდეს**, უუდიდეს მხატვრულ ნაწარმოებად ჩაითვლებოდა კრებული დიდებულთა აზრებისა“ (ჩ. 226)... თუმცა ეს სხვა რამეა...

ალექსანდრე ქუთათელის შესახებ: „**ქართულის მხრივ** ავტორის საბედნიეროდ ვიტყვი, რომ ავტორი არ მისდევს ნოვატორობას, ე. ი. არ აწვალებს სიტყვას, აქა-იქ შეუსაბამობა არის, ზოგან ლაფსუსები, მაგრამ ამის გამოსწორება ძალიან ადვილია. ცუდის დრო წავიდა. დროა დაუუკვირდეთ ახალ აკადემიურ ქართულს. რა თქმა უნდა, ძველი ქართულის აღდგენა შეუძლებელია, იმიტომ რომ ძველი ქართული ძველ ცხოვრებაზე იყო გამოჭრილი და შეუძლებელია, რომ ახალ ცხოვრებაში ნაცვლად ახალი თქმისა, მოვიწოდოთ ალვადგინოთ რომელიმე ძველი ეპოქის ქართული“ (წ. 787).

და კიდევ: „ქუთათელის რომანში ამგვარი სიტყვები და ფორმები შემხვდა: „გული მწყდებოდა“, უნდა იყოს „გული სწყდებოდა“. ეს შედეგი არის სატერმინოლოგიო კომიტეტის დადგენილებისა, რომელმაც ეს თავსართი მოსპო“ (წ. 784). საერთოდ, ჰ- და ს- თავსართების თაობაზე მ. ჯავახიშვილს

თავისი შეხედულება აქვს შემუშავებული; ამის შესახებ ცალკე მოგვიწევს მსჯელობა (იხ. აქ: გვ. 151-153)...

საკმაოდ კრიტიკულია მ. ჯავახიშვილი რაჟდენ გვეტაძის მიმართ:

„გვეტაძის მაშინდელი ქართული კი ხშირად ბორძიკობს, ავტორი ალაგ-ალაგ ქართველებსაც იმერულად ალაპარაკებს (ვფიცავარ, გამოლენჩებულხარ, რაფერ, ბატონიზა, დასტურ, პირი დაგიფჩენია). სიტყვებს თითქოს ძნელად პოულობს და ძალით აკოწიწებს, ამის გამო ენა მძიმდება და სახეც იმღვრება.

„ჭიაკოკონა“-ში და უფრო მეტად „ლაშურ საღამოებში“ კორძი და ბინდი თანდათან კლებულობს, ფრაზა მოკლდება, ენას სინათლე ემატება და სახე უფრო მკაფიოდ მოსჩანს“ (წ. 878).

ღირსსაცნობია ის ფაქტი, რომ მ. ჯავახიშვილი როცა კოლეგის თხზულებაზე, შემოქმედებაზე საუბრობს, უპირველესად მის ენობრივ სახეს დაგვანახებს და მერე მსჯელობს ლიტერატურულ პრობლემებზე. ასეა ეს წერილში – „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“ კ. ლორთქიფანიძის“. ზემოთ მოყვანილი ამონარიდი („თუ მწერალს კარგად გამართული ქართული არ ეხერხება, ის მწერალი შორს ვერ წავა“) სწორედ ამ წერილის დასაწყისიდანაა...

აქ მ. ჯავახიშვილი იმასაც გვასწავლის, რომ ნაწარმოების თემის შერჩევა უკვე გარკვეული რისკის შემცველია ენობრივი თვალსაზრისით: უკვე თემის შერჩევისას უნდა იმუშაოს მწერალმა შესაბამისი „ენობრივი ცოდნის“ გასაღრმავებლად“ (ამის კარგი მაგალითია თავად მ. ჯავახიშვილის „მომზადება“ „თეთრი საყელოს“ დასაწერად: საგანგებოდ დაამუშავა ფოლკლორული თუ ეთნოგრაფიული მასალები, ლიტერატურა და ა. შ. ...): „თვითონ ის თემა და ის ნიადაგი, ის კუთხე, რომელსაც ასწერს ლორთქიფანიძე უკვე დიდ სიძნელეს წარმოადგენს. იმ მხრივ, რომ შესაძლოა ძალიან გაავსოს კუ-

თხური კოლორიტით, ხოლო მეორე მხრივ, თუ გადმოზნიქა, შესაძლოა იმერელი გლეხი სუფთა სალიტერატურო ქართულით აალაპარაკოს. საჭიროა იმ ზომიერების დაცვა, ურომლისოდაც ვერც ენის მხრივ, ვერც სხვა მხრივ ესა თუ ის ნაწარმოები შორს ვერ წავა“ (წ. 835).

ახალგაზრდა მწერლის – კ. ლორთქიფანიძის – რომანი ამგვარი მსჯელობის საფუძველს აძლევდა მ. ჯავახიშვილს... ეს მსჯელობა ასე გრძელდება: „მე აქ ამოვიწერე სია იმ სიტყვებისა, რომლებიც მეც ვერ გავიგე და ჩვეულებრივმა მკითხველმა როგორ უნდა გაიგოს“. – და მაგალითების რიგი – „ამ სიტყვების შემოტანა არ შეიძლება, თუ მათი ნაცვალთა ლიტერატურაში ათასჯერ და ათი ათასჯერ არის უკვე ნახმარი, რომელიც ყველას ესმის“ (წ. 835) და მიანიშნებს ასევე სინტაქსური წესის დარღვევასა თუ რუსულის კალკებზე...

ეს წერილი (რეცენზია) საინტერესო იმიტაც არის, რომ ცნობილი რომანისტი დამწეებ რომანიტს კი არ „აფრთხობს“, „ამინებს“, არამედ ასწავლის, სწორ გზაზე აყენებს, აგულიანებს; მაგალითად, მას საგანგებოდ გადაუვლია თვალი მწერლის ადრე დაბეჭდილი მოთხრობებისათვის და დაასკვნის: „მისი ქართული ამჟამად უკვე დაიხვეწა და უმთავრესი ის სიტყვები კი არ არის, რომლებიც მოგახსენეთ, უმთავრესი ის არის, რომ მწერლის სიტყვა იყოს გამჭვირვალე, მკაფიო, გასაგები და მოქნილი. ეს აუცილებლად აქვს ლორთქიფანიძეს, რომელიც, მე ვიცი, ქართულ ენაზე ბევრს მუშაობს“ (წ. 836)...

როგორც ვხედავთ, ამ წერილში საინტერესო თეორიული საკითხებიც არის დასმული. ორ მომენტზე გავამახვილებთ ყურადღებას:

რამდენადაც თვალი მიმიდევნებია, მ. ჯავახიშვილთან სხვა შემთხვევაში ყურადღება არ არის გამახვილებული დიალოგის მნიშვნელობაზე, მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე: „შემდეგ უნდა აღვნიშნოთ ერთი რამ – დიალოგი. ამ მხრივაც

ლორთქიფანიძე ბედნიერი მწერალია. დიალოგი მას ძალიან ემარჯვება. ზედმეტი მასალით ის დიალოგს არ ტვირთავს. დიალოგს კი ყველაზე მეტად უნდა გაფრთხილება. რაც უნდა საინტერესო იყოს შინაარსი, თუ მასში მხატვრული დიალოგები არ არის, ნაწარმოები კარგავს თავის სიმძაფრეს. ამ მხრივ მას დაწურული აქვს სადიალოგო მასალა. ტემპები მისი ცოცხალია“ (წ. 836)...

და კიდევ: **სათაურის საკითხი**; მ. ჯავახიშვილი წერს: „ჩემის გემოვნებით სათაური უნდა გამოხატავდეს შინაარსს, იდეას. სათაური ამ რომანისა ცოტა სახიფათო ამბავია... ძალიან სახიფათო სათაურია, ერთგვარად დასამცირებელიც კი არის...“ და ა. შ. (წ. 837)...

ცოტა ვრცლად იმიტომ შევჩერდით კ. ლორთქიფანიძის რომანისადმი მიძღვნილ წერილზე, რომ ესაა უფროსი კოლეგის საუბარი, შეგონება, რჩევები ახალგაზრდა კოლეგისადმი; ეს არაა პოლემიკა, „დაუნდობელი“ კრიტიკა, თუნდაც ისეთი, ტიცინ ტაბიძისადმი რომ მოვისმენთ... ეს საგანგებო შემთხვევაა...

როცა „ქართული ენის ფანატიკოსის“ დამოკიდებულებაზე ვსაუბრობ კოლეგებისადმი (თანამოკალმეებისადმი), სამ მათგანს გამოვყოფ: ტიცინ ტაბიძეს, კონსტანტინე გამსახურდიას და გრიგოლ რობაქიძეს.

პუბლიცისტური წერილების მიმოხილვისას ჩვენ ვისაუბრებთ მ. ჯავახიშვილის წერილზე „სალიტერატურო ქართული სათვის“, რომელიც გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა 1934 წელს.

ეს არის წერილი, რომელშიც საკმაოდ მკაცრად (შეიძლება ზედმეტადაც) არის გაკრიტიკებული ტიცინ ტაბიძე: „ტიცინ ტაბიძის ქართული დაუდევრობის საუკეთესო ნიმუშებს იძლევა. მის პროზაში ასეთ სიგონჯეს წავაწყდიო“ და ამას მოსდევს თითქმის სამგვერდიანი „ნიმუშები ქართული ენის დაგონჯებისა“... აქ ამჯერად სხვა კუთხით მინდა დავინა-

ხოთ მიხეილ ჯავახიშვილი; იმ კუთხით, XIX საუკუნის კლასიკოსები რომ ეპაექრებოდნენ ერთმანეთს, თუნდაც აკაკი და იაკობი. გავიხსენოთ: 1894 წლის ცნობილი პოლემიკა აკაკი წერეთელსა და იაკობ გოგებაშვილს შორის; ხანგრძლივი და დაუნდობელი... იაკობი და აკაკი პოლემიკამდეც ერთად ემსახურებოდნენ ეროვნულ საქმეს; პოლემიკის შემდგომ იაკობი წერს: აკაკი წერეთელსა და ჩემ შორის დაწყებული კამათი ენობრივ საკითხებზე „იმით დასრულდა, რომ ჩვენი მანამდე უბრალო ნაცნობობა თითქმის მეგობრობად გადაიქცაო“...

ასევე საკმაოდ სერიოზული იყო პოლემიკა ილიასა და აკაკის შორის „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებზე... აკაკისა და ვაჟას შორის ენობრივ საკითხებზე... ფაქტობრივ, ტრადიციად იქცა: პოლემიკა, დისკუსია საზოგადო საკითხებზე პიროვნულ ურთიერთობებზე მაღლა! ეს ვერ ვნებს პიროვნულ ურთიერთობებს...

ეს ყოველივე მიხეილ ჯავახიშვილის მიერ ტიცციან ტაბიძის დაუნდობელმა კრიტიკამ გამახსენა...

არადა, როგორც ჩანს, მიხეილსა და ტიცციანს შორის ახლომეგობრული ურთიერთობა ყოფილა. ქეთევან ჯავახიშვილი რამდენიმე ეპიზოდს აღწერს მათი მეგობრობისას. ტ. ტაბიძის ორი პირადი წერილი მოჰყავს მაგალითად. წერილები ასე იწყება: „ძვირფასო მიშა!“ „ძვირფასო ძმაო მიხეილ!“ პირველი კოლხეთიდანაა გაგზავნილი, მეორე — გაგრიდან. ორიოდე ფრაგმენტი: „შენი სახელი აქ ისე გრგვინავს“... „მაგონდება ხერხეულიძეანთა საფლავზე მიცემული მეგობრობის სიტყვა“... „ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ ვესწრები შენი ოჯახის დღეობას“... „შენი ერთგული მეგობარი“ (ქ. 1984, 230-233)... და ა. შ. წერილები 1930 წელსაა დაწერილი...

და 1934 წელს გამოქვეყნებული წერილი მ. ჯავახიშვილისა... ერთი ფრაგმენტი: „კმარა. ეს ნიმუშები ქართული ენის დაგონჯებისა ტ. ტაბიძის ნარკვევებიდან ამოვკრიფე“...

თითქოს უხერხულობსო მ. ჯავახიშვილი და ასეთ დასკვნას აკეთებს: „შეცდომის მხილება მხოლოდ გულნამცეცას ეწყინება. თვითკრიტიკის ხანაში ამპარტავნობა და ყოყონობა არავის არ არგებს. დროა ჩვენივე მეოხებით აღრეული ენა ჩვენვე გავცხრილოთ და გავასუფთაოთ“ (წ. 791)... თითქოს ამას არ სჯერდება და მინაწერს უკეთებს წერილს; ერთი ფრაგმენტი: „არავის არ უნდა მოვერიდოთ და ენის დაგონჯებისთვის პასუხი უნდა მოვთხოვოთ. უმანკო არც მე ვარ...“ (წ. 791) და ა. შ.

ესაა პოზიცია „ქართული ენის ფანატიკოსისა“... ტ. ტაბიძის კრიტიკას მ. ჯავახიშვილის წერილების მიმოხილვისას კიდევ გავიხსენებთ (იხ. აქვე: 100-102).

\* \* \*

განსაკუთრებით პრინციპული იყო მიხეილ ჯავახიშვილის დაპირისპირება ენობრივ საკითხებზე კონსტანტინე გამსახურდიასთან. საუკუნის წინანდელ საქართველოში მიხეილ ჯავახიშვილის მგავსად კ. გამსახურდია ალბათ ყველაზე მეტს ფიქრობდა ქართული ენის საკითხებზე... მათ განსხვავებულ პოზიციებსა და დაურიდებელ დაპირისპირებაზე ვისაუბრებთ „პუბლიცისტური წერილების მიმოხილვისას“ (იხ. აქვე: 108 გვ. და შემდეგ.).

საკმაოდ ვრცლად ვისაუბრებთ დისკუსიაზე, რომელიც 1934 წელს მწერალთა კავშირში გაიმართა სალიტერატურო ენის საკითხებზე. ამ დისკუსიაზე ძირითადი სწორედ მ. ჯავახიშვილის დაპირისპირება იყო კ. გამსახურდიასთან, რომლის წერილიც გამოქვეყნდა „სალიტერატურო გაზეთში“; მ. ჯავახიშვილის საპასუხო წერილი კი არ დაბეჭდეს თურმე... ეს წერილი, ნაკლები, არქივმა შემოგვინახა და იმას დავემყარებოთ... პოზიციები მკაფიოდ განსხვავებული და ურთიერთსაპირისპიროა...

ეს არ ყოფილა ერთადერთი საჯარო დაპირისპირება ამ ორი კლასიკოსისა სალიტერატურო ენის საკითხებზე...

1933 წლის 24 აპრილს მწერალთა კავშირში „არსენა მარაბდელის“ საჯარო განხილვა გაიმართა. ერთ-ერთი გამომსვლელი კონსტანტინე გამსახურდია იყო...

საპასუხო სიტყვაში მ. ჯავახიშვილი ამბობს: „ესლა კ. გამსახურდიას ნალაპარაკებს უნდა მივადგე. მე საკმაოდ ვაფასებ მის აზრს. მოზრდილი მწერალია და ამიტომ გულდასმით მოვისმინე იგი“ (წ. 758). ეს შეფასება საგულისხმოა ამ ორ მწერალს შორის უკომპრომისო დაპირისპირების ფონზე. მხოლოდ ერთ მონაკვეთს მოვიყვან ამ პასუხიდან: „კ. გამსახურდია მირჩევს, სიტყვა მოკლედ მოჰკვეცი, ძუნწად გამოიყენეო. ვერ დავუჯერებ. მე გაშლილი, სავსე, ფერადოვანი სიტყვა მიყვარს და ხელს ვერ ავიღებ. ნაჭარბევად ძუნწი სიტყვა იმ უფრთო და უფეხო ფრინველს ჰგავს, რომელიც ვერც გაფრინდება. ამ რეცეპტმა ბევრი მწერალი დააგონჯა და მე ვერ გამაბრიალებს. რა თქმა უნდა, წყალნარევი ღვინო სახარბიელო არ არის, მაგრამ ზოგნიც ტყუილად ცდილობენ ძმარის ესენცია თავღვინოდ მოგვაჩვენონ“ (წ. 759).

ფაქტობრივ, მ. ჯავახიშვილი ძალიან მკვეთრად გაემიჯნა კ. გამსახურდიას შესედულებებს... ამას მოსდევს კონკრეტული ენობრივი ფაქტების ანალიზი – თავისმართლება მ. ჯავახიშვილისა კ. გამსახურდიას შენიშვნებზე... სიმართლე თითქოსდა მ. ჯავახიშვილის მხარესაა... არადა...

კონსტანტინე გამსახურდია თითქოსდა სიამაყით წერს მოგვიანებით: „მე ერთხელ გამოვედი მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოების განხილვისადმი მიძღვნილ დისკუსიაზე და მას გავუსწორე 194 სტრიქონი. ამის გამო მიხეილს არსად არ დავუბეზღებია, მხოლოდ მითხრა: გეთაყვა, ამ შენიშვნებს მე მივიღებ და გავასწორებო, და გაასწორა კიდეც“ (კ. გამსახურდია, თხზ. 8 ტომად, ტ. VII, 1965, 542).

და კიდევ ერთი:

1936 წელს კ. გამსახურდიას რომანის „მთვარის მოტაცების“ გამოსვლის გამო მიხეილ ჯავახიშვილი აქვეყნებს წერილს „ლიტერატურულ საქართველოში“... (№ 20).

ისევ პოზიციათა პრინციპული დაპირისპირება. აქ მხოლოდ იმ მონაკვეთზე გავამახვილებთ ყურადღებას, მ. ჯავახიშვილი კ. გამსახურდიას სტილს რომ ახასიათებს:

„კ. გამსახურდიას აქვს ბიბლიურ-მატიანისებური სტილი, რაც აძნელებს 750 გვერდიან რომანის კითხვას. სიყვარულის სურათიც კი ბიბლიურად არის მოხატული, რომანი დატვირთულია აგრეთვე ორნამენტებით. სახეები ზოგ ადგილას არქაულია. მკითხველს აუცილებლად დასჭირდება ლექსიკონის მოხმარება. ზოგიერთ შედარებათა გასაგებად კ. გამსახურდიას მოაქვს მივიწყებული სიტყვები, რომლის გაცოცხლება მისაღებია. როდესაც საგნის გამოსახატავად არსებობს ერთი ან ორი სიტყვა, ზედმეტია მესამე სიტყვის სესხება გერმანულიდან ან ფრანგულიდან ამავე ცნების გამოსახატავად“ (წ. 876)... ისევ თეორიული პოზიცია მ. ჯავახიშვილისა, ისევ დამაჯერებელი და მისაღები...

\* \* \*

გრიგოლ რობაქიძის შესახებ მ. ჯავახიშვილი თავის პუბლიცისტურ წერილებში არას ამბობს... მაგრამ ფაქტია, რომ მას სერიოზულ ანგარიშს უწევს... მეტიც, გარკვეულწილად ექიშპება კიდევ, კონკურენტად მიიჩნევს... სტილის საკითხია, როგორც ჩანს, აზრთა სხვადასხვაობის საგანი. „უბის წიგნაკში“ არის ასეთი ჩანაწერი: „ამბობენ, რობაქიძე დიდი სტილისტიყო, და ამავე დროს სტენდალის ნათქვამსაც იზიარებენ: „საუკეთესო სტილი ის არის, რომელსაც ვერ ამჩნევთ“. რობაქიძის სტილი კი მკითხველს თევზის ძვალივით აქვს სულში გახირული“ (ჩ. 49).

ძალიან მკვეთრი და მრავლისმთქმელი დახასიათება...

ორიოდე ჩანაწერს მოვიყვან; მართალია, არ ეხება უშუალოდ ენას, მაგრამ საინტერესო სხვაობაზეა საუბარი ამ ორ მწერალს შორის:

„ორი ჯურის მწერალია, ერთი სიკვდილის შემდეგ იზრდება, მეორე კლებულობს. მე პირველს ვეკუთვნი, რობაქიძე – მეორეს“ (ჩ. 216).

ანდა: „რობაქიძე ევროპიდან გამარჯვებული მოდის საქართველოში, მე აქედან მივდივარ ევროპაში გამარჯვებული“ (ჩ. 269)...

თუნდაც: „გრიგოლ რობაქიძის ჩანგს მხოლოდ ერთი სიმი აბია“ (ჩ. 288)...

ფაქტია, მ. ჯავახიშვილი გ. რობაქიძეს დიდად აფასებს, როგორც მწერალს, მაგრამ პრინციპულად ემიჯნება ენობრივ-სტილისტურად...

\* \* \*

მ. ჯავახიშვილს რამდენიმე ჩანაწერი აქვს ენობრივ-სტილისტური ხასიათისა თავის კოლეგებზე – „ცისფერყანწელებზე“ და „ფუტურისტებზე“...

საერთოდ ეტყობა „ცისფერყანწელთა“ მიმართ გარკვეული „იდეური“ შეუთანხმებლობა აქვს (მიუხედავად იმისა, როგორც ვთქვით, პირადი მეგობრობა აკავშირებდა მათთან). ტიციან ტაბიძის ურთიერთობაზე ვისაუბრებთ. ახლა ეს ჩანაწერი ვნახოთ:

„ყანწელები ამბობენ ჩემზე და თითქმის ყველა ამერელ მწერლებზე – სტილი არა აქვთო. ცხადი შეცდომაა, ან სიყალბე: „ოდნავ თვალსაჩინო მწერალი არ არსებობს, რომ სტილი არა ჰქონდეს. მაგრამ ყანწელებს ან არ ესმით ჩვენი სტილი, ან არ მოსწონთ (უფრო არ ესმით, რადგან ნამდვილი ქართულისა მათ არაფერი ესმით). ამიტომ თავიანთ უმეტრობას ჩვენი სტილის უარყოფით მალავენ“ (ჩ. 201);

სხვა: „ყანწელებმა მეტყველება დასწურეს, მაგრამ ზოგან გადააჭარბეს. და ესენცია მოგვცეს. ისინი უფრო სიტყვის მუ-

სიკოსები არიან, ვიდრე მხატვრები, უფრო ვიდრე ცხოვრების ამსახველნი“ (ჩ. 226);

ესეც საინტერესოა: „პოპულისტი ბევრია მწერალთა შორისაც. რაც უნდა დიდი იყოს პოპულისტი, სტილს ვერ შეჰქმნის“ (ჩ. 199);

ესეც: „ფუტურისტებს უცხო სიტყვათა ლექსიკონი დაუსწავლიათ და მკუხე ჭაბუკებს იზმებით აოცებენ და აციებით ათრობენ. მიზეზიც ცხადია: ჯერ თვითონაც არ გასცილებიან იმ ჭაბუკებს – არც ცოდნით, არც ხნოვანებით, არც გემოვნებით და არც სიბრძნით. კულტუროსნობის დიპლომსაც არიგებენ მჟავე პანტასავით. ის კი არ იციან, რომ ამისთვის კიდეც რაღაც არის საჭირო (გარდა კადნიერებისა) და ეს რაღაც შეიძლება სიკვდილამდე ვერ იხილონ“ (ჩ. 209)... ხოლო ამ ჩანაწერის გაკეთების უამს ალბათ იღიმებოდა: „ფუტურისტი „ფუტურო“-დან მოდის“ (ჩ. 329).

ესეც მ. ჯავახიშვილის მწერლური ხედვაა და ადრესატი მისი კოლეგები ჩანან (დაუსახელებლად): „ნაჭარბი ავსება სტილისტურ მეტაფორებით, ვიპერბოლებით და სხვა, ჰვავს მანჭიობას, ზიზილპიპილობას: აყვავებული სიტყვა“ (ჩ. 112);

დაბოლოს დასკვნასავით ისმის: „ჩემის მაგალითების სისწორეს ზოგი მწერალი გააფთრებით იცავს: ახალი ქართული ახალი სტილიაო. მე დავრწმუნდი, რომ ყრუს და უცხოს ველაპარაკები, მათი ასიმილაცია უკვე მოხდა და საქმის გამოსწორება უკვე გვიანია“ (ჩ. 262).

და კიდეც: „ერთმანეთის დანდობას და ზედმეტ თავაზიანობას ვნების მეტი არა მოაქვს რა. არც მე ვინდობ და ნურც მე დამინდობენ. უცოდველობას ნურავინ დაიჩემებს. მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ზოგ მწერალს ერთ თაბახში ხუთიოდე შეცდომას ძლივს უპოვით და ზოგს კი ასზე მეტი აღმოაჩნდება“ (წ. 804).

#### IV. ჟმრილგბი ქართული ენის შესახებ

ა) \* \* \* (ზოგადად ამ ჟმრილგბის თაობაზე)

ჟურნალ „მნათობის“ სამ ნომერში (1928 წლის მე-11 – მე-12 და 1929 წლის პირველი) გამოქვეყნდა მიხეილ ჯავახიშვილის ვრცელი ნაშრომი „ახალი სალიტერატურო ქართული სათვის“ („წერილებში“ – გვ. 668-718; დაინტერესებულ პირთათვის მივუთითებ ექვსტომეულის მე-6 ტომსაც – გვ. 316-373).

საქართველოში იმ დროისათვის ქართული სალიტერატურო ენის პრობლემების კვლევა მყარ მეცნიერულ საფუძველზე იდგა: თბილისის უნივერსიტეტს 10 წლის ისტორია აქვს; უნივერსიტეტში არსებობს ქართული ენის კათედრა და, რაც მთავარია, საკმაოდ დიდი ჯგუფი ქართველ მეცნიერთა იკვლევს ქართულ ენას; ის მეცნიერები, რომელთაც ქართული ენათმეცნიერების კლასიკოსებად მივიჩნევთ დღეს (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია...)... აქტიურად საქმიანობენ ტერმინოლოგიური თუ სხვა ენობრივი კომისიები... მიხეილ ჯავახიშვილი კარგად იცნობს მათ მოღვაწეობას, თავადაც აქტიურადაა ჩაბმული ამ საქმიანობაში და ამ დროს აქვეყნებს ვრცელ ნაშრომს ქართული სალიტერატურო ენის შესახებ... ამ ტიპის ნაშრომის შექმნა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, მითუმეტეს, როცა მისი ავტორი სახელოვანი მწერალია... მწერალი, რომელიც კარგად იცნობს ქართული ენის წინაშე არსებულ პრობლემებს; ქართული ენათმეცნიერების განვითარების დონეს, მიღწევებს და აქვს საკუთარი იდეები და მოსაზრებები

(ზოგჯერ პრინციპულად განსხვავებული არსებულისაგან, თამამი, სადავოც და ზოგჯერ – მიუღებელიც...)...

„მნათობის“ პუბლიკაცია, ფაქტობრივ, მონოგრაფიული ნაშრომია ახალი სალიტერატურო ქართული ენის შესახებ (მისი ჩამოყალიბება, დამკვიდრება, პრობლემები...). ვამბობ „ნაშრომი“-მეთქი, ასე განვასხვავებ მას მცირე მოცულობის თემატური წერილებისაგან... შევთანხმდეთ: „ნაშრომი“, „მთავარი ნაშრომი“ – ესაა პირობითად „ახალი სალიტერატურო ქართულისათვის“; დანარჩენებს წერილებს დავარქმევთ...

მ. ჯავახიშვილი ამ ნაშრომს 6 ნაწილად დაყოფს:

1. ძველი და ახალი;
2. კუთხური;
3. ვერ შემოვა ლიტერატურაში;
4. სინტაქსი;
5. არქაიზმები და ნეოლოგიზმები;
6. დღევანდელი ვითარება.

ჩვენც ასე, ამ თანმიმდევრობით გაგაცნობთ ამ ნაშრომს და შევეცდებით, შეძლებისდაგვარად მეტ-ნაკლები სიზუსტით წარმოვაჩინოთ მწერალი, როგორც ქართული ენის ღრმა მცოდნე; მისი ქომაგი და მასზე მზრუნველი შემოქმედი; ერთგული ჭირისუფალი დედაენისა...

ფაქტობრივ, „ახალი სალიტერატურო ენისათვის“ ძირითადად თეორიული ნაშრომია. „მნათობმა“ ამ პუბლიკაციით წამოიწყო დისკუსია – სამთავრობო აზრის მხარდამჭერი. რედაქციისაგან წერილს ასეთი მინაწერი აქვს: „საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. IV პლენუმზე ამხ. მ. კახიანმა აღნიშნა, რომ ჩვენი პრესა, ლიტერატურა და სხვ. ხშირად მოიკოჭლებს ქართული ენის ცოდნის მზრივ; რომ გამოუმუშავებული არ არის თანადროულობისათვის შესაფერი სალიტერატურო ქართული. ამხ. კახიანმა მოითხოვა ამ ნაკლის დაკვრითი წესით გამოსწორება და

ქართული ენის სისუფთავის დაცვა. „მნათობის“ რედაქცია სა-  
ვსებით ეთანხმება რა ამხ. კახიანს, მიხ. ჯავახიშვილის წერი-  
ლის დაბეჭდვით იწყებს დისკუსიას ამ საკითხზე. მიხ. ჯავა-  
ხიშვილის წერილი, რასაკვირველია, რედაქციის აზრს არ  
გამოხატავს, მაგრამ რედაქციას ის მიაჩნია სადისკუსიო მასა-  
ლათ. შემდეგი სიტყვა ეკუთვნის ჩვენს მწერლებს, პუბლიცის-  
ტებს და პირველ რიგში ქართული ფილოლოგიის სპეციალის-  
ტებს“ (ხაზი ყველგან ჩვენია – გ. გ.) (წ. 668).

მნელი სათქმელია, რა გახდა მიზეზი ბოლშევიკების ცკ-  
ის პლენუმზე ამ პრობლემის წამოწევისა, მაგრამ თავისთავად  
მნიშვნელოვანი ფაქტია სამთავრობო ზრუნვა ქართული ენის  
მიმართ!...

მნიშვნელოვანი და მისაბაძი დღევანდელი სათვისაც...

და ღირსსაცნობია ისიც, რომ ამ ფაქტს პირველი მიზე-  
ილ ჯავახიშვილი გამოეხმაურა; საინტერესოა „მნათობის“ რე-  
დაქციის ცოტა დამფრთხალი კომენტარიც – „რასაკვირველია,  
რედაქციის აზრს არ გამოხატავს“... ცხადია, ამის მიზეზი  
უპირველესად ნაშრომის თამამი ტონი და მასში გამოთქმული  
გაბედული აზრებია... და კიდევ მ. ჯავახიშვილის პიროვნება –  
არცთუ მთლად საიმედო ხელისუფლებისათვის (1928 წე-  
ლია...)...

\* \* \*

როგორც ითქვა, „ახალი სალიტერატურო ქართულისა-  
თვის“ 1928-1929 წლებში გამოქვეყნდა.

არ იყო ეს პირველი პუბლიცისტური ნაშრომი მიხეილ  
ჯავახიშვილისა ქართული ენისადმი მიძღვნილი. მას რამდენიმე  
საგაზეთო წერილი უსწრებდა წინ.

პირველი საგაზეთო წერილი მ. ჯავახიშვილისა დედაე-  
ნის პრობლემებისადმი მიძღვნილი 1909 წელს დაიბეჭდა. ესა-  
უბრობ საგანგებო (თემატურ) წერილზე, თორემ მანამდეც და

შემდეგაც არაერთ წერილში შეხება მწერალი ენობრივ საკითხებს... ამჯერად ჩვენი ნარკვევის ამ ნაწილში ყურადღებას გავამახვილებთ ქართული ენისადმი მიძღვნილ თემატურ წერილებზე. შევნიშნეთ ზევით: წიგნში „წერილები“ (2001 წ.) სულ 11 ასეთი წერილია დაბეჭდილი:

1. ქართული ენა ქართულ თეატრში, 1909 (გაზეთი „საქართველოს მოამბე“) (წ. 454-455);
2. ქართული ენა, 1924 (გაზეთი „ქართული სიტყვა“) (წ. 624-626);
3. ისევ ქართული ენა, 1924 („ქართული სიტყვა“) (წ. 626-628);
4. არც გამარტივება, არც გართულება, 1926 (გაზ. „კომუნისტი“) (წ. 634-635);
5. ქართული ენა, 1928 (ქვეყნდება პირველად) (წ. 668-718);
6. ქართულის დამახინჯებანი, 1928 (I პუბლიკაცია: თხზ. ტ. VI, 1980) (წ. 718-721);
7. ახალი სალიტერატურო ქართულისათვის, 1928-1929 („მნათობი“) (წ. 722-727);
8. დამახინჯებული ქართულის ნიმუშები, 1932 (ქვეყნდება პირველად) (წ. 735-741);
9. სალიტერატურო ქართულისათვის, 1934 („კომუნისტი“) (წ. 788-791);
10. სასარგებლო ლაშქრობა, 1935 („სალიტერატურო გაზეთი“) (წ. 803-806);
11. ისევ სალიტერატურო ქართულისათვის, 1935 („კომუნისტი“) (წ. 848-853).

როგორც ითქვა, გარდა ამისა, 40-ზე მეტ პუბლიკაციაში არის საუბარი ქართული ენის შესახებ...

ფაქტია: მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე ქართული ენა ერთ-ერთი მთავარი საფიქრალი

იყო, მთავარი საზრუნავი... ეს ასეა „წერილებში“... ქართული ენა არის ერთ-ერთი ძირითადი თემა „ჩანაწერებისა“... შეძლებისდაგვარად შევეცდებით ყოველივე ეს წარმოვანინოთ ჩვენი ნარკვევის შესაბამის ნაწილში...

ჯერ „წერილები“...

ქრონოლოგიურად შევეცდებით ვაჩვენოთ, როგორ განვითარდა დედაენაზე ფიქრი „მთავარ ნაშრომამდე“ („ახალი სალიტერატურო ქართულისათვის“) და ამ მთავარი ნაშრომის შემდგომ...

მიგვაჩნია, რომ ესაა ერთი მთლიანი, გრძელი ფიქრი დედაენაზე ფანატიკურად შეყვარებული მწერლისა... უწყვეტი ფიქრი ქართული ენის შესახებ...

ამ თავს ნაშრომისას სამ ნაწილად წარმოვადგენთ:

1. საგაზეთო წერილები 1909-1928 წლებისა;
2. „ახალი სალიტერატურო ქართულისათვის“;
3. საგაზეთო წერილები 1932-1935 წლებისა...

\* \* \*

ბ) საგაზეთო წერილები 1909-1928 წლებისა

1909 წელს გაზეთ „საქართველოს მოამბეში“ მ. ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა წერილი „ქართული ენა ქართულ თეატრში“. წერილის მიზანი პირველივე აბზაცშია გამჟღავნებული: „ქართულ თეატრში ნამდვილი ქართული ენისა და ქართული კილოს მაგივრათ ყოველნაირ კილოსა და გამოთქმას გაიგონებთ. ერთი ჩონჩატაურულათ უქცევს, მეორე შორაბნულათ, მესამე ქართლურათ (და არა ქართულად) და მეოთხე კიდევ რუსულათ. მაგრამ კილოს ვილა ჩივის, საანბანო გრამატიკული კანონებიც კი არა სწამთ და ყოველ ნაბიჯზე ისეთს შეუსაბამობას წამოიხვერიან ხოლმე, რომ ქართული ენის მო-

ყვარულს ორივე თითი მუდმივ მზათ უნდა ჰქონდეს ყურების დასაცობათ“ (წ. 454).

ეს ზოგადი შეფასებაა თეატრის ენისა; მწერალს ის აფიქრებს, რომ თეატრს დიდი გავლენა აქვს მაყურებელზე... სცენიდან წამოსული არასწორი ქართული გზას იოლად იკვლევს და იმკვიდრებს ადგილს საზოგადოებაში... ამის თაობაზე სხვაგანაც უსაუბრია...

კონკრეტულად წერილის დაწერის მიზეზი ერთი პიესაა (არ ასახელებს); ჩაუწერია მსახიობთა მიერ „გამოგონილ ახალ ქართულიდან“ მცირე ნაწილი და საკმაოდ ვრცელ ნუსხას ბეჭდავს შეცდომებისას, „სთქვეს“ – „უნდა ეთქვათ“... ეს იყო პირველი თემატური წერილი, ქართულ ენას რომ ეძღვნებოდა.

ნაშრომს „ახალი სალიტერატურო ქართულისათვის“ წინ უსწრებს მ. ჯავახიშვილის ორი მნიშვნელოვანი პუბლიკაცია: 1924 წელს გაზეთში „ქართული სიტყვა“ (№ 26, 11 მაისი) იბეჭდება წერილი „ქართული ენა“, რომელსაც მალევე მოჰყვა წერილი „ისევ ქართული ენის შესახებ“ (გაზეთი „ქართული სიტყვა“, № 28, 25 მაისი)...

ეს პუბლიკაციები ყურადღებას იქცევს თუნდაც იმიტომ, რომ მ. ჯავახიშვილის დაფიქრება ენობრივ პრობლემებზე მ. კახიანის მიერ ცკ-ის პლენუმზე წარმოთქმული სიტყვის გამო არ მომხდარა – ქართული ენა მწერლისათვის ყოველთვის იყო ფიქრისა და ზრუნვის საგანი. გვახსოვს, წერდა ერთგან: „ალბათ მკითხველს ეცოდინება, რომ მე სუფთა ქართულის ფანატიკოსი ვარო“ (წ. 835) და ეს მისი პოზიცია ამ წერილებშიც ჩანს...

ცკ-ის პლენუმზე მ. კახიანის გამოსვლის „სიკეთე“ ისაა, რომ მ. ჯავახიშვილს შესაძლებლობა მიეცა, ვრცლად ემსჯელა დედაენის პრობლემებზე, პირუთვნელად გამოეთქვა თავისი

აზრი საჭირობოროტო საკითხებზე... დიას, პრობლემა აღრევე  
ჰქონდა დანახული და განგამის ზარი შემოკრული... თუნდაც  
ამ ორ პუბლიკაციაში...

წერილში „ქართული ენა“ მ. ჯავახიშვილი ყოველგვარი  
შესავლისა და მრავალსიტყვაობის გარეშე პრობლემაზე იწყებს  
საუბარს: „დღევანდელი ჩვენი მწერლობის კარგ დამკვირვე-  
ბელს შემჩნეული ექნება ის სიტყვათა სიცოტავე, რომელიც  
საშინელ დაღს ასვამს ყოველი მწერლის შემოქმედებას. ხოლო  
რაც უარესია, ეს პატარა საუნჯეც დაუდევრად იხმარება, რის  
მიზეზათაც ცოდნის ნაკლებობა მიგვაჩნია“ (წ. 629)...

აქ არ არის საუბარი ზოგად ცოდნაზე... მ. ჯავახიშვი-  
ლის სამიხნე კონკრეტულია: „ქართველმა მწერალმა არ იცის  
ქართული ენა“ (იქვე)! ამ უცოდინარობის მიზეზი, მწერლის  
აზრით, უფრო დაუდევრობაა, უგულისყურობა, უპასუხისმგებ-  
ლობა: „იგი (მწერალი — გ. გ.) იოლად მიდის იმ „ცოდნით“,  
რომელიც გამოაყოლა თავისმა პროვინციამ და მისი სტილიც  
იმ პროვინციით განისაზღვრება. არავინ არ დაგიდევთ, შეიძ-  
ლება თუ არა იმ „გრამატიკის“ ხმარება, რომელიც თავში  
აქვს ჩაჭედილი ამა თუ იმ კუთხის წარმომადგენელს. და ამის  
გამო გაირყვნა ენა, გაირყვნა ისე, რომ სულ ადვილად შეიძ-  
ლება ნაწერის მიხედვით გამოარკვიოთ ავტორის დაბადების  
ადგილი“ (წ. 625)...

„ქართულ ენას“ ერთგვარად საპროგრამო წერილის სახე  
აქვს... ძალიან მკაცრი ფერებით ხატავს შექმნილ მდგომარეო-  
ბას; ზოგჯერ გადაჭარბებულიც კი მოგეჩვენება თითქოს. მაგ-  
რამ ესეც ხერხია მწერლური — სათქმელის ჰიპერბოლიზაცია:  
„ეს ახასიათებს თანამედროვე მწერალთა დიდ უმრავლესობას.  
ყველა თავისი ჟარგონით სწერს და ამ ველურ ღრიანცელში  
იკარგება ის ენა, რომლითაც თამარ ბრძანებას სცემდა“... ჭეშ-  
მარიტი ქართული სალიტერატურო ენა სადღაა? — „მუზეუმში

დარჩა და ცოცხალ მოქალაქის ძოწით დადის მხატვრულ თვისებებს მოკლებული სიტყვა, რომელიც შეიძლება კარგი იყვეს ქვაყუდში, საჭამია-სერში ან მოხისში, მაგრამ ყოვლად მიუღებელია სრულიად საქართველოსათვის“ (წ. 625).

ეს თემა – პროვინციალიზმის მოჭარბება, კუთხური ფორმების განუკითხავი შემოტანა სამწერლობო ენაში, სერიოზული საფრთხის შემცველია... ეს თემა სხვა წერილებშიც იჩენს თავს (განსაკუთრებით მთავარ ნაშრომში)...

მ. ჯავახიშვილის პოზიცია მკაცრია... მის შემფოთებას ის იწვევს, რომ ილია ჭავჭავაძის თაობის მიერ მოპოვებული დიდი გამარჯვება ხელიდან გვეცლება: „ილია ჭავჭავაძე და ნიკო ნიკოლაძე, თუმანიშვილი და სერ. მესხი, აკაკი წერეთელი და ივ. მაჩაბელი და კიდევ ბევრნი, სწერდნენ საერთო სალიტერატურო ენით“ (წ. 625)... მათ შეძლეს მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის აღდგენა XIX საუკუნეში; აი, ამ ტრადიციისა: „აბა, გადაავლეთ თვალი ძველ მწერლობას და ნახავთ, რომ იყო ერთი სამწერლო ენა და იმ ენით სწერდნენ პატარა-იაც და ორბელიანიც, „იმერელიც“ და „ამერელიც“ (წ. 625)... „ამ ველურ ღრიანცელში“ რა მოხდა? – „რალაც ორმოცი წლის შემდეგ კი ისე გავერანდა ჩვენი მწერლობის მოედანი, რომ ყველა თავისი „სტილით“ მოდის და პოეზიის მაღალ ფირმის ქვეშ ასაღებს ყოვლად დაბალ ლექსიკონს“ (წ. 625).

მ. ჯავახიშვილი ამ წერილში იმ პრობლემას ეხება, რომელიც XIX ს-ის 80-იან წლებში აქტიურად განიხილებოდა ჩვენს ლიტერატურულ საზოგადოებაში – **სამწერლობო ენაში დიალექტური მეტყველების გამოყენების საკითხი**. მწერალმა იცის, რომ ერთმნიშვნელოვნად ამ საკითხის გადაწყვეტა არ იქნება მართებული; განსაკუთრებით ეს ეხება ლექსიკას: „ბევრი კარგი რამ მოიძებნება ჩვენს განაპირა ადგილებში, მაგრამ ეს შენაკადები უნდა ჰხვდებოდეს მთავარ მდინარესთან, რომელსაც სამწერლო ენა ჰქვია“... (წ. 625).

ცხადია, XX საუკუნის დასაწყისში ამ თემაზე საუბრისას მწერალი გვერდს ვერ აუვლიდა ვაჟა-ფშაველას: „იქნებ ვინმემ თავი იმართლოს ვაჟა-ფშაველას და ყაზბეგის მაგალითებით? ეს თავის მართლება არ გამოადგებათ, რადგან ვაჟაც და ყაზბეგიც მთის ენით ლაპარაკობენ, მთას ალაპარაკებენ და მთის გარეშეც არსად მიდიან. მათიას, ელგუჯას და გოგოლაურს რომ ლიტერატურული ენით ელაპარაკნათ, ეს დაუშვებელიც იქნებოდა და სიყალბეც, ისევე როგორც ნაძალადევი იქნებოდა დ. კლდიაშვილის გმირების სალიტერატურო ენა“ (წ. 625)...

ეს პრობლემა რომ ძალზე სერიოზულია და აქტუალური ქართული ლიტერატურისათვის, იცის მ. ჯავახიშვილმა, ამიტომ აზუსტებს, აკონკრეტებს, განმარტავს თავის პოზიციას; ფაქტობრივ თანამოკალმეებს შემეცნებით საუბარს უტარებს — ლაკონიურად, ისევ კლასიკოსთა მაგალითების მოშველიებით (ეს თემა არაერთგზის იჩენს თავს სხვაგანაც, მ. ჯავახიშვილის სხვა წერილებშიც); და ისიც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სტილური შესაბამისობის საკითხს სვამს: „პროვინციულ კილოს ხმარება თემის საკითხია. და თუ ეს უკანასკნელი საერთო არის, ენაც ასეთი უნდა ჰქონდეს. და კურიოზია, მაშ რა არის, როდესაც ჩვენი ინტელიგენტი მწერლები რადიუმზე და ეინშტეინზე სწერენ იმავე „სტილით“, რა სტილითაც იწერებოდნენ „იმერული სცენები“. განა ასეთივე კურიოზი არ იქნებოდა, რომ ბლოელ აფშინას და შიოლა ლულუშურის დიალექტით გვეწერნა „ესთეტიკური ტრაქტატები ან პოემები“, ასტრალურ ან „ურბანულ“ ქვეყანათა შესახებ? დიახ, იქნებოდა კურიოზი, ამას ადვილადაც შევამჩნევდით“, მაგრამ რომ უკვე განმტკიცებულია მეორე მხრივ, ამას ვერ ვამჩნევთ და განვაგრძობთ ჩვენი ლიტერატურის მონაგვიანებას. ეს მტკივნეული ადგილი ყველამ უნდა დაინახოს, რომ შეჰზარდეს საკუ-

თარი ნაწერი და ენის განწმენდისათვის მიმართოს თავისი ძალა და უნარი“ (წ. 525).

მიხეილ ჯავახიშვილი კონკრეტულ ამოცანას დასახავს და ასახელებს იმ ძალას, რომელმაც უნდა იტვირთოს ამ ამოცანის შესრულება: „აქ უდიდესი ამოცანაა ენის დაწმენდა და ამ საქმის პირველი მეთაური ქართველი მწერალი უნდა იყვეს. ხოლო ამ უკანასკნელს რომ შეეძლოს სხვათა მიხლება, ჯერ თვით უნდა განიკურნოს“ (წ. 626).

საჭირო და აუცილებელ პირობასაც ასახელებს მიხეილ ჯავახიშვილი: ამისათვის საჭიროა მწერალს სწამდეს „მწერლობა როგორც ღვაწლი და უდიდესი პასუხისმგებლობა ერის წინაშე“ (წ. 626).

როგორც ვხედავთ, ერთ პატარა საგაზეთო წერილში მან ძალიან მნიშვნელოვანი საკითხები წამოსწია წინა პლანზე...

ყოველივე ეს საკმაოდ თამამი განაცხადი იყო და, ალბათ, არცთუ უმტკივნეულოდ მოსასმენი მავანთათვის...

„ამ საქმის მეთაური ქართველი მწერალი უნდა იყვესო“ და სწორედ მან იტვირთა ეს მისია: დედაენისათვის ბრძოლის ველზე „მეწინავე დროშა“ მიხეილ ჯავახიშვილმა აიღო!

ამ წერილს რამდენიმე დღეში მ. ჯავახიშვილმა იმავე გაზეთში მეორე წერილი მოაყოლა: „ისევ ქართული ენის შესახებ“ („ქართული სიტყვა“, 1924, 25 მაისი). ეს წერილი, ფაქტობრივ, გაგრძელებაა წინა წერილისა. „საკუთარი თავის დამოწმებითა“: „ქართული სიტყვის“ ერთი წერილის ავტორისა არ იყოს – ნაწერზე ადვილად გამოიცნობთ დამწერის დაბადების კუთხეს“ (წ. 626) და თავიდანვე გვაფრთხილებს, „ქართული ენის ამღვრევისა და დამახინჯების შესახებ მოგახსენებთო“...

მთავარი გულისტკივილი მ. ჯავახიშვილისა ის არის, რომ ყველანი ვსაუბრობთ და საქმე არ კეთდებაო: „ყველას

ბავშვობიდანვე გვასსოვს ამ საგანზე ჩივილი და ზრუნვა, მაგრამ ჩვენი დასწრებული ქართული ენა ფეხზე წამოდგომის და დაწმენდის მაგიერ უარესად დაავადდა და ატალახდა“ (წ. 626).

უპასუხისმგებლობა დუპავს ქართულ ენას ოჯახში, ქუჩაში, დაწესებულებაში... „უცებ რომ ჩვენმა წინაპრებმა წამოიწიონ, და ყური დაუგდონ დღევანდელ ქართულს, ნებაყოფლობით უკანვე ჩაცვიფდებიან საფლავეებში“ (წ. 627). (ამავე წელს (1924) „უბის წიგნაკში“ ჩაუწერია: „თემა. ბნელ ღამეს მამადავითის სასაფლაოზე ავედი. ლანდი მომეჩვენა. ილია ჭავჭავაძე გაცოცხლებულიყო. წამომყვა. საქართველო დავატარე. ყველაფერი ნახა. ველარ გაუძლო — ვიღუპებითო — და ისევ საფლავეში ჩავიდა“ (ჩ. 43))...

და ისევ პათეტიკური შეძახილი: „ნუ თუ შეიძლება მოკვდეს ენა შოთასი, ილიასი, აკაკისა და ვაჟასი? დაუჯერებელია!“ (წ. 627). ამ წერილში მწერლის ძირითადი გულისტკივილი ის არის, რომ ქართულში ბარბარიზმები საშიშად მომრავლდა; განუკითხავად შემოდის, განსაკუთრებით, რუსული ლექსიკა და იჭერს ბუნებრივი ქართული სიტყვების ადგილს...

და, აი, მ. ჯავახიშვილის უფრო კონკრეტული (გამიზნული) ბრალდებაც და სამოქმედო გეზიც — როგორ ვუშველოთ დედაენას: „თევზი თავიდან აყროლდებაო. სწორედ ჩვენს ინტელიგენციასზეა ნათქვამი. იგი ჩემულობს ხალხის მეთაურობას და ხელმძღვანელობას. მაგრამ ამ შემთხვევაში მაინც, გასრწნა და გადაგვარებაშიც მასვე ეკუთვნის პირველობა და სხვებზე ადრე იმან უნდა დაიწყოს ზრუნვა საკუთარის თავის განკურნებაზე“ (წ. 627). „ქართულ სიტყვაში“ გამოქვეყნებულ ამ ორ წერილში, როგორც ვთქვით, ის საკითხებია დასმული, რომლებზეც ვრცელი საუბარი შემოგვთავაზა ავტორმა მთავარ ნაშრომში... თუმცა საკითხების წრე იზრდება, პრობლემათა დასმის სიმწვავე მატულობს...

1926 წელს გაზეთ „კომუნისტში“ (№ 68) იბეჭდება სახელგამის სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარის მამია ორახელაშვილის წერილი „გამარტივება თუ გართულება“. საკითხი ქართულ ალფაბეტს ეხებოდა. კრიტიკის საგანი მ. ჯავახიშვილის მიერ დ და ჭ ასოების გამოყენებაც იყო. საგაზეთო წერილის ავტორი მიიჩნევდა, რომ გაუმართლებელი იყო ქართულ ალფაბეტში „ამ უზარმაზარი წისქვილის ქვების“ ხელახლა შემოგორება... მ. ორახელაშვილი არ ფიქრობს, რომ თემა სადისკუსიოა: „ვინც პასუხისმგებლობას გრძნობს ქართველი ნამდვილი მკითხველის წინაშე, სადისკუსიოდ არ გამოაცხადებს ამ საკითხს“. მიუხედავად ამგვარი „დანამუსები-სა“, მ. ჯავახიშვილი განმარტავს: „ვარწმუნებ ავტორს, რომ მე უულრმეს პასუხისმგებლობას ვგრძნობ მკითხველის წინაშე და ვგრძნობდი მაშინაც, როცა ზემოხსენებულ ორ ასოს ეხმარობდი, მიუხედავად ამისა, ან სწორედ ამიტომ, მე და ზოგ სხვასაც ოღონდაც სადისკუსიოდ მიგვაჩნია განსაღებნად განწირულ ასოების ბედი“ (წ. 634). (მ. ჯავახიშვილის წერილი „არც გამარტივება, არც გართულება“ გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტის“ 1926 წელის 109-ე ნომერში).

მ. ჯავახიშვილის – „ქართული ენის ფანატიკოსი“ მწერლის – ქართული გააკრიტიკეს, ქართულ ენაში განსწავლულობა დაუწუნეს; თანაც უთხრეს, ეს არაა სადისკუსიო თემა და შენიშვნა მიიღეო (მ. ორახელაშვილი იმდროინდელი ცნობილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე იყო!)...

თავის სადისკუსიო (საპასუხო) წერილში მ. ჯავახიშვილი საქმის ღრმა ცოდნით განმარტავს, „რად ხმარობს ზემოხსენებულ ასოებს“:

„ქვეყანაზედ არავის არ აქვს ქართულისთანა სრულყოფილი ალფაბეტი. ჩვენისთანა ფონეტიკური ტრანსკრიპცია მიუღწეველია სხვა ერებისათვის, ქართულათ ისე იწერება, რო-

გორც გამოითქმის, და გამოითქმის ისე, როგორც იწერება. ეს არის უმთავრესი თვისება და მშვენება ალფაბეტისა“ (წ. 634). ამ ამონარიდში კარგად ჩანს ქართული ალფაბეტისა და ენის ბუნების ღრმა ცოდნაც და უდიდესი სიყვარულიც...

და მ. ჯავახიშვილი ამ პრინციპებიდან ამოსვლით (როგორც გამოითქმის, ისე იწერება და პირიქით) განმარტავს, რატომ გახდა საჭირო **ღ** და **ჭ** ასოების ხმარება... ამ მსჯელობაში ფასეულია ის დაკვირვება, რომ არც ქართულშია „**აბსოლუტური თანხვედრა**“ წერასა და წარმოთქმას შორის და ამ ასოთა შემოტანა ამ ხარვეზის გამოსწორების მცდელობაა:

„აი, ასეთ არევ-დარევის ასაცდენად და ფონეტიკურ ტრანსკრიპციის დაცვისათვის ვხმარობ ზემოხსენებულ ასოებს. ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ მათი განდევნა არ გაამარტივებს ისედაც უკიდურესობამდე გამარტივებულ ჩვენს ალფაბეტს. უკუღმართ შედეგსაც მოგვცემს – გაართულებს და ფუძეს გამოურღვევს“ (წ. 635).

მსჯელობა ლოგიკურია და საქმიანი, თუმცა, როგორც „უღრმესი პასუხისმგებლობის“ მქონე პირი, ფრთხილობს – „**უმჯობესი იქნება, თუ ეს საკითხი, მეტად რთული და ფაქიზი, გაირჩევა ავტორიტეტულ დაწესებულებაში**“, – დაასკვნის მ. ჯავახიშვილი (წ. 635)... როგორც ჩანს, ეს პუბლიკაცია მ. ორახელაშვილთანაც შეუთანხმებიათ...

ამ ამბავში, ჩვენი აზრით, მთავარი ის კი არ არის, თუ როგორ ასაბუთებს თავის თვალსაზრისს, არსებითია მ. ჯავახიშვილის დამოკიდებულება ქართული ენისადმი – იგი ფრონტის წინა ხაზზეა და ცდილობს თავისი კომპეტენტური სიტყვა შეაწიოს დედაენას...

\* \* \*

ჩვენ საუბარი დავიწყეთ მ. ჯავახიშვილის მთავარ პუბლიცისტურ ნაშრომზე „ახალი სალიტერატურო ქართულისა-

თვის“... მიმოხილული ოთხი წერილი („ქართული ენა ქართულ თეატრში“, „ქართული ენა“, „ისევ ქართული ენა“ და „არც გამარტივება და არც გართულება“) დასტურია იმისა, რომ მწერლისათვის დედაენა უწყვეტი ფიქრისა და ზრუნვის საგანი იყო (თუმცა როგორც ითქვა, არაერთ სხვა, ასე ვთქვათ, „არათემატურ“ წერილში ეხება ქართულის თემას...) და მოვედით მთავარ ნაშრომამდე, თუმცა სანამ მასზე დავიწყებთ საუბარს, წიგნში „წერილები“ გამოქვეყნებულ ორ წერილს მივაქცევთ ყურადღებას: „ქართულის დამახინჯებანი“ (წ. 718-721) და „ქართული ენა“ (წ. 722-726). ორივე ეს წერილი 1928 წლით თარიღდება (ჩვენგან მთავარ ნაშრომად წოდებული „ახალი სალიტერატურო ქართულისათვის“ ასევე ქვეყნდება 1928-1929 წლების მიჯნაზე). მწერალს ეს ორი წერილი არ გამოუქვეყნებია; ფაქტობრივ გამოუყენებია მასალად „მთავარ ნაშრომში“, კერძოდ მის მე-ნ ნაწილში – „დღევანდელი ქართული“; პასაჟებიც კი მეორდება: „ინტელიგენციის საკმაოდ დიდი ნაწილი თითქო დამუნჯდა: ენას უკიდებს, ბორძიკობს, წამებით ეძებს სიტყვას, ძლივს პოულობს, უმაღვე ჰკარგავს, და ისევ ეძებს, მუდამ ეძებს“ (წ. 701; შდრ. წ. 722).

ან: „ამღვრეული და ბნელი მეტყველება ამღვრეულივე აზროვნების ნიშანია. აზრი სიტყვას ეძებს და, რომ ვერ პოულობს, უძალოდ ფართხალებს და მახინჯდება“ (წ. 701; შდრ.: წ. 722).

ან: „დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: ამათ არც თავიანთი ენა იციან, არც სხვისი, ან სხვისი საკუთარზე უკეთ იციან: ქართულის უმეცარნი ქართულსაც აწვალებენ, თვითონაც წვალობენ და მკითხველსაც აწვალებენ“ (წ. 701; შდრ. წ. 722) და სხვა...

ასე რომ, „ქართული ენა“ (1928 წ.) უნდა განვიხილოთ, როგორც მასალა „მთავარი ნაშრომისათვის“; ამიტომაც არ უცდია მისი დაბეჭდვა ავტორს...

მეორე ხელნაწერი „ქართულის დამახინჯებანი“ რეალურად იწყება იმითვე, რითაც „მთავარი ნაშრომი“ — ცკ-ს პლენუმზე მ. კახიანის გამოსვლით და ამ გამოსვლის მნიშვნელობით... (იხ. წ. 668; შდრ.: წ. 718 და სხვ.)...

ფაქტობრივ ამ წერილში არის საუბარი იმის შესახებ, რომ მწერალთა ფედერაციის ყრილობაზე ცაკისა და მთავარი სატერმინოლოგიო კომიტეტის თავმჯდომარე ფილიპე მაზარაძემ, „ამავე საკითხს დიდი ყურადღება მიაქცია და დამახინჯებული ქართულის მრავალი მაგალითი დაასახელა“ (წ. 718).

მ. ჯავახიშვილი კომუნისტური ხელისუფლების მიერ ქართული ენისადმი გამოჩენილი მზრუნველობის შედეგებზეც საუბრობს: „ამანაც შესაფერი ნაყოფი გამოიღო: ამ საგანზე უკვე რამდენიმე წერილი დაიბეჭდა, ავტორებმა დაუკლეს დაუდევრობას და რედაქტორ-გამომცემლებმაც მოუხშირეს ყურადღებას, მაგრამ მთავარ სატერმინოლოგიო კომიტეტს არც ეს მიაჩნია საკმარისად. მას დაუდევრობისა და უთაურობის უამრავი მაგალითი მოეპოვება, რომელიც თვითკრიტიკის უფლებით და მოვალეობით დაუნდობლად უნდა გამოამჟღავნდეს“ (წ. 718).

და აქ მ. ჯავახიშვილი აცხადებს მთავარ სატერმინოლოგიო კომიტეტის გადაწყვეტილებას: „დროგამოშვებით ქართული ენის უდავო დამახინჯების მაგალითებს პრესაში გამოაქვეყნებს და პასუხისმგებლობას მკითხველის წინაშე ავტორებს, რედაქტორებს და გამომცემლებს აკისრებს“ (წ. 718).

ეს წერილი („ქართულის დამახინჯებანი“) წარმოადგენს, როგორც ჩანს, „ასეთი მაგალითების პირველ სერიას“, რომელშიც საკმაოდ მრავალი ნიმუშია მოყვანილი არასწორი

ქართულისა ძირითადად გაზეთ „კომუნისტიდან“, ცნობილი ავტორების წერილებიდან...

ალბათ ესეც იყო მიზეზი, რომ წერილი არ (თუ ვერ) დაიბეჭდა იმუამად, მაგრამ ძირითადი სათქმელი მაინც ითქვა „მთავარ ნაშრომში“ – „ახალი სალიტერატურო ქართულისათვის“ –

\* \* \*

გ) „ახალი სალიტერატურო ქართულისათვის“

### 1. ძველი და ახალი

„ნაშრომის“ პირველ ნაწილს ასე ჰქვია – „ძველი და ახალი“. ამ ნაწილის ბოლოს მ. ჯავახიშვილი სქოლიოში შენიშნავს: „ეს საკითხი – ძველისა და ახლის ბრძოლა დაწვრილებით აქვს განხილული ს. გორგაძეს (იხ. „მნათობი“, 1926)“, (წ. 675). სერგი გორგაძე XX ს-ის დასაწყისის საინტერესო ავტორია; ანგარიშგასაწევი იყო მისი შეხედულებები ქართული მართლწერის საკითხებზე, ქართული ენის პერიოდიზაციისა თუ ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით (თუნდაც ამ საკითხისადმი მიძღვნილი ლიტერატურის ისტორიულ-კრიტიკული მიმოხილვა); ასევე გამოკვლევა ქართული სინტაქსის საკითხებზე და სხვა (ენციკლოპედია „ქართული ენა“, 2008)...

მიუხედავად იმისა, რომ 1926 წლისათვის არსებობს სხვა საენათმეცნიერო ნაშრომებიც ამ თემაზე, როგორც ჩანს, მიხეილ ჯავახიშვილის „ნდობას“ ს. გორგაძე იმსახურებს და მისი შრომების მიხედვით ააგებს მსჯელობას ახალი სალიტერატურო ქართული ენის ჩამოყალიბება-დამკვიდრების თაობაზე – ძველისა და ახლის ბრძოლის ისტორიის შესახებ.

მ. ჯავახიშვილის ეს ნაშრომი არის ფაქტობრივ „ახალი სალიტერატურო ქართულის დაბადების ისტორია“, მოთხრობილი კლასიკოსი მწერლის მიერ — მისთვის ჩვეული აქცენტებითა და შეფასებებით. ამ „ისტორიაში“ ბევრი რამ არის საგულისხმოდ საზგასმული, კომენტირებული... საყურადღებოა ისიც, მწერალი როგორ ინტერპრეტაციას აძლევს ცნობილ ფაქტებსა და მოვლენებს. ჩვენც საკმაოდ ვრცლად მოგვიწევს ამ ნაწილზე საუბარი — ამ კუთხით დანახვა მწერლისა.

მ. ჯავახიშვილი იზიარებს აზრს სამწერლობო ქართულის სამ პერიოდად დაყოფის შესახებ — ძველის, საშუალისა და ახლის (ადრეულ ეტაპზე ს. გორგაძე საშუალ პერიოდს არ აღიარებდა; 1925-26 წლიდან უკვე სამი პერიოდის არსებობაზე საუბრობს... როგორც ჩანს, ეს აკაკი შანიძის გავლენაა: ცნობილი ფაქტია, ს. გორგაძე დიდად აფასებდა აკაკი შანიძეს...)...

კარგი პროზაული ნაწარმოებებით იკითხება მ. ჯავახიშვილის მიერ მოთხრობილი ისტორია ახალი ქართული სალიტერატურო ენისა: „მიჯნა საშუალოსა და ახალს გ. ერისთავის „გაყრამ“ ჩაუგდო. ეს გარდატეხა დიდი ხანია მზადდებოდა. საბა სულხან ორბელიანი, დავით გურამიშვილი, სახელმწიფო აქტები, სიგელები და საერთოდ ზეპირსიტყვიანობა ბევრთად ამზადდებდნენ სალიტერატურო და სახალხო ქართულის შეხვედრას. მაგრამ ანტონ კათალიკოზი შავი ლანდივით ჩადგა შუაში და შეერთება დააგვიანა. მისი მშრალი, განყენებული და ორჩოზე შემდგარი ქართულის სუსხი ალ. ჭავჭავაძეს, ნიკო ბარათაშვილს და გ. ორბელიანსაც კი ახმობს, და თვითონ ქართულის გადამტეხიც, გ. ერისთავიც, ახალგაზრდობაში ამავე „მაღალი შტილით“ წერდა“ (წ. 668).

მ. ჯავახიშვილის ეს ნაშრომი მაშინ იბეჭდება, როცა ჯერ კიდევ არ არის გამოქვეყნებული ენათმეცნიერების კლასიკოსთა — აკაკი შანიძისა და არნოლდ ჩიქობავას — აზრები

ანტონ კათალიკოსის შესახებ, ამიტომ უფრო ღირებულია მ. ჯავახიშვილის აზრი: „ვისრამიანის“ აკადემიური ქართული ანტონის ყალბმა კლასიკურმა დაახრჩო. მაგრამ ერისთავმა დატყვევებულ ენას საბურველი ახადა და სახალხო და სალიტერატურო მჭიდროდ შეადუღა“ (წ. 668)...

და 1850 წელს გამოდის გ. ერისთავის წიგნაკი „გაყრა“, რომელიც მ. ჯავახიშვილს მიაჩნია სამიჯნო ბოძად. „რომელსაც ერთ მხარეზე აწერია „ძველი“, ხოლო მეორეზე – „ახალი“ (წ. 669)...

მ. ჯავახიშვილის ღრმა რწმენით, „გაყრა“ არის მიჯნა სალიტერატურო ენის ორი პერიოდისა, საშუალისა და ახლის.

აი, აქ ავითარებს მ. ჯავახიშვილი ორიგინალურ აზრს: „ენის რევოლუციას კომედია იწყებს, რადგან სწორედ აქ იყო ციხის საიდუმლო კარი“ (წ. 669).

ეს მოხდა მაშინ, როცა „პირველ დრამატურგს უმაღლ მეორე მიეშველა – ზურაბ ანტონოვი“...

ერთსაც შევნიშნავთ, სად არის მ. ჯავახიშვილი ორიგინალური და სად ახდენს არსებული თვალსაზრისის თავისებურ ინტერპრეტაციას, ძნელი სათქმელია, ამიტომ ვამბობთ, რომ ესაა მისეული ფიქრები, ჯავახიშვილისეული ხედვა და მისგან მოთხრობილი დედაენის ისტორია...

მაშ ასე: რატომ იწყებს ენის რევოლუციას კომედია? „სცენაზე თავმოყრილ სოფლელებს – თავად-აზნაურებს, გლეხებს და ჩარჩებს აღარ შეეძლოთ „მაღალი შტილით“ საუბარი. უკვე მომწიფდა გულწრფელობისა და მარტივობის აღლო, რომელმაც დიალოგში გამოხეთქა“ (წ. 669).

ძალიან საინტერესო ახსნაა მოვლენათა განვითარებისა. მ. ჯავახიშვილი კიდევ უფრო ღრმად ცდილობს გაიაზროს პროცესი: „რა თქმა უნდა, ადვილი იყო მდაბიური, სასაუბრო ქართულის ანუ „დაკუწვილი ლაპარაკის“ გადმოტანა სცენაზე. გაცილებით უფრო ძნელია სალიტერატურო სათხრობელი

ენის შექმნა... მაგრამ მდიდარმა და მოქნილმა ქართულმა ეს სანგარიც ადვილად გადალახა“ (წ. 669). ეს არის გამოცდილი პროზაიკოსისეული შეფასება ვითარებისა.

და ისევ ჯავახიშვილის თვალით დანახული „ბრძოლის ველი“: გ. ერისთავი, ალ. ორბელიანი, დ. ყიფიანი, დ. ბაქრაძე, დ. ჭონქაძე და სხვები...

„ახალი ქართული უდროშო და უბელადო ლაშქარს ჰგავს“... ვეღარ სარდლობენ „უძლეველი და თილისმური სარდლები — შავთელი, ხონელი, თმოგველი, რუსთველი, ჩახრუხაძე და... საბა სულხან ორბელიანიც კი“...

და ისევ კლასიკური ანალიზი და დასკვნა მწერლისა: „უბელადო ჯარი იშვიათად იმარჯვებს, ან გამარჯვება იგვიანებს. მაგრამ ისტორია ზოგჯერ დროზე მიაშველებს ხოლმე მედროშეს“... ვერ უშველისო გრამატიკოსი (ამ შემთხვევაში ანტონს გულისხმობს ავტორი...), შემომქმედიო საჭირო: „მარტო გრამატიკოსს ჯერ არსად შეუქმნია ენა. საჭიროა დიდი შემომქმედიც, ან თავდაპირველად შემომქმედი, რომელიც სანიშნოდ დროშას ჰქსოვს ეპოქისათვის. და მებრძოლ ლაშქარსაც, ბედმა თუ განგებად, უცებ მოუვლინა მედროშე“...

მივხვდით, რა თქმა უნდა:

„ილია ჭავჭავაძეს ერგო ამ ლაშქრის წინამძღოლობა“ (წ. 670).

და დაიწყო ილია ჭავჭავაძის ეპოქა ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში...

„ძნელი იყო პირველი ნაბიჯი, უარესი იყო მომავალი, რადგან მომაკვდავის ყაყანს დიდი გამძლეობა სჭირდებოდა და ჭავჭავაძეც საგურამოელ კამეჩივით გამძლე გამოდგა. შერისხვა, წუმპე, კადნიერება და თავხედური უმეცრება — ყოველივე მიაყარეს გაბედულ ნოვატორს“ (წ. 670).

ენის ფრონტი ცალკე არ არის ილია ჭავჭავაძისთვის; მ. ჯავახიშვილი ხედავს, რომ „ენის ევოლუცია მცირე და

ლოლიკური ანარეკლია ჭავჭავაძის მთლიანი, ევოლუციონური აზროვნებისა“... (წ. 671).

მ. ჯავახიშვილი იმ დიდ რაზმზე საუბრობს, ილიას ლაშქარში რომ აღმოჩნდნენ; სამწუხაროდ, ჩამონათვალში იაკობ გოგებაშვილი ვერ მოხვდა... რამდენადაც მოულოდნელი იყო ჩვენთვის, მიხილ ჯავახიშვილი ახალი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების ისტორიაში იაკობის როლს ვერ ხედავს... თუმცა ბევრად უფრო უმნიშვნელო ფიგურებსაც არ უკარგავს ღვაწლს...

ესეც ჯავახიშვილისეული მახვილი თვალთ დანახული ვითარებაა: ილიას ლაშქარზე საუბრობს – „ზოგნი მაშინ გამოვიდნენ, როცა ბრძოლა უკვე გათავებული იყო, ან თავდებოდა. შემდეგში ეს რაზმიც ორად დაიშლება და ერთმანეთს შეუტევს იმერ-ამერულ კილოკავებისათვის; თავდაპირველად კი ერთად ებრძვიან წარმატალს, რომელიც კბილებით და ფრჩხილებით ეჭიდება საფლავის ნაპირს... მაგრამ ძველი უკვე განწირულია და თვითონვე მისდევს საკუთარ კუბოს“ (წ. 671).

და მერე ძალიან საინტერესოდ მოთხრობილი „მამათა“ და „შვილთა“ პოეტური პაექრობის ისტორია:

„თითქმის მოთვინიერებულმა გრიგოლ ორბელიანმა, რომელსაც ერთი ფეხი ახალში ედგა, მეორე კი ძველში, ერთხელ კიდევ წამოიწია და მომაკვდავ ლომივით დაიბუხუნა: ... და აფორიაქებულმა, მრისხანე მოხუცმა პირში მიახალა ხელთათმანი ახალ თაობას:...

... „უმაღური“ შვილი ჭავჭავაძე განრისხებულ მამის იერიშს მკაცრად იგერიებს...“ (წ. 671-674)...

და ზუსტი შეფასება „საბრძოლო“ პერიპეტეიებისა: „ასეთი ცხარე კილო, რა თქმა უნდა, მარტო ენის გამო ატეხილი ბრძოლით არ აიხსნება. ბრძოლის მთავარი მიზეზი სხვაგან იყო: მიმავლები იბრძოდნენ საერთოდ არსებულის შენარჩუნებისათვის. მომავლები კი მისი დაპყრობა-გარდაქმნისათვის, და,

რასაკვირველია, ახალ პოლიტიკურ, სოციალურ და ეროვნულ იდეებთან ერთად თან მოჰქონდათ ახალი მეტყველებაც – ახალი ფორმა, რითში, ლექსიკა და სიტყვის წყობაც“ (წ. 674)...

მ. ჯავახიშვილი საინტერესო გრამატიკულ ექსკურსსაც გვთავაზობს: „მოსუცი პოეტი დაუახლოვდა ახალ ქართულს, მაგრამ ამავე დროს შეუპოვრად იცავდა ჭავჭავაძისაგან განდევნილ მკვდარ ასოებს და ორმაგ პრეფიქსებს: ვჰსწერ, ჰსწერ, ჰსწერს, დაჰსწერს და მისთანებს. ის ვერც კი ამჩნევს, რომ ამ ფორმებში უკვე მოიპოვება ჰ-ეს ბგერინაცვალი ს-ანი (სწერს, დასწერს) და მაშასადამე ჰ-ეს ხმარება ლაჰსუსი იყო“ (წ. 675)... სხვაც არის ამგვარი ექსკურსები...

მ. ჯავახიშვილის აზრით, „ორბელიანი და მისი მიმდევრები, ერთი ხელით მაინც მკვდარს ებლაუჭებიან, მაგრამ ამ ფრონტზე ბრძოლა უკვე გათავებულა...“ და იხსნება ახალი ფრონტი: „სამაგიეროდ კუთხურის გარშემო იწყება ახალი დავა“... გ. ორბელიანი აქაც ცდილობს ჩაერიოს, მოსწონს ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი“. და „საზიზღარს და მახინჯს“ უწოდებს ვიორგი წერეთლის „მგზავრის წერილებს“... ამ მსჯელობის დასასრულს მ. ჯავახიშვილი ს. გორგაძის დასკვნას მოიშველიებს: „ამგვარად ფაქტიურად გრ. ორბელიანმა აღიარა თავისი დამარცხება. ეს იყო მეორე და საბოლოო გამარჯვება იმ პრინციპებისა, რომელსაც ენის საქმეში ილია ჭავჭავაძე მისდევდა... გრ. ორბელიანის დამარცხება იმავე დროს ამ ენის, ე. ი. ახალი სალიტერატურო ენის, გამარჯვებაც იყო“...

დასკვნა მიხეილ ჯავახიშვილისა: „დახასიათება მკვეთრია, დამატება და განმარტება საჭირო აღარ არის“ (წ. 675).

მოკლედ, ასე მოგვითხრო ახალი სალიტერატურო ქართული ენის ჩამოყალიბება-დამკვიდრების ისტორია მიხეილ ჯავახიშვილმა...

და კიდევ ერთი – მწერლისეული მხატვრული შეფასება „ენობრივი რევოლუციის“ დასრულებისა: „ერთი წლის შემდეგ (1875 წ.) „ცისკარი“ დაიკეტა. ეს ფაქტი და თარიღი მოძველებული ქართულის გარდაცვალების და ახლის სრული გამარჯვების მიჯნად უნდა ჩაითვალოს. ცხედარი უკვე გასვენებულია. ახალი უკვე ბატონობს, დღევანდლამდე ბატონობს. დავა მაინც გათავებული არ არის, და არც ოდესმე გათავდება. მაგრამ ძველის დასაფლავების შემდეგ ეს დავა სხვანაირ კალაპოტში გადადის“ (წ. 675).

## 2. კუთხური

მ. ჯავახიშვილის ნაშრომის „ახალი სალიტერატურო ქართულისათვის“ მეორე ნაწილს ჰქვია „კუთხური“. ეს არის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი ამ ნაშრომისაც და, საერთოდ, აქ დასმული საკითხები მწერლის მთავარი საფიქრალია ენობრივი პრობლემების სფეროში.

საინტერესოა ტერმინოლოგიის საკითხი; სინონიმური ტერმინებია: **კუთხური**, **ხალხური**, **პროვინციული** (აკაკი წერეთელთან „მდაბიურიც“ გვხვდება; გამოიყენება „ტიტიურიც“ – უფრო დამცრობილი შინაარსით). „**ჟარგონიც**“ მ. ჯავახიშვილის ამ ნაშრომში დიალექტურის გაგებით იხმარება: „ქართული ენა იმერული ჟარგონით ირღვევაო – აი ორბელიანის ბრალდების დედააზრი“ (წ. 674). შეგვხვდება **კილო**, **კილოკავიც**... ზოგადად ყველა მათგანი სალიტერატურო ენას უპირისპირდება, თუმცა არსებობს ნიუანსობრივი განსხვავებაც: „**კუთხური**“ (და ალბათ „პროვინციულიც“) დღეს გავრცელებული ტერმინის „**დიალექტური**“ – ტოლფასია; „**მდაბიური**“ და „**ტიტიური**“ უფრო ანტონის „**სამი სტილის**“ თეორიის გავლენით შექმნილი ტერმინებია; მ. ჯავახიშვილთან არ გვხვდება... რაც შეეხება „**ხალხურს**“, იგი კუთხურზე, დიალექტურზე „**მეტი**“ ჩანს – „საერთო-სახალხოს“ უტოლდება, სალიტერატურო

ენის საფუძვლად რომ მოიაზრება. ერთგან წერს მ. ჯავახიშვილი: „თვითონ სიტყვაში „კილოკავი“, „პროვინციალური“ ზოგჯერ რაღაც აბუჩური და ათვალწუნებული მოისმის. ზოგი ამ სიტყვას თუ მცნებას ამაყურად უპირისპირებს სუფთა სალიტერატუროს, დედაქალაქურს“ (წ. 685).

ზოგადი თვალსაზრისით აქ ის არის ღირსსაცოდნელი, რომ ტერმინად სიტყვის შერჩევას ამ სიტყვის სემანტიკური ნიუანსები უნდა გავითვალისწინოთ, რომ ტერმინის ასეთი გაგება არ მოხდეს („აბუჩური და ათვალისწუნებული“)...

„ხალხური“ იგივე „ხალხის ენაა“. ნაშრომის პირველ ნაწილში მ. ჯავახიშვილი გრიგოლ ორბელიანს დაიმოწმებს: „ხშირად ამბობენ აწინდელი მწერალნი: ხალხის ენაზე სწერთო. მაშ, რა ენაზე უნდა დაჰსწერო? მაგრამ ეს კი უნდა ახსოვდეთ, რომ ხალხის ენა არის მხოლოდ მასალა შეუძუშავებული, ვიდრე დაკვლოვებული მწერალი მასალასა მას არ გადაარჩევს კარგსა უვარგისისაგან, არ დაჰსწმენდს, არ გაამშუშნიერებს და დიდებულებითა არ აღიყუანს სალიტერატურო საფლობელოში, მერმე იმ გალამაზებულსა ენასა გამშუშნიერებულის ფორმითა გადმოჰსცემს მოსახმარებლად ისევ იმავე ხალხსა, რომელიცა არის პატრონი ენისა და რომელიცა შეითვისებს იმას, ვითარცა საკუთრებასა“ (წ. 674).

მ. ჯავახიშვილს ეს მოჰყავს გ. ორბელიანის „ჯანსაღი აზრის“ ნიმუშად.

და კიდევ: „თვით „ვეფხისტყაოსანი“ რა არის, თუ არა იგივე სიტყვა ქართველის გლეხისა, მხოლოდ ლამაზად გაწყობილი და გამოთქმული“...

როცა ამ თემაზე საუბრობს მ. ჯავახიშვილი, გულისხმობს გრიგოლ ორბელიანის დამოკიდებულებას ანტონისეულ ენობრივ ტრადიციასთან და დაასკვნის, რომ „ამ ფრონტზე ბრძოლა უკვე გათავებულია. სამაგიეროდ კუთხურის გარშემო იწყება ახალი დავა“ (წ. 675)...

როგორც ვთქვით, „ნაშრომის“ მეორე ნაწილს ლაკონიური სათაური შეურჩია ავტორმა — „კუთხური“. მწერალი ცდილობს, მკითხველს უპირველესად გაუცნობიეროს არსი „კუთხურობისა“ — რას ნიშნავს კუთხურობა, რა იწვევს კილოკავურ დანაწევრებას ენისას და როგორია მიმართება კილოკავებისა სამწერლობო ენასთან... უნდა ითქვას, რომ ამ კითხვების გააზრებისათვის ეს მწერლის უდავოდ წარმატებული მცდელობაა, რომელიც დღესაც არ კარგავს მნიშვნელობას.

მ. ჯავახიშვილი საუბარს იწყებს იმ კანონზომიერებებზე, რომელთა წყალობითაც ვითარდება ენა და მისი კილოები. მოვიყვანთ ვრცელ ამონარიდს: „ენის განვითარება, ცვლილება, გაერთიანება კილოებისა ერთ ენად, ან მისი დაქსასვა კილოებად, მჭიდროდ არის გადაბმული გეოგრაფიულს, სოციალურსა და ისტორიულ პირობებთან. გარდა ამისა, არსებობს კიდევ ერთი ფაქტორი — რასსიული, რომელსაც საფუძვლად უდევს ამა თუ იმ ჯგუფის ფიზიკურ-ფსიქიური მთლიანობა. რადგან ენა საშუალებაა ადამიანთა შორის ურთიერთობის დამყარებისა, ამიტომ იგი დამოკიდებულია ამ ურთიერთობაზე და რამდენადაც მჭიდროა ეს ურთიერთობა, იმდენად უფრო ძლიერია სხვაობა კილოკავთა შორის. ამ გზით და ამ კანონით ვითარდება ქართული ენაც და მისი კილოებიც“ (წ. 676).

მწერალი ჩამოთვლილთაგან საგანგებო ყურადღებას მიაქცევს ისტორიულ და გეოგრაფიულ ფაქტორებს; რეალობა ასეთია: „წარსულში ჩვენს პოლიტიკურ-ეკონომიკურ გაერთიანებასა და შემჭიდროვებას კულტურული გაერთიანება და ენის შედარებითი მთლიანობა მოსდევდა“ (წ. 676) და ამის მაგალითად XI-XIII საუკუნეებია მოყვანილი და შემდგომ — ამ შემჭიდროვებისა და მთლიანობის მოშლასა და დაქსასვას ენის დაქსასვა მოჰყვა... ეს ისტორიული ფაქტორის შესახებ... ქართული ენის მთლიანობისა და მისი კილოკავური დაყოფისათვის პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება გეოგრაფიულ ფაქ-

ტორს: „გეოგრაფიული ფაქტორის მნიშვნელობა დღესაც მკაფიოდ მოსჩანს ხევსურეთში, რომელიც ცხრა თვის განმავლობაში სრულებით მოწყვეტილია ცენტრს, და როცა მოწყვეტილი არ არის, მისვლა-მოსვლა იმდენად სუსტია, რომ ხევსური დღესაც ინახავს და კიდევ დიდხანს შეინახავს თავის კილოკავს. გზებიც რომ იქნეს გაყვანილი, ტოპოგრაფიული ფაქტორი რამდენადმე მაინც უძლეველი დარჩება. რუსი გლეხი, მოსკოვს ასიოდე კილომეტრით დაშორებული, მაინც მოსკოვურ კილოზე ლაპარაკობს; შატილელი ხევსური კი, მუდამ შეინარჩუნებს თუნდაც ოდნავ, საკუთარი კუთხის იერს, ასეთია მანძილის, ტრამალებისა და მთების ძალა და ბუნება“ (წ. 676).

მიხეილ ჯავახიშვილის დაკვირვებით, ქართულ ლიტერატურულ ასპარეზზე, სანამ იყო დაპირისპირება ძველსა და ახალს შორის, სანამ ძველი თაობა დამარცხდებოდა, „კუთხური კილოკავები ახლის გარშემო იყრიდნენ თავს“ (წ. 676) და ეს არ იყო დაპირისპირების საგანი. და როცა ახალმა თაობამ გაიმარჯვა, დაამარცხა „ძველი ქართული“ – „საერთო მტერი“ – „მებრძოლნი კუთხურის მიხედვით დალაგდნენ და ბრძოლა განაგრძეს – გაცილებით უფრო დინჯი და შენელებული. სანუგეშო ამბავია: საერთო სჭარბობს კუთხურს, ზოგადი – ნაწილს, სალიტერატურო ქართული – კილოკავს: იმერულსაც და ამერულსაც“ (წ. 676).

ამგვარად, მ. ჯავახიშვილის აზრით, XIX საუკუნის II ნახევრიდან მოყოლებული ქართული სალიტერატურო ენის ასპარეზი მუდმივი ბრძოლის ველია; ბრძოლის მიზანი სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვაა: ადრეულ ეტაპზე ეს იყო ბრძოლა ძველსა და ახალს შორის; ძველის დამარცხების შემდგომ ახლებში საბრძოლო დაპირისპირების საგანი კუთხურობაა...

ამ მოვლენის ახსნას ასე ცდილობს მწერალი: „გამარჯვებულს ფეხდაფეხ მოსდევს შინაური უთანხმოებაც და გარეშე სიფათიც. ენის დამუშავების პროცესშიც ორი საპირის-

პირო ძალა მუშაობს: ავი და კარგი, სიმდიდრე და სილატაკე. კუთხური ფორმებიც და ლექსიკონიც, ბარბარიზმებიც და არქაიზმებიც, ნეოლოგიურიც და ჟარგონიც ერთიდამავე დროს ენას ამდიდრებენ და აღარბებენ, ზრდიან და რყვნიან“ (წ. 676)...

ეს ბუნებრივ პროცესად მიაჩნია მწერალს, თუმცა სწორედ აქ იჩენს თავს აზრი და მიზანი მწერლისა, ამ ენაზე მოსაუბრისა – ყურადღება არ უნდა მოვადუნოთ: „დასათვლელია ამ ელემენტების რაოდენობაც და ძალაც... ამიტომ ეს გარემოება ერთი წამითაც არ უნდა დავივიწყოთ“ (წ. 677)...

ითქვა, ენის განვითარების პროცესში ორი საპირისპირო ძალა მუშაობსო; „დღევანდელ ქართულში – და მუდამაც – უმთავრესად ორი გზით შემოდის სიმდიდრეც და სიგონჯეც: ჩვენი საკუთარი კუთხებიდან და უცხოეთიდან“ (წ. 677). ცხადია, ორივე გზა მნიშვნელოვანია და ორივე იმსახურებს ყურადღებას; საკუთარის გარჩევა უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნია მწერალს.

მიხეილ ჯავახიშვილის ენათმეცნიერულ განსწავლულობაზე, მის განსაკუთრებულ ენობრივ ალლოზე სხვაგანაც ვიტყვით, მაგრამ აქაც გვსურს რამდენიმე შენიშვნის გაკეთება.

როცა მწერალი კუთხურ მეტყველებაზე საუბრობს, განხაზავს: „მე ვიზიარებ ზოგად დებულებას, რომ ქართულში უმთავრესად ორი ნაკადი მუშაობს – აღმოსავლური და დასავლური“ (წ. 677).

ქართული კილოების გამოყოფა მეცნიერულ საფუძველზე და მისი განდასება ორ ჯგუფად – აღმოსავლურ და დასავლურ დიალექტებად აკაკი შანიძის სახელთანაა დაკავშირებული. მ. ჯავახიშვილი, როგორც ჩანს, კარგად იცნობს და ეთანხმება ამ თვალსაზრისს; ამას იმიტომ მივანიშნებთ, რომ განსხვავებული დაუსაბუთებელი თვალსაზრისი დღესაც „მუშაობს“... რომ იცნობს და აფასებს ა. შანიძის მეცნიერულ საქმი-

ანობას, ეს იმ შემთხვევიდანაც ჩანს, ხევსურული დიალექტის შესახებ რომ საუბრობს მწერალი (თუმცა ამის თაობაზე სხვაგან)...

სხვათაშორის, მ. ჯავახიშვილის ამ აზრსაც მივაქცევთ ყურადღებას: „ზემო-იმერულ კილოს ქართლ-კახურთან უფრო მეტი ნათესაობა აქვს, ვიდრე ქვემო-იმერულთან (გამოთქმას ნუ ვიანგარიშებთ)“ (იქვე). ამის თქმა დასჭირდა იმისათვის, რომ ამისდამიუხედავად დიალექტთა ორი ნაკადი ფაქტივად...

თანამედროვე დიალექტოლოგიაში ეს აზრი მიღებულია: ქვემოიმერული უფრო ახლოს დგას ლეჩხუმურთან, ვიდრე ზემოიმერულთანო და, შესაბამისად, ზემოიმერული – ქართლურთან...

მწერლის აზრით, ეს ორი ძირითადი ნაკადი – აღმოსავლური და დასავლური – არის ის ძალა, რომელიც ისტორიულადაც და დღესაც ზემოქმედებს სალიტერატურო ქართულზე: „დასავლურის გავლენა ძველ სალიტერატურო ქართულშიც მოსჩანს, ხოლო შემდეგ, წარსული საუკუნის 70-იან წლებამდე აღმოსავლური კილო უდავოდ ჰეგემონობს. ამ ხნიდან კი დასავლური კილოებიც შემოდინ, თანდათან ძლიერდებიან და მანამდე უდავოს სადავოდ აცხადებენ“ (წ. 677).

„უდავოსა“ და „სადავოს“ საკითხი აქტუალური იყო იმ დროისათვის, როცა მიხეილ ჯავახიშვილი შემოდის სამოღვაწეო ასპარეზზე და აქტიურად განიხილებოდა იმჟამად ლიტერატორთა და ენათმეცნიერთა წრეებში, ამიტომაც იყო საჭირო მწერლის სიტყვა...

მ. ჯავახიშვილი სამ ავტორს გამოყოფს, მათი თვალსაზრისების გაცნობით გვიჩვენებს, როგორი იყო იმდროინდელი აზრი სალიტერატურო წრეებში, აზრი – ხშირად ურთიერთსაპირისპირო და ურთიერთგამომრიცხავიც. დიას, სამ ავტორს გამოყოფს: გრიგოლ ყიფშიძეს, პეტრე ჭარაისა და სილოვან ხუნდაძეს.

უკიდურესად ლიბერალურია გრიგოლ ყიფშიძის მიდგომა: „ქართულის სისუფთავისა და კანონიერებისათვის საქმე ასობი, მარცვლები და სიტყვები კი არ არის, საქმე თვით ბუნებაა ენისა, საქმე სინტაქსისა, ანუ კანონები, რომელსაც ემორჩილება სიცოცხლე ენისა, მისი არსებობა... უმნიშვნელოა ენის მორფოლოგიურ ფონეტიკური მხარე. კანონიერი ფორმებია: წინეთ, წინედ, წინათ, წინად; რათგან, რადგან; აგრეთვე, აგრედვე; ეხლა, ახლა; შევიდა, შავიდა; შეიტა, მოიტა, მაიტა; ძალიან, ძაან, ძალან... ამ ფორმებს ზოგს საქართველოს ერთ კუთხეში ხმარობენ, ზოგს მეორეში და, მაშასადამე, ორივე ფორმა კანონიერია, სამართლიანი, ენის ფონეტიკისა და მორფოლოგიისაგან შეწყნარებული და არავის არც ნება აქვს და არც შეუძლია მოითხოვოს: ასე იხმარეთ ეგ სიტყვაო და არა ისეო“ (წ. 677)...

ეს ერთი უკიდურესი აზრი — ყველა ფონეტიკურ-მორფოლოგიური ვარიანტი კანონიერია...

პრინციპულად საპირისპიროა პეტრე ჭარაიას თვალსაზრისი: „ამისთანა პროვიანციალიზმებიც თუ საერთო სახმარებლად შემოვიღეთ, მაშინ აგვერევა მონასტერი და ვეღარ შევქმნით მთლიან სალიტერატურო ქართულს“ (წ. 677-678). პ. ჭარაიას ეს აზრი გამოუთქვამს „მოამბეში“ 1895 წელს (პროექტი გამოუქვეყნებია სალიტერატურო ქართულისა).

პ. ჭარაიას ნააზრევში იმასაც მნიშვნელოვნად მიიჩნევს მ. ჯავახიშვილი, თუ რას უნდა დაემყაროს სალიტერატურო ენა, რომელ კილოს მიენიჭოს უპირატესობა; ეს აზრი ყველაზე მეტად მისაღებია მწერლისთვის, ამიტომ იმოწმებს საკმაოდ ვრცლად: „ახალი ქართულის ბაზისად უნდა ჩაითვალოს ენა საქართველოს იმ შუაგულ ნაწილებისა, რომლებიც იმ თავიდანვე შედგომია დედაბოძად ქართულ სალიტერატურო ენას“... „ის კილო (დაარქვით მას ქართლ-კახურ-ზემოიმერული, ანუ სხვა, რაც გენებოსთ, ჩვენ კი ზოგად ქართულს და-

კუდახებთ), რომლებზედაც უწერიათ ძველი მწიგნობრული ენის ზეგავლენით ჩვენს საუკეთესო მწერლებს მეცხრამეტე საუკუნეში“ (წ. 677).

მ. ჯავახიშვილი ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ ამ კილოთათვის (ქართლ-კახურ-ზემოიმერულისათვის) უპირატესობის მინიჭება არ გამორიცხავს სხვა კილოთა მონაწილეობას სალიტერატურო ენის გამდიდრებაში (წ. 677).

აქ მ. ჯავახიშვილი გრ. ყიფშიძესაც დაიმოწმებს — ქართლურის უპირატესობას ვგულისხმობთ:

„ამას ამბობს გრ. ყიფშიძეც: „მაშ რას დაუუგდოთ ყური? რასა და ქართლს, იმ პროვინციას, საცა ხალხი, მდაბიო და დიდებული, ლაპარაკობს ლიტერატურული ენის კილოთი, საცა ეს კილო და ჩვენი დღევანდელი სალიტერატურო ქართული თითქმის არ განსხვავდება“. და უბრალო გლეხიც „ისე ლაპარაკობს, თითქოს ჩვენს საუკეთესო სალიტერატურო ნაწერებზედ აღზრდილაო“ (წ. 678).

მ. ჯავახიშვილისთვის ისაა მთავარი, რომ ქართლურის (უფრო სწორად, ქართლ-კახურ-ზემოიმერულის) უპირატესობაში გ. ყიფშიძეც და პ. ჭარაიაც თანხმდებიან... და აქ მწერალი მკითხველს მიმართავს: „დავიხსომოთ მხოლოდ ღერძი: ქართლური კილო და სალიტერატურო ქართული თითქმის არ განსხვავდებაო. და ამ კილოს „ზოგად ქართულს“ არქმევენ“ (წ. 678).

მესამე ავტორი, რომლის თვალსაზრისსაც მოიშველიებს მ. ჯავახიშვილი და პროფესიონალურად აკრიტიკებს, სილოვან ხუნდაძეა. მიუხედავად იმისა, რომ ს. ხუნდაძე ეთანხმება ძირითად დებულებას, აქ მოყვანილს:

„არც სილ. ხუნდაძე უარჰყოფს ამ დებულებას, არც სხვა ვინმე, მაგრამ ზოგჯერ ისეთ განმარტებას აძლევენ, რომ მას სინამდვილეში სავსებით აბათილებენ“ (წ. 678).

ს. ხუნდაძის თვალსაზრისს მ. ჯავახიშვილი იმოწმებს წიგნიდან „ქართული მართლწერა“ (1927 წ.). ცნობილი ფაქტია, რომ ს. ხუნდაძე გარკვეულწილად დასავლურ (როგორც მ. ჯავახიშვილი იტყვის – იმერულ) მეტყველებას ანიჭებს უპირატესობას (პ/ს პრეფიქსთა ხმარება, -ნენ/-ენ დაბოლოების საკითხი და სხვ.), რაც შინაგანად მიუღებელია მ. ჯავახიშვილისათვის. გავიხსენოთ მწერლის ცნობილი განმარტება: „ორი უკიდურესობა სწეწავს ქართულს: ერთი რვალივით ამაგრებს სიტყვას (მოჰჰკაღ!), მეორე კი ბამბასავით არბილებს (მოკაღ!). აქაც ზომიერება გვირჩევნია (მოჰკაღ!)“ (წ. 638). „ზომიერად“ მიჩნეული ვარიანტი ქართლურია, რვალივით მაგარი – ხევსურული, „ბამბასავით რბილი“ – იმერული!...

ამიტომაც ს. ხუნდაძის პოზიცია რიგ შემთხვევაში მიუღებელია მ. ჯავახიშვილისათვის. მოვუსმინოთ: სალიტერატურო ენის საყრდენი დიალექტის თაობაზე ს. ხუნდაძე წერსო – „მამ ვიზედ ან რაზე დავემყაროთო, იკითხავს გაცოცხლებული მკითხველი. ჩემი პასუხია: არავიზე და ყველაზე. არავიზე, რადგან თითოეული პიროვნება, მწერალ-მგოსანია იგი თუ მკვლევარი, შეუძლებელია შეუცთომელი იყოს, და ყველაზე, ვინაიდან თითოეულ მათგანს ენის რომელიმე დარგში შესაძლოა თვალსაჩინო წვლილი ჰქონდეს შეტანილი. საქმე და სერიოზული საქმე ის არის, რომ ევ თვალსაჩინო წვლილი სრული შეგნებითა და წმინდა სინიდისით შევაფასოთ და ავირჩიოთ, სხვადასხვა წალკოტში გაფანტულ ია-ვარდებს თავი მოვუყაროთ და ამ სახით შევადგინოთ და შევკონოთ ის მშვენიერი სურნელოვანი თაიგული, რომელსაც სალიტერატურო ენა ეწოდება“ (ვიმოწმებთ „წერილებიდან“, 678).

მხატვრულად გაფორმებულმა ამ აზრმა ვერ მოხიბლა მ. ჯავახიშვილი; მისთვის პრინციპულად მიუღებელია ასეთი მსჯელობა: „არავიზე და ყველაზე პასუხად ვერ ჩაითვლება. არავისა და ყველას ჯერ ენა არ შეუქმნიათ. ყოველ ენას სა-

კუთარი ფუძე თუ ბუდე აქვს. ისეთი ხალხი არსად არსებობს, რომ რამდენიმე კუთხე და ამდენივე კუთხური კილო არ ჰქონდეს“ (წ. 678). აქ მ. ჯავახიშვილი ვრცლად მსჯელობს და ავტორს საინტერესო „ლექციას“ უტარებს, აცნობს ევროპის მოწინავე ენათა ვითარებას: რუსულის, ინგლისურის, ფრანგულის, იტალიურის მაგალითზე; უჩვენებს, რომ ყველა სალიტერატურო ენა „აშენებულია“ ამა თუ იმ კილოზე; „არც ქართულს ასცდა ეს კანონი და ვერც ესლა ასცდება“ (წ. 678).

და მწერალი მ. ჯავახიშვილი აქ აკეთებს ძალიან მკვეთრ და მნიშვნელოვან დასკვნას:

„ენის კულტურაც და ყოველგვარი კულტურაც – უმთავრესად ცენტრებში მწიფდება, და ქართული სალიტერატუროც საქართველოს ცენტრალურ პროვინციაში ქართლ-კახეთში და უმთავრესად ტფილისში დადუღდა“ (წ. 678).

მკვეთრია დასკვნა – ქართლ-კახეთის ნაწილში და მნიშვნელოვანია ის, რომ ტფილისი შემოდის მსჯელობაში.

ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში ქართლ-კახეთის როლზე მე-20 საუკუნის ქართველი ენათმეცნიერები (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია და სხვები) ფაქტობრივ ერთგვარი აზრისანი არიან...

მ. ჯავახიშვილის მიერ ტფილისის როლის შემოტანა ამ მსჯელობაში – უაღრესად საინტერესო სიახლეა იმ პერიოდისათვის; ამგვარი დასკვნა მეცნიერებაშიც გაკეთდა მოგვიანებით: „ახალ სალიტერატურო ქართულს საძირკველი ეყრება თბილისში: დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის განთავისუფლება თურქთაგან 1122 წ. და პოლიტიკური და კულტურული ცენტრის ქუთაისიდან თბილისში გადმონაცვლება (აქედან გამომდინარე ყველა შედეგით), ის დიდმნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენაა, რომელმაც ახალი ქართული სალიტერატურო ენის წარმოქმნა შეაპირობა“ (არნოლდ ჩიქობავა, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, თბ.,

1950, 08). იქვე, ცოტა ზემოთ, ვკითხულობთ: „ახალ ქართულს აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ცოცხალი მეტყველება – ქართლური და კახური – ასაზრდოებს“...

და ზუსტდება შემდგომ: „ასეთივე როლი შეასრულა თბილისურმა მეტყველებამ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის დასამკვიდრებლად XX საუკუნის 20-იან წლებშიც“ (ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, 1989, 148).

ასე რომ, დასკვნა, რომელსაც მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი აკეთებს თავის უმნიშვნელოვანეს პუბლიცისტურ ნაშრომში „ახალი სალიტერატურო ქართულისათვის“, მეცნიერებაში გაზიარებულია!...

თუ იმასაც გავიხსენებთ, ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურულ ვითარებასთან რომ აკავშირებდა მწერალი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებას – მ. ჯავახიშვილის მიერ გააზრებული ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის ეს ვითარებაც სწორად დანახული და შეცნობილი პროცესია... კუთხური მეტყველების მიმართებისა სალიტერატურო ენასთან და ამ პროცესში მწერლისა თუ მეცნიერის როლზე მსჯელობა გრძელდება...

„დახვეწილ სალიტერატურო ენას მარტო ესა თუ ის კუთხე კი არა ჰქმნის, არამედ გენიოსი ან დიდი მწერლების ჯგუფი, და მეცნიერები, რომელნიც უმთავრესად ერთი რომელიმე კუთხის კილოს ემყარებიან, დანარჩენს კი მხოლოდ მასალად იყენებენ. რუსთაველის, თმოგველის, ხონელისა და შავთელის ქართული ჩვენს ლიტერატურას ექვსიოდე საუკუნეს ეყო. ანტონის ენამ ერთსაც ძლივს გაუძლო, ხოლო ილიასი და აკაკისა ზოგს უკვე მკვდარ ენად მიაჩნია“... ეს ისევ ს. ხუნდაძესთან პოლემიკაა... „მაშ ვიზე დავემყაროთ? ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელზე?“ – კითხულობს ს. ხუნდაძე და პასუხსაც იძლევა: „მაგრამ ამ ჩემ ნაშრომშიც მათი ნა-

წერებიდან საკმაო მასალაა ნაჩვენები იმისა, რომ ქართული ენის სისწორეში მათზე დამყარება ყოვლად შეუძლებელია“ (წ. 679)...

სალიტერატურო ქართულის ქომაგი ს. ხუნდაძე მსაჯულის როლს ირგებს... და მიხეილ ჯავახიშვილი ილიასა და აკაკის დამცველის როლში გვევლინება!

სილოვან ხუნდაძეს აუღია ა. წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“ და ილია ჭავჭავაძის „ოთანაართ ქვრივი“, და „შეცდომები აღმოუჩენია“ (როგორც ირონიით ასკვნის მ. ჯავახიშვილი).

მ. ჯავახიშვილი გადმოწერს ამ შეცდომებს.

აკაკისთან – „სულ 16 „შეცდომა“ – ზოგი კორექტურული, ზოგი უნებური Lapsus Calami, ზოგი უცოდველი კუთხური და ზოგიც ფრიად სადავო. დარჩა სამიოდე შეცდომა...

ილიასთან – „სულ ცხრა „შეცდომა“ აღმოჩნდა; აქედან სამი თუ ორი ნამდვილი... და აღშფოთება თუ შემშფოთება მ. ჯავახიშვილისა ს. ხუნდაძის „ექსპერიმენტის“ გამო; „როგორც ხედავთ, აკაკიც და ილიაც შეცდომების მხრივ გათანაბრდებიან: ოთხ-ოთხი თუ ხუთ-ხუთი შეცდომა შეჰპარვიათ. და ასეთ ენაზე ახალი ქართულის დამყარება თურმე „ყოვლად შეუძლებელი“ ყოფილა“ (წ. 680). და შემდგომ მსჯელობა: „ვიტყვი და მკითხველიც დამეთანხმება, რომ ზოგ დღევანდელ მწერალს 4-5 შეცდომა 200 გვერდიან წიგნში კი არა, ერთ გვერდზეც მოენატრება“... ხუთიოდე, თუნდაც ოციოდე შეცდომის გამო ლიტერატორი რომ დაეწუნებინათ, ჩვენამდე ერთიც ვეღარ მოაღწევდა“ (და აქ მ. ჯავახიშვილი კლასიკოსებს ჩამოთვლის – უცხოელს თუ ქართველს)...

რა ხდება, რატომ დასჭირდა მიხეილ ჯავახიშვილს ილიასა და აკაკის ვექილობა?

მიხეილ ჯავახიშვილმა იცის: სალიტერატურო ქართულის ჩამოყალიბებისათვის, განმტკიცებისა და დამკვიდრებისა-

თვის ორიენტირებია საჭირო! მაგალითია საჭირო, ვის მიხედ-  
ვითაც უნდა გაიწვრთნას თაობები. ილია და აკაკი იყო, მისი  
ღრმა რწმენით, ასეთი ორიენტირი და ყოველგვარი მცდელობა  
ამგვარი ორიენტირების მოშლისა ღალატია დედაენისა!... ამი-  
ტომ არ პატიობს ს. ხუნდაძეს, ერთი შეხედვით, მცდარ  
თვალსაზრისს... ამ თემის გაგრძელება მოვისმინოთ: „ტყუილად  
კი არა სთქვა ანატოლ ფრანსმა: მხოლოდ ლიცეუმის მასწავ-  
ლებელია უცოდველი, ერთი შეცდომაც არ შეეპარება, ჩვენ კი,  
სამუშალო ნიჭის ლიტერატორები, ნიჭიერები და გენიოსებიც,  
ყელამდე სავსე ვართ გრამატიკული შეცდომებითო.

ცხადია, არ სცდება, ვინც დაბეჭდილ გრამატიკას იზები-  
რებს, და ხშირად სცდება, ვინც ენას ჰქმნის. და რადგანაც  
წერეთელმაც და ჭავჭავაძემაც, სხვებთან ერთად მაინც ახალი  
კლასიკური ქართული მოგვცეს, გავიღოთ წყალობა და ვაპა-  
ტიოთ ხუთ-ხუთი, თუნდაც ათ-ათი შეცდომა მოზრდილ წიგ-  
ნის მანძილზე. — ეს არაფერია... ნამდვილი შეცდომების ძღვენს  
ქვევით მოგართმევთ (წ. 680).

და აქ, ამ მიმოხილვით ნაწილში, ასეთ „შუალედურ და-  
სკვნას“ აკეთებს მ. ჯავახიშვილი:

მაშ ასე: „ვისრამიანის“ ენა დაძველებულია; ანტონ კათა-  
ლიკოზისა — მისაკარებელიც არ არის; აკაკისა და ილიასი —  
„ყოვლად შეუძლებელი“; რუსთაველის ბადალიც არავინა  
გვყავს, რომ ახალი ქართული შეგვიქმნას; მაშ ვიღაზე თუ  
რაღაზე დავამყაროთ იმედები? „არავიზე და ყველაზე“ — ვიმე-  
ორებ, ასეთი პასუხი პასუხად არ ჩაითვლება-მეთქი“ (წ. 680-  
681).

და განაგრძობს: „ეხლა კი მთავარ თემას დავუბრუნდები-  
თო“...

გვახსოვს, ამ ნაწილს სათაურად „კუთხური“ ჰქვია...

ზოგად საკითხებში გაგვარკვია... სალიტერატურო ქართულის ორიენტირები დაგვისახა... და ვუბრუნდებით, „კუთხურს“...

\* \* \*

საინტერესო პასაჟია: მწერალს შემოაქვს ცნება ფილოლოგიური ქართულისა: „ქართული რომ ვახსენე, ადმინისტრაციულს ან თუნდაც ისტორიულ ერთეულს კი არ ვგულისხმობდი, არამედ ფილოლოგიურს, სადაც თითქმის ერთნაირი კილო ბატონობს: ქართლ-კახეთი, მესხეთი (აქედან მიდის მახლობელი ნათესაობა აჭარ-გურულ კილოსთან) და ზემო იმერეთი, რომლის წარმომადგენლად სალიტერატურო ქართულში გიორგი წერეთელი კი არ უნდა ჩაითვალოს, არამედ აკაკი წერეთელი“ (წ. 681)...

ისევ მწერლური ხედვის ორიგინალობა: კილოკაური ამერეთი (უნდა ვიფიქროთ საპირისპირო კილოკაურ იმერეთზე): „ეს კილოკაური ამერეთი (და არა გეოგრაფიული) საქართველოს უდიდეს ნაწილს შეადგენს“ (წ. 681)... გეოგრაფიულ ამერეთსა და „ფილოლოგიურ ამერეთს“ შორის სხვაობას ზემო იმერეთი ქმნის: ცხადია, დიალექტოლოგიური თვალსაზრისით ფასეული დაკვირვებაა მ. ჯავახიშვილისა.

„ფილოლოგიურ ამერეთს“ მწერალი ასე დაახასიათებს: „ეს კილოკაური ამერეთი (და არა გეოგრაფიული) საქართველოს უდიდეს ნაწილს შეადგენს. აქ ცხოვრობს ქართველთა უმრავლესობა. უმთავრესად აქ შექმნილია და ეხლაც აქ იქმნის ქართული. დღესაც გადაარჩიეთ საუკეთესო ლიტერატურები, პედაგოგები, მეცნიერები (მიუხედავად იმისა, სადაურები არიან), გამონახეთ მათი საერთო ენა, ე. ი. დღევანდელი სალიტერატურო ქართული, და შეადარეთ ზემოხსენებულ ამერულ ხალხურ კილოს — იგივეობა თითქმის სრული აღმოჩნდება“ (წ. 681).

მ. ჯავახიშვილი ცდილობს „დაახასიათოს“, ერთმანეთი-საგან განასხვავოს „კილოკაური ამერეთი“ და „კილოკაური იმერეთი“. მიაჩნია, რომ როგორც ამერულ, ისე იმერულ კილოკავეებს ახასიათებს ფორმათა იგივეობა... არ თვლის სადავოდ იმ ფაქტს, რომ „ამერული ლექსიკა გაცილებით უფრო მდიდარია იმერულზე“ (წ. 681).

მწერალი ამერულის ლექსიკურ უპირატესობაზე მსჯელობას აღარ აგრძელებს – ამას უდავო ჭეშმარიტებად მიიჩნევს.

ფილოლოგიური თვალსაზრისით ნამდვილად ფასეულია მწერლის საუბარი ე. წ. „შეუწყნარებელ ფორმებზე“. ოღონდ აქ ერთ თეორიულ შენიშვნასაც გავაკეთებთ: ამერულ კილოკავად ასახელებს მთიულურს: „არავინ ამბობს, ამერული უნაკლო იყოს. მთიულურს თავი დავანებოთ... ტერმინი „მთიულური“ ამ შემთხვევაში გულისხმობს აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებს. „მთიულური“ აქ უპირისპირდება „ქართლურს“: „მთიულურს თავი დავანებოთ, ქართლშიც უხვად ხმარობენ შეუწყნარებელ ფორმებს“ (წ. 681).

„შეუწყნარებელ ფორმათა“ ძიებისა და კლასიფიკაციის თემა მ. ჯავახიშვილთან ერთ-ერთი მთავარი თემაა, როცა მწერლის ქართულზე ვსაუბრობთ, ვემყარებით: ერთი მხრივ, „ჩანაწერებში“, მეორე მხრივ – პუბლიცისტურ წერილებში („ქართულის დამახინჯებანი“, „დამახინჯებული ქართულის ნიმუშები“) და, მესამე მხრივ, კოლეგა მწერლების (ტ. ტაბიძის, რ. გვეტაძის, დ. შენგელაიას...) ნაწარმოებებთა განხილვისას გამოთქმულ შენიშვნებს... ეს ცალკე მსჯელობის თემაა...

თუ ზოგადად ქართული დიალექტების თაობაზე მსჯელობისას შეინიშნება მწერლის გარკვეულწილად „მიკერძობა“ ამერული ქართულისადმი, „ნაშრომში“ ამ მხრივ ამერული და იმერული ქართულისადმი მიდგომა ერთგვარია: იტყვის, „ქართლურშიც უხვად ხმარობენ ფორმებსო“ და საკმაოდ ვრცელ

ნუსხას წარმოადგენს ამგვარი ფორმებისას (ასეთი შენიშვნებით, „მეც შემპარვია რამოდენიმეჯერ“, „ჭავჭავაძე მულამ ამ ფორმას ხმარობს“...). ამ შემთხვევაში მ. ჯავახიშვილი სჯერდება ჩამოთვლას და არ ახდენს შეცდომათა კვალიფიკაციას, კომენტირებას... და დაასკვნის: „ეს სიაც კმარა. ცხადია, ასეთი ფორმების შემოშვება ლიტერატურაში ყოვლად შეუწყნარებელია“ (წ. 681).

და იქვე: „მაგრამ აშკარაა მეორეც: იმერეთიდანაც შემოვიდა, და დღესაც შემოდის მსგავსი ფორმებიო“ და ამას მოსდევს საკმაოდ გრძელი ნუსხა „შეუწყნარებელი იმერული ფორმებისა“ (წ. 681).

ამერულ-იმერულ ფორმებზე მსჯელობისას გაკეთებული შენიშენიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ სალიტერატურო ქართულში „იმერეთიდან უფრო ფართო ნაკადი შემოედინება „შეუწყნარებელ ფორმათა“ (ამერეთში იშვიათიაო...)...

ამგვარ მინიშნებას ასეთ განმარტებას მოაყოლებს მწერალი:

„ბასუხი ცხადია და მიზეზიც ცხადია: დღეს საერთოდ განათლება და ენის კულტურაც უმთავრესად იმერეთიდან მოდის, ამიტომ მოაქვს იმერულ მწერალს საკუთარი ფორმებიც და ლექსიკაც, განძიც და ნაკლიც. და საანგარიშოც სწორედ ეს არის: რა არის კუთხურიდან მისაღები და უარსაყოფი“ (წ. 682).

რა არის მისაღები და რა — უარსაყოფი, როცა ამ კითხვას დასვამს მ. ჯავახიშვილი, მსჯელობას იწყებს სამი მწერლის — ვაჟა-ფშაველას, ე. ნინოშვილისა და დ. კლდიაშვილის — შესახებ.

ფაქტია: ამ დროისათვის დიალექტიზმების გამოყენების თვალსაზრისით ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე საუბარს ხანგრძლივი ისტორია აქვს (XIX ს-ის 80-იანი წლებიდან მოყოლებული...); და ბოლოს ამ ფაქტის კულმინაცია — აკაკი

წერეთლის ლექსი („ენას გიწუნებ, ფშაველო“)... ცხადი იყო, რომ მ. ჯავახიშვილიც ვერ აუვლიდა გვერდს... აქ საინტერესოა ისიც, რომ მ. ჯავახიშვილს მსჯელობაში შემოაქვს ე. ნინოშვილისა და დ. კლდიაშვილის თემა. და, რაც არსებითია, ამ სამ მწერალს გვერდიგვერდ აყენებს დიალექტიზმების გამოყენების თვალსაზრისით:

„გავიხსენოთ თუნდაც სამი მწერალი – ვაჟა ფშაველა, ე. ნინოშვილი და დ. კლდიაშვილი. პირველი ფშაურ კილოზე სწერდა (თუმცა მისი პროზა დღესაც სანიმუშოდ ჩაითვლება), მეორე – გურულზე, მესამე – ქვემო იმერულზე. სამივე დიდი მწერალია, მაგრამ დააჩნია რომელიმე მათგანის კუთხურმა კილომ შესამჩნევი კვალი სალიტერატურო ქართულს? თვითოეულ მათგანს მხატვრული გემოვნების მიხედვით მრავლად ჰყავს თაყვანისმცემელი, მაგრამ ფაქტია: არც ერთი ოდნავ მაინც გამოჩენილი ლიტერატორი აღარ სწერს ამ კილოთი. რა არის მიზეზი“ (წ. 682)...

სანამ „მიზეზების გარკვევაზე“ გადავალთ, რამდენიმე შენიშვნა გვინდა გავაკეთოთ: როცა მ. ჯავახიშვილი საუბრობს დიალექტიზმებზე ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, მხედველობაში აქვს პოეზიის ენა (პროზის ენა სანიმუშოაო) და მას უდარებს ნინოშვილისა და კლდიაშვილის პროზის ენას. ვაჟა-ფშაველას ენისადმი ასეთი მიდგომა (როგორც ვთქვით, რასაც ხანგრძლივი ისტორია აქვს), ვფიქრობთ, მცდარია: ნინოშვილისა და კლდიაშვილის პროზასთან უნდა შევადაროთ ვაჟა-ფშაველას პროზის ენა; ენა იმ პროზაული ნაწარმოებებისა, რომლებშიც დიალექტიზმების გამოყენება ზუსტად იმავე პრინციპზეა დამყარებული, რაც გვაქვს ნინოშვილთან და კლდიაშვილთან; მაგალითად, მოთხრობები „სურათი ფშაველის ცხოვრებიდამ“, „ღარეჯანი“, „შთაბეჭდილებანი“ და სხვა (ამ საკითხის შესახებ ვრცლად იხ.: გ. გოგოლაშვილი, „ერი დედა ენისა“, თბ., 2020). ვფიქრობთ, ამ მწერლებთან დიალექტიზ-

მების გამოყენების მიზეზიც და მიზანიც განსხვავებულია... და ამიტომ მათი ერთი და იმავე კუთხით განხილვა შეიძლება არ იყოს მიზანშეწონილი... თუმცა მ. ჯავახიშვილის ზოგადი დამოკიდებულება კუთხური მეტყველებისათვის ამ სამ მწერალს ერთნაირი თვალთ დაგვანახებს...

და მიხეილ ჯავახიშვილმა დასვა კითხვა: „არც ერთი ოღნავ გამოჩენილი ლიტერატორი აღარ სწერს ამ კილოთი. რა არის ამის მიზეზი?“

თუ რატომ აღარ წერენ ვაჟა-ფშაველას ანდა დ. კლდიაშვილის მსგავსად, საინტერესოდ განმარტავს თავად მ. ჯავახიშვილი:

„პირველი: სალიტერატურო ქართული არც ერთ ამ კუთხეს არ ემორჩილება. იგი შუაგულ საქართველოს ეყრდნობა“ (წ. 682).

აქ მწერალი ემყარება ტრადიციულ აზრს ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების თაობაზე და ავითარებს თვალსაზრისს „ამერული კილოკავის“ უპირატესობის თაობაზე...

„მეორე: ქართული ენა მინიმუმ 1500 წლის წინად დადულდა, ჩამოყალიბდა... ამიტომ მეტად ძნელია, თითქმის შეუძლებელია, რომელიმე კუთხურმა კილომ შეასრულოს და შესცვალოს მრავალ საუკუნეში დადულებულ-შეჭედილი ჩვენი ენის საფუძველი“...

ეს მიზეზიც გარკვეულწილად პირველთანაა დაკავშირებული და ანგარიშგასაწევია...

და „მესამე: ასეთი დადულებული ენის მნიშვნელოვანი გრამატიკული ფორმები ოციოდე წელიწადში არ იცვლება. ახალი სალიტერატურო ქართული – აკაკისა და ილიას ენა – მხოლოდ ოციოდე წლის წინად ჩამოყალიბდა და დღევანდელი მწერლებიც ამ ენით მეტყველებს (ბილიკებს არ ვანგარიშობ და ცვლილებასაც ქვემოთ მოგახსენებთ)“ (წ. 682).

ანგარიშგასაწევი დაკვირვებაა. აქ ერთი ნიუანსია ნიშანდობლივი: ვაჟას ქართული ილიასა და აკაკის ქართულის ალტერნატივადაა წარმოდგენილი. უეჭველად გაგვასხენდება კონსტანტინე გამსახურდიას მსჯელობა: „არ არის დასამალავი, რომ ვაჟა-ფშაველა უბრალო მწერალი რომ ყოფილიყო, ის უთუოდ ეთნოგრაფიულ ჭაობში ჩაიფლობოდა, მაგრამ გენიოსები გამონაკლისს წარმოადგენენ... ვაჟას წინ რომ არ დახვედროდა დიდი შოთა, დავით გურამიშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვები, მაშინ ვაჟა ფშავ-ხევსურულ დიალექტებს მოახვევდა თავზე საქართველოს და მოხდებოდა ისეთი ამბავი, როგორიც დანტემ ჩაიდინა იტალიური ენის მიმართ (კ. გამსახურდია, ტ. VII, 1965, 532)...

ამ თემასთან დაკავშირებით ეს კომენტარიც ვნახოთ მ. ჯავახიშვილისა: „მაგრამ ერთი რამ არის უცნაური: ზოგი ლიტერატორი (და არალიტერატორიც) ილიასი და აკაკის ენით სწერს და მეტყველებს, ზოგს მცირედიც ვერ მოუმატებია ან დაუკლია მისთვის, და მაინც ხელალებით ებრძვის ამ ენას... გარდა ამისა, ფაქტია: ზოგნი ყველაზე მეტად იმას ებრძვიან, ვისაც ბაძავენ“ (წ. 688).

ილია, აკაკი, ვაჟა... XIX საუკუნის მეორე ნახევრის (და XX საუკუნის დასაწყისისაც...) ენობრივი პრობლემები ამ სამი გენიოსის ირგვლივ ტრიალებს... დიალექტიზმებზე საუბრისას ვაჟა-ფშაველაა ცენტრალური ფიგურა...

მიხეილ ჯავახიშვილი ცოტა ქვევით (პარაგრაფში – „ვერ შემოვა ლიტერატურაში“) ისევ მოიშველიებს ვაჟა-ფშაველას: „კუთხურით წერა მეტად სახიფათო ხერხია. ერთი თუ გაიმარჯვებს, ათი დამარცხდება, რადგან სტილიზაცია უურთულესი და უძნელესი ფანდია. დიდი ხელოვანის ვაჟა ფშაველას ფანდი: „ჩაფიქრებულა მინდია, ყალივან აჩრავ პირშია“ –

საუკუნეებს გაუძლებს, მაგრამ სალიტერატურო ენაში ვერ შემოვა“ (წ. 685).

ამ თემაზე საუბარი მიხეილ ჯავახიშვილს ეროვნული თვალსაზრისით ძალიან მძიმე პრობლემაზე დააფიქრებს: „საქართველოში ჯერ კიდევ ბევრია ისეთი „ქართველი“, რომელიც თავდაპირველად საკუთარი სოფლისა თუ ხევის შვილია და შემდეგ, მხოლოდ შემდეგ არის ქართველი (მივაქციოთ ყურადღება – ზემოთ „ქართველი“ ბრჭყალებში ჩასვა – გ. გ.). ასეთი ტიპი სავალალოდ მრავლად მოიპოვება ლიხის გადაღმაც და გადმოღმაც“ (წ. 682).

ძალიან სასიფათო ვითარებაა – ეს პრობლემას უქმნის ეროვნულ და ენობრივ ერთიანობას, მთლიანობას, – ასე ფიქრობს მწერალი: „სხვები საერთო და სალიტერატურო ქართულისათვის მუშაობენ, ესენი კი – მისი დაშლისა და ამღვრევისათვის“ (წ. 683).

კუთხური მეტყველების არამართლზომიერად შემოტანა სალიტერატურო ენაში ამგვარი სიფათის შემცველია – ასე ფიქრობს კლასიკოსი მწერალი...

„კუთხურის“ თემა იმდენად მნიშვნელოვანია მწერლისთვის, რომ რამდენიმეჯერ მიუბრუნდა სხვადასხვა ასპექტით. თუნდაც ამ კუთხით: – რა შეიძლება მისცეს პროვინციამ სალიტერატურო ენას... გაგვასხენდება აკაკი წერეთლის მსჯელობა რაზიკაშვილების ენაზე – ისეთი დიალექტური ფორმების შემოტანა სამწერლობო ენაში, რომლის ბადალიც მოგვეპოვება, ყოვლად დაუშვებელიაო, ხოლო დიალექტური ლექსიკა, სწორად შერჩეული და გამოყენებული, გაამდიდრებს სალიტერატურო ენასო (ამის თაობაზე ვრცლად იხ. გოგოლაშვილი, „ერი დედაა ენისა – ფიქრები ვაჟა-ფშაველაზე“ – 2020). მ. ჯავახიშვილის პოზიციაც ასეთი არის:

„პროვინცია ახალ საგრამატიკო ფორმებს ვერ მოგვცემს მეთქი. სამაგიეროდ იგი ნამდვილი ლექსიკოლოგიური საგანძუ-

რია, უშრეტი აუზია, რომელიც ქვესკნელი წყაროებით გამუდმებით ჰკვებავს და ამდიდრებს სალიტერატურო ქართულს“ (წ. 683).

აქ ხელავს მიხეილ ჯავახიშვილი მწერლის როლს; და მეცნიერისასაც; ეს პროცესი უკონტროლო არ შეიძლება იყოს: ეს უპატრონო და მთვლემარე სიტყვები საუკუნეობით ისევე ელიან მწერალსა და მეცნიერს, როგორც მიწის გულში ჩამარხული მადანი ელის მუშის წერაქვსა და დინამიტს... (წ. 683)... და ეს პროცესი მწერალმა უნდა აკონტროლოს, მწერალმა, რომელსაც ყველაზე უკეთ შეუძლია გაარჩიოს ნამდვილი ოქრო ყალბისაგან... აქაც მ. ჯავახიშვილი მხოლოდ ფაქტებით საუბრობს: მწერალს ხელში ჩავარდნია „გურიაში დარჩენილი“ სიტყვების ხელნაწერი ლექსიკონი. ამ მასალის საფუძველზე გვიხსნის თავისი აზრის ჭეშმარიტებას: გადააღვებს ორ ჯგუფად სიტყვებს: 1. „ვერ შემოვა ლიტერატურაში“ და 2. „შემოსაშვებია ასეთი სიტყვები“... ცდა მხოლოდ ორ ასოზე ჩაუტარებია – ა-ზე და ბ-ზე. პირველი ჯგუფი გაცილებით სჭარბობს მეორეს; მაგალითებს არ მოვიყვანთ, დაინტერესების შემთხვევაში მკითხველი თავად გაეცნობა; ჩვენ დიალექტური ლექსიკისადმი მიდგომა გვინტერესებს, თორემ ცხადია, ამგვარი შერჩევა და გადანაწილება ლექსიკური ერთეულებისა შეიძლება ინდივიდუალური იყოს – ის, რაც მოსწონს ერთს, არ მოეწონოს სხვას და პირიქით.

### 3. ვერ შემოვა ლიტერატურაში

მ. ჯავახიშვილის ნაშრომის „ახალი სალიტერატურო ქართულისათვის“ მესამე ნაწილს ასეთი სათაური აქვს: „ვერ შემოვა ლიტერატურაში“. ფაქტობრივ ესაა გაგრძელება მეორე ნაწილისა – „კუთხური“.

მესამე ნაწილში, ერთი მხრივ, საუბარია დიალექტურ ლექსიკაზე და, მეორე მხრივ, ბარბარიზმებზე.

ზემოთაც აღვნიშნეთ — მ. ჯავახიშვილის აზრით, ენის ლექსიკის გამდიდრების ძირითადი წყარო მეტყველებაა; მაგრამ აქაა საჭირო დიდი სიფრთხილე, რომ დედაენის ღრმა ცოდნით გაირკვეს: „1. ლიტერატურაში შემოუშვებელი (ან უცხო სიტყვაა, ან მსგავსი უკვე გვაქვს, ან დამახინჯებული ქართულია) და 2. უეჭველად შემოსაშვები (ან ნამდვილი ქართულია, ან მსგავსი არა გვაქვს და ზოგი ძველ მწერლობაშიც იხმარებოდა)“ (წ. 683).

ფაქტობრივ მწერალი ინსტრუქციას გვაძლევს, როგორ უნდა ვიმუშაოთ დიალექტურ ლექსიკაზე; რას მივაქციოთ ყურადღება...

სანიმუშოდ მწერალი (როგორც ითქვა ზემოთ) განიხილავს ხელნაწერ მასალას — „გურიაში დარჩენილი სიტყვების ლექსიკონს“ (შემთხვევით ჩამივარდაო ხელში); ორ ასოზე წარმოდგენილ სიტყვებზე მსჯელობს.

მწერალს დაუღაგებია, ერთი მხრივ, სიტყვები — „ვერ შემოვა ლიტერატურაში“ (წ. 683-684) და, მეორე მხრივ, „შემოსაშვებია ასეთი სიტყვები“ (წ. 684).

მსჯელობა არგუმენტირებულია: მწერალს სურს დაგვარწმუნოს თავისი აზრის სისწორეში. მაგალითად: „ბაკე — მთვარის შარავენდელი. ამერეთში კი — ბაკი საქონლის დასამწყვდევად შემოღობილი ალაგი („აწ იშენეთ თქვენი ქალაქები ვანისა თქვენისათვის და ბაკები საცხოვრისა თქვენისა“). ბაკი იგივე ბაკმა (ბაკმული, ბაკმიანი, ბროლ-ბაკმული). შუქის რკალი მთვარის გარშემო. მამასადამე ბაკი და არა ბაკე“ (წ. 783). სულ 20-ოდე მაგალითია განხილული...

იქვეა „შემოსაშვები სიტყვები“; მაგალითად: „ალაგე — ლობეზე გადასავლელი მცირე კიბე, ლობის ორივე მხარეზე (იმერეთშიც ალაგე, სამეგრელოში ოლაგე)“ (წ. 684)... ათიოდე სიტყვაა მსგავსი. საერთოდ, როგორც ჩანს, ე. წ. „შემო-

საშვებ“ სიტყვათა რაოდენობა იმ „ლექსიკონში“ გაცილებით ცოტაა...

მ. ჯავახიშვილის დასკვნა ასეთია: „ეს მაგალითებიც საკმარისია. ასეთი სიტყვა, ტერმინი და ხშირად მთელი გამოთქმაც — მახინჯიც და ნამღვილიც — ათასობით აწყვეია ჩვენს კუთხეებში. ამ ზღვას დამწმენდი სჭირდება, და ჩვენი ლიტერატურაც და მეცნიერებაც ამ დიდ საქმეზე მუშაობს“ (წ. 684).

მ. ჯავახიშვილი აქ სვამს ერთ საინტერესო საკითხს — ამ საქმეს შეიძლება ხელი შეუშალოს კუთხურმა თავმოყვარეობამ (ზოგჯერ კი ამპარტავნებამაც)... ვედრებასავით ისმის მწერლის თხოვნა: „კუთხური თავმოყვარეობა (ზოგჯერ კი ამპარტავნებაც) იმ დიდი, ძალიან დიდი როლითაც უნდა დაკმაყოფილდეს, რომელიც მას ისტორიულად აქვს დაკისრებული: შეინახოს ქართული სიტყვის მარაგი და ნუ წაბილწავს ქართულს ასეთი სიტყვებითა და გამოთქმებითო“ და რუსულ სიტყვა-ფრაზებს მოაყოლებს (წ. 685).

ისევ მსჯელობა კუთხურ ლექსიკაზე... ისევ ე. ნინოშვილის, გ. წერეთლის, დ. მაჩხანელის, ვაჟა-ფშაველასა და სხვათა მაგალითები... საქებარიც და სააუგოც...

მ. ჯავახიშვილი ჩვენს მწერლობაში კუთხური ლექსიკისა თუ ფორმების მოძალების მიზეზებსაც იძიებს. მან მოახდინა სასაუბრო (საკომუნიკაციო) ენის კლასიფიკაცია:

„ინტელიგენტურ-სალიტერატურო ენა ზოგადურია, განყენებული. გაზეთის ენა — მშრალი, ნაჩქარევი და უძარღო. ასეთია ყველგან ინტელიგენციის სტილიც და ლექსიკაც. ხალხური — კი მუდამ უფრო მოქნილი, მსუქანი, კონკრეტული, სისხლით სავსე და ფერადოვანი...“

ამიტომ შემოაქვს უხვად ლიტერატორს კუთხური სიტყვა, თქმა და გრამატიკული ფორმებიც. და თუ ამ ახალ სიტყვა-ფორმებიდან ერთი მეათედი მაინც შეემატა სალიტერა-

ტურო ქართულს, კუთხურის როლი სავსებით გამართლებულად ჩაითვლება“ (წ. 685).

მკითხველს, ცხადია, ისევ რჩება შეკითხვა — არსებობს თუ არა კუთხურის, „ავად“ და „კარგად“ გარჩევის ობიექტური კრიტერიუმი? იცის მწერალმა, რომ ამგვარი კითხვა გაჩნდება და მსგავსი მკითხველის ინტერესს წინასწარ ითვალისწინებს: „მკითხვენი: მაშ სად არის ზომსადარი? ვუპასუხებ: უტყუარი, მათემატიკური ზომსადარი არ არსებობს. მხატვრული ალლო და ენის ცოდნა — აი ერთადერთი საზომიც და იარაღიც სალიტერატურო ქართულის დაწმენდისა და გამდიდრებისათვის. ყოველივე დანარჩენი სიტყვების უქმი ხარჯვა იქნება“ (წ. 685).

საერთო დასკვნა ამ მონაკვეთისა ასეთია: „ღარიბი ლექსიკა დიდს ვერაფერს შეჰქმნის... მწერლისათვის მდიდარი ლექსიკა, თუ, რა თქმა უნდა, დანარჩენიც იქნება, ნამდვილი ბალავარია, არჩევანიც ცხადია: მნელი გზა ადვილზე მუდამ საიმედოა“ (წ. 686).

### ბარბარიზმები



ნაშრომის „ახალი სალიტერატურო ქართულისათვის“ იმ ნაწილში, რომელსაც სათაურად აქვს „ვერ შემოვა ლიტერატურაში“, ვრცელი მონაკვეთი ეძღვნება ბარბარიზმებს; სათაურის მსგავსადაა გამოყოფილი...

მონაკვეთი იწყება მ. ჯავახიშვილის პროფესიონალური მსჯელობით იმის შესახებ, თუ რა არის წინაპირობა ენათა ურთიერთგავლენის გაძლიერებისა, ენაში სხვა ენათა ელემენტების შემოღწევის გააქტიურებისა:

„აბსოლუტურად ეროვნული არც კულტურა ყოფილა, არც ენა არსებობდა. არც შეიძლება არსებობდეს. ერების ურთიერთობა თანდათან მჭიდროვდება, მატულობს მოძრაობა, მი-

სვლა-მოსვლა და გავლენაც – საერთოდ კულტურისა კულტურაზე და ენისა ენაზე.

ჩვენს დროში მოძრაობისა და გავლენის სისწრაფე გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. ოდესღაც ერთი საუკუნე თითქმის მეორეს უდრიდა, ეხლა კი ზოგან ნახევარი საუკუნე უდრის უწინდელ მთელს, ზოგან მეოთხედი, ზოგან კი შეიძლება მეათედიც“ (წ. 686).

სხვაგანაც უსაუბრია მწერალს იმის თაობაზე, რომ ენა მუდმივად ცვლადი ფენომენია; გამუდმებით დულს, „რადგან მას ჯერ არ დაუმთავრებია მთავარი ფორმაცია“... ამ დუდილს სხვადასხვა ტემპი აქვს, ენები დუდილის ტემპით განსხვავებულები არიან... „ქართულმა ენამ დიდი ხანია დაასრულა ფორმაციის მთავარი პროცესი, ნელი დუდილი კი მაინც არ შეჩერებულა, და ნურც ოდესმე შეჩერდება, რადგან ეს იქნებოდა ნიშანი ენისა და ერის გაყინვის, გახმობისა და სიკვდილისა“ (წ. 686)...

„დადულებული ენის“ საფუძვლებს თუ ცვლილება ნაკლებად ეხება, ენის ზედაპირი – განსაკუთრებით ლექსიკა შედარებით სწრაფად იცვლებაო“, – წერს მწერალი და ორ გზას გვიჩვენებს ცვლილებებისას: „ეს ცვლილება ორი გზით ხდება: შიგნიდან და გარედან. თუ ერი ბუნებრივად და თავისუფლად ვითარდება, შიგნითი ანუ ორგანული პროცესი სჭარბობს გარეშეს, უცხოს. ხოლო თუ ერი თავისუფლად ვერ ვითარდება, მექანიკური ანუ გარეშე სჭარბობს და სჩაგრავს ორგანულს“ (წ. 686).

მ. ჯავახიშვილი განმარტავს, რომ ამ გარეშე (ანუ მექანიკურ) გავლენას დიდი ერებიც ვერ გადაურჩნენო და მაგალითად რუსეთი მოჰყავს – უცხო ენიდან შემოსული სიტყვების ხარჯზე როგორ გაიხარდა რუსული ლექსიკური ფონდი... იზრდება ბარბარიზმების რაოდენობაც...

რამდენად სახიფათოა ბარბარიზმების შემოსვლა ენაში? — „თუ ენა ცხოველ-ძალოვანია, დიდი შიში არ უნდა ჰქონდეს ბარბარიზმებისა. ქართულს მრავალი ათასი უცხო სიტყვა ჩაუსრუტავს და თავისებურად გადაუკეთებია, რადგან იგი მორფოლოგიურად სრულქმნილია... ქართული ფონეტიკა და მორფოლოგია თავისებურად ხარშავს ასეთ სიტყვებს და უცხო სუფიქსების ნაცვლად საკუთარს აძლევს. აქ არის ყოველი ჯანსაღი ენის ძალაც და სათავეც“ (წ. 687)...

მ. ჯავახიშვილის ღრმა რწმენით, ქართული ჯანსაღი ენაა! — ამიტომაც იყო, რომ მომხვედური „ერები საუკუნოებით ისხდნენ ჩვენს ოჯახში: მოჰქონდათ და გვამყინდნენ საკუთარ კულტურას, მეურნეობას, ყოფას და ლექსიკასაც. მაგრამ წყალნი მიდიოდნენ და ქვიშანი რჩებოდნენ. ქართულმა ყველას გაუძლო და თითქმის უცვლელად შეინახა თავისი საძირკველი და ხასიათი“ (წ. 687).

მაგრამ ამ კატაკლიზმებმა, მიმდინარე რთულმა მოვლენებმა ქართულ ენას სერიოზული კვალი დაამჩნია, ეს ძირითადად ლექსიკას ეხება: „უცხო კულტურას და აპარატს თან მოაქვს უცხო ტერმინებიც და ახალმა ნიაღვარმაც უმაღლ მოდრიკა ქართული მეტყველება. იმ ხანებში — XIX ს. პირველ ნახევარში — ქართულ ენას ზაფრანის ფერი დაედო, მოიკრუნჩხა, მოდუნდა, თითქო დამბლა დაეცა, თითქო სიკვდილი მოეჩვენაო“ (წ. 688)...

მ. ჯავახიშვილის აზრით, რუსული ენობრივი და ეროვნული პოლიტიკა გაცილებით უფრო მძიმე, მკაცრი და დამლუპველი იყო ქართულისათვის, ვიდრე ისტორიულად განცდილი უცხო ტომთა სხვა შემოტევანი... „მთავარი ხიფათი ბარბარიზმების ზღვამ კი არ მოიტანა, არამედ სხვა რამემ: აიძვრა ქართული სინტაქსი. აიძვრა და მოქნილი, გამჭვირვალე სასაუბრო ენა გაჰყინა. მარტო უცხო სიტყვები ასე ვერ დაასნეულებდნენ ჯანსაღ ენას“ (წ. 688)...

მწერლის მიერ „ჩანაწერებში“ გამოხატული აგრესიული დამოკიდებულება, სიძულვილი და შეურიგებლობა რუსული პოლიტიკისადმი, რუსეთისადმი, რუსი ჩინოვნიკებისადმი (იხ.: გვ. 136 და შმდ.) ამითაც ჩანს გამოწვეული — ქართული ენა ასეთ დღეში რომ ჩააგდეს...

და აქ მ. ჯავახიშვილი ისევ გაიხსენებს XIX ს-ის 50-იან წლებს, მომდევნო პერიოდს; თუ როგორ „პოულობს ახალი ქართული სასაუბრო უნარს, მოქნილობას, გამჭირვალობას, ქართულ სიტყვასა და სინტაქსსაც“... მაგრამ ბარბარიზმების მოძალებასთან გამკლავება მაინც ჭირს... ეს პრობლემა ყველა ენისათვის და, ცხადია, ქართულისთვისაც... „მაგრამ აუცილებელი მაინც აუცილებელია. ერის ზრდას ფეხდაფეხ მოსდევს ენის განვითარებაც. შეუძლებელია მეოცე საუკუნე მათე საუკუნის ენით მეტყველებდეს. სიტყვებიც კვდებიან — ზოგი ადრე, ზოგიც გვიან და მკვდრების ნაცვლად ახლები იბადებიან — ზოგი საკუთარი და ზოგიც უცხო“...

და მწერალი აქ გვთავაზობს საინტერესო დაკვირვებას: „უკვე ვთქვი: კუთხური სიტყვების და ფორმების თავისუფალი შემოშვება ზოგჯერ ანარქიას ჰქმნის და სალიტერატურო ენას ხიფათს უქადის-მეთქი. მაგრამ ეს ხიფათი თითქმის არაფერია შედარებით უცხო სიტყვათა წარღვნასთან; კუთხური ჩვენი ბუნებისა მაინც არის და იმდენად არ ეხამუშება სმენას, როგორც ზოგიერთი უცხო სიტყვა“ (წ. 688)... რა თქმა უნდა, სარწმუნოა მ. ჯავახიშვილის მსჯელობა და სადღეისოდაც საგულისხმო!

აქ მ. ჯავახიშვილი ცდილობს აჩვენოს, რა ვითარებაა; მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონე რა გავლენას ახდენს ენის ლექსიკურ ფონდზე; როგორ იწვევს მოძალებას ბარბარიზმებისა... „აი, ამ ზღვას სჭირდება შერჩევა“ და ამ შერჩევის პრინციპები უნდა შემუშავდესო... და მწერალი გვთავაზობს ოთხ ძირითად პრინციპს, რომლითაც ერმა

უნდა მართოს უცხო სიტყვათა მოძალების ბუნებრივი პროცესი:

„1. უცხო სიტყვა უეჭველად უნდა ითარგმნოს, თუ შესაფერი ქართული სიტყვა მოიპოვება.

2. თუ არ მოგვეპოვება, იგი უნდა მოგონილ იქნეს ნათესაური სიტყვის წარმოებით, და არა აბსტრაქტულად, არა მექანიკურად.

3. დანარჩენ სიტყვებს კარი უნდა გაეხსნას, თუ იგინი ეგუებიან ქართულის ბუნებას, და

4. თუ რომელიმე საერთაშორისო სიტყვა ჩვენი ენის ბუნებას არ ეგუება, სჯობია რომელიმე სხვა ენისგან ვისესხოთ იგი (აბსოლუტურად საერთაშორისო სიტყვები თითქმის არ არსებობს), ვიდრე ქართულის ბუნება ავამღვრიოთ“ (წ. 690).

ცნობილია, რომ მიხეილ ჯავახიშვილი 1920-1930-იან წლებში არსებულ ტერმინოლოგიურ და სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენ კომისიებთან აქტიურად თანამშრომლობდა. არ ვიცით, ეს პრინციპები გაზიარებული იყო თუ არა, და საერთოდ, იმსჯელებს თუ არა მის შესახებ სამეცნიერო წრეებში, მაგრამ მწერალი ავტორიტეტული ფიგურა რომ იყო ქართული სალიტერატურო ენის საკითხებში, ესეც ცნობილია... ზოგჯერ ენობრივ ვარიაციებზე მსჯელობისას ნორმის დადგენის გეზს მ. ჯავახიშვილი წარმართავდა (ამის თაობაზე იხ. აქვე: გვ. 146...).

აქ, ნაშრომის ამ ნაწილში, წარმოდგენილ ანალიზს უცხო სიტყვებისას (რა უნდა ჩაითვალოს ბარბარიზმად და რა — ნასესხებად), როგორც ჩანს, იმ დროისათვის კონკრეტული მიზანი ჰქონდა... შეიძლება დღეისათვის აღარ იყოს აქტუალური, მაგრამ ზოგადი მსჯელობა და დასკვნები დღესაც არ კარგავს მნიშვნელობას. საგულისხმოა ის გამაფრთხილებელი დასკვნაც, რომელიც ვრცელ ანალიზს მოჰყვება: „უცხო სიტყვების შემოღება განსაზღვრულ მიჯნამდე ბუნებრივ მოვლენად

უნდა ჩაითვალოს, მაგრამ შემდეგ, თუ წყარო ნიაღვრად გადაიქცა, ენა წაილეკება და დაღპება. ასეთი რეალური ხიფათი მოელის ქართულსაც, თუ მოვარდნილ ნიაღვარს ეხლავე მტკიცე ჯებირებს არ დავუხვედრებთ“ (წ. 691).

#### 4. სინტაქსი

მ. ჯავახიშვილი ნაშრომში „ახალი სალიტერატურო ქართულის“ შესახებ „სინტაქსს“ ცალკე ნაწილად რომ გამოყოფს, საგულისხმო ფაქტია. ზემოთაც ვნახეთ, მწერალი ძალიან კარგად აცნობიერებს ფონეტიკისა და მორფოლოგიის როლს – უცხო ენობრივი მასალის მოძალების უამს – ქართული ენის ბუნების შენარჩუნების საქმეში... თუმცა სინტაქსის წინა პლანზე წამოწევის შესახებ მსჯელობა კიდევ უფრო ანგარიშგასაწევია...

მწერლისათვის ნაცნობი ჩანს არსებული თვალსაზრისები სინტაქსის თეორიის შესახებ; რა თქმა უნდა, არ აძლევს თავს უფლებას, იდავოს ამ თემაზე, მაგრამ ამ ნაწილის დასაწყისში საჭიროდ მიიჩნევს, განმარტოს: „სამწერლო ენის კონსტრუქცია ანუ სიტყვათა წყობა წინადადებაში – აი ასე მესმის სინტაქსი“ (წ. 691).

მ. ჯავახიშვილი მოიშველიებს გრ. ყიფშიძის მიერ „ოდეს-ღაც“ გამოთქმულ აზრს: „საქმე თვით ბუნებაა ენისა, მისი სული, მისი ბუნებრივი მიმოხვრა, მისი ზოგადი აგებულება; საქმე სიტყვები კი არ არის, საქმე სინტაქსია, ანუ კანონები, რომელსაც ემორჩილება სიცოცხლე ენისა, მისი არსებობა“ და მწერალი დაასკვნის: „სრული სიმართლეა. საქმე მართლა სინტაქსია და არა სიტყვა, და დღევანდელი ქართულიც უმთავრესად სინტაქსურად მახინჯდება, ე. ი. იმსხვრევა ენის ბუნება, სული და ხასიათი“ (წ. 692)...

უდავოდ შთამბეჭდავია მ. ჯავახიშვილის მსჯელობა „კუთხური სინტაქსის“ თაობაზე: „არსებობს ამერულ-იმერული

კილო, დავა ფორმათა და სიტყვათა შორის, მაგრამ არ არსებობს კუთხური სინტაქსი — არც იმერული, ამერული, არც ფშაური, გურული, მეგრული, სვანური ან ხევსურული. ეს მაგალითი ცხადად ამტკიცებს ქართული სინტაქსის მთლიანობას, ე. ი. ქართული ენის ბუნებისა და ხასიათის ერთიგვეობას“ (წ. 692).

მთავარი საფუძველი ამ მსჯელობისა ის არის, რომ „ჩვენი ზეპირსიტყვაობა, ანდაზები, ზღაპრები და უკლებლივ მთელი კლასიკური მწერლობაც ერთნაირ სინტაქსზეა აშენებული და მისი მთავარი თვისება ენის მთავარ თვისებად უნდა ჩაითვალოს“ (წ. 692)...

რა არის ეს თვისება; როგორ უნდა განისაზღვროს და ა. შ. — ეს მსჯელობა შეიძლება ამჯერად არც იყოს მნიშვნელოვანი; ვიტყვით მხოლოდ, რომ მ. ჯავახიშვილი ძირითადად სერგი გორგაძის ნაშრომს ემყარება („ქართული სადასიტყვაობა“, თბ., 1915), მაგრამ ერთი მომენტი საინტერესო: მსჯელობის დამაჯერებლობისათვის, თვალსაჩინოებისათვის მწერალი იღებს წინადადებას „მაღალი კაცი მოდის“; ქმნის წყობის ვარიაციებს; უღარებს რუსულის შესაბამის წინადადებას (Высокий человек идет) და მის ვარიაციებს და საუბრობს ვარიანტთა ბუნებრიობაზე... გამოყოფს **სასაუბრო, ანუ ლირიკულ წყობას** („მაღალი კაცი მოდის“ — ე. ი. როცა შემასმენელი წინადადების ბოლოსაა) და მეორე — **ეპიკურ-დრამატულ წყობას** („მოდის მაღალი კაცი“ — როცა შემასმენელი წინადადების თავშია)... „ვისრამიანის“ მაგალითებსაც უხვად მომიშველიებს **ლირიკულ და ეპიკურ-დრამატულ სტილთა** ნათელსაყოფად და ასეთ დასკვნას გვთავაზობს: „ლოლიკა და სტილი მოითხოვს, რომ საუბარი და ლირიკული ამბავი აწერილი იყოს ლირიკული წყობით, ე. ი. შემასმენელი ბოლოში იყოს მოქცეული, ხოლო დრამატულ-ეპიკური — ეპიკურად, ე. ი. შემასმენელი დასაწყისსა ან შუაში იყოს ხმარებული. მაგრამ

ქართული სინტაქსის მთავარი წესი იმდენად სჭარბობს და მძლავრობს (როცა შემასმენელი წინადადების ბოლოშია – გ.გ.), რომ ომიც კი, უაღრესად დრამატული ამბავი, ლირიკული წყობით არის ხოლმე აწერილი“ (წ. 693) და აქ მოჰყავს ვრცელი ამონარიდი „ვისრამიანიდან“...

ე. ი. დრამატული ამბავი აღწერილია ლირიკული წყობით... ანუ, როგორც მ. ჯავახიშვილი წერს: „ასე დონდლოდ, უსისხლოდ, ლირიკულად ასწერს თმოგველი თითქმის ყველა პათეტიურ-დრამატულ ამბებს და მისი სინტაქსიც ფორმალურად სწორია, არსებით კი დეკადენტურ-მოდუნებულია. ამ მხრივ მოსე ხონელის სტილი უფრო განზომილია და მთლიან-ნი“ (წ. 693).

და იქვე მ. ჯავახიშვილს შესადარებლად მოჰყავს ამონარიდი „ამირან-დარეჯანიანიდან“...

ერთი მხრივ, ჩვეულებრივი, ლირიკული ეპიზოდი (როგორც მ. ჯავახიშვილი ამბობს) და, მეორე მხრივ, ომის ეპიზოდი – ეპიკურ-დრამატული... და გვიჩვენებს, როგორ იცვლება სინტაქსური წყობა, სტილი ვითარებისადა შესაბამისად...

საინტერესოა მაგალითები „ქართლის ცხოვრებიდანაც“...

საუბრობს ფრაზის მელოდიასა და რიტმიკაზეც და მოიბოდიშებს: „ოდნავ გადავციდი თემას და სტილის საკითხებს გადავწვიდი“... მართალია, სინტაქსსა და სტილისტიკას შორის „მიჯნების ჩაყრა მეტად ძნელია, მაგრამ სტილი მაინც დამოუკიდებელი გამოკვლევების თემა“... (წ. 696).

და დასკვნა ამ ნაწილისათვის: „ხაზგასმით ვიმეორებ: საქმე სიტყვები კი არ არის, საქმე სინტაქსია, ანუ კანონები, რომელსაც ემორჩილება ენის სიცოცხლე, მისი არსებობა“ (წ. 696).

და ეს დასკვნა სჭირდება იმისათვის, „ახალი სალიტერატურო ქართულის“ იმჟამინდელი ვითარების ასეთი შეფასება გაკეთდეს: „უკანასკნელ დროს მწერალმა, უურნალისტმა და მეცნიერმა, სამწუხაროდ, უცხო ენის ბუნება შემოიტანა ქარ-

თულ სინტაქსში, მისი ხასიათი დაამახინჯა და სახალხო და სალიტერატურო ენები ერთმანეთს დააშორა. თუ ეს გზა გავრძელდა და გაღრმავდა, ქართულს დაეკარგება ან შესუსტდება მუდმივობა... სინტაქსი ენის გულია და თავდაპირველად მას სჭირია დაცვა და გაწმენდა“ (წ. 696).

### 5. არქაიზმები და ნეოლოგიზმები

ნაშრომის „ახალი სალიტერატურო ქართული სათვის“ მესუთე ნაწილი არის „არქაიზმები და ნეოლოგიზმები“.

„სიტყვასაც აქვს თავის ბედი, იბადება, ცხოვრობს და კვდება. არავინ იცის, რამდენი სიტყვა მოკვდა თუნდაც ამ ერთ საუკუნეში“, (წ. 696) – წერს მ. ჯავახიშვილი და იმის მაგალითად, თუ ჩვენ თვალწინ როგორ დაიხოცნენ ან იხოცებიან სიტყვები, ასახელებს ათიოდე მაგალითს (ალამდარი, ბაზაზი, ბასმა და სხვ.).

იმისათვის, რომ გაეგო, რა ცვლილება განიცადა ქართულმა საუკუნეთა განმავლობაში, მიხეილ ჯავახიშვილს ჩაუტარებია ასეთი ცდა: სამი სხვადასხვა პერიოდის პროზაული ნაწარმოებიდან აულია თითო ფორმის მოცულობის ნაწყვეტი. ეს ნაწარმოებებია: 1. „წამება წმიდისა შუშანიკისა“ (იაკობ ხუცესი, V ს.); 2. „ამირანდარეჯანიანი“ (მოსე ხონელი, XII ს.) და 3. „სიბრძნე სიცრუისა“ (ს.-ს. ორბელიანი, XVIII ს.). ეს ნაწყვეტები წაუკითხავს სამ პირს: თვითონ მ. ჯავახიშვილს, „საკმაოდ განათლებულ საშუალო მკითხველს“ და „წერაკითხვის მცოდნე გლეხს“. ცდის მიზანი იყო, დაენიშნათ, რამდენი სიტყვა იქნებოდა გაუგებარი. შედეგები ასეთი ყოფილა. ვერ გაიგეს:

ავტორი	მ. ჯავახიშვილმა	საშუალომ	გლეხმა	სულ
იაკობ ხუცესი	23 სიტყვა	58 სიტყვა	98 სიტყვა	179
მოსე ხონელი	19 „	41 „	48 „	108
ს.-ს. ორბელიანი	11 „	21 „	48 „	80
სულ	53 „	120 „	194 „	367

მ. ჯავახიშვილი ასკვნის: „1. რამდენადაც ახლოა ეპოქა, იმდენად უფრო გასაგებია მისი ენაც (ისედაც ცხადია).

2. კოეფიციენტი სიტყვების გაგებისა სამნაირ მკითხველს შორის ასეთია: 2 : 5 : 9 (წ. 697)“.

მ. ჯავახიშვილს თავის თავზე და საშუალო მკითხველზე ასეთი ცდაც ჩაუტარებია: აულია 4 ლექსიკონი (7000 სიტყვა-მდე), წაუკითხავთ. მიზანი იყო, დაეთვალათ, რამდენს გაიგებდნენ. შედეგი ასეთი ყოფილა:

	ლექსიკონი	მ. ჯავახიშვილმა გაიგო	მკითხველმა გაიგო
1.	ანთოლოგიის ლექსიკ. ტ. I	35%	3%
2.	ვეფხისტყაოსნის	43%	5%
3.	დასტურლამისა	51%	7%
4.	ს.-ს. ორბელიანისა	66%	17%
	საშუალოდ	49%	8%

კოეფიციენტები ასეთია:	ანთოლოგიისა	–	12	:	1
	ვეფხისტყაოსნისა	–	9	:	1
	დასტურლამისა	–	7	:	1
	ორბელიანისა	–	4	:	1
	საშუალო	–	6	:	1

მ. ჯავახიშვილი წერს: „თვალის ერთი გადავლებით შედეგი სამწუხაროა: მე, მწიგნობარს, უწინდელი ლექსიკონის 1/2 მაქვს დაკარგული, იმ საშუალო მკითხველს კი 9/10-ზე მეტი. მინდოდა ის გლენიც დამესვა და დამეთვალა, მაგრამ ხელი ავიღე: თუ საშუალო მკითხველმა ლექსიკონის 90% დაკარგა, გლენმა შეიძლება 99% ვერ გაიგოს-მეთქი“ (წ. 697);

ლექსიკონებზე ჩატარებული ცდის ეს ნაწილი მწერალს არცთუ საშიშ მონაცემად ეჩვენება, რადგანაც: 1. ლექსიკონებში საგანგებოდ არის შერჩეული დღევანდელი მკითხველისათვის ძნელად გასაგები სიტყვები; 2. მასალა უხვად არის და-

ტვირთული იმდროინდელი სამეცნიერო თუ სხვა სახის ტერ-  
მინოლოგიით, რაც გაგებას ასევე აძნელებს და 3. კონტექ-  
სტის გარეშე ლექსიკონიდან სიტყვათა გაგება ასევე რთუ-  
ლია...

ამ სირთულეების გათვალისწინებით, მ. ჯავახიშვილს  
ცდა „შეუბრუნებია“, ლექსიკონების ნაცვლად შესაფერისი  
ტექსტები წაუკითხავთ. შედეგი ასეთი მიუღიათ: „ტექსტის  
კითხვის დროს ამ სიტყვების უმეტესი ნაწილი სამივეს კარ-  
გად ან დაახლოებით მაინც გვესმოდა“. ამ ფაქტს მ. ჯავახიშ-  
ვილი ასე ხსნის: „პოემის ლექსიკა გენიალურად გამდიდრებუ-  
ლია წარმოებული სიტყვებით, ხოლო სონელის, საბას და სა-  
ერთოდ დანარჩენ პროზაიკოსებს ასეთი ლექსიკა ან არ სჭირ-  
დებოდათ, ან არ ეხერხებათ, ამიტომ ძნელდება ამ პოემის გა-  
გება... შიფრების გახსნა არც იმდენად ადვილი საქმეა“  
(წ. 698).

ამ ექსპერიმენტის სავალალო დასკვნა ის არის, რომ  
„ძველი ლექსიკონი საშუალო მკითხველისათვის თითქმის  
განახვერდა!“

მ. ჯავახიშვილი გრძნობს, რომ ეს ექსპერიმენტი ზედმი-  
წევნით სანდო არ არის, შეიძლება უფრო ფართო მასშტაბით  
ჩატარდეს ცდა და შედეგებიც უფრო სანდო იყოს, მაგრამ  
ფაქტი ფაქტად რჩება: „ზოგ სიტყვას ახალი სიტყვა ჰკლავს,  
ზოგჯერ კი ძველიც კვდება და ახალიც აღარ იბეჭდება. ამი-  
ტომ ცდილობენ ზოგნი ამ სიცალიერის ამოვსებას“. და ამ სი-  
ცარიელის ამოვსების სამ გზას ხედავს მწერალი: „1. ან ძვე-  
ლი უნდა აღვადგინოთ; 2. ან რუსულ-ევროპული მივიღოთ;  
3. ან ახალი მოვიგონოთ“ (წ. 698).

მ. ჯავახიშვილი პრინციპულად სვამს საკითხს: უპირა-  
ტესობა მიეცეს „არსებულს, ოდნავ მიძინებულ“ სიტყვას; მა-  
გალითეზსაც ასახელებს (აზღუდი, ასასი, ბაბთა, ნატი, ქორვა-  
ჭარი და სხვა). წერს: „ასეთი ცოცხალი და საჭირო სიტყვე-

ბი ათასობით შეიძლება ამოვკრიფოთ ლექსიკონებიდან და უფრო მეტად – სოფელ-ქალაქიდან. მაგრამ მას შრომა სჭირდება. ჩვენ კი გატკეპნილი გზებით გვირჩევენია სიარული“ (წ. 699).

ქართული ლექსიკის პრობლემების მოგვარებაში მ. ჯავახიშვილი განსაკუთრებულ მადლიერებას გამოხატავს მეცნიერთა მიმართ და მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება აქვს ლიტერატორებისა და, განსაკუთრებით, ჟურნალისტების მიმართ. მხოლოდ მათი ძალისხმევით შეიძლება მოხდეს „უხვად შემოსული უცხო ელემენტის განდევნა ჩვენი ტვინიდან“...

„საჭიროა მუდამ გვახსოვდეს, რომ შეუძლებელია ჩვენი სათქმელის მიტანა ხალხთან დამახინჯებული სინტაქსით და უფრო ჭარბად დატვირთული, გაუგებარი უცხო სიტყვებით“ (წ. 699)...

მ. ჯავახიშვილს მიაჩნია, რომ „უცხო სიტყვების სიჭარბე მუდამ აშორებს ხალხს წიგნსაც და გაზეთსაც და აზიანებს მეტყველებას... არქაისტული სიტყვა-ფორმები შესაწყნარებელია მხოლოდ მხატვრული სტილიზაციისათვის“... (წ. 699) ... და საბოლოო დასკვნა იმ ნაწილისა, რომელსაც ჰქვია „არქაიზმები და ნეოლოგიზმები“. ეს არის: არქაისტულად წერა დღეს აღარ შეიძლება, თუ მას მხატვრული სტილიზაცია არ მოითხოვს... „...მეტად გვჭირდება ახალი წარმოებული სიტყვები, აშენებული უკვე არსებული სიტყვის ძირზე, და ქართული ენის მუშაკებიც სწორედ ამ გზას უნდა დაადგინენ“... (წ. 701).

## **6. დღევანდელი ქართული**

მრავალ საკითხზე ისაუბრა მწერალმა ნაშრომის წინა ნაწილებში; მრავალი პრობლემა დაგვანახა; სირთულეები წარმოაჩინა; დაძლევის გზებზე პირუთვნელად მიგვანიშნა და მოვედით ბოლო ნაწილთან – ავტორისათვის (და, ცხადია, მკითხველისთვისაც) უმნიშვნელოვანს ნაწილთან – რა ხდება დღეს (ანუ XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს. გავიხსე-

ნოთ, ნაშრომი „ახალი სალიტერატურო ქართულისათვის“ 1928-1929 წლებში გამოქვეყნდა)...

ავტორის მიზანია, აჩვენოს სინამდვილე – ეს იქნება ერთადერთი გზა დედაენის გადარჩენისა, მაგრამ ეპოქის ბუნება და ხასიათი?... მიეყვით მსჯელობას; მოვეუსმინოთ:

„დღევანდელი ქართულიც ზრდისა და გარდატეხის პერიოდს განიცდის, ამიტომ **სწრაფ ზრდას და განვითარებას**, როგორც მუდამ ყველგან და ყველაფერში, ფეხდაფეხ **ნაკლიც მოსდევს**“... (წ. 701).

სათქმელი უნდა ითქვას, მაგრამ წინასწარ „რეჟიმისგან“ თავს იზღვევს: „ნურავინ იფიქრებს, ვითომ ეს ნაკლი და სიგონჯე, რომელსაც ეხლა მოგახსენებთ, თან მოჰყოლოდეს ახალ ეპოქას, დიდ რევოლუციას მოეტანოს...“

ეს სიგონჯე ძველი რეჟიმის შვილია, მისი ნარჩენია“... და იწყება „დალაგება“ იმისა, რა „ნაკლი მოჰყვა“ „ზრდასა და განვითარებას“: ქართულ ლიტერატურულ ენას ქართველი ინტელიგენცია ჰქმნიდა და **ეხლაც იგივე ჰქმნის**, მაგრამ **თუ რამ ირყვება და ლბება**, ესეც უმეტესად მასვე უნდა მიეზღოს. **უფლებაც** მისია და **პასუხისმგებლობაც**“... თითქოს ალოგიკურია: „ძველი რეჟიმის შვილია“ და იქვე – „**ეხლაც იგივე ჰქმნისო**“...

მიხეილ ჯავახიშვილი თავის დღევანდელობაზე საუბრობს; იმ დღევანდელობაზე, ვისი წყალობითაც „ირყვება და ლბება“ ქართული ენა... **უფლებაც** მისი თანადროული ინტელიგენციისაა და **პასუხისმგებლობაც**...

და **ამას მოსდევს** ინტელიგენციის დაუნდობელი დახასიათება: „ამ ინტელიგენციის საკმაოდ დიდი ნაწილი თითქო დაბუნჯდა: ენას უკიდებს, ბორძიკობს, წამებით ეძებს სიტყვას, ძლივს პოულობს, უმაღვე ჰკარგავს და ისევ ეძებს, მუდამ ეძებს.“

მისი (ინტელიგენციის – გ. გ.) ქართული გახმა, მოიკრუნჩხა, დაიხლართა, დამძიმდა. აღარც ძველი ნათელობა შერჩა, არც გამჭვირვალება, არც მკაფიობა და მოქნილება. რაც ხუთი სიტყვით ითქმის, ათიც ძლივსლა ჰყოფნის“ (წ. 701)... ასეთია ის ინტელიგენცია, რომელიც მ. ჯავახიშვილის დროინდელი საქართველოს ბედს განაგებს...

მეტყველება და აზროვნება რომ ურთიერთკავშირში არის, ეს დიდი ხანია იციან მეცნიერებმა და მ. ჯავახიშვილიც ასკვნის: „ამღვრეული და ბნელი მეტყველება ამღვრეულივე აზროვნების ნიშანია. აზრი სიტყვას ეძებს და, რომ ვერ პოულობს, უძალოდ ფართხალებს და მახინჯდება“ (წ. 701).

ჩვენნაირი ისტორიის მქონე ერს, ჩვენი ბუნების ხალხს, ჩვენი ენის პატრონს ეს ვითარება თითქოს არ უნდა შეჰქმნოდა, მაგრამ...: „მრავალ ერთან შედარებით ჩვენ ბედნიერები ვართ: ერთი მხრით, ჩვენი სალიტერატურო და სახალხო ენები ერთი და იგივეა, ხოლო, მეორე მხრით, დღევანდელი და იაკობ ხუცესის ქართულიც ბევრით არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგრამ ხალხის ერთ ნაწილს ქართული მეტყველების ეს განუწყვეტელი ჯაჭვიც ვერა შველის. მისთვის იგი დაწყდა, დაიფლითა, მან თითქოს ვეღარ ზიდა სამემკვიდრო განძი და ხელიდან დააგდო. ამ საყვედურს უმეტესად ლიტერატორების, მეცნიერებისა და ჟურნალისტების ერთ ნაწილს ვუგზავნით“ (წ. 701)...

მძიმე სურათია და მკაცრი განაჩენი...

არ იცის მ. ჯავახიშვილმა ზერეღე საუბარი, უარგუმენტო მსჯელობა და ამ შეფასებას ლიტერატურიდან მოხმობილ მაგალითებს მოაყოლებს (გვ. 702-710), ავტორის დაუსახელებლად – ესეც ნიშანდობლივია: ეს არ არის კერძო ჭირი... ეს საზოგადო ჭირია... ათიოდე გვერდს იჭერს „დამახინჯებული ქართულის“ (როგორც თავად უწოდებს) მაგალითები; სხვადასხვა სახისა, სხვადასხვა ტიპისა; ორიგინალური თუ

ნათარგმნი ლიტერატურიდან; საგაზეთო პუბლიკაციებიდან...  
შეცდომათა კლასიფიკაციას, მწერლის მიერ დასმულ პრობლე-  
მურ საკითხთა დალაგებასა და ანალიზს VI თავში შემოგთა-  
ვაზებთ; აქ მ. ჯავახიშვილისეულ ზოგად დასკვნას წარმოვად-  
გენ — მაგალითების დასახელებას რომ უსწრებს წინ:

„დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: ამათ არც თავიანთი  
ენა იციან, არც სხვისი, ან სხვისი საკუთარზე უკეთ იციან.  
ქართულის უმეცარნი ქართულსაც აწვალევენ, თვითონაც წვა-  
ლობენ და მკითხველსაც ამახინჯებენ. მათი ნაწერების მიხედ-  
ვით ჩვენს ენასაც თითქო ალჟირულის ბედი მოეღის: უმზგავ-  
სი ნაზავია არაბულის, ებრაულის, ფრანგულის, მალტურისა  
და საბირულის“ (წ. 701).

მაგალითების მოყვანისას ერთგან შენიშნავს: „მეტად სა-  
გულისხმოა, რომ ამავე ავტორების ორიგინალური ნაწერის  
ქართული ათჯერ სჯობია ნათარგმნს... ეს ცხადად ადასტუ-  
რებს, რომ ქართულს უმთავრესად თარგმანი რყვნის — წიგნი-  
დან გადმოთარგმნილიც და უცხო ენაზე მოაზრებულ-გადმო-  
ქართულბულიც“ (წ. 706)...

მაგალითების დასახელებისას მ. ჯავახიშვილი ზოგჯერ  
აღშფოთებული შესძახებს — „ამის ავტორი ლიტერატორად  
ითვლება!“ „აი, სად აქვს სათავე ასეთ სიმახინჯეს“... ეს გზა  
„ენის სრულ დაგონჯებისა და გალატაკებისაკენ მიდის“...

ჰოდა, ამ სავალალო მაგალითების მოყვანის შემდეგ  
იწყება შემაჯამებელი მსჯელობა ამ ნაწილისა და, შეიძლება  
ითქვას, მთელი ნარკვევისა... დიახ, იმისა, რისთვისაც იწერება  
ეს ვრცელი ნაშრომი („ახალი სალიტერატურო ქართულისა-  
თვის“)...

აი, მ. ჯავახიშვილის ზოგადი შეფასება: „ასე სწერდა  
მრავალი ლიტერატორი, ჟურნალისტი, სახელმძღვანელოს ავ-  
ტორი და ამ ენაზე იზრდება ჩვენი მომდევნო თაობაც. უსა-  
ზღვრო ყოფილა მოთმინება ქართველი მკითხველისა და ხე-

ლისუფლებისაც. ვკითხულობთ, ვითმენტ და... ვინელებთ. დროა, ამაზედაც ვიზრუნოთ და ვიკითხოთ: აქვთ თუ არა ასეთი ქართულის ავტორებს უფლება ლიტერატორის სახელი დაირქვან? პასუხიც ცხადია: არასოდეს!“ (წ. 710).

მკაცრია მიხეილ ჯავახიშვილი და, რაც მთავარია, სამართლიანი: „უმეცარს, უდიპლომო ექიმს და მკითხავს აკრძალული აქვთ ხალხის სხეულის მოწამვლა. დროა უმეცარ მწერლებსაც ავაღებინოთ ხელი ხალხის მეტყველების მოწამვლაზე“ (წ. 710). მეტიც: დაუნდობელია, როცა ამბობს: „ზოგი ავტორი თვითონაც დამპალია და სხვასაც ალპობსო“ (წ. 711).

როცა ამგვარ შეფასებას ისმენ, ილია ჭავჭავაძისეული ნატვრის გამეორება მოგესურვება კაცს: „ნეტავი ორიოდე კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთიანად ასწეროს და დაგვანახოს... აბა, ის იქნება ნამდვილი საქებარი მამულის – მოყვარე... ბოროტების ღვიარება ნახევარი გასწორებაა!“... არაა შემთხვევითი, რომ მიხეილ ჯავახიშვილს ილია ჭავჭავაძის იდეურ მემკვიდრედ მიიჩნევენ...

იმდენად დიდაა შემოფოთება და აღშოფოთება მწერლისა, რომ ზოგჯერ გეჩვენება, თითქოს შეფასება გადაჭარბებულია: „ჩვენს თვალწინ, ჩვენს სულსა და შეგნებაში, ნებისთ თუ უნებურად, დიდი ცვლილება ხდება: „ერთი კვდება, მეორე იბადება, იცვლება ქართული ენა, სიტყვა, ფონეტიკა, სიტყვის წყობა ლექსიკა, მეტყველება, სტილი და ქართულის ბუნებაც“ (წ. 710)... „ვინც თავის ენაზე თვლასაც კი გადაეჩვია, მას ენის გარყვნის ხიფათი ოჯახში ჩაუსახლდა“ (იქვე)...

და საიმედო შენიშვნაც: „ზემოთ ვთქვი: ენას ინტელიგენცია ჰქმნის მეთქი. ახლა კი დაუშაბტებ: ყოველი გლეხი და მუშათა უმრავლესობაც ათჯერ უკეთეს ქართულს ლაპარაკობს, ვიდრე ზემოხსენებული ქართულის ავტორები. გლეხი უმთავრესს – სინტაქსს მაინც წაურყვნელად ინახავს“ (წ. 711).

მ. ჯავახიშვილი ძირითადად ცდილობს ახალი თაობის ყურადღების მიპყრობას. საუბრობს ბოლო ათი წლის განმავლობაში მომხდარ სასიკეთო ცვლილებაზე — ფაქტობრივ ქართული ენის გადარჩენის საქმეში თბილისის უნივერსიტეტის როლზე — მიანიშნებს: „რაც ათიოდე წელიწადში ჩვენმა მეცნიერებამ გააკეთა ქართული ენისათვის, უწინდელის რამდენიმე საუკუნის ნაშრომს უდრის“ (წ. 712)... ეს წინაპირობაა იმისა, რომ დედაენას რიგიანი პატრონი გაუჩნდეს... პირობა კი არსებობს, მაგრამ? — „მაგრამ ეხლა რაღა ეთქმის იმ თაობას და ნამეტნავად ახალგაზრდობას? ვიღა უშლის ხელს დედა ენა ისწავლონ და ზემოთ მოტანილი ნაკვით აღარ აგვივსონ თავი? არავინ და არაფერი, გარდა საკუთარი ზანტობის და მოღუნებისა“.

უნივერსიტეტი ვახსენეთ. ორიოდე სიტყვას ვიტყვით ამ ტაძრისადმი მ. ჯავახიშვილის დამოკიდებულებაზე:

„ჩანაწერებში“ ვკითხულობთ: „ილია ჭავჭავაძე მუხა იყო უდაბნოში ამოსული (დღეს ივ. ჯავახიშვილი), გარშემო ბუჩქნარი ერტყა. მუხნარად გადააქცია“ (ჩ. 321)... ივანე ჯავახიშვილი მე-20 საუკუნის ილია ჭავჭავაძეა — მწერლის აზრით... როცა ივანე ჯავახიშვილი რექტორობიდან გადააყენეს და მის ნაცვლად თედო ღლონტი დანიშნეს, მ. ჯავახიშვილს უბის წიგნაკში ჩაუწერია: „1921 წ. თედო ღლონტი სტუდენტად არ მიიღეს, რადგან სწავლის სტაჟი არ ჰქონდა (სამოქ. სკოლა)“, დღეს კი, 22/VI რექტორად აირჩიეს“ (ჩ. 124).

დიდად ეიმედება მ. ჯავახიშვილს თბილისი უნივერსიტეტი, თუმცა გულს უკლავს მიმდინარე პროცესები (ი. ჯავახიშვილს თ. ღლონტით რომ ცვლიან) და ამფოთებს ახალგაზრდობის ცოდნა ქართული ენისა...

ნაშრომში „ახალი სალიტერატურო ქართულისათვის“, როცა ახალ თაობაზე გააკეთა კომენტარი, სქოლიოში (წ. 712) საკმაოდ ვრცლად ისაუბრა სტუდენტების გამოცდების შედე-

გებზე და სტუდენტთა ცოდნის დონეზე (ქართულ ენას ვგულისხმობ). უნივერსიტეტის იმჟამინდელ რექტორს, მ. ტოროშელიძეს, დაუჩივლია („კომუნისტი“, №216, 1928), „ახალგაზრდები განსაკუთრებით სუსტი აღმოჩნდნენ მათემატიკასა და ქართულ ენაში. გამოცდამ ქართულ ენაში გვიჩვენა, რომ ახალგაზრდობის საერთო განვითარება დაბალია. ახალგაზრდობის დიდ ნაწილს არა თუ არ შესწევს უნარი ლოდიკური თანდათანობით განავითაროს მოცემული თემის დედააზრი, არამედ არ ეხერხება დაიცვას ეთიმოლოგიის და სინტაქსის ელემენტარული წესები“...

ამ ინფორმაციის კომენტირებისას მ. ჯავახიშვილი დანაწევრებით საუბრობს იმის თაობაზე, რომ „ახალგაზრდობის საერთო განვითარება და გონების ძალა უწინდელზე უფრო დაბალია“, რომ „ახალი თაობის ქართულიც ვერ შეედრება უწინდელ სემინარიელებისა და ორიოდ სათავადაზნაურო გიმნაზიების ქართულს“... რომ იქ ქართულს „ხეირიანად ასწავლიდნენ“... მაგრამ არა ყველა სასწავლებელში... ახალ თაობას მეტი საფუძველი აქვს, იცოდეს კარგი ქართული, რადგან მას რუსულის სწავლება ხელს არ უშლის დედაენის სწავლაში („სხვა ენები თითქმის არ იცისო“), მაგრამ...: „ჩემმა დაკვირვებამ მაჩვენა, რომ ახალგაზრდობის დიდი უმეტესობა კუთხური კილოკავით სწერს და საუბრობს“. და მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდობამ რუსული არც იცის, „მათი ნაწერი სავსეა რუსულით და პროვინციალური და მეტად სუსტია ლოდიკის ძალისა და ქართული სინტაქსის მხრივ“ (წ. 712).

\* \* \*

არსებულ ტრადიციებზე დაყრდნობით, მიხეილ ჯავახიშვილი ასეთ კანონზომიერებას ადგენს, ქართული ენობრივი რეალობის ასეთ შეფასებას ახდენს:

„ენის ავტორად უმეტესად ხალხურზე დაბჯენილი ლიტერატორი გამოდის“; რომ „ენას ის ჰქმნის, ვისაც თანახმად მოეპოვება ნიჭიც, ცოდნაც და დიდი შრომის უნარიც. ასეთი ტრიადა აღმოაჩნდათ ილიას და აკაკის და ახალი ქართულიც მათ შეჰქმნეს“ (კიდევ ერთხელ შევნიშნავთ გულდაწყვეტით, რომ იაკობ გოგებაშვილის როლს ვერ ხედავს მ. ჯავახიშვილი...).

„მეცნიერი კი უფრო იკვლევს და აკანონებს მწერალთა მონაპოვარს“...

**მწერალი ქმნის... მეცნიერი აკანონებს და...**

„მკითხველი კი უფრო **ჟურნალისტის** ენით საუბრობს. გაზეთის ენის გავლენა ასჯერ სჭარბობს წიგნისას“...

ეს საველალოა: გამოდის, რომ გადამწყვეტი ძალა გაზეთის ენას აქვს: „**გაზეთი ყოველდღიური საუბრით ადვილად შლის მკითხველის გონებაში დაწმენდილ სალიტერატურო ენას და საკუთარს აბატონებს**“ (წ. 713). ერთგან განმარტავდა მწერალი, რომ საგაზეთო მუშაობის სპეციფიკა (ოპერატიულობა, ნაჩქარეობა...) არ აძლევს საშუალებას გაზეთის მუშაკებს ჩაღრმავებული მუშაობისას, მაგრამ ეს არ არის გამართლებული... ზარალდება ქართული ენა!...

ერთ-ერთ წერილში მ. ჯავახიშვილი თეატრის ენას აკრიტიკებდა და მიანიშნებდა, რა ზიანის მოტანა შეეძლო ამას ქართული ენისა და ქართველი საზოგადოებისათვის... გაზეთი და თეატრი — აი, ორი საშუალება ქართული სალიტერატურო ენის პოპულარიზაციის... იმ დროისათვის მათი როლი განუსაზღვრელია...

ეს შეგონებანი მიხეილ ჯავახიშვილისა ღირსსაცნობია დღესაც: მოძრავლებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი (პრესა, რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი) ძალიან დიდი საფრთხის შემცველია ქართული სალიტერატურო ენის სიწ-

მინდის დაცვისათვის... ამაზე სერიოზული დაფიქრება გვმართებს...

\* \* \*

სურვილმა მართლის თქმისა, სურვილმა ავის მხილებისა, ნაკლის გამოაშკარავებისა, როგორც ჩანს, ვრცელი ნაშრომის ბოლოს მწერალი დააფიქრა იმაზე, რომ მკითხველს შეიძლება სპეკტიკური განწყობა დაუფლებოდა; გული გასტეხოდა თანამედროვეობაზე, ამიტომ საუბარს იმედიანი დასასრულისკენ წაიყვანს... დედაენისადმი ინტერესის გასაღვიძებლად და ღრმა პატივისცემის ჩასანერგად უცხოელებს მოიშველიებს... უცხოს, რადგან ქართველები „ზოგჯერ უცხოს უფრო უჯერებენ, ვიდრე შინაურს“...

და იმის დასტურად, რომ ქართული უმდიდრესი და უდიდესი ენაა, ჩვენი ეროვნული სიამაყის მთავარი ქვაკუთხედი, რაც ჩვენი მამულიშვილები მოვალეობის მთავარი საზრუნავი უნდა იყოს, ნიკო მარის ვრცელ ამონარიდს მოიყვანს:

„ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რა გინდა რა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე რუსეთის ან დასავლეთ ევროპის, რომ არა თუ ქართულმა სავსებით ვერ გამოითქვას, მხატვრობით ყალიბში ვერ ჩამოასხას. ქართული ენა, მეტადრე ცოცხალი ქართული ენა, უფრო მხატვრულად ხორცს ასხამს ყოველ აზრს და არა დახსნილ-დაქსასულათ აგვიწერს და არა ზოგად ცნობიერზე მხოლოდ გადაიღებს საჭირო აზრს... ასე მდიდარია ქართული, შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით მსოფლიურია... ქართული ენა უფსკრულია, მისი ამოწურვა შეუძლებელია თვით უნივერსიტეტში, სადაც ვრცელი, მეტი თუ არ ვსთქვით, პროგრამა“ (დამოწმება... იხ.: წ. 714)...

მწერალი დარწმუნებულია: „ამჟამად ჩვენი ენაც სდულს და ჯერ არავინ იცის, როდის გათავდება ეს დულილი, ან რო-

გორ ჩამოყალიბდება ახალთახალი ქართული. ერთი რამეა მაინც ცხადი: შერჩევის კანონი მაინც თავისას გაიტანს და ხვალინდელი ქართული გუშინდელზე და დღევანდელზედაც უფრო მდიდარი და მტკიცე უნდა გამოდგეს“ (წ. 715).

დაბოლოს, მიხეილ ჯავახიშვილი ისევ კლასიკოსს გაიხსენებს:

„ამბობენ:

რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს.

ასეთივე სიმართლე იქნება შეტრიალებული სტრიქონიც:

რა ერი წახდეს, ენაც დაეცეს.

ჩვენ კი ვიტყვით მტკიცედ და გადაჭრით: არც ერი წახდება, არც ენა დაეცემა. მაგრამ სიფათი მაინც არსებობს და დამრღვევი ძალაც მუშაობს. მისი მოდუნება და მოსპობა კი ჩვენი კულტურის გაძლიერებით შეიძლება“ (წ. 717).

და საყოველთაო მოწოდება:

„ენა ერთი ბურჯთავანია ამ კულტურის, მაგრამ მართო მწერალსა და მეცნიერს არ შეუძლიათ მისი შენახვა და გამდიდრება. ეს უღელი და განძი მთელი ხალხის საზიდავია. ამიტომაც ყოველი შეგნებული მოქალაქე მოვალეა, თავისი ენა კულტად გადააქციოს და მისი ცოდნა-შესწავლა უპირველეს ვალად გაიხადოს!“ (წ. 718).

\* \* \*

დაბოლოს, ჩვენში მოკრძალებული აზრი:

იაკობ გოგებაშვილის კლასიკური ნაშრომის — „ბურჯი ეროვნებისას“ — შემდეგ ჩვენს ლიტერატურაში დედაენის შესახებ ასეთი მასშტაბური ნაშრომი არ შექმნილა!... მიხეილ ჯავახიშვილის „ახალი სალიტერატურო ქართულისათვის“ სადღეისო (და სახვალეოც!) სახელმძღვანელო უნდა გახდეს ყოველი ჭეშმარიტი ქართულისმოყვარულისთვის...

1930 წელს მიხეილ ჯავახიშვილს „უბის წიგნაკში“ ჩაუწერია: „მე ჯერ არ მითქვამს ჩემი სათქმელი, ნაადრევია ჩემი სიკვდილი“ (ჩ. 242)...

საფიქრებელია, მწერალი აქ ქართული ენის შესახებ მის ნაფიქრალსა და ნააზრევსაც გულისხმობდა... თითქოსდა ნაშრომში „ახალი სალიტერატურო ქართულისათვის“ ბევრი რამ ითქვა; მრავალი პრობლემა დაგვანახა; გადაჭრის გზებიც მიანიშნა და მაინც:

ისევ იწერება წერილები ქართული ენის შესახებ... ისევ ამხელს სამხილებელს, გმობს დასაგმობს და წარმოაჩენს საქებას...

რამდენიმე წერილზე ვისაუბრებთ, „მთავარი ნაშრომის“ გამოქვეყნების შემდეგ რომ დაიწერა.

\* \* \*

მწერლის არჩევა შემოგვინახა 1932 წლით დასათაურებული წერილი „დამახინჯებული ქართულის ნიმუშები“, რომელიც პირველად დაიბეჭდა წიგნში „წერილები“.

მ. ჯავახიშვილი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ ენა ცვალებადი ფენომენია; რომ ამ ცვალებადობას აქვს საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ სოციალური საფუძველი... ისევ მოჰყავს ალჟირული ენის მაგალითი და გაგვახსენებს, რომ „ამგვარ ენაზე ვერავითარ აზროვნებას, ვერავითარ კულტურას ვერ შეჰქმნიან. მეტყველება მკვდარია და ერიც, როგორც კულტურული კატეგორია, აღარ არსებობს (წ. 735).

მწერალი კიდევ ერთხელ იმეორებს (და არაერთგზის) ორბელიანისეულ შეგონებას („რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“)

და თავისეულ ვარიაციას ამ ჭეშმარიტებისა („რა ერი წახდეს, ენაც დაეცეს“)...

მ. ჯავახიშვილი თვლის, რომ მხოლოდ „დამახინჯებული ქართულის“ მაგალითების მოყვანა, მხოლოდ მხილება საქმეს ვერ უშველის; თუ ქართულად მოლაპარაკემ არ გაიაზრა არსი დედაენის ბუნებისა, თუ როგორია ცვლილებების კანონზომიერება (და აუცილებლობაც), რა შეიძლება დაექვემდებაროს ცვლილებას და რა — არა, ქართულ ენას არ ეშველება... „თუ ენის ბუნება დაგონჯდა, მას ველარავითარი ახალი სიტყვა და თვით ლექსიკონის გამდიდრებაც ვერ უშველის. მაშინ ენა ჰკარგავს სინათლეს, მარტივობას, გამჭვირვალობას, მოქნილობას. იგი ბინდდება, იგრაგნება, იკრუნჩხება. ივსება კუხებით, კორძებით, ნავით და რთულ აზროვნებისათვის და თავისუფალ საუბრისთვისაც გამოუსადეგარი ხდება“ (წ. 736)... ანდა: „დღევანდელ ქართულს ზოგჯერ ბინდი ახლავს, მაგალითი იმდენი დამიგროვდა“... (წ. 737)...

და ვრცელი სია „მახინჯი ქართულისა“... არც ამ შემთხვევაში უთითებს ავტორს და წყაროს; ესეც საგულისხმო ფაქტია: როცა ავტორი არის ამგვარ შემთხვევაში მითითებული, სხვა ნაკლებად აქცევს ყურადღებას — მე არ მეხებაო... ამგვარად წარმოდგენილი მასალა მიზანს უფრო აღწევს!...

წერილის ბოლოს მწერალი წარწერების თემას ეხება ისევ: „მალაზიების და დაწესებულებათა წარწერებმა ხომ აბუჩად აიგდეს ქართული და ეროვნულ ენისაგან მხოლოდ ქართული ასოებიღა დაგვიტოვეს“ (წ. 740)... და მაგალითები; ძირითადად, რა თქმა უნდა, რუსული...

და მკაცრი დასკვნა: „სჯობია ქართული წარწერა სულ არ იყოს, ვიდრე ჩვენი ენა ასე ამკარად გაითელოს“ (წ. 740)...

როგორც ჩანს, ეს ჩვენი ენის მუდმივი სატკივარია ბოლო ასწლეულებში... მძიმე მოსასმენია, რაც თქვა და როგორ

სადღესოდ ჟღერს... ან თუნდაც ეს: „ამ დღეებში პატივცემულმა ფ. მახარაძემ ამგვარ მოვლენას მავნებლობა უწოდა და სუსხიან ზომების მიღებას დაგვიპირდა“ (წ. 740)... მერე რა, ჩვენთვისაც ძალიან ნაცნობია ამგვარი დაპირებები...

XX ს-ის ოციან წლებში გამოიკვეთა აზრი, მოწვეული ყოფილიყო ენათმეცნიერთა კონფერენცია, რომელიც საჭირობო-როტო საკითხებს განიხილავდა და პრობლემას მოაგვარებდა... მ. ჯავახიშვილი არ იზიარებს ამ აზრს, ნაადრევად მიიჩნევს ამგვარი კონფერენციის მოწვევას, მაგრამ სასწრაფო და აუცილებელ საქმედ მიაჩნია ნორმატიული გრამატიკის შემუშავება, რომ „ქართულ ენას მომავალი გაუჩნდეს“ (წ. 741)...

სამწუხაროდ, მ. ჯავახიშვილის ეს წერილი არ დაბეჭდილა... მიზეზი უცნობია...

\* \* \*

1934 წელს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა მ. ჯავახიშვილის წერილი „სალიტერატურო ქართულისათვის“ (1934, 20 აპრილი, № 99). (ქეთევან ჯავახიშვილის ცნობით, ამ წერილზე მ. ჯავახიშვილს მიუწერია: „დასაწყისი და დასასრული გ. მუშიშვილმა დამიმახინჯა“ — ქ. 1991, 219).

ეს წერილი, ერთი მხრივ, გამოხმაურებაა იმ პოლემიკაზე, მაქსიმ გორკიმ რომ წამოიწყო რუსული ენის შესახებ და, მეორე მხრივ, ამ დისკუსიის მაგალითზე ქართული სალიტერატურო ენის პრობლემების განხილვის მცდელობა.

რუსულ პრესაში „კამათის დედადერძი ის არის, რომ ზოგმა მწერალმა ახალ სალიტერატურო რუსულში თავის კუთხური კილოკავი შეიტანა და სალიტერატურო ლექსიკონი აამღვრია“ (წ. 789).

მ. ჯავახიშვილის სადარდებელი ის არის, რომ „ამ მხრივ ქართული სალიტერატურო ენა რუსულზე უფრო მეტად აირია“ და მწერალი ისევ აკეთებს აქცენტს იმ ფაქტზე.

რომ „ენის შემუშავებაში ერთ რომელიმე გაზეთს ათჯერ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მთელს მხატვრულ ლიტერატურას“, მაგრამ პასუხისმგებლობა ერისა და ენის წინაშე მწერალს მეტი აკისრია: „მწერალს ათჯერ უფრო მეტი მოეთხოვება, ვინემ გაზეთს“ (წ. 789) და იქვე განმარტავს, თუ რატომ: „დაუდევრობა არავის არ ეპატიება, მაგრამ ყველამ იცის, რომ გაზეთის თანამშრომელი დროს ჩარჩოშია ჩაჭედული და უნებურად ჩქარობს. მწერალს კი საკმაოდრო აქვს და ამიტომ მოვალეა თავის ნამუშევარი ენის მხრივ უნაკლოდ შეასრულოს“ (წ. 789).

და ეს ზოგადი მსჯელობა მ. ჯავახიშვილს სჭირდება იმისათვის, რომ პირდაპირ, ყოველგვარი შეფარვის გარეშე გაცხადოს მიზეზიც და მიზანიც ამ წერილის დაწერისა:

„ტიციან ტაბიძის ქართული დაუდევრობის საუკეთესო ნიმუშებს იძლევა. მის პროზაში (ლექსებს თავს ვანებებ) ასეთ სიგონჯეს წავაწყდით“ (წ. 789) და იწყება ვრცელი ნუსხა მაგალითებისა მ. ჯავახიშვილისეული კომენტარებითურთ. მაგალითები სხვადასხვა ტიპისაა... საკმაოდ მძიმე და დამაჯერებელი საუბარია... ამ „სიგონჯის“ ნუსხა სამ გვერდზეა გაშლილი (წ. 789-791)...

დაბოლოს, წერილის ავტორის შეძახილი...

„კმარა. ეს ნიმუშები ქართული ენის დაგონჯებისა ტ. ტაბიძის ნარკვევებიდან ამოვკრიფე, ზოგიც უწინ დაბეჭდილ მოთხრობაში („ამორძალები“) ვიპოვე. ყველა შეცდომა რომ დამესახელებინა, ეს წერილი იმ წიგნის ოდენა გამოვიდოდა“ (წ. 791).

ეს არის მ. ჯავახიშვილის პუბლიცისტიკაში ერთადერთი შემთხვევა, როცა წერილი ერთი ავტორის „გონჯი“ ქართულის გამო იწერება... ძალიან მკაცრია მ. ჯავახიშვილი... სიმკაცრე არც ადრე აკლდა, მაგრამ მისამართებს არ აზუსტებდა ასე...

გრძნობს ამას მწერალი და ამიტომაც აკონკრეტებს სათქმელს: „შეცდომის მხილება მხოლოდ გულნამცევას ეწყინე-

ბა. თვითკრიტიკის ხანაში ამპარტავნობა და ყოყონობა არავის არ არგებს. დროა, ჩვენზე მეოხებით აღრეული ენა ჩვენვე გავცხრილოთ და გავასუფთაოთ“ (წ. 791)...

ასეთი მკვეთრი გამოსვლის შემდეგ საჭიროდ მიიჩნევს, წერილს „მინაწერიც“ გაუკეთოს... ისევე განმარტება: „ამიერიდან არავის არ უნდა მოვერიდოთ და ენის დაგონჯებისათვის პასუხი მოვთხოვოთ“ (წ. 791) და საუბრობს გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილ აკაკი ჭყონიას წერილზე, რომელშიც მ. ჯავახიშვილის ენაცაა გაკრიტიკებული... „არსენა მარაბდელიდან“ ორიოდ შეცდომაა დასახელებულიო და... ცდილობს ამ „შენიშვნის“ გაბათილებას (მაინც გულს მოხვდა, ეტყობა!)... (არადა, ტ. ტაბიძესთან მ. ჯავახიშვილი პიროვნულად მეგობრობდა. ამის შესახებ ვწერდით ზემოთ. იხ. გვ. 26-27).

როგორც ვთქვით, ამ წერილის („სალიტერატურო ქართულისათვის“) მიზანი ტიციან ტაბიძის ქართულის კრიტიკა... თანაც მოურიდებელი...

არ ჩანს შემთხვევითი: ეტყობა, მ. ჯავახიშვილს „ყანწელებთან“ რთული ურთიერთობა ჰქონდა...

ამის შესახებ უკვე ვწერდით (იხ.: გვ. 30-31)... ერთ ჩანაწერს აქაც მოვიხმობ: „კარგ პროზაიკოსს თავდაპირველად ჭკუა სჭირდება — სთქვა პაოლო იაშვილმა. მე ვუპასუხე: — ალბათ მაგიტომ არ ჰყავთ ყანწელებს პროზაიკოსები“ (წ. 287). — 1931-33 წლების ჩანაწერი.

წერილი „სალიტერატურო ქართულისათვის“ 1934 წელს იწერება...

\* \* \*

ზემოთაც ითქვა, რუსულ პრესაში დისკუსია გაიშალა რუსული სალიტერატურო ენის სიწმინდის საკითხებზე. მაქსიმ გორკიმ წამოიწყო ეს დისკუსია; რომელმაც იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, ლაშქრობადაც კი იწოდებოდა. ამის თაობაზე

მ. ჯავახიშვილი წინა წერილშიც წერდა, თუმცა ის წერილი უფრო სხვა მიზანს ისახავდა – ტიცთან ტაბიძის ქართულის კრიტიკას...

ამიტომაც მწერალი 1934 წლის სექტემბერში აქვეყნებს წერილს „სასარგებლო ლაშქრობა“ („სალიტერატურო გაზეთი“. 6 სექტემბერი, №13). დიახ, ეს იყო ლაშქრობა რუსული სალიტერატურო ენის პრობლემების მოგვარებისათვის; კერძოდ, შეეჩერებინათ სალიტერატურო ენაში პროვინციალური სიტყვების ნაკადი... მ. ჯავახიშვილი ხაზგასმით მიანიშნებს იმის თაობაზე, რომ „ერთობლივი სალიტერატურო ენის მხრივ რუსულსა და ქართულს შორის დიდი სხვაობა არსებობს. ერთ საუკუნეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ქართული ენა ახალ კალაპოტში გადადიოდა და ამიტომ თანდათან იმღვრეოდა და იკრუნჩხებოდა, ხოლო რუსული ამავე დროს იწმინდებოდა და მდიდრდებოდა“ (წ. 803).

მწერალი, ერთი მხრივ, ცდილობს, ქართული ენის პრობლემები მიაბას, მიაყოლოს რუსული ენის პრობლემებს და ამით გაიადვილოს ამ პრობლემების მოგვარება და, მეორე მხრივ, ცდილობს აჩვენოს ქართული ენის წინაშე მდგომი პრობლემების სიმწვავე რუსულთან შედარებით... ფაქტობრივ, ეს მინიშნებაა იმაზე, რომ ქართულის პრობლემების შექმნაში რუსულ ენას და, საერთოდ, რუსულ ენობრივ პოლიტიკას უდევს წილი... „მთავარ ნაშრომში“ დასმული საკითხებიც გავახსენა (ანტონ კათალიკოსი, ილია და მისი თაობა...), და ყოველივე ამის შესხენების შემდეგ, დაასკვნის: „ქართული ენის აღრევაში ყველამ დაიღო წილი: მწერალმა, ჟურნალისტმა, მეცნიერმაც, საბჭოთა მოსამსახურემაც და სახელმძღვანელოს ავტორმა“ (წ. 803).

თითქოს ეს ყოველივე კარგადაა ნაცნობი... არაერთგზის თქმულა ამის თაობაზე, მაგრამ წამსდარი საქმე ნელი ტემპით სწორდება... ვერიდებით ერთმანეთის მხილვას, თვალს ვხუ-

ჭავთ ენისადმი მტრულ დამოკიდებულებაზე... აი, ეს დალუჰავს ქართულ ენას, რადგანაც: „ერთმანეთის დანდობას და ზედმეტ თავაზიანობას ვნების მეტი არა მოაქვს რა. არც მე ვინდობ და ნურც მე დამინდობენ“ (წ. 804)...

მ. ჯავახიშვილი ილია ჭავჭავაძეს რომ ხშირად მოიხსენიებს, ცხადია, იმ დამოკიდებულებას გულისხმობს, ილია რომ იჩენდა ქართული ენისადმი უდიერი მოპყრობის გამო; გავიხსენოთ: „ჩვენ ყველანი ქართული ენის ხმარებაში ცოდვილნი ვართ და ჩვეულება ურთიერთის ცოდვების ჩვენებისა არ იქნება მომატებული. მაშ, როგორ უნდა გავსწორდეთ, თუ ჩვენი სიმრუდე არ გვეცოდინება?“...

ისიც იცის ილია ჭავჭავაძემ, რომ „ბოროტების ღვიარება ნახევარი გასწორებაა“ და იცის ეს მიხეილ ჯავახიშვილმაც... მ. ჯავახიშვილი სწორედ ის კაცია, ილია რომ ინატრებდა: „ნეტავი ორიოდ კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთიანად ასწეროს და დაგვანახოს“ (ი. ჭავჭავაძე, ტ. III, 1958, 26)...

და ამიტომაც იმშვიდებს თავს მ. ჯავახიშვილი: „ერთმანეთის დანდობას და ზედმეტ თავაზიანობას ვნების მეტი არა მოაქვს რაო“ და არ „ინდობს“ მას, ვინც „არ ინდობს“ დედაენას... წინა წერილში ვნახეთ, სამიზნე ტ. ტაბიძე იყო... ამ წერილში „სამიზნე“ ავტორებს არ დაასახელებს, ზემოთაც ვთქვით, მიზანი უფრო ზოგადია, კერძოზე ამაღლებული...

და კვლავ უამრავი მაგალითი არასწორი ქართულისა... ისევ დარდი იმის გამო, რომ „სჯობდა ზოგან სულ არ ყოფილიყო ქართული წარწერა, ვიდრე ამგვარად წარყვნილი ქალაქი“... ისევ ფიქრი პროვინციალური სიტყვების მოძალეებისა და ქართული სინტაქსის დამახინჯების თაობაზე...

„ლაშქრობა“ უნდა გაძლიერდეს სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის, ამით გადავარჩინო ქართულ ენას...

ასე სჯერა და სწამს მიხეილ ჯავახიშვილს...

ვთქვით, ქართული ენისადმი მიძღვნილი პირველი კრიტიკული წერილი მ. ჯავახიშვილმა 1909 წელს გამოაქვეყნა („ქართული ენა ქართულ თეატრში“). დედაენის თემას 50-ზე მეტ წერილში შეეხო, მაგრამ საგანგებოდ 11 წერილი უშუალოდ ქართულ ენას მიეძღვნა; მათ შორის ავტორის პუბლიცისტურ წერილთაგან ყველაზე ვრცელი — „ახალი სალიტერატურო ქართულისათვის“ (რომელსაც „ძირითადი ნაშრომი“ ვუწოდეთ) და აი, ამ ციკლის ბოლო წერილი ავტორმა გამოაქვეყნა 1935 წელს გაზეთ „კომუნისტში“ — „ისევ სალიტერატურო ქართულისათვის“ (6 ივნისი, № 156).

ჩვენც ამ წერილის ზოგადი მიმოსილვით დავასრულებთ საუბარს მ. ჯავახიშვილის პუბლიცისტურ წერილებზე ქართული ენის შესახებ.

როგორც წინა ორ წერილში, მწერალი მაქსიმ გორკის მიერ წამოწყებული ლაშქრობის თაობაზე საუბრობს და ერთ ნიშანდობლივ, მაგრამ სავალალო ტენდენციაზე მიანიშნებს: ჩვენშიც ქართული ენის შესახებ დავიწყეთ საუბარი, ქართული ენის მდგომარეობაზე, სწორედ იმიტომ რომ რუსეთში დაიწყო „ლაშქრობა რუსული ენისათვის“... „ამ ლაშქრობის ტალღა ჩვენც მოგვწვდა. ამ მწვავე საკითხს „კომუნისტმა“ და სხვა ჟურნალ-გაზეთებმაც რამდენიმე წერილი უძღვნეს. მ. ტოროშელიძემ მწერალთა კავშირში მოხსენება წაიკითხა. ფიცხელმა კამათმა ორ საღამოს გასტანა“... (წ. 848).

და, როგორც ყველა კამპანიურ ღონისძიებას სჩვევია, „შემდეგ დავა კაბინეტებში გადავიდა და თანდათან მიხედა“ (წ. 848).

ხელისუფლების პოზიციაც ქართული ენის მიმართ და ზოგიერთის სადისკუსიო წერილიც ამ კამპანიური ღონისძიების შედეგი იყო...

მისეილ ჯავახიშვილის მუდმივი პოზიციაა... ამიტომაც შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ მწერალი ერთსა და იმავეს იმეო-

რებს... მაგრამ, სამწუხაროდ, წლები მიდის და მოსაგვარებელი პრობლემები უცვლელი რჩება...

ამიტომაც ამ წერილშიც მ. ჯავახიშვილი ისევ შეახსენებს მკითხველს ნიკო მარის აზრს ქართული ენის შესახებ (წ. 849)...

მართალია, ქართული ენა „მსოფლიურია“, როგორც უცხოელი მეცნიერებიც ამბობენ, მაგრამ „ისიც მართალია, რომ მას რაღაც სენი შეეპარა და მკურნალობა ეჭირვება... მას სინათლე, მოქნილობა და სიზუსტე დააკლდა, ფრთები დაუსუსტდა და მუხლებში ქარი შეუდგა. ის თითქოს გადაეჩვია ფრენას, ზოგჯერ სირბილიც უძნელდება, ზოგჯერ კი ისე მიიზღაზნება, თითქო უზარმაზარი ლოდი აჰკიდესო. ან როგორ უნდა გაფრინდეს ის ენა, რომელსაც მრავალი ამნაირი კუზი დაადგესო“ (წ. 849) და იწყება „ტრადიციული“ ჩამოთვლა არასწორი („მახინჯი“) ქართულის მაგალითებისა...

გრძელი ნუსხაა აქაც (წ. 849-851)... და შეცდომათა თემატური კლასიფიკაცია; თეორიული განმარტება დარღვევებისა... საინტერესო კომენტარებით:

„ზოგჯერ ქართულ საკუთარ სახელებსაც კი უცხოურიდან სესხულობენ (პიცუნდა, ინგური...)“...

„დედაენას“ „მშობლიური ენა“ დაარქვეს“ (რუსულის გავლენაო...)“...

„აზრის ნაცვლად სიტყვებს სთარგმნიან“...

„გამარტივებამ უფრო მეტად გაართულა საქმე და სინათლით ქებულ ქართულს ბინდი მიაყენა“... ამ დროს, „ენის საფუძველი და სიმდიდრის სათავე სინათლე და სიზუსტეა და არა სხვა რამე. ყოველი კულტურული ენა ამ გზით განვითარდა და სხვა გზას ვერც ჩვენ ვიპოვით... გამარტივება მხოლოდ საშუალებაა და მისი შეწყნარება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ იგი მიზანს (სინათლეს) ემსახურება“ (წ. 852).

ფაქტია: ეს წერილიც — ისევ „სალიტერატურო ქართული სათვის“ იმ სულისკვეთებითაა დაწერილი, რა სულისკვეთებითაც იწერებოდა სხვები...

\* \* \*

და კიდევ ერთი წერილი: სათვალავში „ვერჩათვლილი“... თითოეული წერილის მიმოხილვას რომ სათაურს ვარქმევდე, ამ ბოლო მონაკვეთს ასეთი სათაური შეეფერებოდა: „მწვავე პოლემიკა ქართული ენის თაობაზე და... დაუბეჭდავი წერილი“.

ამ ფაქტის შესახებ მოგვითხრობს მწერლის შვილი ქეთევან ჯავახიშვილი წიგნში „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“ („მერანი“, 1991, გვ. 221-226).

მოკლედ, ამბავი ასეთია:

1934 წელს მწერალთა კავშირში გაიმართა დისკუსია ქართული სალიტერატურო ენის თაობაზე. ეს დისკუსია მოსკოვური დისკუსიების გამოძახილი ჩანს. მოხსენება მალაქია ტოროშელიძეს გაუკეთებია. „მძაფრი დისკუსია გაიმართაო“ — წერს ქ. ჯავახიშვილი... ამ პოლემიკაში მარტო მ. ჯავახიშვილისა და კ. გამსახურდიას მონაწილეობაც იქნებოდა საკმარისი „სიმძაფრისათვის“... როგორც ჩანს, კამათში მონაწილეობა მიიღო აკაკი ჭყონიამაც — „ელხის“ (ენის ლიტერატურის, ისტორიისა და ხელოვნების ინსტიტუტის) დირექტორმა...

„სალიტერატურო გაზეთს“ დაუბეჭდავს ამ დისკუსიაზე კ. გამსახურდიას მიერ ნათქვამი სიტყვა, რომელშიც ავტორი ძირითადად მ. ჯავახიშვილის პოზიციას აკრიტიკებდა... ამავე გაზეთში გამოუქვეყნებია სადისკუსიო წერილი დავით დემეტრაძეს — იმუამინდელი მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, რომელიც ძირითადად ეკამათებოდა თურმე კ. გამსახურდიას და ეხებოდა მ. ჯავახიშვილსაც... და აკაკი ჭყონიასაც... და ამ საკითხში — ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის საკითხში

– იმ დროისათვის ყველაზე დიდმა ავტორიტეტმა – მიხეილ ჯავახიშვილმა „ჭყონიასა და გამსახურდიას წერილების საპასუხოდ ვრცელი წერილი დაწერა, რომელიც თავის დროზე არ დაიბეჭდა და მწერლის არქივს შემორჩა“ (ქ. 1991, 222). ავტოგრაფი ნაკლულია, აკლია დასაწყისის 5 გვერდი. ხელნაწერს მინაწერი აქვს ავტორისა: „დასაწყისი დემეტრადემ დამიკარგა, არ დაბეჭდეს, 1934 მ. ჯ.“ არაა ძნელი მისახვედრი, რა იქნებოდა დაუბეჭდაობის მიზეზი – სიმძაფრე სათქმელისა...

როგორც ვთქვით, წერილი ძირითადად ა. ჭყონიასა და კ. გამსახურდიას გამოსვლებს ეხება...

ა. ჭყონიას მ. ჯავახიშვილისათვის „ფეოდალური ნაციონალისტის სახელი მიუკერებია“ (რას არ იგონებდნენ, „ვიღაცისათვის“ რომ ესიამოვნებინათ! – გ. გ.). წერილის გადარჩენილი ნაწილი სწორედ ა. ჭყონიას კრიტიკით იწყება: „ა. ჭყონია „ელხის“ თავმჯდომარეა და აქამდის უნდა აღენიშნა ის ნიაღვარი, რომელიც დამკვიდრებულ ქართულში შემოიჭრა (...მაგალითები...) და ნათელი ენა აამღვრია. მე უფლება მაქვს, ესეც ნაციონალიზმად ჩავთვალო, მაგრამ ჭყონიას არ მივბამავ და ვიტყვი: ეს უვიცობაა და არა ნაციონალიზმი. ბევრმა არ იცის, რომ სალიტერატურო ქართულში ამ პროვინციალიზმების ბადალი სიტყვები არსებობს, რომელნიც ასჯერ და ათასჯერ უხმარიათ და ამიტომ სრული სამოქალაქო უფლება მოუპოვებიათ. ყველა სიტყვა თანაბარი არ არის. ვისაც ეს არ ესმის, ის ჩვენი ენის ამრევია“...

ა. ჭყონიას კრიტიკას (პასუხს) ამ წერილში, როგორც ჩანს, შედარებით ნაკლები ადგილი ეთმობა. საგულისხმო ის არის, რომ მწერალი ენის ინსტიტუტის თავმჯდომარეს შეახსენებს: „რამდენიც ხეობაა, იმდენივე დიალექტია“, რომ ა. ჭყონია „ლამობს მათ შორის არსებულ ენობრივ წინააღმდეგობას კლასობრივ-წოდებრივი სარჩული დაუდოს“... ეს სერი-

ოზული ბრალდება... „ამ სერიოზულ საფანგს ბრმაც კი დაინახავს“ და მისთანანი...

მთავარი საკითხი, რომელზეც კ. გამსახურდიასთან (და ა. ჭყონიასთანაც, რადგან ჭყონია გამსახურდიას უჭერს მხარს) დავობს მ. ჯავახიშვილი, არის ის, თუ რას ემყარება ახალი ქართული სალიტერატურო ენა. ამ თემაზე მ. ჯავახიშვილის აზრი ვიცით. გავიხსენოთ: „ენის კულტურაც და ყოველგვარი კულტურაც – უმთავრესად ცენტრებში მწიფდება, და ქართული სალიტერატუროც საქართველოს ცენტრალურ პროვინციაში ქართლ-კახეთში და უმთავრესად ტფილისში დადულდა“ (წ. 678). მ. ჯავახიშვილის ეს თვალსაზრისი ყოფილა კ. გამსახურდიას ძირითადი კრიტიკის თემა (ჭყონია გამსახურდიას უჭერდა მხარს, როგორც ჩანს).

კ. გამსახურდიას მიერ დისკუსიაზე თქმულ სიტყვას (გაზეთში გამოქვეყნებულს) ქ. ჯავახიშვილის წიგნიდან ვიმოწმებთ (კ. გამსახურდიას თხზულებებში არ დაბეჭდილა, გაზეთი, სამწუხაროდ, ვერ მოვიძიეთ...); კ. გამსახურდია წერს: „სავსებით მიუღებელია ჩემის აზრით ამხ. მ. ჯავახიშვილის გეზი... საქართველო მარტო ქართლი არც არასოდეს ყოფილა და ნურც იქნება ნურასოდეს. ქართული ენა ორი ელემენტის შეუღლებამ წარმოშვა: ქართველურ და ლაზურ-მეგრულ კილოკავების შედეგებამ. ეს მუდამ უნდა გვანსოვდეს“... ამ ადგილას გაზეთზე მ. ჯავახიშვილს წაუწერია: „შედეგად ხონური კილო მივიღეთ“.

კ. გამსახურდიას აზრი ასე გრძელდება: „ვინ მიჩქმალა ქართული ენის ორი ათასწლიანი ხანდაზმულობა? ასეთი დიდი ტრადიციების მატარებელმა ენამ და მისმა მწერალმა კავთისხევებში უნდა ეძებოს თავისი სამერმისო გეზი? ეს პირდაპირ სასაცილოა, ამხანაგო მიხეილ!“

ამ ადგილას მ. ჯავახიშვილს წაუწერია: „ჭყონიაც ამას იმეორებს“

თავის წერილში კ. გამსახურდია ამასაც ამბობდა: „ვებ-რძოლოთ გადაჭარბებულ პროვინციალიზმებს. არ ვარგა სამტრედიულ-ხონურ, იმერულ, ქუთათურ დიალექტებზე წერა. არ ვარგა. ნ. ლორთქიფანიძის და ჩვენი საყვარელი მწერლის დ. კლდიაშვილის გეზი, არც ს. მგალობლიშვილის, ნ. ლომოურის, მ. ჯავახიშვილის „ქართლური“ პარტიკულარიზმი. ახალ ეპოქაში მე მომიხდა პოეტური პროზის დამკვიდრება. არასოდეს ყოფილა ქართულში არაპოეტი დიდი ოსტატი სიტყვის“... აქ მ. ჯავახიშვილს წაუწერია – „ქართული ენის მწვალბელი“...

ძირითადი უთანხმოების საკითხი კ. გამსახურდიასა და მ. ჯავახიშვილს შორის ესაა...

რამდენიმე ამონარიდს მოვიყვან მ. ჯავახიშვილის საპასუხო (არდაბეჭდილი) წერილიდან იმის დასტურად, თუ რამდენად მტკიცე და პრინციპული იყო მწერლის პოზიცია:

– „ჭყონიაც და გამსახურდიაც მარიგებენ: მიმოსვლა მატულობს, კულტურა ვრცელდება და ამიტომ საერთო ენა დამკვიდრდება და კუთხურ კილოს დომინანტობა მოესპობაო... ეს სანატრელი დრო ჯერ შორსაა, ჯერ კი ქართული ენის მორფოლოგიურ-სინტაქსურ სისტემას ამჟამად უძევს ქართლ-კახური“...

– „კ. გამსახურდიას წერილს სულ სხვანაირი სუნი ასდის. ის სწერს: „ქართული ენა ორი ელემენტის შეუღლებამ წარმოშვა: ქართველურის და ლაზურ-მეგრულის შედედებამ“, მეგრულმა ნაკადმა ქართულ ენას დიდი სიკეთე დასდო, მაგრამ ისიც ვიცით, რომ ქვემო იმერულის კილო ამ შეუღლების კანონიერი შვილია, რომელიც თვითონ გამსახურდიასაც ეხამუშება“...

– „ერთი უცნაური ამბავი ემართება გამსახურდიას (და სხვებსაც): ის გულმოდგინედ სწიხლავს ქართლურ კილოს – ლომოურს, მგალობლიშვილს, მეც (მაშასადამე ილიასა, აკაკისა და გაყას ქართულსაც) და ამავე დროს გულმოდგინედ

ცდილობს თავის ქართულს უმთავრესად ეს კილო დაუდოს საფუძვლად“...

– „გამსახურდია იცინის, „მწერალმა კავთისხევში უნდა ეძებოს თავისი სამერმისო გეზიო?“ ღიას, კავთისხევშიც უნდა ეძებოს, ვინაიდან იქვე მახლობლად ეძებს და იპოვეს საუცხოვო პროზა ილიამ (საგურამო, არაგვი), ვაჟამ (არაგვი, თიანეთი), ივ. მაჩაბელმა (ღიასვი), მგალობლიშვილმაც და ლომოურმაც, რომელნიც გამსახურდიას ქართული ენის პროფესორებად გამოადგებიან“...

– „საქმე ის არის, რომ გამსახურდიას არავითარი გზა არ გააჩნია, არ იცის რას მიემხროს და ვის შეუტიოს. ის ხუნდაძეს ებრძვის და თან მის უმთავრეს თეზისს იზიარებს: არავისგან და ყველასგან, არც აქეთ და არც იქით, არც ცხელი და არც ცივიო. ლოდიკას უღმობელი ძალა აქვს და ვინც ქართლ-კახურ-კავთისხეურ კილოს უარჰყოფს, მან მაჩაბლის, ვაჟასი, აკაკისა და ილიას ენაც უნდა დაიწუნოს“...

და ასე შემდეგ...

ჩვენი მკითხველი დაგვემოწმება, რომ მ. ჯავახიშვილს ამ შემთხვევაში თითქოს ახალი არაფერი უთქვამს: იგი მყარად დგას იმ პოზიციაზე, რომელიც XX საუკუნის მეცნიერებამ სრულად გაიზიარა... „ლოგიკის უღმობელი ძალით“ ამხელს გამსახურდია-ჭყონიას პოზიციას, მაგრამ თვითონ ვითარება ჩანს უჩვეულო: მწერლობა (და ხელისუფლებაც – ზემოთ ვნახეთ) თითქოს ჩაბმულია იმ მოძრაობაში, რომელსაც „სასარგებლო ლაშქრობა“ ჰქვია და შეტევის „ობიექტია“ მიხეილ ჯავახიშვილი, რომელიც ყველაზე აქტიური და თავდადებული მებრძოლია ქართული ენის სიწმინდისათვის; ყველაზე სწორი ენობრივი პოზიციის მქონე... თუმცა ეს არ არის მთავარი – ვიდაც შეიძლება არ ეთანხმებოდეს, მაგრამ მწერალთა კავშირის გაზეთი რომ საპასუხო წერილს არ უბეჭდავს და არ ამლევენ უფლებას, უპასუხოს პიროვნულ კრიტიკას, გაუგებარია... (თუ გასაგები და საშიში?!)...

ფეოდალური ნაციონალიზმის სახელიც მიაკერეს...

1934 წელია...

1930 წელს ჩაუწერია: „ნადრევია ჩემი სიკვდილი, მე ჯერ არ მითქვამს ჩემი სათქმელი“ (ჩ. 242)...

და: „სჯობდა უფრო ადრე გავჩენილიყავი ან უფრო გვიანო“ (ჩ. 224) – 1927 წლის ჩანაწერია...

\* \* \*

დავასრულოთ ეს მონაკვეთი...

\* \* \*

გავიხსენოთ: მ. ჯავახიშვილი წერდა ერთგან – „მე სუფთა ქართულის ფანატიკოსი ვარო“ და ეს „ფანატიზმი“ ყველა მის წერილში ვლინდება...

ეს ჩანაწერიც გავიხსენოთ: „მე ჯერ არ მითქვამს ჩემი სათქმელი. ჯერ არ შემისრულებია ღვთისგან დაკისრებული. თუ გადავრჩი“... (ჩ. 184)

და ვერ გადარჩა...

და დარჩა უთქმელი მისი სათქმელი...

ბოლომდე ვერ შეასრულა სრულად ღვთისგან დაკისრებული...

და მაინც: რაც თქვა, რაც შეასრულა, რაც მოასწრო – მაღლობა ამისათვის... ქართულ ენას XX საუკუნის I ნახევარში ასეთი ქომაგი და ჭირისუფალი არ ჰყოლია!...

აი, ეს დასკვნა გაგვაკეთებინა დედაენისადმი მიძღვნილმა პუბლიცისტურმა წერილებმა...

თუმცა მხოლოდ ეს წერილები არ არის მ. ჯავახიშვილის აზრის გამომხატველი... დასაწყისში ვთქვით, რომ მწერალი 40-ზე მეტ სხვა წერილში ეხება ენას, საუბრობს ენის პრობლემებზე... აი, ამის შესახებ განვაგრძობთ საუბარს.

## V. და სსკპ... ანუ საგანგებო წერილების მიღმა...

ვრცლად ვისაუბრეთ მ. ჯავახიშვილის იმ პუბლიცისტურ წერილებზე, საგანგებოდ ქართულ ენას რომ ენება... მართლაცდა მწერალი „ფანატიკოსია ქართული ენისა“... ეს არ არის ყველაფერი, რის თქმასაც ჩვენი ნარკვევის ამ ნაწილში ვაპირებთ: „ჩანაწერებზე“ საუბარი წინ არის...

ჩემგან მოწონებული და თქვენთვის შემოსათავაზებელი კიდევ მრავალი რამ მოვინიშნე, როცა „წერილებს“ ვეცნობოდი: პოეზიაზე, მწერლობაზე ზოგადად, სტილზე, მწერლის ოსტატობაზე, ლიტერატურის თეორიაზე, მუსიკაზე... მაგრამ საუბრის ფარგლები თავიდანვე შემოვსაზღვრეთ და არ მინდა იმ ჩარჩოდან გავიდე – ესაა ქართული ენა...

თუმცა სხვა წერილებშიც დედაენის შესახებ არაერთი საგულისხმო აზრი აქვს გამოთქმული მწერალს... ვერ ავუვლით გვერდს... ამ აზრებს ამონარიდების სახით წარმოგიდგენთ; ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს. რამდენიმე კომენტარს მაინც ვაგებდავთ...

უპირველესად ერთ ფაქტს მინდა მივაპყრო ყურადღება.

**ქართულ თეატრში ქართული ენის პრობლემებზე** ზევი-თაც იყო საუბარი საგანგებო წერილში (გვ. 37). სხვაგანაც გაიჟღერებს ეს გულისტკივილი; ქართულ წარმოდგენაზე საუბრობს: „დასასრულს, ერთ პატარა რჩევას მივცემთ გამგეობასა და რეჟისორს: ყურადღება მიაქციონ ქართულ ენას, რომელიც თარგმანში ისეა დამახინჯებული, რომ ქართულის მცოდნე ადამიანს ძლივს ესმის რუსიციზმებით სავსე ლაპარა-

კი არტისტებისა. ეს საქმე ან სარეპერტუარო კომისიამ უნდა იკისროს, ან სხვა ვინმეს უნდა დაევალოს“ (წ. 448)...

უფიქრობთ, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა გაბუნია-ცაგარელის საბენეფისო საღამოს გამო გამოთქმული შენიშვნა; სახაზინო თეატრს 1905 წლის 13 იანვარს ორი პიესა წარმოუდგენია. ერთ-ერთი ყოფილა კ. დოდაშვილის „ჩვენი ნაცნობები“. მოგუსმინოთ მ. ჯავახიშვილს: „ჩვენი ნაცნობები“ სცენები კი არა, **ნამდვილი პორნოგრაფიული**, უშინაარსო და ცინიკური ფარსია. ავტორს ერთად შეუგროვებია **ბაზრული ოხუნჯობა**, ფელდფებელური შენიშვნები, ყაზარმული სიმახვილე, აქა-იქ ჩაურთავს **უშვერი**, **უცენზურო სიტყვები**, შეუკრავს „სცენებად“ და ეს **მყრალი თაიგული** ქ-ნ გაბუნია-ცაგარელისათვის ჩაუბარებია. იმანაც აიღო, საზოგადოებას მიართვა და იმდენი უტაქტობაც გამოიჩინა, რომ პიესიდან არ ამოშალა და წამოიძახა **მყრალად სიტყვა, რომელმაც მთელი დამსწრე საზოგადოება გააწითლა**“ (წ. 41); მწერალი იმდენად ავტორს არ ადანაშაულებს, რამდენადაც რეჟისორსა და მსახიობს...

**ბილწსიტყვაობის გაელვებაც კი ქართულ სცენაზე საშიშად მიიჩნია მ. ჯავახიშვილმა**... ეტყობა ეს გარკვეული ტენდენციის სახეს იღებდა და სწორედ ის იწვევს მწერლის შემოფოთებას. წერს ერთგან შაირობაზე; „ჩვენში ხომ იციან შაირობა, მე თვითონ დამიგდია ყური, რომელიც ამ ბოლოხანს გადაიქცა **საშინელ უწმაწურობად**“ (წ. 842)... სამწუხაროდ, ამგვარმა შეძახილმა ვერ შეაჩერა ეს საშიში ტენდენცია:

მახსენდება ანა კლანდაძის ჩანაწერი: „**ბილწსიტყვაობას ნარკომანიაზე ნაკლები ზიანი არ მოაქვს ჩვენი ახალგაზრდობისათვის, ქვეყნისათვის!** დიდი ილიას ნათქვამს (სხვა ვითარების გამო) გავიხსენებ: „მის მაყურებელ ერს ხომ გული უტყდება თავის-თავზე, სასოება და იმედი ეკარგება და აქედან განა დიდი მანძილია სრულ განადგურებამდე!“...

კონკრეტულ საკითხთაგან სასკოლო სახელმძღვანელოების ენაა განხილვის საგანი. მწერალს გადაუკითხავს ისტორიისა და გეოგრაფიის სახელმძღვანელოები, მოჰყავს მაგალითები „დამახინჯებული“ ქართულისა; დაასკვნის: „ასეთ ქართულზედ იზრდება ჩვენი მოზარდი თაობა. ეს წიგნი ავტორს ჯერ რუსულად დაუწერია თავის თავში და შემდეგ სიტყვასიტყვით გადმოუთარგმნია ქართულად“... ეს რუსიციზმის ხიფათიანო, ასკვნის ავტორი და გულისტკივილით სვამს კითხვას: „გასაკვირველია, ასე რად დამახინჯდა ჩვენი სახელმძღვანელოები“ (წ. 632)...

1906 წელს გამოქვეყნებულ წერილში, მ. ჯავახიშვილი სხვა საკითხებთან ერთად იმპერიული ენობრივი პოლიტიკის შესახებ საუბრობს; ემყარება გამოქვეყნებულ სტატისტიკურ მონაცემებს და აღშფოთებით წერს: „თქვენ აქ წააწყდებით ასეთ რუბრიკებს: ტფილისის გუბერნიაში ცხოვრობენ ამდენი და ამდენი ქართველი, ამდენი და ამდენი ფშავი, ამდენი და ამდენი თუში, სევსური, იმერელი, მაჰმადიანი, ებრაელი და სხვ.“... ვრცელი მიმოხილვის შემდეგ კითხვას სვამს მწერალი და დასკვნასაც აკეთებს: „თქვენ გგონიათ, რომ რუსის მთავრობას ეგ უცოდინრობით მოხდის? აბა, ეს რა დასაჯერებელია! ასეთ ახირებულ სტატისტიკას თავისი პოლიტიკური და „სახელმწიფოებრივი“ მნიშვნელობა აქვს და გამოგონილია“ (წ. 367). ახალგაზრდა მწერალს გულს ის უკლავს, რომ ამ სტატისტიკას იმეორებს და ავრცელებს ქალაქის ქართველი ხელმძღვანელობა; „ქართველი ერის დაკუნძულებას“ ქართველები უწყობენ ხელს.... ის ძალიან თამამი და გაბედული გამოსვლა იყო მწერლისა...

სწორედ ასეთმა გამოსვლებმა და ამგვარმა ეროვნულმა პოზიციამ შეაპირობა ბედი მწერლისა კარიერის დასაწყისშივე: 1907 წ. პოლიტიკურ დევნას გაერიდა და ევროპაში წავიდა...

1910 წელს დააპატიმრეს კიდეც... მ. ჯავახიშვილი პოლიტიკურად არასაიმედო იყო ბოლშევიკებისთვისაც... მიზეზი, ცხადაა, მისი ეროვნული პოზიცია იყო...

\* \* \*

როგორც ვთქვით, სხვადასხვა საკითხზე, სხვადასხვა თემაზე გამოქვეყნებულ წერილებში არაერთ პრობლემას შეეხო დედაენისას და ეს გრძელდებოდა მთელი ცხოვრების მანძილზე. ქვემოთ მოვიყვანთ ამონარიდებს სხვადასხვა წერილიდან; შევეცდებით დავალაგოთ პრობლემათა მიხედვით... თითქმის ყველა ეს საკითხი სხვადასხვა კუთხით, სხვადასხვა გვარად შემოგანხილულ ნაშრომებშიც იყო დასმული; მაინც მოვიხმოთ... და მივყვეთ მწერლის გულისძგერას...

**სიახაყე და თავმოწონება მწერლისა ქართული ენის გამო:**

— „კულტურის საზომად ენაც გამოდგება. ისედაც უმდიდრესი ქართული ენა ამ 15 წელიწადში უფრო მეტად გამდიდრდა. მეცნიერების აღორძინებამ და უთვალავ ახალი ცნებისა და საგნის გაჩენამ მრავალი ათასი ახალი სიტყვა გაგვიჩინა, სამწერლო ლექსიკა გაგვიმდიდრა და აგვიფერადა. ერთ დროს საკმაოდ ამღვრეული ქართული შესამჩნევად იწმინდება და კლასიკური ეპოქის სინათლეს, გამჭვირვალობას და მოქნილობას ახალი ხერხით ითვისებს“ (წ. 856-857) (დროის ათვლა ეტყობა ქართული უნივერსიტეტი დაარსებიდან იწყება!...).

— „ჩვენდა საბედნიეროდ, ნამდვილი ქართული ლიტერატურა და ხალხური სასაუბრო ენა ღვიძლი ძმები არიან. დღევანდელ ქართველს კარგად ესმის მეხუთე საუკუნის ქართულიც, ფრანგი და გერმანელი კი მეხუთმეტე საუკუნის თავიანთ მწერლობას უცხო ენებივით სწავლობენ“ (წ. 638-639).

– „ენაც ორნაირია: მწიგნობრული და ხალხური, რომელიც მწიგნობრულზე უფრო ნათელია და უფრო მოქნილი“ (წ. 869).

– „ვისაც ესმის, გაიგებს. საქმე თვით ბუნებაა ენისა, საქმე „სინტაქსია“. ზოგი „მეცნიერი“ კი გაიძახის, ქართულ ენას საკუთარი სინტაქსი არა აქვსო“ (წ. 806).

რა პრობლემას ხედავს მიხეილ ჯავახიშვილი... რამ შეიძლება გაართულოს ენის მდგომარეობა?

– „ნუთუ იმასაც ახსნა და განმარტება უნდა, რომ უწიგნოდ ერს ერი არ ეთქმის (თუ ეთქმის, ისევ ველურ ერთა შორის), რომ იმ ერს, რომელსაც ჰქონდა წიგნი და მოესპო, ცოტა ხანში სრული გადაგვარება და სიკვდილი მოელის! უწიგნოდ ენა არ ხარობს. ჩვენში ქართული ენის დაქვეითების მთავარ მიზეზად ქართული წიგნის უქონლობა უნდა ჩაითვალოს“ (წ. 473).

**საფრთხეები, წინააღმდეგობები, სირთულეები, რომელთაც ამჩნევს მწერალი და გვაფრთხილებს:**

– „ილია ჭავჭავაძე, გიორგი ერისთავი, აკაკი წერეთელი და ბევრი სხვაც დროზე მიეშველნენ ანტონ კათალიკოზის, იოსელიანების და დოდაშვილების მიერ დასწეულ ენას და იგი ხალხური ქართულის საშუალებით განკურნეს. ამავე დროს მას ახალნაირი სენი ეპარებოდა, სალიტერატურო ქართულში კუთხური სიტყვებისა და ფორმების ნაკადები ჟონავდა, რომელიც უკანასკნელ ხანს ნიაღვარივით მოაწვა და ერთობლივ ქართული ლამის დაშალოს და აამღვრიოს“ (წ. 603).

როგორც კი მიეცემოდა შესაძლებლობა მწერალს, თითოეულ ქართველს შეახსენებდა თავის მოვალეობას დედაენის მიმართ; ეროვნული ღირსების გრძნობას უღვიძებდა.

– „უფლება საშუალო კაცის მახვილია. დევმირს იგი არ გამოადგება, ჯუჯა კაცი კი მას ვერ მოერევა. ერთი უფლება გვაქვს: ბევრგან და ბევრჯერ შეგვიძლიან ქართული ენა ვიხმართ, მაგრამ ვერ ვერევით, რადგან უძღური ჯუჯა ხალხი ვყოფილვართ. კრებაზე ხშირად ისმის ერთი სიტყვა, რომელიც ყბედის წამლად გადაიქცა:

– ქართულად, ქართულად!

თავმომწონე ორატორს ჯერ დასცხება, მერე ცივი ოფლი დაასხამს, აუვარდება ენის ციებ-ცხელება, იტანჯვის. ასეთი ორატორი რუსულ სიტყვას ორ საათში არ გაათავებდა, ქართულს კი ხუთ წუთში ათავებს, რადგან ტანჯვასა და სირცხვილს გაურბის“... (წ. 479).

ერთი საინტერესო წერილი არის დაბეჭდილი ამ წიგნში. სათაურიც საინტერესოა („ცოცხლებს მაინც ვუშველოთ!“) და ეპიგრაფიც („რაც მოვივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“). მწერალი საუბარს იწყებს ქართული მიწების ბედით და შემდეგ გადადის ენაზე (1915 წელი):

– „ასეთივე შავბნელი ბედი ეწვია ქართულ ენასაც. იგი ჩვენთვის იყო და არის ის გაჯი, ის დუღაბი, რომელიც ადუღებდა და აერთებდა ქართველთა ტომს: მართლმადიდებელს, გრიგორიანს, კათოლიკეთა და მაჰმადიანს. ქვითკირის შენობაც დაინგრა, დუღაბი მოღუნდა, დაიშალა და დაიფხვნა. ხოლო შენობების უშველებელი ქვები, ათასი წლის განმავლობაში ნათალი და მოტანილ-შეკრული, სწორედ ისევე დაიტაც-დაინქმეს როგორც საუცხოვო ჩუქურთმები ბაგრატიისა და ზარზმისა. სწორედ იმ დროს, როცა, ზოგის აზრით, ვიღუპებოდით, ქართული დედაენად იხმარებოდა ყაზახსა, საინგილოსა, ბორჩალოსა, ჯავახეთსა, ახალციხეს და შავშეთ-აჭარაში. ეხლა? ეხლა აქ სულიერი და ფიზიკური ნანგრევებილა მოსჩანს ჩვენის კულტურისა. მალე ამ ნანგრევებსაც მოჰკვიან, თან საძირ-

კვლსაც მიატანენ, ზედ მიწას წააყრიან და ასე წაშლიან თვით კვალსაც ჩვენის ყოფნისას“ (წ. 482)...

დავტოვოთ ეს აზრი უკომენტაროდ...

ლიტერატურული გაერთიანება „არიფიონის“ მოკლე განცხადებას (1927 წ.) დასკვნა ასლდა: „მკაცრი დაცვა ქართული ენის ბუნებისა და ლექსიკონისა გადაგვარებისა და ამღვრევისაგან. ბევრითი შრომა ენის გამდიდრებისათვის და გადახალისებისათვის არსებული სრული გამოყენებით და ახლის ფრთხილი შემოშვებით“ (წ. 641).

კვლავაც და კვლავაც გაფრთხილება, შემოფოთება, საგანგაშო ზარი ქართული სალიტერატურო ენის მდგომარეობის გამო:

– „ქართულ ენას სისხლი ეწამლება, თუ დროზედ არ მივეშველეთ, მერე გვიანდა იქნება“ (წ. 639).

– „ქართულ ლიტერატურულ ენას მრავალის მხრიდან მოელის ზიფათი. ენის ნაჭარბევი სიწმინდე – ჰურიზმი და არქაიზმიც ენის ბუნებრივ განვითარებას აფერხებს. მეორე მხრით, მეტად ადვილად და უხვად შემოდის ბარბარიზმი – ხალხისთვის გაუგებარი უცხო სიტყვები. ჩვენთვის მისაღებია მხოლოდ ისეთი უცხო სიტყვა, რომელმაც ან უკვე მოიკიდა ფეხი საერთაშორისო არეზე, ან თუ მისი თანაბარი შესაფერი ქართული სიტყვა არ მოგვეპოვება, ან კიდევ თუ მოგვეპოვება, იგი სამუდამოდ მკვდარი არ არის“ (წ. 638);

– „ზოგი სიტყვა კვდება, ზოგი იბნიდება, ზოგიც თითქოს ისვენებს და შემდეგ ხელახლა ბრუნდება. ჩვენც მათი გაცოცხლებისა და შენარჩუნების გზას უნდა გავუყვეთ და ფრთხილად გავამდიდროთ ჩვენი ენა ხალხურით“ (წ. 633).

– „ბოლოს და ბოლოს ზოგი სიტყვაც კვდება და მის ნაცვლად ახალი შემოდის, მაგრამ ეს ცვალებადობა საუკუნეების მანძილზე ხდება. და თუ დღეს რამოდენიმე სიტყვა გვაქვს

გამოსაცვლელი, ეს ოპერაცია უადრეს სიფრთხილეს მოითხოვს, არ შეიძლება მთლიან შენობას რომელიმე ბოძი გამოვაცალოთ, თუ ხელთ არ გიჭირავთ მეორე შესადგმელი ბოძი — პირველზედ უკეთ გათლილი, მაგარი და ვარგისი“ (წ. 639);

— „იგი (დამახინჯებული ქართული — გ. გ.) თან მაცინებს და თანაც მალონებს. ზოგჯერ უიმედობა მომერევა და მგონია თითქოს დაკრუნხულ ქართულს აღარაფერი ეშველებოდეს. მაგრამ ვცდები, უეჭველად ვცდები. უკანასკნელ დროს ქართულ ენას მომჯობინება დაეტყო და მწერალთა შორის თითქმის ყოველ დღე ისმის საუბარი ენის შესახებ და ძიება ქართული სიტყვებისა. ეს საუბარი არ უნდა შეწყდეს. ძიება არ უნდა შენეღდეს, თორემ ენა გაიყინება და მისი გაცოცხლება ძნელია იქნება“ (წ. 803-804).

X

ესეც ჩვენი თემის გაგრძელებაა: **გაზეთის როლი, ჟურნალისტების მისია** სალიტერატურო ენის გადარჩენასა და შემუშავებაში:

— „ენის შემუშავებაში ერთ რომელიმე გაზეთს ათჯერ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მთელს მხატვრულ ლიტერატურას. მიუხედავად იმისა, მწერალს ათჯერ უფრო მეტი მოეთხოვება, ვინემ გაზეთს. დაუდევრობა არავის არ ეპატიება, მაგრამ ყველამ იცის, რომ გაზეთის თანამშრომელი დროს ჩარჩოშია ჩაჭედული და უნებურად ჩქარობს, მწერალს კი საკმაო დრო აქვს და ამიტომ მოვალეა თავის ნამუშევარი ენის მხრივ უნაკლოდ შეასრულოს“ (წ. 789).

„კითომდა პუბლიცისტს“ (სათაურია) უწოდებს მ. ჯავახიშვილი უვარგისი ენით დაწერილი სტატიის ავტორს; მწერალი გაზეთ „ლამპარის“ ენას აღუშფოთებია და ეს აღშფოთება მხოლოდ ამ ერთ ჟურნალისტს არ ეხება:

— „ამ სტრიქონების დამწერი ტყუილად სცვლის თავის მასხრულ ნიჭს ჟურნალისტის კალამზე. იგი მშვენიერი კლო-

უნი იქნებოდა და ვარწმუნებთ, რომ ჯამბაზობითა და ცირკში პრანჭვა-გრეხით უფრო მეტ სარგებლობას მოუტანდა „ხალხს“, ვიდრე კალმოსნობით“ (წ. 211)...

ამიტომაცაა, რომ მ. ჯავახიშვილის ერთ-ერთი ახალი გაზეთის გამოსვლისასაც ესა აქვს სავედრებელი: „იმედია, არც ქართული ენა დაიჩაგრება თქვენს გაზეთში“ (წ. 844)...

ასევე მუდმივი, ყოველდღიური ტკივილი არის მ. ჯავახიშვილისა — წარწერები! მწერალი არაერთგზის შეახსენებს მკითხველს; მათ, ვისაც ეს უშუალოდ ეხება, ქართული ალფაბეტის სიკეთეს, რომ „ქართული ალფაბეტი და ორთოგრაფია უკიდურესობამდე მარტივია, მკაფიო და ნათელი, და სწორედ ამ მარტივობაშია მისი გენიალობაც. იშვიათად შეხვდებით ასეთ ადვილ მართლწერას, როგორც ვლაპარაკობთ, ისე ვწერთ და როგორც იწერება ისე გამოითქმის“ (წ. 659). და ამას შეახსენებს ყველას, ვისაც რაიმე პესუხისმგებლობა აკისრია წარწერების თემაზე. აი, რატომ:

— „მაღაზიებისა და დაწესებულებათა წარწერებმა ზომ აბუჩად აივდეს ქართული და ეროვნული ენისაგან მხოლოდ ქართული ასოებიღა დაგვიტოვეს. მარცხნივ და მარჯვნივ ქართული ასოებით სწერია: „მაკსოუზი“, „სოიუზტრანსი“, „ომპკ“, „ომპტ“, „სოიუზმიასი“, „ხლებოპროდუქტი“ და მზგავსი ათასი საძაგლობა“ (წ. 740)...

— „ზემოსხნებული მაგალითების ავტორები ჩვენს სულიერ კულტურას ბიწით და შხამით ავსებენ“ (წ. 740)...

ეს თემა და ეს მოწოდებაც, ახლა რომ მოვიყვან, უადრესად სადღეისოდ გვეჩვენება და ყურად უნდა იღონ იმათ, ვისაც დღეს ეს ეხება!

— „ჩვენ ვაცხადებთ, რომ სჯობს სრულებით არაფერი დაიწეროს ქართულ ენაზე, ვიდრე ასეთი წარწერებით აჭრელდეს ქალაქი“ (წ. 732)...

– „სჯობია ქართული წარწერა სულ არ იყოს, ვიდრე ჩვენი ენა ასე აშკარად გაითელოს“ (წ. 740)...

დაბოლოს: ის, რაც მიხეილ ჯავახიშვილმა ერთ-ერთ საჯარო გამოსვლის დროს თქვა, ზოგად რეზიუმედ შეიძლება გამოდგეს ქართული სალიტერატურო ენის წინაშე მდგარი პრობლემების მიმოხილვისას... მწერალი იხსენებს ქართული ენის საკითხებისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ დისკუსიას:

„ამას წინათ ჩვენ ლაშქრობა ჩავატარეთ ენის ირგვლივ. ამ დარბაზიდან ბევრი წავიდა გასისხლიანებული. არც მე დამაკლდა, ერთმანეთსაც გადაგვკარით. მე მგონია, ეს ლაშქრობა არ უნდა შენეულდეს. ერთმანეთს გადაკიდება, რამდენიმე ანჩხლი სიტყვა ეს წარმატებია, ეს საქმე კი სამუდამოა!“ (წ. 794)

ჭეშმარიტად!...

**დამატებასავით:**

ერთი ჩანაწერის გამო:

არის ასეთი ჩანაწერი: „ებრაელებსაც რომ მიეღოთ ქრისტი, ერთი ებრაელიც აღარ დარჩებოდა ქვეყანაზე“ (ჩ. 322).

რას გულისხმობს ეს ჩანაწერი? ებრაელთათვის ეროვნული იდენტობის საფუძველს ქმნის მათი რელიგია – იუდაიზმი. მსოფლიოში გაფანტული ებრაელობა სწორედ ამან გადაარჩინა, თორემ ენა მათთვის არ იყო ის, რაც შეუნარჩუნებდა ებრაელობას. ფაქტობრივ ენა დაკარგეს... აქ ქართულის მაგალითი გამოვადგება შესადარებლად: ენა არის ჩვენი იდენტობის მთავარი საფუძველი... „რა ენა წახდეს, ერიც დაეცესო“ (გ. ორბელიანი), „ენის დავიწყება ენისა და ერის სიკვდილია“ (ჩ. 262). ეს ქართულ სინამდვილეზეა დაფუძნებული და არა, ვთქვათ, ებრაულზე: იქ წახდა ენა – ერი გადარჩა... მ. ჯავა-

ხიშვილი ასეთ ვარიანტს ქმნის: „ენის სიკვდილი – ერის სიკვდილი“ (ჩ. 262). ეს ქართული სინამდვილეა... აქ მუხრან მაკავარიანიც გაგვასხენდება:

„ენაშია ჩვენი ქართველობა!

ენაა ჩვენი სარწმუნოება!

ნახავთ სომეხს. არ იცის სომხური და არის სომეხი!

ნახავთ ებრაელს, არ იცის ებრაული და არის ებრაელი!

ვერ ნახავთ ქართველს, ქართული არ იცოდეს და ქართველი იყოს!“

ანუ, ქართველის იდენტობის საფუძველი ქართული ენაა! ებრაელის ებრაელობის საფუძველი არ არის ენა; როგორც ჩანს, სარწმუნოებაა! ამას გულისხმობდა მ. ჯავახიშვილი, როცა წერდა, რომ თუ ებრაელები სხვა (ამ შემთხვევაში ქრისტეს) სარწმუნოებას მიიღებდნენ, როგორც ერი, გაქრებოდა... საკმაოდ მკვეთრადაა ნათქვამი, მაგრამ მწერალს ეპატიება...

## VI. „უბის წიგნაკიდან 1924-1935“ – ჩანაწერები

### 1. \*\*\* (რა ხდება „ჩანაწერებში“)

კოქვით: 2005 წელს გამომცემლობა „მერანმა“ გამოსცა მიხეილ ჯავახიშვილის ჩანაწერები ასეთი სათაურით „უბის წიგნაკიდან 1924-1935“. ამ წიგნის გადარჩენის ისტორიაც გავიხსენეთ (გვ. 4-5)...

ახლა კითხვა დავსვით: როგორ და რატომ კეთდებოდა ეს ჩანაწერები?

ერთ-ერთ წერილში („როგორ ვმუშაობ“ – წ. 763-771) მ. ჯავახიშვილი წერს: „წესად დავიდე და დღემდე ვასრულებ: თითქმის ყოველდღე რაღაც უნდა ჩავიწერო – სიტყვა, სახე, თქმა, ამბავი, წვრილმანიც და მსხვილმანიც. ზოგი ყურმოკრულია, ზოგი თვალმოკრული და ზოგიც მოგონილი. ეს მასალა – გაგონილი და მოგონილი – შემოქმედებით ლაბორატორიაში იხარშება, მუშავდებოდა, ბოლოს ისეთი რამე გამოდის, რასაც ზოგჯერ თვითონ ავტორიც ძლივს იცნობს ხოლმე“ (წ. 766).

თითქმის იგივე აზრი უბის წიგნაკშიც ჩაუწერია, მაგრამ იქ ცოტა ირონიაც გაურევია: „დღეში ათიოდე აზრს, ნახულს და გაგონილს ვიწერ უბის წიგნაკში. ეს ამბავი ჩვენს მწერლებს სასაცილოდ არ ჰყოფნისთ. ასე იცინიან ზულუსები და ბუმშენებიც, როცა ევროპიელი კბილებს იხეხავს“ (ჩ. 202)...

რატომ კეთდება ჩანაწერი? თითქოსდა გასაგებად განმარტა მწერალმა: ჩანაწერები „თავისთვის“ კეთდება; არაა გამიზნული გამოსაქვეყნებლად. ამას ისიც ადასტურებს, რომ ქართული ენის მიმართ უდიდესი პასუხისმგებლობის მქონე მიხე-

ილ ჯავახიშვილი ზოგჯერ ჩანაწერს სასაუბრო ფორმით აკეთებს: „უბედურება ისე დევცა თავზე“ (ჩ. 23); „შვილი დეიწვა ფოთში“ (ჩ. 32); „ცხვირის ნესტოები გეებურა“ (ჩ. 55); სამწუხაროდ, ბარბაროსულათ სწვამენ“ (ჩ. 81); ნანგრევებზე ჩუმად კარავს დასდგავდნენ“ (ჩ. 15) და მისთანანი... მსგავს ფორმებს ვერც პროზაში შევხვდებით და ვერც პუბლიცისტიკაში; აქ, ჩანაწერებში, უკვე აღარ გრძნობს ისეთ „ენობრივ პასუხისმგებლობას“ ენისა და მკითხველის წინაშე, როგორსაც გამოსაქვეყნებლად გამიზნულ ნაწერებში...

„თავისთვის“ კეთდება და ამიტომაც ზოგჯერ ისეთი ჩანაწერია, ასე ვთქვათ – „დამიფრული“ – რომ შეიძლება მხოლოდ მწერალმა გაიგოს, რისთვის და რატომ ჩაიწერა...

ეს ჩანაწერი „შემოქმედებით ლაბორატორიაში იხარშებაო“ – ანუ საჭირო ფორმას, სახეს იღებს მოთხრობაში, წერილში. ამგვარი გადახარშვის კონკრეტულ მაგალითს მოვიყვან: ერთი და იგივე ჩანაწერი სხვადასხვა შემთხვევაში როგორ იხარშება, რა სახეს იღებს: 1926 წელს მ. ჯავახიშვილს ბლოკნოტში ჩაუწერია: „ალყირელების ენა ნარეგია არაბულის, მალღურისა და საბირულის. ჩვენც ასეთი ბედი არ გვეწვიოს. ქართულ-რუსულ-თათრულ-ევროპიული არ აირიოს“ (ჩ. 155). ეს ჩანაწერი 1928 წელს გამოქვეყნებულ წერილში („ქართული ენა“) ასე „გადაიხარშა“: „ალყირულის ბედი თუ მოგველის. უმსგავსი ნაზავია არაბულის, ებრაულის, ფრანგულის, მალღურისა და საბირულის“ (წ. 722). 1928 წლის სხვა ნაშრომში („ახალი სალიტერატურო ქართულისათვის“) გამოყენებული ვარიანტი: „მათი (ვინც არ იცის ქართული – გ. გ.) ჩანაწერების მიხედვით ჩვენს ენასაც თითქო ალყირულის ბედი მოეღის: უმსგავსი ნაზავია არაბულის, ებრაულის, ფრანგულის, მალღურისა და საბირულის“ (ჩ. 701). 1932 წელს დაწერილ წერილში („დამახინჯებული ქართულის ნიმუშები“) საკმაოდ სერიოზულად „გადახარშული“ ვარიანტია

ჩანაწერისა: „დღევანდელი ალჟირული ენა უშნო ნაზავია ფრანგულის, ოსმალურის, ლათინურის და ებრაული ენების. პოლონელმა ებრაელებმა დომხალივით მოხარშეს პოლონური ებრაული, გერმანული და რუსული. ამგვარ ენაზე ვერავითარ აზროვნებას, ვერავითარ კულტურას ვერ შეჰქმნიან. მეტყველება მკვდარია და ერიც (როგორც კულტურული კატეგორია) აღარ არსებობს. „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“ და „რა ერი წახდეს, ერიც დაეცეს“ (წ. 735)...

სხვა მაგალითი იმისა, თუ ჩანაწერი როგორ გადადის პუბლიცისტურ წერილში: 1927 წელს მ. ჯავახიშვილს ბლოკ-ნოტში ჩაუწერია: „ქართულ ენას ზაფრანის ფერი დაედო, მოდუნდა, გადატაკდა, დაინგრა, მოიკრუნჩხა, თითქო დამბლად დაეცაო, თითქო სიკვდილის ლანდი მოეჩვენაო. ქართველი თითქმის დამუნჯდა, უკვე დაბლუვდა; ბორძიკობს, ვარდება, ბლუკუნებს“ (ჩ. 204).

1928 წელს დაწერილ წერილში „ქართული ენა“ ეს ჩანაწერი თითქმის სრულადაა გადატანილი და გავრცობილი; „ქართველი თითქოს დამუნჯდა“ შეცვლილია „ინტელიგენტი (და მონინტელიგენტოც) თითქოს დამუნჯდა“... და სხვა (წ. 722); იგივე ჩანაწერი გადატანილია „მთავარ ნაშრომში“ „ზაფრანის“ გარეშე და „ინტელიგენტის“ დამატებით (წ. 701)...

ნათელია ჩანაწერის დანიშნულება: გონებაში გაელვებუ-ლი აზრი არ დაიკარგოს; როცა ამის საჭიროება გახდება, გამოიყენოს... თუმცა სხვა მიზნებიც არსებობს: უამრავი „თე-მა“ არის მონიშნული. ზოგის დამუშავება მოუსწრია. მაგალი-თად, ამ ჩანაწერისა: „ტემა“: სკოლაში ანცობა. ერთი ფენმარ-დი სჯობნის ყველას. მორბის ავტო. ბავშვი მისდევს სირბი-ლით. გაასწრო. თავის სოფელთან რომ მივიდა, გული გაუს-კდა“... (ჩ. 171). გავიხსენოთ მოთხრობა „მღევარი“... და სხვა...

ჩვენს თემატიკასთან შორს არის, მაგრამ მაინც მინდა გავიხსენო: ასეთი თემა ჩაუნიშნავს: „ერთმა ქვრივმა ნაცნობ ქალს შესჩივლა — მამაკაცი მინდაო. გარიგდნენ 100 მანეთად. ქალმა ქმარი გაუგზავნა ქვრივს. ფულიც აიღო. ქმარი ქვრივს შერჩა. ცოლი უჩივის“ (ჩ. 138). — არცთუ ისე დიდი ხნის წინათ გადაღებული ქართული ფილმი „გარიგება“ გინახავთ? რამდენადაც მახსოვს, იქ მ. ჯავახიშვილის სხენება არ არის...

ზოგი ჩანაწერი ინფორმაციული ხასიათისაა: ფიქრობდა ალბათ, გამოადგებოდა შთამომავლობას. მაგ., სამი ასეთი ჩანაწერია სხვადასხვა დროს გაკეთებული:

1. „2/VI — 25 წ. მუხრანში ვიყავი. ილია ჭავჭავაძის მკვლელი მაჩვენეს. არ დავიჯერე. ლევან მეტრეველმა დამიდასტურა. შუა ტანის ჩასხმული მხეცი. სშირი ულვაში. გრუნა. გმირად არის ჩათვლილი. ეხლა ყოველივე ცხადია. მაგონდება: 1909 თუ 10 წელს სამიოდე იმის ამხანაგს სიკვდილი გადაუწყვიტეს. საზოგადოებამ პატიება სთხოვა. ოლღასაც მიაწვრინეს წერილი. აპატიეს. მაგრამ ისტორია გვაპატიებს? დიდად მნიშვნელოვანი ფაქტია. დაწვრილებით განვითარდეს. ეს მერე ხვრეტდა იმ ხალხს, რომელთაც ის გადაარჩინეს“ (ჩ. 65)...

2. „ილია ჭავჭავაძის მკვლელი ბერბიჭაშვილი — აღმასკომის თავმჯდომარე მუხრანში“ (ჩ. 70)...

3. „ბერბიჭაშვილი — ილიას მკვლელი 1925/XII აირჩიეს ც. საკ. კომ. წევრად“ (ჩ. 97)...

ამგვარი ჩანაწერები იმისთვის კეთდება, რომ ისტორიას „არ დაეკარგოს, შემოენახოს“ ასეთი ფაქტები... და კიდევ: „დაწვრილებით განვითარდესო“, წერდა, თუკი მიეცემოდა ამის შესაძლებლობა... არ მიეცა...

ამგვარი საუბრის გაგრძელება შეიძლება, მაგრამ ეს არ არის ამჯერად ჩვენთვის ძირითადი თემა... ჩვენს ნარკვევს ასე დავარქვით — „ენა მწერლის ბალავარია“...

დიას, გვანტერესებს „ქართული ენის ფანატიკოსის“ ჩანაწერები... ჩავიხედოთ მის უბის წიგნაკებში – რას ფიქრობს „თავისთვის“ დედაენის შესახებ... მისი ბედისა თუ „ბედის-მწერლის“ შესახებ...

და კიდევ: ბლოკნოტებში ქართულის პრაქტიკულ საკითხებზე, კონკრეტულ დარღვევებზე, „დამახინჯებულ“ ფორმებზე, სათუო და მოსაგვარებელ პრობლემებზე უამრავი ჩანაწერი აქვს; ეს ის ჩანაწერებია, ხშირად პუბლიცისტურ წერილებში მასალად რომ გამოიყენებს... ზემოთ წერილების ანალიზისას კონკრეტულ ენობრივ ფაქტებზე არ გვისაუბრია... აქ ვაპირებთ ამ თემის განხილვას... ასე რომ, ჩანაწერებზე ამ ორი კუთხით ვისაუბრებთ...

## 2. ჩანაწერები ქართული ენის, მისი ბედისა და „ბედისმწერლის“ შესახებ

ქართული ენის შესახებ თავის ძირითად ნაშრომში „ახალი სალიტერატურო ქართულისათვის“ მიხეილ ჯავახიშვილს აქვს ასეთი პარაგრაფი „დღევანდელი ქართული“. მწერალი საუბრობს „დამახინჯებულ ქართულზე“, სახეშეცვლილ ქართულზე... რომ „დღევანდელი ქართული ზრდისა და გარდატეხის პერიოდს განიცდის, ამიტომ სწრაფ ზრდას და განვითარებას როგორც მუდამ ყველგან და ყველაფერში, ფუნდამენტურ ნაკლიც მოსდევს“ (წ. 701)... როცა „ნაკლზე“ საუბრობს, შედარებით ფრთხილია, მოზომილი; თითქოს თავს იზღვევს: „ნურვინ იფიქრებს, ვითომ ეს ნაკლი და სიგონჯე, რომელსაც ეხლა მოგახსენებთ, თან მოჰყოლოდეს ახალ ეპოქას, დიდ რევოლუციას მოეტანოს. ეს სიგონჯე ძველი რეჟიმის შვილია, მისი ნარჩენია“... თუმცა იქვე თანამედროვე ინტელიგენციას სდებს ბრალს – „თუ რამ ირყვნება და ლპება, ესეც, უშეტესად მასვე უნდა მიეზღოს“ (წ. 701)... „დამნაშავეს“ მაინც ამ-

ხელს, მაგრამ ფრთხილობს კიდევ... რას ვიზამთ, მძიმე ცხოვრება აქვს გამოვლილი... უმძიმესი პერიოდი...

და თითქოს შვებას „ჩანაწერებში“ პოულობს...

თუ წერილებში მ. ჯავახიშვილი ოდნავ თავშეკავებულია, დიპლომატის სიფრთხილეს იჩენს, აქ, ჩანაწერებში, სათქმელს გახსნილად, შეუფერადებლად, პირდაპირ ამბობს... ვთქვით უკვე, ჩანაწერებს თავისთვის აკეთებს. არც იფიქრებდა ალბათ მაშინ, რომ ოდესმე ამ სახით გამოქვეყნდებოდა ეს ჩანაწერები...

ეს ხომ „სამუშაო ჩანაწერები“ იყო, მაგრამ...

რაც მთავარია, აქ ისეთი ჩანაწერებიცაა, „იმ დროის სისხლში სულამოვლებულმა“ მწერალმა, რა თქმა უნდა, იცოდა, ამ ჩანაწერთა გასაჯაროების შემთხვევაში რა მოელოდა... და ჩანაწერები მაინც კეთდებოდა; თითქოს გულს იოხებდა... ბლოკნოტები 1924-1935 წლებით თარიღდება — უმძიმესი პერიოდი...

რეალური სურათის აღსადგენად, თუ რას ფიქრობდა ჭეშმარიტი მამულისმოყვარე (როგორც ილია იტყოდა), გადაწყვეიტთ ამ წიგნიდან გამოკვრიბოთ ის ჩანაწერები, რომლებშიც, ერთი მხრივ, ქართული ენის იმდროინდელ ბედზეა საუბარი და, მეორე მხრივ, იმ ყოფაზე, რაც ამ ბედს უმზადებდა ჩვენს დედაენას, ქართველობასა და საქართველოს... და ვინ იყო „ბედისმწერალი“... თითოეულ ჩანაწერთან მივუთითებთ წიგნის გვერდს; კომენტარისაგან თავს შევიკავებ; ვფიქრობ, არცაა საჭირო... თუმცა ზოგჯერ ჩნდება სურვილი, მივაწერო — „დღესაც ასეა“...

ჩანაწერთა დალაგება შემთხვევითია...

\* \* \* (ბედი ქართული ენისა)

— „ქართული ენის სული სულ გაკჭრა და მისი ალაგი რუსულმა დაიჭირა. დარჩა მხოლოდ გარსი — ქართული სი-

ტყვები. ჩვენი ენის გარუსების საქმის მეოთხედი უკვე შესრულებულია“ (ჩ. 270);

– „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქართველები დარჩებიანო“ (ჩ. 314);

– „აღჟირელების ენა ნარევია არაბულის, ებრაულის, მალღურის და საბირულის. ჩვენც ასეთი ბედი არ გვეწიოს. ქართულ-რუსულ-თათრულ-ევროპული არ აირიოს“ (ჩ. 155);

– „მხოლოდ თქვენ მელაპარაკებით ქართულადო“, – მუხებება ტელეფონისტი ქალი. თუ აგრეა – ვაი ჩვენი ბრალი!“ (ჩ. 139);

– „ქართველი ინტელიგენტი უცხოეთში რომ მიდის, გულმოდგინედ სწავლობს იქაურ ენას, ლიტერატურას, გამოთქმას; ქართულს კი არ სწავლობს. რაც დედამ ასწავლა, ის იცის“ (ჩ. 195);

– „მთელი საქართველო, როგორც ერთი კაცი, ხრიალებს, ახველებს, ცახცახებს“ (ჩ. 183);

– „აღარ გუგუნებს სიონის ზარი, ჩეკას ერთგულებს ბაგრატიონი“ (ჩ. 256);

– „კახეთში კახური აღარ ისმის (ალავერდობაზეო – გ. გ.)“ (ჩ. 175);

– „ქართული „გამარჯვება“ გადაადგეს და არაბული „სალამი“ შემოიღეს“ (ჩ. 20).

– „აღმოსავლურ სიტყვებს სდევნიან და დასავლური შემოაქვთ. ჯერ ერთი, ამის გამო მწერალი ხალხს სცილდება, რომელმაც მრავალი აღმოსავლური იცის და დასავლური კი არა. მეორე: არავინ იცის, ვინ ვისგან ისესხა, ჩვენ თუ ჩვენგან. ჩვენ ქალდაველები და ხეტები ვართ და იმ დროიდან მუზობლებმა ათასი სიტყვა ისესხეს ჩვენგან“ (ჩ. 241);

– „სადღეისო ლექსიკიდან ფესვიანად ამოვარდა სიტყვები: „სინდისი“, „სიყვარული“, „პატიოსნება“, „ვაჟკაცი“ და მი-

სთანანი. ამოვარდა ლექსიკონიდანაც და ცხოვრებიდანაც, ამოვარდა სიტყვაც და საქმეც“ (ჩ. 260-61);

– „30 წელიწადში ერთიანი ქართული ენაც დაინგრა და ახალიც ვერ შემოვიდა“ (ჩ. 217);

– „ქართულ ენას ზაფრანის ფერი დაედო, მოდუნდა, გაღატაკდა, დაივრანა, მოიკრუნჩხა, თითქოს დამბლად დაეცაო, თითქო სიკვდილის ლანდი მოეჩვენაო. ქართული თითქოს დამუნჯდა. უკვე დაბლუვდა: ბორძიკობს, ვარდება, ბლუკუნებს“ (ჩ. 204);

– „მე ვშიშობ საქართველოს მომავლის შიშით და მეშინიან ჩემივე შიშის“ (ჩ. 130);

– „დღევანდელ კარგ მკითხველს მე-12 ს-ის ქართული უფრო ესმის, ვიდრე ეხლანდელი ზოგი მწერლისა. ჩვენს ენას მრავალგზის განუცდია „პროვინციალიზმისა და უცხო ენების გავლენა, მაგრამ არასოდეს ყოფილა ასე ამღვრეული“ (ჩ. 205);

– „ჩვენ ქართველებს, ჩვენი ღმერთი გვყავს, რომელიც მხოლოდ ქართულად ლაპარაკობს და სხვა ენა არ იცის“ (ჩ. 276);

– „ენის სიკვდილი – ერის სიკვდილი“ (ჩ. 262);

– „ტემა: ერთ ვინმეს რაღაც აწვალებს. უამრავი აქვს სათქმელი, მაგრამ ქართული ენა არ იცის. ბოლოს თავს იკლავს“ (ჩ. 262) (აქ ალბათ გაგვახსენდება იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა „მსხვერპლი დედაენის უცოდინარობისა“... ერთი დარდი ჰქონდათ)...

\* \* \*

– „1925. დეკემბერი. ყრილობაზე მარიამ ორახელაშვილმა განაცხადა: სხვა ენები მოვსპოთ და რუსულის სწავლა გავაძლიეროთო, რათა ჩვენებს შეეძლოთ რუსეთში სამსახურიო, მეფის მოხელეებს ამაზე მეტი არაფერი უთქვამთ“ (ჩ. 97);

– „25/II-ს უქმე პატივასდილ დედაკაცის უქმეა, რომელიც სწორედ 25/II-ს იხმარეს ძალით“ (ჩ. 20);

– „ტემა: „ჯვარცმული ენა“. გარუსებული მწერალი ქართულს სწავლობს. სწერს შესანიშნავ პოემას. ნელნელა ეკარგება ქართული ენის რწმენა. კალამს გასტეხს და დაიკარგება“ (ჩ. 119);

– „შავრაზმელი რუსი მირჩევიან გარუსებულ წითელ ქართველს“ – ამბობს ერთი“ (ჩ. 84);

*N* – „გარუსებულს რუსი სჯობია“ (ჩ. 216);

– „ქართველთ კრებაზე ერთი უცხო რომ შემოვიდეს, ყველანი რუსულად იწყებენ ლაპარაკს. რატომ აქაური უცხოელნი არ ლაპარაკობენ ქართულს? აქ იბადებიან, აქვე იზრდებიან და ქართულს არ სწავლობენ. იმიტომ რომ დიდმპყრობელები არიან“ (ჩ. 277);

– „მე თამამად ვაცხადებ, რომ რუსის მუჟიკი უფრო სუფთა რუსულს ლაპარაკობს, ვიდრე ქართველი მწერალი ქართულს“ (ჩ. 280);

– „მრავალი ქართველი სწავლობს ქართულს რუსული ლექსიკონით“ (ჩ. 80);

– „ტიპი: რუსული საუცხოოდ იცის, მაგრამ გადასჭრა და უცებ დაივიწყა – სამუდამოდ და ძირიან-ფესვიანად“ (ჩ. 328);

– „როცა რუსი უარს ამბობს რუსობაზე, ისევ რუსად რჩება. თუ ქართველი აღარ ქართველობს, იცოდეთ, გარუსებულია. ასეთი განსხვავებაა ქართულ და რუსულ კომუნისტებს შორის“ (ჩ. 251);

– „რასაც უწინ, 10 წლის წინათ, თვითონ სომხები ვერ ბედავდნენ – ტფილისში სომხურ წარწერებს, – ეხლა კომუნისტებმა გააკეთეს“ (ჩ. 84);

– „ტემა: ქმარი ქართველი. ცოლი სომეხი. ეროვნულ ნიადაგზე ტრაგედია დატრიალდა. ცოლი შვილს სომხად

თელის, სომხად ჩაწერა სკოლაში. გაყრამდე მივიდა საქმე. ცოლმა შვილი მოსწამლა, თვითონაც მოიწამლა. რუსად ჩა-  
კწერ და ქართველად არაო“ (ჩ. 175);

– „საბავშვო სახლიდან 300 ქართველი ბავშვი სომხებმა იშვილეს“ (ჩ. 63);

– „ქართველს „ტიხიაჩეს“ თქმა უფრო ეხერხება, ვიდრე „ათასის““ (ჩ. 239);

– „დღევანდელი ქართული მწერლობა, ხელოვნება და მეცნიერებაც, მეტად მცირე გამონაკლისის გარდა, მოსკოვის ნაბუშარია, საკუთარი ქართული სული იშვიათად მოსჩანს სა-  
დმე. მხოლოდ ქართულის ფოლადურ რომანტიკას შეუძლიან სავსებით განკურნოს, მაგრამ ამისთვის საჭიროა, რომ ჩვენს ირგვლივ და ჩვენს სულიერ-ფიზიკურ ცხოვრებაშიც ნამდვილი გამაჯანსაღებელი კატაკლიზმი მოხდეს – „ჩვენ კი – ჩვენ ჩვენს თავს არ ვეყუდნით“ და ამიტომ მოლოდინის მეტი არა დაგვრჩენია რა“ (ჩ. 45).

– „ჩვენ მცირე ერებს, მცირე მნათობების – ასტეროიდების ბედი გვიწერია: დიდი მნათობების თანამგზავრები ვართ და მათ გავლენას ვერ მოვწყდებით“ (ჩ. 254);

– „საუბარში უკვე შემოიჭრა რუსული „ნუ“! Ну садись, ну скажи, ну пиши – ნუ დაჯექი, ნუ სთქვი, ნუ დაწერე! ასე ლაპარაკობს ინტელიგენცია, მე ვერ წარმომიდგენია ამაზე უარესი გადაგვარება; ზოგნი კი გაიძახიან, ენა გაგვიმდიდრდაო. დეგენერატი ვერ შეიგნებს თავის დეგენერატობას, გიჟი – გიჟობას“ (ჩ. 288);

– „მეუბნებიან, რუსული გაქანება ბუმბერაზულიაო. მე კი ასე მეჩვენება: ცოფიანი დათვი ლამობს გაფრინდეს – აი, რუსული გაქანებაც და მოქნევაც (ჩ. 281);

– „ბაირალები და პლაკატები რუსულად მხოლოდ“ (ჩ. 34);

- „უკანასკნელ 100 წელიწადში რუსული ენა ოდნავ შეიცვალა, ქართული კი გაცილებით უფრო მეტად. ეს იმიტომ მოხდა, რომ რუსული განუწყვეტლივ ანჯღრევს, ასხვავერებს, არუსებს ქართულს. ჩვენი ენაც სავსებით განიცდის პოლიტიკურ-სოციალურ ცვლილებებს და გავლენას, რომელიც რუსეთიდან გვწვდება და ერის ყოველ უჯრედზე ახდენს გავლენას“ (ჩ. 292);

- „რუსებს რომ კავკასიონის ქედი გადმოუღასავს, ყველაფრით გაოცებულა, შეშინებულა და ყველაფრისთვის „ჩორტი“ დაურქმევიათ: „ჩორტოვა სკალა“, „ჩორტოვა გორა“, „ჩორტოვა გოლოვა“, „ჩორტოვ მოსტ“, და ყველგან – კლდეზე, ქვაზე, კედელზე თავიანთი გვარ-სახელები წაუწერიათ. ბუნებაც კი წაბილწეს და მთებიც კი წამურტლეს“ (ჩ. 325);

- „ჩვენი ენა წაილეკა სლავიანიზმით, გალიციზმები უნდა გავაძლიეროთ“ (ჩ. 98);

- „დაიბეჭდა სია ცეკას წევრების (1925 XII) ანბანით. ელიავა ბოლოში იყო. თურმე სიაც კი რუსულად ყოფილა შედგენილი. (ასო უ რუსულად ბოლოშია)“ (ჩ. 88);

- „რუსულ-ქართულის გათანასწორებას მკაცრი შედეგი მოჰყვა, მაგრამ უფლება არავის აქვს, სხვას უსაყვედუროს გარუსება. ყველანი ნებაყოფლობით ვრუსდებით“ (ჩ. 200);

- „მწერალთა სასახლეში ორი მამულიშვილის სურათი ეკიდა. ერთი მათგანი – დ. ყიფიანი რუსებმა მოჰკლეს, მეორეს კი – დიდ ილიას ქართველებმა გაუხვრიტეს შუბლი. ბოლშევიკებს ძილი უფრთხოდათ. ყიფიანის სურათი ქურდულად გააპარეს, ილიას კი ჯერ ერიდებიან, მაგრამ მისი დროც დადგება“ (ჩ. 290);

- „კაენისა და აბელის პრობლემა მუდამ დასტრიალებს ქართველ ხალხს. აბელი მუდამ ეროვნულ ღმერთს სწირავს შესაწირველსა, კაენი კი უცხოთა ყმა არის და ჰკლავს მას. ასე მოჰკლა ფილიპემ ჯერ ილია და მერე ნოე. ამგვარი ძმის

კვლა ათასჯერ მომხდარა ჩვენს წყეულ ქვეყანაში, რომელიც ზოგს კურთხეული ჰგონია. მხოლოდ მესამე პირი — ღმერთი არ მოსჩანს და არ ეკითხება, მახარაძეებს: კაენ, სად არის ძმა შენი? არა, არ ღალადობს ხმა სისხლისა ძმისა ფილიპესი უფლისადმი. არც იღალადებს, რამეთუ ისინი ძმანი არიან“ (ჩ. 291);

— „ჩემი ანდერძის დასასრული... ჩვენო შეილებო, დაივიწყეთ ეგ რუსული ისე მკვიდრად, ერთი სიტყვაც არ გაგახსენდეთ“ (ჩ. 290).

## 2. ჩანაწერები ქართული მნის, მისი ბაჟის და „ბაჟის-მწერლის“ შესახებ...

— „სკვითმა წაგვართვა სამშობლო“ — ეკუთვნის იოანე ბატონიშვილს (ჩ. 168);

— „25 თებერვალს მე ვიგრძენი, თუ როგორ შემოვიდა ტანში მჭრელი მახვილი, რომელიც მას აქეთ დლითი-დღე უფრო ღრმად მერჭობა. გაფითრებული ვარ და ტანში მუღმივი ჟრჟოლა მივლის. ეხლა სატეერის წვერი ზედ გულზე მაქვს დაბჯენილი და ვგრძნობ, ოდნავ რომ შევიწმრე, ჩამერჭობა და ისე გამათავებს, რომ გმინვის ამოღებას ვერ მოვახერხებ“ (ჩ. 250);

— „ერთი მუშა ამბობს: „გეფიცები დედ-მამას, ცოლ-შვილს, პატრონებს: ვინმე რომ გამოყვანდეს დიდ მოედანზე, გამხდიდეს და ას ჯოხს დამკრავდეს — ნიკოლოზ მეფეს რად ებრძოდო, დაუყვირებ: დამკა, დამკა, კიდევ დამკარი! ახია ჩემზე, ახია“ (ჩ. 181);

— „იმისა და ახალი ქვეყნის შუა 25 თებერვალი ისე აეყუდა, როგორც გარდუვალი მყინვარი“ (ჩ. 32).

— „ავვისტო (1924) მარაბდის 300 წლის თავზე (1624) დატრიალდა“ (ჩ. 305);

– „ღმერთმა შეიდ დღეში შექმნა ქვეყანა, კომუნისტების რწმენით კი ერთ დღეში შეიქმნა – 25 ოქტომბერს“ (ჩ. 311);

– „ერთი ამბობს: „მივიღებ ოქტომბერს, თუ თებერვალი გამოაკელით“ (ჩ. 30);

– „კომუნისტები ღმერთს ჰბილწავენ, ანგრევენ, ღმერთი კი მაინც ამათ მხარეზეა: მაგრად სხედან, ცხოვრობენ და ისევ ღმერთს აფურთხებენ (საკვირველია)“ (ჩ. 213);

– „რელიგია გულისხმობს ზეცას. დღევანდელი რუსები კი რელიგიას ჰქმნიან (ლენინიზმი) და საკუთარ კუჭზე ლოცულობენ“ (ჩ. 205);

– „ბოლშევიზმი უმწიკვლო და უზადო სახეა რუსის ხალხის. იგი მისი შვილიც არის, დედაც, შობილიც, მშობელიც. ორივე ერთია, განუყოფელია. ვინც ეს ჭეშმარიტება გაიგო, მან ყოველივე გაიგო. დროა გათავდეს უუყალბესი ზღაპარი, ვითომ ხალხი სხვა იყოს, ბოლშევიზმი კი – რაღაც განყენებული, ციდან ჩამოვარდნილი რისხვა. ვინც ასე მსჯელობს, თავს ვერ დააღწევს სქოლასტიკურ პოლიტიკას ან პოლიტიკურ სქოლასტიკას“ (ჩ. 217);

– „იყო და არა იყო რა, ლენინზე უკეთესი ვიღა იქნებოდა! – ასე იწყება თანამედროვე ზღაპარი“ (ჩ. 229);

– „წითლების მიზანია ყველანი ერთმანეთს შეაძულონ და თავისთავიც შეაძულებინონ (ანტიქრისტეს ოცნებაც ეგ არის). ქრისტიანებისა კი – ერთმანეთიც და საკუთარი თავი შეაყვარონ. „თქმა არ უნდა, ლენინი ანტიქრისტეა და სტალინი კი მისი ომარი“, – ამბობს ვინმე“ (ჩ. 243);

– „რაც კომუნისტებს ვერ გაუგიათ ან ვერ დაუმონავებიათ, ჭირივით სძულთ“ (ჩ. 327);

– „რა უფრო მკვიდრად შეადულებს ქალ-ვაჟს, მათი სახე და სხეული (ერთი ღამე ლოგინში) თუ მარქსის-ლენინის ყველა წიგნები?“ (ჩ. 334);

– „ჯაყოს“ 1924 წ. სექტ.-ოქტომბერში ვწერდი და ვკრძნობდი, რომ ჩემს გულს ცეცხლი ეკიდებოდა, ხოლო სული იმ დროის სისხლში მქონდა ამოვლებული. „ჯაყო“ გმინვია ჩემი სულის“ (ჩ. 81);

– „არსენაში“ გაძლიერდეს რუსების მხეცობა“ (ჩ. 82);

– „ქართველს ვერაფერში დააჯერებ. უნდა მიიყვანო იქამდე, რომ თვითონვე შეიგნოს. ორმოც წელიწადს ვაჯერებდით – სოციალიზმი უუდიდესი უბედურებააო, რომ რუსის მუჟიკს უფრო მეტი აქვს მეზობლის შეჭმის მადა, ვიდრე აზნაურს. დაიჯერა მხოლოდ დღეს, როცა იმის ზურგზე დამტკიცდა ეს ცხადი ჭეშმარიტება“ (ჩ. 179);

– „როზვი რუსებმა მოიტანეს. – შედეგი“ (ჩ. 215);

– „სიტყვა „კულაკი“ შემოიღეს და თვითონ კულაკებიც ათიათასობით გაანადგურეს. ჩვენში კულაკი არ ყოფილა. ამას ყველაზე უკეთ ის ადასტურებს, რომ მისი შესაფერისი სიტყვაც კი არა გვქონია. ყოვლად შეუძლებელია, რომ არსებობდეს რაიმე მცნება ან მოვლენა და მისი გამომხატველი სიტყვა კი არ მოიპოვებოდეს“ (ჩ. 277);

– „ქრისტე რომ ჩამოვიდეს და ქართველებში დასახლდეს, მეორე დღესვე თავში ჩავუფაჩუნებთ, ან ხელს გადავხვევთ და ასე ავლაპარაკებით: ბიჭო იესო, როგორ ხარ? რასა იქმ შე ჩემო ნალავ? წამო, ერთი ჩარეკა დამალეუინე...“

ასეთი ლაზღანდარა ხალხია ქართველი. ასე დაგვცა და გაგვათახსირა რუსულმა კულტურამ“ (ჩ. 259);

– „ქართული ნაციონალიზმი ანუ პატრიოტიზმი მხოლოდ სიძულვილია უცხოელებისადმი, რომელთაც დაიპყრეს ჩვენი სახლი, ჩვენი ცოლ-შვილი და ჩვენი ნაშრომი. რუსული ნაციონალიზმი კი აღვირაწყვეტილი სიხარბეა მხეცისა, რომელმაც ათი მეზობლიდან ცხრა შეჭამა და მეთესაც მოითხოვს“ (ჩ. 270);

– „ლიბრეტოსაც კი მოსკოვი ამტკიცებს. ცენტრალიზმი კარგია ერთი მთლიანი ერთ დასახლებულ ქვეყანაში, რუსეთში კი ამას სხვანაირი ხასიათი აქვს“ (ჩ. 43);

– „სატანას მხოლოდ ქრისტე მოერევა. მარქსის შხამს მხოლოდ სახარება გაჰკურნავს. ყოველივე დანარჩენი უქმი ლაყბობაა და მეტი არაფერი“ (ჩ. 285);

– „უკრაინის შემდეგ ბელორუსიის ცეკამაც აღიარა, რომ უმთავრესი ხიფათი იქაური ნაციონალიზმია, ხოლო რუსული შოვინიზმი მთელ კავშირში რჩება მთავარ ხიფათად“ (ჩ. 38);

– „ახალ კოლხოზებში ყველას ერთად უკრავენ თავს – რუსებს, უკრაინელებს, ოსებს – რა თქმა უნდა, გასარუსებლად“ (ჩ. 38);

– „კომკავშირლები ჯერ არ დაბადებულიყვნენ და უკვე დაბერდნენ“ (ჩ. 236);

– „მეუბნებიან, ვაი შენ თუ თეთრი დანით დაგკლეს, და ნეტა შენ, თუ წითლით დაგკლესო“ (ჩ. 241);

– „ბაზალეთის ტბის ძირიდან განგებამ ოქროს აკვანი ამოიღო. იმავე განგებამ სამი წლის შემდეგ წითელ ხიშტით უკანვე ჩააგდო“ (ჩ. 23);

– „ამ ქვეყნად ისლა დაგვრჩა სანუგეშო, რომ „ისინიც“ ჩაძაღღდებიან“ (ჩ. 294);

– „ჩემს ხალხზე ვწერ და ვფიქრობ, შუაში კი სხვა გვიდგა და ახლოს არ გვიშვებს ერთმანეთთანა. ამაზე ითქმის: შორით ოხერა, შორით კვნესა, ღმერთო მიშველე! გზას არ გადაუხვიო და სხვაზე არ აკვნესდე!“ (ჩ. 139).

\* \* \*

აქ იმდენი ითქვა, ძალაუნებურად კომენტარი მოგესურვება კაცს... ბერეიც სადღეისო აზრია...

ერთ ჩანაწერსაც მოვიყვან – რატომ კეთდება ეს ყოველივე:

„ბალზაკმა სთქვა: საზოგადოება მიკარნახებს. მე კი მისი მღივანი ვარო. მე კი საქართველო მიკარნახებს და მეც მისი მონა ვარ“ (ჩ. 2670).

ღიას, ეს საქართველოს ხმა არის; საქართველოს ნაკარნახევი... მიხეილ ჯავახიშვილის ჩაწერილი!...

### 3. ჩანაწერები კონკრეტული მწიგნობრივი

#### საკითხების შესახებ

ჩვენ ვისაუბრეთ მ. ჯავახიშვილის პუბლიცისტური წერილების შესახებ. ბევრი შენიშვნა ჰქონდა მწერალს „დამახინჯებული ქართულის“ გამო (ასეთი სათაურებიც იყო: „ქართულის დამახინჯებანი“, „დამახინჯებული ქართულის ნიმუშები“)... მწერალი დღევანდელ ქართულზე როცა წერდა, ინტელიგენციის ენას ასე ახასიათებდა: „მისი ქართული გახმა, მოიკრუნჩხა, დაიხლართა, დამძიმდა, აღარ ძველი ნათელობა შემორჩა, არც გამჭვირვალობა, არც მკაფიობა და მოქნილობა“...

ანუ, რას გულისხმობს „დამახინჯებული ქართული“? – ესაა გამხმარი, მოკრუნჩხული, დახლართული, დამძიმებული, ბნელი, გაუმჭვირვალე, ბუნდოვანი, მოუქნელი... ღიას, ეს უმძიმესი ეპითეტები ქართული ენის დასახსნიათებლად დასჭირდა მწერალს...

უმძიმესი შეფასებაა... (როგორც მ. ჯავახიშვილი იტყოდა – უუმძიმესი...).

მიხეილ ჯავახიშვილს ზერელე მსჯელობა არ უყვარს; უსაგნო საუბარი არ სჩვევია... და სწორედ განხილულ პუბლიცისტურ-კრიტიკულ წერილებში უამრავი მაგალითია „დამახინჯებული ქართულისა“ – საბუთად იმისა, თუ რატომ ახა-

სიათებს ამგვარად ქართულ ენას. ხშირად წყაროს (ავტორს) არ ასახელებს.

ვთქვით, ესეც გამიზნულია: ავტორის დასახელებისას აქცენტი ამ ავტორზე კეთდება ძალაუნებურად და სხვამ შეიძლება ყურადღება ნაკლებად მიაქციოს („ეს მე არ მეხებას“ პრინციპით...)... თუმცა ზოგჯერ არც ავტორების დასახელებას მორიდებია; პრინციპი აქვს ასეთი, დაუნდობლად ამხილოს „ქართულის დამახინჯებანი“...

გვანსოვს, მ. ჯავახიშვილის მთავარი მოწოდება: მწერალმა ენაზე უნდა იმუშაოს; ენა უნდა ისწავლოს. ენის ცოდნა — ამ ენის გრამატიკის საფუძვლიანი ცოდნაა... წერდა ერთგან: „მე ვიცნობ ისეთ ქართველ მწერლებს, რომლებსაც შესანიშნავი ქართული ენა აქვთ, მაგრამ გრამატიკა არ იციან“ (წ. 732)... ანუ: ენა უნდა იცოდეს საფუძვლიანად, მეცნიერულად...

მიხეილ ჯავახიშვილი თავად არის ღირსეული მაგალითი იმისა, თუ რას ნიშნავს „გრამატიკის ცოდნა“... მისეული ანალიზი ენობრივი ფაქტებისა, ნორმათა დარღვევებისა, შეცდომებისა, ლაფსუსებისა, ერთი მხრივ, და კლასიფიკაცია-კვალიფიკაცია ამ ფორმებისა, მეორე მხრივ, სწორედ ქართული ენის გრამატიკის საფუძვლიანი ცოდნის შედეგია, მწერლისათვის შესაშური ცოდნისა!...

სწორედ ამ ცოდნის საფუძველზე იწონებს თუ იწუნებს მ. ჯავახიშვილი სხვის ქართულს, მოუწოდებს კალმოსნებსა თუ მკითხველებს — პატივი მივაგოთ დედაენას, ვისაუბროთ და ვწეროთ სუფთა ქართულით!...

რაც ვთქვით, ამის დასტური არის „წერილები“ და... ამის კარგი დასტურია „ჩანაწერები“. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, ამ ჩანაწერებში იყრის თავს ყოველგვარი შენიშვნა, ყო-

ველგვარი აზრი, ყოველგვარი ინტერესი ქართული ენის შესახებ; და აქ გაჩენილ (აქ ჩანიშნულ) ფორმებს შემდეგ მიუჩენს ადგილს წერილში თუ მხატვრულ ნაწარმოებში... ზოგი ჩანაწერი აქვე რჩება, „ბლოკნოტში“, „თავისთვის“ (ავტორისთვის) – გასახსენებლად, საფიქრალად... ისეთი ჩანაწერიც არის, ძნელია მიხვდეს მკითხველი, რისთვის ვაკეთდა ეს ჩანაწერი – მოსწონს, იწუნებს თუ რაიმეს ანალიზისთვის სჭირდება. შევნიშნავთ, ბლოკნოტებში „ენობრივ ჩანაწერებს“ წინ უძღვის მინიშნება: „ქარ“, „ქ“ – ჩვეულებრივ ბრჭყალებში ჩასმული ან უიშისოდ.

ზემოთქმულის მაგალითები:

„ქარ“. ჩვევა (ები) – ჩვეულება (ჩ. 287);

„ქარ“. დარჩა ქუჩაზე... და ასე შემდეგ (ჩ. 261);

„ქარ“. თეატრში, კანცელარიაში და სხ. (ჩ. 255)...

ზოგი ჩანაწერი „დაშიფრულსა“ ჰგავს:

„მოიტაცა, მოიძკო, მამასადაძე, მოსჭრა, მოსჭამა, მოჰკლა და სხ.“ (ჩ. 52);

ან: „მოსკოვში სტალინს – ძეგლი შოთას. ილია ფეოდალიაო. ქართული ენა (ჩ. 52)...

„შიფრი“ მწერალმა იცის...

უმეტეს შემთხვევაში ჩანაწერების მიზანიც ნათელია და ავტორის პოზიციაც. არაა აქ მხოლოდ შენიშვნები (თუ ჩანიშვნები); ესაა ფიქრი ქართული ენის შესახებ; დედაენის მოყვარულის, გულშემატკივრის, ჭირისუფლის აზრი ამა თუ იმ საკითხის, მოვლენის შესახებ... ზოგჯერაც ესაა გაფრთხილება; ზოგჯერ მინიშნება, რას უნდა მიექცეს ყურადღება, რა არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რა ითხოვს შევლას...

ჩვენ შევეცადეთ, ამ წიგნში („ჩანაწერები“) წარმოდგენილი ყველა ენობრივი (ენასთან დაკავშირებული) შენიშვნა ამოგვეწერა, დაგვეჯგუფებინა; მოგვეხდინა კლასიფიკაცია-კვალი-

ფიკაცია მაგალითებისა და შეგვექმნა სურათი იმისა, თუ რა ფართოდ, ღრმად და პროფესიონალურად ხედავს მიხეილ ჯავახიშვილი ენობრივ ასპარეზს... რა მოსწონს, რას იწუნებს, რას გამოხსნის და რა რეკომენდაციას იძლევა ამა თუ იმ საკითხის შესახებ...

ზოგ შემთხვევაში (ზოგი ჩანაწერისა თუ საკითხის გასაზრებლად) პუბლიცისტიური წერილების მოშველიებაც გახდება საჭირო... მაშ ასე...

### **ჩანაწერები კონკრეტული ენობრივი საკითხების შესახებ**

ჩვენი ნარკვევის ამ მონაკვეთში შევეცდებით ვაჩვენოთ, რა კონკრეტულ საკითხებს სვამს მ. ჯავახიშვილი, რაში ხედავს პრობლემას და რა მიაჩნია საჭიროდ მდგომარეობის გამოსასწორებლად; ხშირ შემთხვევაში საკუთარ ნორმატულ ვარიანტსაც გვთავაზობს...

საკითხებს დავაჯგუფებთ თემატურად.

\* \* \*

აკაკი წერეთელი, როცა რაზიკაშვილების ენას ახასიათებდა, წერდა: „ვინ არ იცის, რომ ქართული ენის სიმდიდრეს უშეტესად შეადგენენ ზმნები, მათი უღვლილეობა და მიმოხვრა... ვინც ზმნებს ჯეროვნად ვერ ხმარობს, ის უეჭველად ქართული ენის უშეცარია!“ სწორედ ზმნა ქმნის განსაკუთრებულ პრობლემას ქართულ მართლწერაში...

ზმნურ ფორმათა მართლწერა არის მთავარი ყურადღების საგანი მ. ჯავახიშვილისათვისაც – დაწერილებით, ჩაღრმავებით, მეცნიერული ინტერესით მსჯელობს მწერალი. ერთსაც შევნიშნავთ: მ. ჯავახიშვილი აქტიურად იყო ჩართული თბილისის უნივერსიტეტთან არსებულ სატერმინოლოგიო კომიტეტისა თუ სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისიის

მუშაობაში; ნორმათა პროექტებსაც კი წარადგენდა ამ კომისიაზე...

ჩვენც „ჩანაწერების“ მიხედვით ქართული ენის კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობას **ზმნით** დავიწყებთ.

**შევნიშნავთ:** 1. ჩანაწერებში“ ხშირად წყაროს არ მიუთითებს მწერალი (როგორც ითქვა) და კონტექსტიც იშვიათადაა წარმოდგენილი, თუ ამას საგანგებოდ შენიშვნის შინაარსი არ მოითხოვს (მაგალითად, როგორც ქცევის შემთხვევაში...).

2. ცალკეულ საკითხებზე საუბრისას, საჭიროების შემთხვევაში, მ. ჯავახიშვილი საგრამატიკო ტერმინებს ძირითადად სწორად ხმარობს – იმ დროს გავრცელებულ ვარიანტებს გამოიყენებს; მაგ.: ნამყო სრული და ნამყო უსრული (ნაცვლად ტერმინებისა წყვეტილი და უწყვეტელი), თურმეობითები... როცა სხვაობს დღევანდელთან მწერლის ტერმინოლოგია, ჩვენ მსჯელობისას დღეს საყოველთაოდ გავრცელებულ ტერმინებს მოვიხმობთ...

3. როგორც აღვნიშნეთ, მ. ჯავახიშვილი კარგად იცნობს იმდროინდელ საენათმეცნიერო ლიტერატურას, თუმცა ამ ტიპის ნაშრომებსა და ჩანაწერებში დამოწმების საკითხი არ დგას: ეს არ არის მეცნიერული გამოკვლევა, ძიება; ქართული ენის გულშემატკივარი მწერალი საუბრობს დედაენის პრობლემებზე, გვიზიარებს თავის აზრს, ცდილობს წვლილი შეიტანოს მოსაგვარებელ საკითხთა მოგვარებაში...

### **ზმნის ფორმაწარმოების საკითხები:**

\* \* \*

მ. ჯავახიშვილი აწმყოს ფორმათა წარმოების შესახებ რამდენიმე შენიშვნას აკეთებს:

ა) ვნებითი გვარის მესამე პირის მხოლოდობით რიცხვში პარალელიზმი უნდა მოიხსნას, უპირატესობა ახალ ფორმას

უნდა მიეცეს: „ღარ იწერების — იწერება“ (ჩ. 254)... ერთი და იმავე ტიპის ფორმა სხვადასხვა ჩანაწერებში ან ერთსა და იმავეში ხშირად მეორდება. ჩვენ ჩვეულებრივ ერთ მაგალითს დავიმოწმებთ.

ბ) მიყვარს ზმნის მრავლობითის III პირის ფორმა მიყვარან დიალექტურია („ხევსურულშილაა დარჩენილი“ — ჩ. 51). სწორია ისინი მიყვარს.

გ) „რას ჩქარდები (რატომ ჩქარობ)“ (ჩ. ).

დ) სუბიექტური მესამე და ობიექტური მეორე პირთა კომბინაციისას ზედმეტია სუბიექტური პირის ნიშანი -ს; გრძელი რიგია მაგალითებისა: „გიცქერი(ს)თ, გეტყვი(ს)თ, შეგინდობ(ს)თ, გტყორცნი(ს)თ, გაგრეკავ(ს)თ, გაგახსენებ(ს)თ“... (ჩ. 235).

მყოფადის „სასარგებლოდ“ ორჯერ აკეთებს შენიშვნას: „მყოფადი და ბრძანებითი ფორმა ქართულს უხდება“ (ჩ. 12); სხვაგან წერს: „მყოფადის ფორმა ქართულს უხდება“ (ჩ. 72)... ჩვენი აზრით, აქ ის უნდა იგულისხმებოდეს, რომ აწმყოსაგან მყოფადს ძირითადად ზმნისწინი განასხვავებს; აწმყო: აკეთებს; მყოფადი: გა-აკეთებს, შე-აკეთებს, გადა-აკეთებს, მიაკეთ-მო-აკეთებს... ზმნისწინის შემოტანა ფორმაში სემანტიკურად ზმნის მნიშვნელობას აკონკრეტებს, აზუსტებს — მნიშვნელობა უფრო ნათელია... ხშირად აწმყოს ფორმით (უზმნისწინოდ) წარმოდგენილი ზმნის მნიშვნელობა ბუნდოვანია: „ასრულებს“, რის შესახებაა საუბარი — „შეასრულებს“ თუ „დაასრულებს?“ მწერლის შეფასება „მყოფადი უხდება“ ამას უნდა ნიშნავდეს...

\* \* \*

მწერალს განსაკუთრებით აფიქრებს უწყვეტელსა და წყვეტილში სუბიექტური მესამე პირის მრავლობით რიცხვში

თავჩინილი პარალელიზმი -ენ // -ნენ: წერდ-ენ // წერდ-ნენ;  
მივიდ-ენ // მოვიდ-ნენ.

მ. ჯავახიშვილი მსჯელობს ამ ფაქტზე და ასეთ წესს გვთავაზობს: „თუ ნამყო სრულსა და უსრულს „დნენ“-ის წინ ხმოვანი ბგერაა, რა უნდა დაიწეროს „დნენ“ (გალობდნენ, ჩი-ოდნენ და სხ.) და თუ თანხმოვანი ბგერაა, ნარი უნდა ჩამო-შორდეს (სჭამდენ, სცნობდენ, სვამდენ). ეს პროექტი სატერ-მინო კომიტეტში შევიტანე: ჩემი გამოვლილია... მაგრამ რა ვუყოთ „შეჰყვნენ“-ს და მისთანებს?“ (ჩ. 296).

— ეს ბლოკნოტში გაკეთებული ჩანაწერია; რა სახე ჰქონდა „სატერმინო კომიტეტში“ შეტანილ პროექტს, ძნელი სათქმელია, მაგრამ ამ საკითხზე ნორმის დადგენისას მ. ჯავახიშვილი რომ აქტიურად ჩარეულია, ცნობილი ფაქტია; საინ-ტერესო ისტორია აქვს ამ ნორმის დადგენას:

მოგახსენებთ, -ენ// -ნენ ვარიანტთაგან პირველი უმეტესად დასავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული, მეორე — აღმოსავლეთში. როგორც ირკვევა, ნორმათა დამდგენ კომისია-ში საკითხი მ. ჯავახიშვილს დაუსვამს. მისთვის, როგორც ქართლელისათვის, უფრო ბუნებრივი და მისაღები მეორე ვარიანტი ჩანდა. პროფესორი ივანე გიგინეიშვილი ჰყვებოდა: ამ საკითხზე ნორმის პროექტის მომზადება არნ. ჩიქობავას დაე-ვალა. არნ. ჩიქობავას შეუსწავლია საკითხის ისტორია, ამ აფიქსთა გავრცელების თანამედროვე ვითარება და კომისიის-თვის წარუდგენია მოხსენება ასეთი დასკვნით: „დ-ს შემდეგ (ფუძისეულია იგი თუ დროის მაწარმოებელი) ყველგან უნდა იხმარებოდეს -ენ დაბოლოება (ისტორიულად მართებული...)... უნდა ითქვას და დაიწეროს აკეთებდენ, ხატავდენ, მოვიდენ, დასახლდენ“... კომისიის წევრი მწერალი მიხეილ ჯავახიშვი-ლი არ დაეთანხმა ამ დასკვნასო, — ბრძანა ი. გიგინეიშვილმა: „წერდენ“ და „მოვიდენ“ რა ქართულიაო! და მოითხოვა ნორ-მად -ნენ დაბოლოება... მ. ჯავახიშვილის ავტორიტეტმა და

არგუმენტაციაში შეცვალა წარმოდგენილი პროექტი ნორმისა (როგორც ჩანს, -ენ/-ნენ თანაბარი გავრცელებისა იყო და ესეც დაეხმარა ამ ვარიანტის ნორმად ქცევას...) და დაადგინეს: „ყველგან უნდა იხმარებოდეს -ნენ დაბოლოება“... მოხსენება იგივე დარჩა, შეიცვალა დასკვნა (!)... ასე რომ მ. ჯავახიშვილის დამსახურებაა -ნენ რომ გვაქვს ნორმად და არა -ენ...

როგორც ჩანს, -ენ/-ნენ პარალელუბზე ბევრი უფიქრია მწერალს („წერილებშიც“ არაერთგან შეეხება ამ თემას...); რამდენიმე ჩანაწერს მოვიხმობ:

„გაეწერენ მაგრამ გამოვიდნენ“ (ჩ. 217);

„დნენ თუ დენ? მაგალითები: 1. შეიყარნენ-ეს-ეთ; -ენ! ერთმანეთს აკოცეს და გაიყარ(ნ)ენ-ეს. 2. იქმნენ – ჰქმნენ!“ (ჩ. 60). ზოგი მაგალითის მიზნობრიობის გააზრება ჭირს...

მწერალს ისტორიაც უკვლევია ამ დაბოლოების: „მოვიდნეს, დაერივნეს, მოეწივნეს, მიუხდეს“ (და არა მოვიდეს) სწერენ ს. ჩხაიძე, ორბელიანი, გორგიჯ-ძე მე-17-18 ს-ში. უფრო ხშირად კი სწერენ მოვიდნენ, სულ არ გვხვდება მოვიდენ“ (ჩ. 52).

ასე რომ, ნორმათა დადგენისას კომისიაში მ. ჯავახიშვილის პოზიცია ახირება კი არ იყო, მის მიერ „ნაკვლევი“ ენობრივი ფაქტებით განმტკიცებული რწმენა!...

\* \* \*

საინტერესოდ არის შემჩნეული წყვეტილში სუბიექტური მესამე პირის მრავლობით რიცხვში -ეს სუფიქსის ნაცვლად -ენ დაბოლოების დამკვიდრების ტენდენცია დასავლურ დიალექტებში. ჩაუწერია: „გააკეთენ... თქვენ... გაწყურენ... დასდენ“ (ჩ. 702).

ამგვარ ფორმებზეც საუბრობს: „კედელზე ეკიდენ (ეკიდა) რუქები“ (წ. 702).

„წერილებში“ კაუზატიური ფორმების მართლწერაზეცაა გამახვილებული ყურადღება: „გააყილია (გააყიდვინა)“ (წ. 702).

## ✓ II კავშირებითის ფორმები

ცნობილი ფაქტია: ძველ ქართულში ე. წ. პირდაპირი ობიექტის მრავლობითის -ენ (→ -ნ) სუფიქსი თავს იჩენს II სერიის მწკრივებში ინიანი ვნებითის მრავლობით რიცხვში (გავიზარდ-ენ-ით, გაიზარდ-ენ-ით, გაიზარდ-ნ-ეს...). ეს არქაული ფაქტი შემორჩა აღმოსავლურ დიალექტებს მეტ-ნაკლებად (გავიზარდ-ენ-ით, გაიზარდ-ენ-ით, გაიზარდ-ნ-ენ...). -ენ(-ნ) სუფიქსი თავს იჩენს II კავშირებითშიც.

II კავშირებითში ასეთი პარადიგმა გვქონდა: გავიზარდნეთ, გაიზარდნეთ, გაიზარდნ-ენ; ახალ ქართულში ამ პარადიგმამ ასეთი ცვლილება განიცადა: გავიზარდლოთ, გაიზარდლოთ, გაიზარდონ...

მ. ჯავახიშვილი ამ ფორმებთან დაკავშირებით ასეთ ჩანაწერს აკეთებს:

„გავიფანტ(ოთ)ნეთ! დავიკარგ(ოთ)ნეთ! გავიპარ(ოთ)ნეთ!“ (ჩ. 297). ფაქტია, ფორმათა პარალელიზმზე მიანიშნებს; ძახილის ნიშანი რომელიმე ვარიანტისათვის უპირატესობის მინიჭების სირთულეზე უნდა მიანიშნებდეს...

## I თურმეობითის შესახებ

XX საუკუნის ქართულში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პარალელიზმი არის ორპირიან გარდამავალ -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა I თურმეობითის ფორმები (დაუსატავს // დაუსატაია, დამისატავსარ // დამისატაისარ...).

მ. ჯავახიშვილი ახდენს ამ ენობრივი ფაქტის სწორ აღწერასა და შეფასებას:

„მე დამისატავს — მისატავს? დამისატაია.

მე მითელავს — მითელია.

მე მიტანჯავს — მიტანჯია“ (ჩ. 295).

პირველ სტრიქონში კითხვის ნიშანი იმაზე უნდა მიანიშნებდეს, რომ ამ ფორმას მყოფადის გაგებაც აქვს (რას შვრება ის? და რა მიქნია მე?)

საინტერესოა ისიც, რომ მ. ჯავახიშვილს შეუმჩნეველი არ რჩება: „ჩვენ ვერ გვინახავს მამაჩვენი. ე. ი.? (ვერ გვინახვია)“ (ჩ. 295). ამ კონტექსტში გვინახავს ზმნის ორაზროვნებაზე ჩანს აქცენტი გაკეთებული. განსამარტავად გარდამავალ (გვინახ-ავ-ს — გვინახ-ვ-ია — გვინახ-ია) ფორმას მოიხმობს...

## II თურმეობითის შესახებ

სწორად არის შემჩნეული და კვალიფიცირებული ნ ელემენტის ჩართვა II თურმეობითის ფორმებში (გაეტეხნ-ნ-ა). პარალელურ ფორმათაგან (გაეტეხნა // გაეტეხნა) მ. ჯავახიშვილი უნარო ფორმებს ანიჭებს უპირატესობას; ერთი ჩანაწერი ასეთია: „მას გაეყარ(ნა) შუბი.

მას შეეცვალ(ნა) ცხენები.

მას გაეთხარ(ნა) სამარე.

მას გაებერ(ნა) ბუშტი.

მას შეეწირ(ნა)“ (ჩ. 297).

თითქოს სინანულით წერს ამგვარ შემთხვევათა შესახებ: „ზოგიერთი გრამატიკოსი ნის ფუნქციას ვერ მიხვედრილა (გაიხსენეთ აგრეთვე ღნენ-ღენ)“ (წ. 853). ამ ჩანაწერში არსებითი ის არის, რომ ნ ფრჩხილებშია ჩასმული... ე. ი. ძირითად ვარიანტად არ არის მიჩნეული ნარიანი ფორმები (?!). აქ საინტერესოა ისიც, რომ ენობრივ საკითხებზე მსჯელობისას გრამატიკოსთა მიმართაც კი აქვს პრეტენზია... (ჩანაწერი 1935 წლითაა დათარიღებული...).

იმ დროიდან მოყოლებული, დადგენილი ნორმის მიხედვით ნარიანი ფორმები (გაეტეხნა) დასაშვებია...

## უთემისნიშნო და ხმოვანმონაცვლე ზმნათა შესახებ

ვარიაციების გაჩენას შეუწყო ხელი უთემისნიშნო ზმნებში გათემისნიშნიანების ტენდენციამ. ამ პროცესს ქართულში ხანგრძლივი ისტორია აქვს; ეტაპობრივად ხდებოდა (და ხდება) -ავ-ის დართვა: თიბს – თიბავს, რეცხს – რეცხავს, მაგრამ არა წერს – წერავს (თუმცა დიალექტებში ესეც დასტურდება...), შენიშნავს ერთგან მ. ჯავახიშვილი: „ჰყეფს – ჰყეფავს ორივე კანონიერია“ (ჩ. 52).

შეიმჩნევა ვარიანტთა პარალელური ხმარება: რეკავდა // რეკდა; რეცხავდა // რეცხდა... პარალელიზმი გვაქვს საწყისშიც: რეკა // რეკვა, რეცხა // რეცხვა... მწერლის კითხვას სწორედ საწყისის ფორმები აღძრავს. ბლოკნოტში ჩაინიშნავს და კითხვის ნიშანიც დაუსვამს: „კერა – კერვა, წერა – წერვა?“ (ჩ. 221). კითხვის ნიშანი ალბათ მეორე წყვილს ეკუთვნის (?).

მსგავს ტენდენციას (გათემისნიშნიანებისა) ფუძედრეკადი ზმნებიც ექვემდებარებიან და ჩნდება ვარიაციები. შეუმჩნეველი არც ეს რჩება მწერალს: „გაჟღინთვა – გაჟღენთა“ (ჩ. 51); აქვე გაიხსენებს: „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა“...

სხვა ვარიანტი პარალელიზმისა: „ვჭვრეტთ – ვჭვრეტავთ“ (ჩ. 52).

საინტერესოა: სამი ვარიანტი აქვს ამ ზმნას აწმყოში. მ. ჯავახიშვილი სამივეს ამჩნევს: ვჭვრეტ – ვჭვრეტ-ავ – ვჭვრიტ-ავ... სამივეს აქვს შესაბამისი საწყისი: ჭვრეტა – ჭვრეტვა – ჭვრიტვა... ყველა ვარიანტია მოტანილი შენიშვნებში, თუმცა ფორმათა შორის უპირატესობაზე არ საუბრობს, არ მიანიშნებს. სირთულეს სწორედ ამ ვარიაციათა სიმრავლეში ხედავს. მიზანი ალბათ ისიცაა, რომ მოსაგვარებელ საკითხთა ნუსხაში არ გამოჩნეს ეს ჯგუფი... (საკუთარ ნაწერებში უპირატესობას უთემისნიშნოს ანიჭებს...).

ამ ტიპის ფორმებს მწერალი „ჩანაწერებში“ არაერთგზის უბრუნდება; რადგანაც ტენდენცია გათემისნიშნისა ერთნაირია, ზოგჯერ ჩამონათვალში შერეულია ერთემიანი და ფუძედრეკადი... ორიოდე ჩანაწერი: „გირეკთ(ავთ), ვრეკ, რეკს, რეკდა, დავრეკდი...; დავზვეტთ, გავწმენდთ (ავთ საიდან განდა?); იქვე: „ავ-ს სდევნიან. მაშ „კკვებთ“ უნდა ვწეროთ და არა „მკვებავთ“. ვწმენდთ-ავთ, ვვლაპთ“ (ჩ. 295)... მსჯელობა რომ არ ახლავს, ჩვენთვის ყველაფერი ნათელი არ არის, მაგრამ ფაქტი საინტერესოა... როგორც ჩანს, მწერლისთვისაც არაა გადაწყვეტილი, რომელს მიენიჭოს უპირატესობა... სამუშაო ჩანაწერია...

საგანგებოდ მოუძიებია და ერთგან შეუკრებია კიდევ, მისი აზრით, ერთნაირი ზმნები (თუმცა სხვა ტიპიც შერევია...); „გვჩხვლეთს, ვცვეთთ, გჩხვლეთ, ვკვებთ, ვკვეთთ, ვკვებთ, ვვლესთ, ვხლერთ, ვვლევთ, ვვრებთ (სმა — ვსვამთ ვა ჩაემატა) ვიცვამთ). ვკვნეთ, ვსვრებთ, ვყეფთ, ვჭვრეთ, ვბნდთ (ორმარცვლიანი „ენ“-ით თავდება ვ ჩაერთვის ჭერა (გვიჭირავს)“ (ჩ. 51).

მ. ჯავახიშვილი ამჩნევს, რომ ამ ტიპის ზმნები ვარიანტთა სიმრავლით სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის „რისკის ჯგუფს“ წარმოადგენს; ამიტომ ფიქრობს ამდენს... ამ რთულ ვითარებაში ავტორისათვის შეცდომების დაშვება მისატყვებელია...

### **ჰ-/ს- პრეფიქსები**

ენობრივ პრობლემებზე საუბრისას მ. ჯავახიშვილის განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავს ზმნური პრეფიქსები ჰ-/ს-. მწერალს ამ პრეფიქსთა გამოყენების თვალსაზრისით აქვს თავისი მკვეთრი პოზიცია.

საერთოდ ეს მოვლენა ქართულ ენათმეცნიერებაში ძალიან პრობლემურია. დავა-მსჯელობა-კამათის საგნად ეს საკითხი

XIX საუკუნეში იქცა. მართლწერის წესის შემოღება XIX ს-ის ბოლოს, XX ს-ის დასაწყისში სცადეს. აკაკი შანიძემ შეისწავლა ამ პრეფიქსთა ისტორია და ფუნქციები. ძველ და იმჟამინდელ (XX ს-ის დასაწყისია) ქართულში და ძირითადად ის წესი ჩამოყალიბდა, დღეს რომაა ნორმად. იოსებ ყიფშიძე წერდა ამ წესის გამო: „შეიძლება ასეთი მტკიცება გადაჭარბებული იყოს, მაგრამ ასე რომ უფრო მარტივდება საკითხი, ეს ცხადია“ (ი. ყიფშიძე, თხზულებანი, 2015, 482)...

თითქმის ყველა პრაქტიკულ გრამატიკაში ეს საკითხი განიხილებოდა. ცხადია, მ. ჯავახიშვილი იცნობს ამ შესუდულებებს, მაგრამ აქვს თავისი ურყევი პოზიცია.

დიახ, მას ჩამოუყალიბდა აზრი, რომელსაც არაერთგზის იმეორებს: „ორი უკიდურესობა სწეწავს ქართულს: ერთი რვალივით ამაგრებს სიტყვას (მოჰხკალ!), მეორე კი ბამბასავით არბილებს (მოკალ!), აქაც ზომიერება გვირჩევნია (მოჰკალ!). მაინც ერთი რამ უნდა გვახსოვდეს მუდამ: ქართული მაგარ ენების ჯგუფს ეკუთვნის და არ იგუებს ფრანგულ-სპარსულის სიტკბოსა და სირბილეს“ (წ. 638).

„რვალივით ამაგრებს – მოჰხკალ!“ – ხევსურული აქვს მხედველობაში;

„ბამბასავით არბილებს – მოკალ!“ – იმერულს გულისხმობს;

„ზომიერი – მოჰკალ!“ – ქართლურია – მწერლის აზრით.

ერთგან წერს: „უპრეფიქსო ზმნა (ტირის, ჩივის) ქართული ჟარგონია (აქ: დიალექტიზმი – გ. გ.), რომელსაც იმერლები გვაჩვენებენ“ (ჩ. 221). საერთოდ რბილი და მაგარი ეპითეტები სხვა დროსაც გამოუყენებია ქართულის დახასიათებისას: „ქართველმა ურბილესი სიტყვა „ლბილიც“ კი გაამაგრა და რბილად გადააკეთა“ (ჩ. 298). აქ სილბო-სიმაგრე რ-ლ მონაცვლეობასთანაა დაკავშირებული...

საკუთარ მხატვრულ ნაწერებშიც მ. ჯავახიშვილი პრინციპულად უარყოფს ჰ/ს პრეფიქსთა ხმარების დადგენილ წესებს. ეს ის შემთხვევაა, ა. შანიძე რომ წერს: „დღეს ერთადერთი საზომი ჰაესა და სანის ხმარების საკითხის გადასაჭრელად არის თვითიველი მწერლის სურვილი და მოწონება: ვისაც როგორ მოსწონს, იმგვარად ხმარობს საუბარშიც და წერაშიც“ (ა. შანიძე, თხზ., ტ. II, 1981, 224).

მ. ჯავახიშვილის წერილებში მცდარ ფორმებზე მსჯელობისას არაერთგზის არის მინიშნება პრეფიქსის არასწორ ხმარებაზე... რაც შეეხება „ჩანაწერებს“, ჰ/ს პრეფიქსებთან დაკავშირებით უამრავი ნიმუშია მოყვანილი.

მწერალი ცდილობს, ისეთი მაგალითები წარმოადგინოს, ჰ/ს პრეფიქსთა გამოყენების აუცილებლობაში რომ დაგვარწმუნებს, მაგალითად:

„ლევანი დიდხანს კითხულობდა წერილებს. რომ გაათავა, წამოდგა და დაწვა (დაწვა თუ დასწვა?“ (ჩ. 334);

„მოდის – მოსდის (გული მიდის – მისდის) (ჩ. 221);

„პრეფიქსის განდევნის შედეგი: (მი(ს)დის, გა(ს)დის; ა(ს)დის, (ს)დევნის, შე(ს)დის, (ს)დებს“ (ჩ. 352);

„ქალი გვერდზე მი(ს)წევს“ (ჩ. 52);

„ის და(ს)წვა“ (ჩ. 230);

„დაყავთ – დაჰყავთ“ (ჩ. 52);

„კარი მაგას! ცა ლახვარი“ (ჩ. 50);

„ს/დებს“ (ჩ. 216).

მაგალითები მარჯვედ არის შერჩეული, მაგრამ ეს არ გამოდგება განზოგადებისათვის და წესის ჩამოსაყალიბებლად.

მ. ჯავახიშვილი ვერ გეთავაზობს წესს, მაგრამ გვიჩვენებს, რომ ენის ეს უბანი მართლწერისათვის დიდ სირთულეს ქმნის... მწერლის მიერ მოყვანილი მაგალითები და მსჯელობა, ვფიქრობთ, გარკვეულწილად ხელს შეუწყობს ამ საკითხის მოგვარებას... და, როცა ასეთი გამოკვეთილი, გააზრებული პო-

ზიცია აქვს მწერალს, საჭირო იქნება თავად მ. ჯავახიშვილის მხატვრულ ნაწერებში ჰ/-ს- პრეფიქსთა ფუნქციების შესწავლა... ყოველ შემთხვევაში რაღაც კანონზომიერება შეიძლება გამოვლინდეს... მწერლის პროზამ შეიძლება „გაგვაცნოს“ ის დასკვნა, რისი თქმისაგანაც „თავს იკაუებს“ მწერალი...

უეჭველია: ეს არის ერთ-ერთი ის ფაქტი, რასაც მწერალი დუღილის პროცესს უწოდებს და ასეთ დასკვნას გვთავაზობს: „ძალიან სახიფათოა, თუ ენის დარგშიც კანონმა გაუსწრო ფაქტს. ძალიან ადვილია ამა თუ ის ფორმის დაკანონება, მაგრამ უფრო ძნელია მისი გადახალისება“ (წ. 717).

საერთოდ, ამგვარ „თავისუფალ“ დამოკიდებულებას „მწერლის ენობრივ თავისუფლებად“ გაიაზრებენ...

### -ევ/-ივ სუფიქსიანი ზმნების შესახებ

მ. ჯავახიშვილს აქვს ასეთი ჩანაწერები:

„მას გაექცა (ქცია, ქცივნა) ცხენი;

და ექცა (ცია) წყალი;

ტანისამოსი დაეხა (ხია, ხივნა)“ (ჩ. 297)...

ამ ფორმებზე ყურადღების გამახვილება კიდევ ერთხელ მიანიშნებს მ. ჯავახიშვილის ენათმეცნიერულ ალლოზე, დაკვირვებისა და ანალიზის საუცხოო უნარზე.

აი, რა ხდება: მოქმედებითი გვარის ევ/ივ სუფიქსიანი ზმნებში II სერიაში ბოლოსართი მარტივდება (ივ→ი):

ანგრევს — დაანგრ-ივა → დაანგრი-ა.

შესაბამის ვნებითებშიც ასე უნდა იყოს წესით:

ირ-ევ-ა — აირ-ი(ვ)-ა, მაგრამ რამდენიმე ზმნაში წყვეტილში სუფიქსი სრულად იკარგება:

ინგრევა — (დაინგრ-ი(ვ)-ა) — დაინგრა...

სწორედ ეს ვარიანტები აქვს შემჩნეული მ. ჯავახიშვილს:

გაექცევა — (გაექც-ი(ვ)-ა) — გაექც-ა

ექვევა – (დაექც-ი(ვ)-ა) – დაექც-ა

ეხევა – (დაეხ-ი(ვ)-ა) – დაეხ-ა...

ამგვარ ჩანაწერებს მ. ჯავახიშვილი მოსაგვარებელ საკითხებზე ყურადღების გასამახვილებლად აკეთებს...

ქცევის ფორმათა სემანტიკური გააზრებისათვის მ. ჯავახიშვილს აქვს ერთი ასეთი ჩანაწერი:

„კაცი გარეთ გაიყვანეს, დააყენეს თავზე (დაუ-მიუყენეს) ყარაული და...“ (ჩ. 242).

ამ შემთხვევაში მწერალს ზუსტად აქვს დაჭერილი ის სემანტიკური ნიუანსი, საარვისო და სასხვისო ქცევის ფორმებს რომ განასხვავებს ერთმანეთისაგან (ქართული ზმნის მრავალპირიანობის წყალობა!):

დააყენეს მათ ის,

დაუყენეს მათ მას ის...

ამგვარ ფორმებზე ყურადღების გამახვილება კიდევ ერთხელ გიჩინს სურვილს, ქება-დიდება შეასხა მ. ჯავახიშვილის ლინგვისტურ ალლოსა და ქართული ენის ზედმიწევნით ცოდნას... და სურვილს, სადავო საკითხების მოწესრიგებისა...

### ზმნისწინთა შესახებ

წიგნში არის ასეთი ჩანაწერი:

„გა(ნ)სვენებული, გა(ნ)კვეთილი, გა(ნ)კიცხული, გა(ნ)დიდებული, გა(ნ)კითხული“ (ჩ. 296). ცხადია, ამ შემთხვევაში მინიშნებაა ზმნისწინის არქაული და თანამედროვე ვარიანტების თანაარსებობაზე. ვფიქრობთ, მ. ჯავახიშვილს ეს ფორმები აინტერესებს სემანტიკური თვალსაზრისით: ძველი ვარიანტი შემოგვენახა იქ, სადაც სემანტიკურად განსხვავებული ნიუანსის გამოხატვის შესაძლებლობა მიეცა...

„წერილებში“ ასეთი მაგალითებიც აქვს მოხმობილი: „გაიცემა წვერებზე – მიეცემა წვერებს“ (წ. 707);

„პირი ვაგილია — (დავილია)“ (წ. 454);

ვა(მო)სცა ბრძანება“ (წ. 738).

მსგავს შემთხვევებში ყურადღება იმაზეა გამახვილებული, რომ ხდება ზმნისწინთა არასწორი გამოყენება (შენაცვლება)... შეცდომათა ვრძელ ნუსხებში მსგავსი მაგალითები სხვაგაა...

### სახელებთან დაკავშირებული ჩანაწერები

სახელებს მწერალი შეეხება ორი კუთხით: ერთი მხრივ, აინტერესებს წმინდა მართლწერის თვალსაზრისით და, მეორე მხრივ, ყურადღებას აქცევს საკუთარ სახელთა ბუნებას; ანთროპონიმს, როგორც ლექსიკურ ერთეულს...

მართლწერის საკითხთაგან მ. ჯავახიშვილი გამოყოფს ვითარებითი ბრუნვის დაბოლოების საკითხს: XX ს-ის დასაწყისისათვის ფართოდაა გავრცელებული თ დაბოლოება (კარგათ). ბლოკნოტში ასეთი ჩანაწერია:

„უჩვენოდ(თ), უხილოთ(დ), უთაოდ(თ), უმეთაუროდ(თ), ურიგოდ(თ), უსუფთაოდ(თ), უყუროდ(თ)“ (ჩ. 272). — ამ ჩანაწერებში ორიგინალური ის არის, რომ მწერლის აზრით, თუ სიტყვაში **დ** თანხმოვანია, დაბოლოება უნდა იყოს **თ** (უხილოთ) (მორფოლოგიური საკითხის გადასაწყვეტად ფონეტიკური პრინციპი...)!... არაა ნათელი, მაგალითად, რატომ უ-ო კონფიქსით წარმოქმნილი სახელებია მოყვანილი (ვითომ რაიმე ინფორმაციაა ამაში ჩადებული?).

საკმაოდაა ასეთი ჩანაწერი: „იმათ — იმად (ვის? ვინ? — რად?)“ (ჩ. 221). არაა ნათელი მიზანი ჩანაწერისა; ცხადია პირობითობა (ჩანაწერს „თავისთვის“ აკეთებს... მაგალითს ჩაინიშნავს, დასკვნისათვის ფიქრია საჭირო)...

გვაქვს საინტერესო თეორიული ექსკურსი: მწერალი ინტერესდება ვით თანდებულთ. მწერალს ალოგიკურად მიაჩნია ის ფაქტი, რომ ვით ხმოვანფუძიან სახელებს მიცემით ბრუნ-

ვაში დაერთვის (მამა-ს-ა-ვით) და არა სახელობითში, როგორც თანხმობიან ფუძიან სახელებს (კაცი-ი-ვით). მსჯელობს: „ლოდიკურად კანონიერია „მამავით“. ეს ვით წინ დასვით და ცხადი იქნება (ვით მამა), ასევე ხე-ვით, კუ-ვით...“ (ჩ. 51). ნათელი ლოგიკაა: კაცი-ვით – ვით კაცი, მაგრამ ვით მამა – მამავით აღარაა!... საკითხი ენათმეცნიერთა მსჯელობის თემატ ყოფილა...

ჩანაწერებშიც და წერილებშიც მწერლის გულისწყრომას იწვევს ის, რომ ხშირია თანდებულთა ფუნქციების აღრევა; არასწორი ხმარება თანდებულებისა; ფასეულია მოსაგვარებელ ფორმათა ნუსხაში ამ საკითხის შეტანაც. ხშირად ეს სადღეისო პრობლემაცაა:

„ველარ არჩევენ ფორმებს: ქვისგან – დან. ქალაქიდან მიიღო წერილი და სხ.“ (ჩ. 237).

ამგვარი მაგალითები წერილებშიც მრავლადაა...

სხვა მაგალითები თანდებულთა არასწორი გამოყენებისა:

„ვაჟი ქალზე შეყვარებული (ქალი უყვარს)“ (წ. 717);

„ამაზე მაგალითები ვიცი (ამის შესახებ)“ (ჩ. 227);

„სიგიჟემდის უყვარს (გაგიჟებით)“ (წ. 717);

„მქერთამენი გორიდან (გორელი)“ (წ. 739);

„სახლში წავიდა; სახლში შევიდა (შინ)“ (ჩ. 51);

„პორტრეტი დახატა მისგან (მისი)“ (წ. 702);

„ამაზე მაგალითები ვიცი (ამის შესახებ)“ (ჩ. 227)...

ჩანაწერებში ყურადღება არის გამახვილებული პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელების ფუნქციათა აღრევაზე:

„იმათმა (მათ) წამოაყენეს საკითხი“ (ჩ. 227)...

თითქოს უმნიშვნელოა, მაგრამ ასეთ კითხვასაც სვამს:

„სათამაშო კურდღელი“ როგორ გავიზროთ, როგორც სულიერი (ჰყავს?), თუ როგორც უსულო (აქვს) „სათამაშო კურდღელი აქვს თუ ჰყავს?“ (ჩ. 173)...

მიხეილ ჯავახიშვილის განსაკუთრებულ ყურადღებას იმ-  
სახურებს საკუთარი სახელები. მას, როგორც მწერალს, ვარი-  
ანტები სჭირდება, არჩევანი უნდა ჰქონდეს, ამიტომაც აგრო-  
ვებს, იწერს სხვადასხვა ქვეყნის, კუთხის, ჯგუფის საკუთარ  
სახელებს. ამგვარი ჩანიშვნების მიზანზე ზოგჯერ ჩანაწერებ-  
შიც მიანიშნებს:

„სადმე მოთხრობაში ჩაერთოს ქართული სახელები –  
ვაყისა და ქალის“ (ჩ. 221);

ან: „ზედმეტი სახელები არსენაში“ (ჩ. 136);

„სამი სიცოცხლისათვის“ იხ. ქალების სახელები  
„ОСТРОВ ПИНГВИНОВ“ (ჩ. 18);

„მოთხრობებში ქართველ გლეხებს ზედმეტი სახელები  
მიეცეს“ (ჩ. 62).

ზოგჯერ აინტერესებს ამ სახელთა წარმომავლობა, გა-  
ვრცელების არეალი:

„ბასკური სახელები. მამაკ.: ლონგა, მინა, ჩაპალანგარა“  
(ჩ. 29)

„გურული სახელები: ქალისა: ნამეტი, ხასიათი, ვაყისა:  
აგენტი, ემაჯიკა, ბიჭაკა, ჯერვანა, სერინი“;

„კახური: ქალისა: მარადი, ჯეირანი; კაცისა მახარია“ (ჩ.  
331);

რაჭაში ქალის სახელები: ლანდუზ, ლაუკარდა“ (ჩ.  
332);

„ილლამაზ – სვანური სახელია მამაკაცისა“ (ჩ. 150).

და სახელების ჩამონათვალი გავრცელების არეალის მი-  
ნიშვნების გარეშე:

„სახელები: იფუეთ, იბრაჰიმ, მაჰმედ“ (ჩ. 191);

„სახელი სარდიონ“ (ჩ. 1130; „სარდიონ“ (ჩ. 346);

„ელპიტა, ცუცქია“ (ჩ. 151);

„ვარაზი, როინი, ბექარი“ (ჩ. 170);

„ლიალია – ქალის ტიპი“ (ჩ. 170);

„სახელები: ბისმარკ (გეგელია), გლადსტონ (ფირალოვ), ციცერონ (მეპურე), ჰამლეტ (კუსალეიშვილი), შექსპირ (დობორჯვინიძე), კვაჭი“ (ჩ. 331);

„ვანლორ (ლორთქიფანიძე), ვანოი დარასელია, კოლაუ, პაოლო, ალიო – ამგვარ სახელებს ქართლელი არ დაარქმევს“ (ჩ. 342);

„მეტსახელები: „ნაცარქექია, ჩიტირეკია, გააჭენე, ბედოვლათი, ჩანჩურა, ქარაფშუტა, ქარაქუცა, აგანგალა, აყლაყულა, ცანგალა, პამპულა“ (ჩ. 8);

„ზედმეტი სახელი „არამჯერა“ (ჩ. 217)...

ლექსიკაზე მუშაობის მაგალითთა ხე-მცენარეთა სახელების შეგროვება-ჩაწერა:

„იფანი, ნეკერჩხალი, წიფელა, შავრცხილა, თეთრცხილა, მუხა, ცაცხვი, მურყანი, კუნელა, ზღმარტლი, თხილი, შვინდი, პანტა“ (ჩ. 355).

ან: „ქართულად: ევკალიპტუსი  
როდოდენდრონი – დეკა, შქერი (ორი ჯიში).

ბამბუკი

ბიოტა

СОСНА – ფიჭვი

პაპორტნიკი – გვიმრა

კლდეს რომ ეხვევა – სურო

კიდევ რა?

ПЛЮЩ – სურო

აზალია – გორტენზია

აზალია – იელი, შავფაფარა

ურთხელი“ (ჩ. 355-356).

წერდა ერთგან მ. ჯავახიშვილი: „მწერალმა თავდაპირველად ლექსიკა უნდა დამორჩილოს“ (ჩ. 13)... ესაა ერთი გზა „ლექსიკის დამორჩილებისა“...

## ორთოგრაფიის თემა

ქართული ორთოგრაფიის შესახებ მ. ჯავახიშვილს აქვს ჩამოყალიბებული პოზიცია: იგი დადებითად აფასებდა ილია ჭავჭავაძის მიერ გატარებულ რეფორმას, თუმცა გარკვეული შენიშვნებიც ჰქონდა. ამიტომაც მან პირველმა მიიღო მონაწილეობა ქართული ორთოგრაფიის საკითხებისადმი მიძღვნილ ვაზეთ „კომუნისტში“ 1926 წელს გამართულ დისკუსიაში („არც გამართივება, არც ვართულება“). ეს თემა თავს იჩენს „ჩანაწერებშიც“.

მ. ჯავახიშვილისათვის, რა თქმა უნდა, საამაყოა ის ფაქტი, რომ წერა და გამოთქმა ქართულში მაქსიმალურად ემთხვევა ერთმანეთს და არაა ისე, როგორც ინგლისურში: „ინგლისში იწერება ოქსფორდი და იკითხება მანჩესტერი“ (ჩ. 233) – ალბათ ილიებოდა, როცა ამას წერდა...

მ. ჯავახიშვილის აზრით, ქართულში სირთულეები მაინც არის: იგულისხმება **დ** და **ძ**... როგორც აღვნიშნეთ, ამას ეხებოდა საპოლემიკო წერილი (იხ. გვ. 44-45); ამ თემას შეეხება „ჩანაწერებშიც“:

„ფონეტიკა. **ძ** და **დ**-ს ისტორია. და (დად) მოვიდა. დღუმა (დუმა), რეველუციასთან არ არის საჭირო. კანცელარია“ (ჩ. 121). ეს ჩანაწერი 1925 წელსაა გაკეთებული; ეტყობა, დისკუსიამდე უფიქრია ამ საკითხზე...

მ. ჯავახიშვილის მახვილ სმენას არც ის გამოჰპარვია, რომ **იე**, **ია**, **იო** კომპლექსები დიფთონგიზაციისკენ მიდრეკილებას იჩენენ და გამოთქმაში ფაქტობრივ ერთ მარცვალს ქმნიან; ასევე მარცვლოვან და უმარცვლო **უ**-ს შორის მაინც იჩენს თავს განსხვავება და **ვ**-ს გამოყენება **უ**-ს ნაცვლად, კითხვას აჩენს. ჩაუწერია:

„იერიში, იაბი, იაკინთე, იორამ; სმე(უ)ელი, წვროთნა და მრ. სხვადასხვანაირად იწერება და გამოითქმის“ (ჩ. 222).

სხვაგან საშვ(უ)ალო, საშვ(უ)ალებაზე ამხვილებს ყურადღებას, **საშვალის** მიიჩნევს სწორ ფორმად (ჩ. 40).

ერთგან წერს: „ამ(ბ)ობ – ისმის ამობ“ (ჩ. 233);

ესეც საინტერესოა: „იმერლები უხმო ასობებს ვერ ხმარობენ და ამავე დროს ერთად ერთ ნახევარხმოვან ჰ-ს გაურბიან“ (ჩ. 122). (ტერმინებს ნუ მივაქცევთ ყურადღებას)...

ფაქტებზე მიაჩნებებს; გამოსავალზე ჩანაწერებში არ საუბრობს, საპოლემიკო წერილში – კი...

### **ლექსიკა, სიტყვაწარმოება**

ზემოთაც გვითქვამს: მიხილ ჯავახიშვილის აზრით, მწერლისთვის ლექსიკის კარგ ცოდნას არსებითი მნიშვნელობა აქვს. სხვაგანაც გავიხსენეთ: ასეთი ჩანაწერი აქვს: „მწერალმა თავდაპირველად ლექსიკა უნდა დაიმორჩილოს“ (ჩ. 13).

წერილების მიმოხილვისას ამ თემაზე საკმაოდ ბევრი ვთქვით. საინტერესო დამატებით მასალას იძლევა „ჩანაწერები“ ლექსიკისადმი მწერლის დამოკიდებულების თაობაზე; კერძოდ – როგორ მუშაობს, რას აქცევს ყურადღებას, როგორ ახდენს სიტყვათა შერჩევას (ზოგი რამ სახელებზე საუბრის დროსაც აღვნიშნეთ), როგორ არკვევს მნიშვნელობას ლექსიკური ერთეულებისას; „ჩანაწერები“ წარმოდგენას გვიქმნის მწერლის სიტყვათშემოქმედებაზე. რომელ სიტყვას შეიძლება მიენიჭოს უპირატესობა და ა. შ.

წერს: „არავის არ უყვარს ჩემზე მეტად ფაქტი, მაგრამ მოთხრობაში ამ სიტყვას მაინც ვერ ვხმარობ“ (ჩ. 107)... რატომ, რა აქვს ამ სიტყვას ისეთი, რაც ასეთ დამოკიდებულებას განსაზღვრავს? – ამგვარ კითხვებს „ჩანაწერები“ ვერ უპასუხებს...

ლექსიკასთან დაკავშირებით მრავლადაა ზოგადი და კონკრეტული ჩანაწერები. ეს დარღია მწერლისა: „ლექსიკონი ღარიბდება. ძველ სიტყვებს სდევნიან, სამაგიერო ვერ შემოაქვთ. ეროვ. სკოლისა და ქართ-ად საქმის წარმოება მრავალი ახა-

## ორთოგრაფიის თემა

ქართული ორთოგრაფიის შესახებ მ. ჯავახიშვილს აქვს ჩამოყალიბებული პოზიცია: იგი დადებითად აფასებდა ილია ჭავჭავაძის მიერ გატარებულ რეფორმას, თუმცა გარკვეული შენიშვნებიც ჰქონდა. ამიტომაც მან პირველმა მიიღო მონაწილეობა ქართული ორთოგრაფიის საკითხებისადმი მიძღვნილ ვაშეთ „კომუნისტში“ 1926 წელს გამართულ დისკუსიაში („არც გამარტივება, არც გართულება“). ეს თემა თავს იჩენს „ჩანაწერებშიც“.

მ. ჯავახიშვილისათვის, რა თქმა უნდა, საამაყოა ის ფაქტი, რომ წერა და გამოთქმა ქართულში მაქსიმალურად ემთხვევა ერთმანეთს და არაა ისე, როგორც ინგლისურში: „ინგლისში იწერება ოქსფორდი და იკითხება მანჩესტერი“ (ჩ. 233) – ალბათ იღიმებოდა, როცა ამას წერდა...

მ. ჯავახიშვილის აზრით, ქართულში სირთულეები მაინც არის: იგულისხმება **ღ** და **ჭ**... როგორც აღვნიშნეთ, ამას ეხებოდა საპოლემიკო წერილი (იხ. გვ. 44-45); ამ თემას შეეხება „ჩანაწერებშიც“:

„ფონეტიკა. **ჭ** და **ღ**-ს ისტორია. და (დაღ) მოვიდა. დაღუმა (ღუმა), რევოლუციასთან არ არის საჭირო. კანცელარია“ (ჩ. 121). ეს ჩანაწერი 1925 წელსაა გაკეთებული; ეტყობა, დისკუსიამდე უფიქრია ამ საკითხზე...

მ. ჯავახიშვილის მახვილ სმენას არც ის გამოჰპარვია, რომ **იე**, **ია**, **იო** კომპლექსები დიფთონგიზაციისკენ მიდრეკილებას იჩენენ და გამოთქმაში ფაქტობრივ ერთ მარცვალს ქმნიან; ასევე მარცვლოვან და უმარცვლო **უ**-ს შორის მაინც იჩენს თავს განსხვავება და **ვ**-ს გამოყენება **უ**-ს ნაცვლად, კითხვას აჩენს. ჩაუწერია:

„იერიში, იაბი, იაკინთე, იორამ; სმე(უ)ელი, წვრთნა და მრ. სხვადასხვანაირად იწერება და გამოითქმის“ (ჩ. 222).

სხვაგან საშე(უ)ალო, საშე(უ)ალებზე ამახვილებს ყურადღებას, **საშვალოს** მიიჩნევს სწორ ფორმად (ჩ. 40).

ერთგან წერს: „ამ(ბ)ობ – ისმის ამობ“ (ჩ. 233);

ესეც საინტერესოა: „იმერლები უხმო ასოებს ვერ ხმარობენ და ამავე დროს ერთად ერთ ნახევარხმოვან ჰ-ს გაურბიან“ (ჩ. 122). (ტერმინებს ნუ მივაქცევთ ყურადღებას)...

ფაქტებზე მიანიშნებს; გამოსავალზე ჩანაწერებში არ საუბრობს, საპოლემიკო წერილში – კი...

### **ლექსიკა, სიტყვაწარმოება**

ზემოთაც გვითქვამს: მიხეილ ჯავახიშვილის აზრით, მწერლისთვის ლექსიკის კარგ ცოდნას არსებითი მნიშვნელობა აქვს. სხვაგანაც გავიხსენეთ: ასეთი ჩანაწერი აქვს: „მწერალმა თავდაპირველად ლექსიკა უნდა დაიმორჩილოს“ (ჩ. 13).

წერილების მიმოხილვისას ამ თემაზე საკმაოდ ბევრი ვთქვით. საინტერესო დამატებით მასალას იძლევა „ჩანაწერები“ ლექსიკისადმი მწერლის დამოკიდებულების თაობაზე; კერძოდ – როგორ მუშაობს, რას აქცევს ყურადღებას, როგორ ახდენს სიტყვათა შერჩევას (ზოგი რამ სახელებზე საუბრის დროსაც აღვნიშნეთ), როგორ არკვევს მნიშვნელობას ლექსიკური ერთეულებისას; „ჩანაწერები“ წარმოდგენას გვიქმნის მწერლის სიტყვათშემოქმედებაზე. რომელ სიტყვას შეიძლება მიენიჭოს უპირატესობა და ა. შ.

წერს: „არავის არ უყვარს ჩემზე მეტად ფაქტი, მაგრამ მოთხრობაში ამ სიტყვას მაინც ვერ ვხმარობ“ (ჩ. 107)... რატომ, რა აქვს ამ სიტყვას ისეთი, რაც ასეთ დამოკიდებულებას განსაზღვრავს? – ამგვარ კითხვებს „ჩანაწერები“ ვერ უპასუხებს...

ლექსიკასთან დაკავშირებით მრავლადაა ზოგადი და კონკრეტული ჩანაწერები. ეს დარდია მწერლისა: „ლექსიკონი ღარიბდება. ძველ სიტყვებს სდევნიან, სამაგიერო ვერ შემოაქვთ. ეროვ. სკოლისა და ქართ-ად საქმის წარმოებამ მრავალი ახა-

ლი შემოიტანეს, მაგრამ თუ მხატვრული ლექსიკონი ვიანგა-რიშეთ, გალარიბდა“ (ჩ. 210)...

ესეც მ. ჯავახიშვილის დაკვირვებაა, ლექსიკის სიღარიბეს როგორ განაპირობებს რუსულის გავლენა: „**უშანკო, უცოდველი, უზადო, სუფთა, წმინდა, ხალასი.** ეხლა მარტო „**წმინდა**“ დარჩა, რუსული чистый-ს მეოხებით. აი, როგორ აღარიბებს რუსული ენა ქართულს“ (ჩ. 49).

სიმდიდრე-სიღარიბეზე როცა ლაპარაკობს მწერალი, გამიჯნავს ტერმინოლოგიასა და სასაუბრო ლექსიკას: „**სამეცნიერო ტერმინოლოგია მდიდრდება, სასაუბრო კი ლატაკდება.** წაგებაში ვართ, რადგან ლათინურ ენაზე ახლაც იწერების ტრაქტატები, მაგრამ იგი მაინც მკვდარია“ (ჩ. 252). საინტერესო დაკვირვებაა. ეს უფრო გაფრთხილებაა: „**ლექსიკოლოგიური და სინტაქსური სიმდიდრე ენის. არქაული ფორმების მწერალს არ უნდა ეშინოდეს, მაგრამ ზომიერად კი უნდა იხმაროს**“ (ჩ. 96).

ამ შემთხვევაშიც არის ჩანაწერი, რომლის გააზრებაც ბოლომდე ჭირს: „**ქართლური ლექსიკონი თითქმის ამოწურულია, ამიტომ. არა**“ (ჩ. 232). — განსაკუთრებით ბოლო ნაწილისა... არის ორიგინალური დახასიათებები ქართული სიტყვისა: „**ყოველგვარი სხვა მოსაზრების გარდა მე იმიტომ მირჩევნიან ნამდვილი ქართული სიტყვა, რომ იგი ვაჟკაცურია, სპარსულ-ქართული კი ქალაჩუნაა, დონდლო და უნდლი**“ (ჩ. 287).

წერდა ერთგან: მირჩევენ „**სიტყვა მოკლედ მოჰკვეცე, ძუნწად გამოიყენე**“. ვერ დაუჯერებ. მე **გაშლილი, სავსე, ფერადოვანი** სიტყვა მიყვარს და ხელს ვერ ავიღებ. ნაჭარბევად ძუნწი სიტყვა იმ უფროთ და უფეხო ფრინველს ჰგავს, რომელიც ვერ გაფრინდება“ (წ. 759).

როგორია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ-სოციალური ვითარების გავლენა ლექსიკის სიმდიდრე-სიღარიბეზე? — „სა-

დღეისო ლექსიკიდან ფესვიანად ამოვარდა სიტყვები: „სინდისი“, „სიყვარული“, „პატიოსნება“, „ვაჟკაცი“ და მისთანანი. ამოვარდა ლექსიკიდანაც და ცხოვრებიდანაც, ამოვარდა სიტყვაც და საქმეც“ (ჩ. 260-61)... მძიმე დასკვნაა...

XX საუკუნის 20-იანი წლებია... „სდევნიან თავაზიან ფორმებს: ინებე, ბრძანეთ და სხ. ენის გაღარიბება“ (ჩ. 235). სიტყვა „ბატონი“ გაღის ხმარებიდან... „ამხანაგო“ ჩაენაცვლა... აფიქრებს ეს და ცდილობს „წამოეშველოს“ უსამართლოდ განდევნილ სიტყვას: „ბატონის“ მნიშვნელობა ფრაზის კონტექსტით ძალიან ადვილად გამოიცნობის. თუ ფრაზას სახელი ან გვარი ერთვის (ბატონი პავლე, ბატონი ჯავახიშვილი), იგი უდრის ფრანგულის monsieur-ს და თუ არ ერთვის (ბატონი მოვიდა, ბატონმა მითხრა), იგი ნიშნავს seigneur (თავადს, აზნაურს, დიდებულს). არასოდეს ეს ორი მცნება არ აურევიათ და არც ეხლა ურევენ, ამიტომ მისი აკრძალვაც მხოლოდ დოღმატიკით არის გამოწვეული“ (ჩ. 24). – უტყუარია მწერლის ხედვა... ლექსიკის თემა – ამოუწურავი... ჩანაწერებში არაერთი კითხვაა მინიშნებებით, თუ მიუნიშნებლად, პასუხგაცემულიც და პასუხგაუცემელიც:

„სახელი საფრანგეთი (ფრანგი) და ინგლისი გაჩნდა მე-XV ს. საქართველო, ქართველი (გაერთიანებული) მე-XI ს. და...“ (ჩ. 10);

„სადაურია თამასუქი?“ (ჩ. 55);

„როგორ იტყვის იმერელი „შვილოსან?““ (ჩ. 350);

„და-მამა, დედ-მამა – რუსულად პირუკულმა ამბობენ брат и сестра, отец и мать“ (ჩ. 339);

„ზოგზე იტყვიან აღსრულდარო, ზოგზე – განისვენარო, ზოგზე – მოკვდა და ზოგზე – ჩამადლდარო“ (ჩ. 89).

ჩაუნიშნავს ერთგან: „სიტყვა უდიდესი ჯალათია“ (ჩ. 86)... მაგრამ შეიძლება მან ძალა დაკარგოს, გაცვდეს: „სიძულვილი?! ეს სიტყვა უძღურია, გაცვდა“ (ჩ. 148)...

ზედმეტად სიტყვაბუნწ კაცზე ითქმისო, „ძლივს ამოათ-  
რია პირიდან ერთი სიტყვა... გამოსწურა“ (ჩ. 145); ზედმეტად  
სიტყვაძრავალ კაცზე ითქმისო – „ენის ფალარათი“ (ჩ. 93)...

ქმნის და ჩაინიშნავს საინტერესო სინტაგმებს: „კაცი  
გულფუჭი“ (ჩ. 145), „ყვითელპირა ბლარტი“ (ჩ. 171), „წიწა-  
კა კაცი“ (ჩ. 95), „უმადლო მადლი“ (ჩ. 207), „ტუტუცი  
ცრემლი“ (ჩ. 140)...

ქმნის ქართულ შესატყვისებს რუსული სიტყვებისა:  
„ცივტბილი – мороженное“ (ჩ. 203); „ზომსადარი  
(масштаб)“, „უზურში მაქვს – имею в виду“ (ჩ. 332)...

კრებს თუ ქმნის სინონიმურ წყვილებს: „თილისმა – ავ-  
გაროზი“ (ჩ. 155); „ცისიერი – მეტეორი“ (ჩ. 214). აკეთებს  
სიტყვათა ჩამონათვალს ყოველგვარი კომენტარის გარეშე:  
„სოკო, მარწყვი, ულო, ხენდრო, დამპალი ხეები. ხავსიანი  
წიფელი, ბუდეები“ (ჩ. 30) – ამ სიტყვათა ერთ ჩანაწერში  
გაერთიანების პრინციპიც არაა ჩვენთვის ნათელი...

ჟარგონული სიტყვების განმარტება: „სოში – სურვილი,  
ხურუში – უინის ავარდნა“ (ჩ. 122); „მულამი – გულისნადე-  
ბი“ (ჩ. 92)...

მრავლადაა ცალკეულ სიტყვა-ფორმათა ჩანაწერები ყო-  
ველგვარი განმარტება-მინიშნების გარეშე (ფეხბედნიერი, აღვი-  
რუსხმელი, გაიგემრიელა და მრავალი სხვა...)...

არის მთელი რიგი სიტყვებისა, რომელთა შესახებაც მი-  
ნიშნებას აკეთებს – „ჩემია“. აი, ზოგი ამგვარი მაგალითი:  
„ზემონდელი, ქვეითელი“ (ჩ. 155); „დედამდინარე (მტკვარი)“  
(ჩ. 93); „სათრეველა“ (ჩ. 3320; „ნაჩემარი, ნაშენარი, ნაიმი-  
სარი“ (ჩ. 332); „ჩემი ჩანაბერი (ჩავონებული)“ (ჩ. 332); „სა-  
თივარი (სათიბი)“ (ჩ. 3330; „სატენელა“ (ჩ. 95). ესეც ავტო-  
რისეული სიტყვათშემოქმედების ნიმუშები ჩანს: „აზღარბული  
სული, გრძნობა, გული“ (ჩ. 18); „ის ქალი ჩემსულად გადაიქ-  
ცა“ (ჩ. 110)...

ესეც ვთქვათ: დახასიათება სიტყვისა, ფერისა — „სიტყვა უკორძო, უკაჟო, მობიბინე და მუსიკალური elegant“ (ჩ. 95); „ფერი თბილი, ცივი, ხმელი“ (ჩ. 169)...

\* \* \*

მ. ჯავახიშვილი სუფთა ქართულით წერისაკენ რომ მოუწოდებს სხვას, ვიცით. ასეთივე მოთხოვნებს უყენებს საკუთარ თავსაც. ჩაუნიშნავს ბლოკნოტში — „შეცდომები“: „ორ განაჩენში“ სწერია — პირმშო (ამოიშალოს: პირმშო პირველი მათეა). „ყაშა“-ში ამოიშალოს „ენის ქაქუნი“ და ჩაიწეროს „ენის სისინი“ (ჩ. 182)... ანდა: „შესწორდეს „ტყის კაცში“ — მოყვანილია რამდენიმე მაგალითი (ჩ. 356)...

ყოველივე ეს არის ლექსიკაზე მწერლის გამუდმებული ფიქრის შედეგი...

### რამდენიმე შენიშვნა სიტყვაწარმოებაზე

მართალია, მ. ჯავახიშვილი მოითხოვს სტანდარტულად გრამატიკული წესების დაცვას, მაგრამ ზოგჯერ „საკუთარი კორექტივები“ შეაქვს ამ წესებში; ანუ, საკუთარ წესებს ქმნის: იმ დროისათვის არსებული წესის მიხედვით (და დღესაც) ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის მაწარმოებელი იყო უ — ეს თავსართ-ბოლოსართი, უ-ლამაზ-ეს-ი. მ. ჯავახიშვილი აზუსტებს, „ამრავალფეროვნებს“ ამ წესს: ხარისხის გასაძლიერებლად თავსართს აორმაგებს: უუ-მძიმე-ეს-ი: „ქართველი მწერლის სახელი უუმძიმესი ტვირთია“ (ჩ. 96); ზოგჯერ ერთ უ-ს გამოიყენებს: „სიტყვა უდიდესი ჯალათია“ (ჩ. 86). ზოგჯერ ეს ვარიანტები ერთსა და იმავე წინადადებაშიც შეიძლება იყოს: „სტილიზაცია უურთულესი და უძნელესი ფანდია“ (წ. 685); გაორმაგებას სტილისტური დატვირთვა აქვს...

ფაქტია: მკაცრი სტანდარტული წესების მიხედვით უუმძიმესი არასწორი ქართულია, თუმცა, როგორც ჩანს, „მწერლის ენობრივი თავისუფლების“ ჩარჩოში „ჯდება“...

მ. ჯავახიშვილისათვის მიუღებელია ზედსართავ სახელთა არა ნაწილაკით წარმოების შემთხვევები: „არასასიამოვნო (უსიამოვნო), არაკეთილი, არამდიდარი და მსგავსი საზიზღრობანი“ (ჩ. 224). სხვაგან: „ნიმუშები ქართულისა: არა სწორი, არა დიდი, არა კარგი“ (ჩ. 217) — ცხადია, გულისხმობს არასწორ ნიმუშებს... ასეთ შემთხვევაში ანტონიმური სიტყვების მოძიებაა საჭირო...

სიტყვათა სემანტიკის გააზრებისათვის სიტყვის ეტიმოლოგიასაც გადასწვდა: „სიტყვა „ცა“, „ცარიელიდან“ მოდის. ზეცა მართლაც ცარიელია, და ჩვენი საშინელებაც ეს არის“ (ჩ. 158)...

სიტყვათა ასეთ დაშლასაც ახდენს: „ემმა — ემმურ-ად, ემმაკი — კი სომხურია“ (ჩ. 332).

ახალ სიტყვათა წარმოება ანალოგიის პრინციპით საკმაოდ ხშირია „ჩანაწერებში“. ეს ერთგვარი „სიტყვებით ვარჯიშსაც“ ჰგავს; მაგალითად: „დღევანდელობა — გუშინდელობა — ხვალინდელობა. შეფუთნული, შეკუნწული“ (ჩ. 272) და მრავალი სხვა... ზემოთაც მოვიყვანეთ ზოგი მსგავსი მაგალითი...

### სინტაქსისა და სტილისტიკის საკითხები

მიხეილ ჯავახიშვილის აზრით, ენის თვითმყოფადობის, თავისთავადობის შენარჩუნებისათვის სინტაქსს ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა. ერთ-ერთი გრამატიკული თვალსაზრისის მიმოხილვისას დაასკენიდა: „სრული სიმართლეა. საქმე მართლა სინტაქსია და არა სიტყვა, და დღევანდელი ქართულიც უმთავრესად სინტაქსურად მახინჯდება, ე. ი. იმსხვრევა ენის ბუნება, სული და ხასიათი“ (წ. 692).

სწორედ ამიტომ „ჩანაწერებში“ მწერალი განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ ამ სფეროს მიაპყრობს... სინტაქსი-

სა და სტილისტიკის საკითხები ისეა ერთმანეთთან დაკავშირებული, გადაბმული, რომ ზოგჯერ ჭირს გამიჯვნა თემატურად, ამიტომ ერთად განვიხილავთ ჩვენი ნარკვევის ამ მონაკვეთში...

აქვე შევნიშნავთ, რომ „წერილებში“ „დამახინჯებულის“ ნიმუშების წარმოდგენისას სწორედ ამ ტიპის (სინტაქსურ-სტილისტური) მაგალითებია მოყვანილი (წერილების ანალიზისას ამ თემაზე არ გვისაუბრია, ამიტომ ზოგი მაგალითი შეიძლება იმ ნაშრომებიდანაც მოვიყვანოთ). მ. ჯავახიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სინტაქსურ შეთანხმებას.

**ქვემდებარე შემასწავლელის რიცხვში შეთანხმების** საკითხი ხშირ შემთხვევაში დღესაც პრობლემაა (განსაკუთრებით, თუ ქვემდებარე უსულო საგანია). „ჩანაწერებში“ მოყვანილი მრავალი მაგალითიდან თითო-ოროლას დავიმოწმებ (წერილების მასალასაც მოვიშველიებ ზოგჯერ):

„პატარა სახლები აიღებიან და მათ მაგიერ აიშენებენ დიდებს“ (ჩ. 246)... „შეთანხმებები ეხებიან... ცნობები შეეხებიან“... (წ. 719)...

ებ-იან მრავლობითში დასმული საზღვრულის შეთანხმება რიცხვში იმ დროის სამწიგნობრო ქართულში გავრცელებული მოვლენაა. მ. ჯავახიშვილისათვის – პრინციპულად მიუღებელი; მაგ.:

„ქუდები ლბილებია, პურები თბილები“ (ჩ. 241); „მალღები სახლები იდგნენ“ (წ. 851).

ეს მაგალითები მოჰყავს მწერალს „წერილებშიც“ და ასეთ კომენტარს აკეთებს: „რიცხვის სრულმა შეფარდებამაც მოსჭრა მუხლი ქართულს“ (წ. 851)...

დღეს ეს ფაქტი რომ ძირითადად მოგვარებულია, მ. ჯავახიშვილის დამსახურებაცაა (იგულისხმება თუნდაც მისი მონაწილეობა შესაბამის ოფიციალურ კომისიებში...)...

რიცხვითი სახელი მსაზღვრელად – აქაც პრობლემები იყო და ესეცაა ყურადღების სფეროში მოქცეული:

„აუარებელი მუშები დაესწრენ“ (ჩ. 243)

„ბევრმა ქალიშვილებმა იცოდა“ (წ. 703)

„რამდენიმე ქალები...“ (წ. 705)...

და ასეთი მაგალითებიც:

„ამხანაგები არ სთვლის“ (ჩ. 227).

შეთანხმების პრობლემა კრებით სახელებთან და რიცხვში მონაცვლე ზმნებთანაც:

„ხალხი გამრავლდენ“ (წ. 702)

„ურემში ისხდა ერთი გლეხი“ (წ. 709).

ასევე ყურადღებას აქცევს მიცემითში დასმული სახელის ზმნასთან შეთანხმების საკითხს:

„მათ მიუძღვიან ბრალი“ (ჩ. 227)...

განსაკუთრებით მრავლადაა მოყვანილი სინტაქსური კონსტრუქციების დარღვევის შემთხვევები:

„მან შეუდგა საქმის შენებას“ (ჩ. 227)

„კაცმა არ შეუშინდა“ (ჩ. 227)

„ამას თვით მწერალმა უნდა ებრძოლოს, ე. ი. მწერალი“ (წ. 720)

ღირსსაცნობია ისიც, რომ მ. ჯავახიშვილი ზოგ შემთხვევაში საჭიროდ თვლის სწორი ვარიანტის მითითებასაც: ეს ის შემთხვევებია, როცა შეიძლება იოლად მისახვედრი არ იყოს შეცდომა (ფართო გავრცელების გამო); აი, ასეთებიც:

„კაპიტანმა(ი) მოჰყვა (ამბავს)“ (წ. 703)

„ვილჰელმი(მა) წამოიწია წინ“ (წ. 703)...

ამ ტიპის შეცდომათა რაოდენობა დიდია. ჩანაწერებშიც სიმრავლეა მსგავსი მაგალითების...

მწერალს ყურადღება მიუქცევია ორმაგი უარყოფითისთვისაც. არაქართულ მოვლენად მიიჩნევს მას მ. ჯავახიშვილი: „ორმაგი უარყოფა ბარბარისმია. ვწერთ: „სოფელი არსად არ

მოსჩანს“. და „სოფელი არ მოსჩანს“. მაშ „არსად“ რად უნდა დაემატოს მეორე უარყოფა?“ (ჩ. 140)... იმ დროისათვის ეს თემა იმდენად აქტუალური იყო, რომ საგანგებო ენათმეცნიერული ნაშრომიც შეიქმნა... პრობლემა დღესაც არაა საბოლოოდ გადაჭრილი...

ფაქტია, ზუსტი არის აქცენტები და ძირითადად სწორია ის შეფასებები, რომელთაც მ. ჯავახიშვილი აკეთებს... როგორც ჩანს, ამ შენიშვნებს არცთუ უმტკივნეულოდ იღებდნენ ავტორები. ჩაუწერია: „ჩემის მაგალითების სისწორეს **ზოგი მწერალი გააფთრებით იცავს**. ახალი ქართულია, ახალი სტილიაო. მე დავრწმუნდი, რომ ყრუს და უცხოს ველაპარაკები. მათი ასიმილაცია უკვე მოხდა და საქმის გამოსწორება უკვე გვიანდა“ (ჩ. 262)...

მ. ჯავახიშვილი იძულებული ხდება განმარტოს, რა არის, როგორ ესმის მას **სტილის რაობა**: ჩაუნიშნავს: სტენდალმა თქვაო, „საუკეთესო სტილი ის არის, რომელსაც ვერ ამჩნევთო“ (ჩ. 49)

რომ „ნაჭარბი ავსება სტილისტურ მეტაფორებით, გიპერბოლებით და სხ. ჰგავს მანჭიობას, ზიზილ-პიპილობას = აყვავებული სიტყვა“ (ჩ. (112)...

რომ სტილი „მკითხველს თევზის ძვალევიტ არ უნდა ჰქონდეს სულში გახიროული“ (გ. რობაქიძეზე ამბობს) (ჩ. 49).

მ. ჯავახიშვილის აზრით, „ოდნავ თვალსაჩინო მწერალი არ არსებობს, რომ სტილი არ ჰქონდეს“ (ჩ. 201)... „ლიტერატორს ხუთი დამატებითი გრძნობა უნდა ჰქონდეს: შეთხუზვის, **სტილის**, აზრის, ცოდნის და შეგრძნების“ (ჩ. 269).

და მწერალმა ისიც კარგად იცის, რომ **სტილი** ფართო ცნებაა; ამ მსჯელობასაც მოეუსმინოთ: „სტილი ეპოქის ნაშობია, ან მისი განუყრელი ნაწილია, ამიტომ იგი უნდა გაღრმავდეს, მთელ ცხოვრებას მოედოს. მეცნიერებას, ხელოვნებას, ლიტერატურას. უნდა შეიჭრას ყოველ თავში, ოჯახში, უნდა

დაემჩნიოს შენობებს, სიმღერას, ტანისამოსს, ცეკვას – უკლებლივ ყოველივეს“ (ჩ. 206).

მიუღებელი სტილისათვის, უვარგისი სტილისათვის მ. ჯავახიშვილს ასეთი ფორმულა აქვს: „ზეთწასმული, დავარცხნილი სტილი“ (ჩ. 201)

ეს ზოგადად...

ჩვენ ენის შესახებ ვიფიქროთ... პრაქტიკულ საკითხებს მივხედოთ... დღევანდელი ხედვით, პრაქტიკულ სტილისტიკაზე ვისაუბროთ... ამას ფიქრობდა ალბათ, როცა წერდა:

„პრაქტიკა (ფაქტი) და თეორია (განყენებული მსჯელობა) ცხოვრებაში და ხელოვნებაში. ყოველივეა პირველი, არარაობაა მეორე“ (ჩ. 207)...

ზემოთაც არაერთგზის მივანიშნეთ ამის თაობაზე: მ. ჯავახიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სიტყვის მნიშვნელობის სწორად გააზრებას, ნიუანსობრივ ცოდნას... არ მოხდეს სიტყვა არასწორ კონტექსტში... ამიტომ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობის გასააზრებლად, სინონიმებს შორის სხვაობის დასანახად ზოგჯერ სხვა ენასაც მოიშველიებს: „ლაპარაკობს (разговаривает) ამბობს (говорит)“ (ჩ. 226)...

მწერალი განსაკუთრებით სახიფათოდ მიიჩნევს უცხოენოვანი (ძირითადად რუსულენოვანი) კალკების მომრავლებას: „მოწმებები სახეზე არიან – та лица“ (ჩ. 248)... „წერილებშიც“ არაერთი მაგალითია კალკირებული გამოთქმებისა...

გაღიზიანებული საუბრობს იმის შესახებ, რომ მომრავლდა ისეთ გამოთქმათა გამოყენება, როგორცაა წარმოებს, უხდება: „ზმნები არ იციან და ყველაფერზე სწერენ „წარმოებს““ (ჩ. 260). ასეთ მაგალითს ასახელებს აქ: „ბერლინში წარმოებული სიტყვა (წარმოთქმული)“ (ჩ. 260).

სხვა მაგალითები ამ ტიპის სტილისტური დარღვევებისა: „მე მომიხდა სოფელში ცხოვრება“. „მე მიხდება სიარული“ (ჩ. 52);

„როგორ სწარმოებს (მიდის) ჩვენი მშენებლობა“ (ჩ. 247);

„აწარმოებდა ომს, ზეგავლენას“ (ჩ. 277).

ასევე გარეშე სიტყვის ხმარებასთან დაკავშირებითაც:

„ალრიცხვის გარეშე აშენებდა... საქმის გარჩევის გარეშე დაადგინა... უფროსის ნებართვის გარეშე დახარჯა. უნდა იყოს: აურიცხველად, საქმის გაურჩევლად, ნებადაურთველად“ (ჩ. 259)...

სერიოზულ ენობრივ შეცდომებად განიხილავს მწერალი მსგავს მაგალითებს:

„თავში დაშვებული შეცდომა“ (ჩ. 252);

„მაგიდის ყურძენი – სუფრის“ (ჩ. 253);

„ჭადრაკის მაესტროთა შეჯიბრი – ოსტატების შეჯიბრება“ (ჩ. 261);

„ორი დღის განმავლობაში – ორდღეში“ (ჩ. 261);

„ორსული ძროხა – მაკე“... (ჩ. 262)...

სტილისტურად მსგავსი გაუმართავი წინადადებების სიმრავლე დღესაცაა...

ძალიან საინტერესოდ გვეჩვენება მწერლის მიერ ყურადღების გამახვილება ისეთ ენობრივ მოვლენაზე, როგორიცაა **ლოგიკური** მახვილი. ასეთი ჩანაწერია უბის წიგნაკში:

„ახ. ქართული ლოგიკური მახვილი: „მე მოვკალი – მოკვალი“ (ჩ. 238)... ამ საკითხზე ყურადღებას მ. ჯავახიშვილი ერთ-ერთ წერილშიც ამახვილებდა, როცა საუბრობდა სიტყვათა რიგზე მარტივ წინადადებაში (იხ. აქ: გვ. 107-109). იქ უმეტესად ზოგადი საუბარი იყო... ამ საკითხზე საინტერესოდ მსჯელობს მ. ჯავახიშვილი ერთ-ერთ წერილში („როგორ ვმუშაობ“):

„რუსული ენა მუსიკალობის პრინციპის გაბატონებას ოდნავ მაინც შეეგუა, ქართული სინტაქსი კი გატყდა, დაგონ-

ჯდა... (...) მუსიკალობის პრიმატი არავითარ ანგარიშს არ უწევს ლოლიკურ მახვილს და ამიტომ ხშირად ამახინჯებს აზრს“. აქ მწერალს მოჰყავს კონკრეტული მაგალითი და განმარტავს, რას გულისხმობს ზემონათქვამი: „მაგალითად, ავტორი სწერს: „ვენახში გუშინ შეპარულიყო დათვი“. მახვილი „გუშინ“-ზე მოდის, მოთხრობის კონტექსტიდან კი სჩანს, რომ იგი „დათვს“ ეკუთვნის. ამიტომ ეს წინადადება ასე უნდა დაწერილიყო: „გუშინ ვენახში დათვი შეპარულიყო“. ან კიდევ: „მამაჩემი ქალაქში წავიდა“ – „ქალაქში მამაჩემი წავიდა“. ეს ანბანური მაგალითები იმიტომ დავასახელებ, რომ „მუსიკოსები უგულვებელჰყოფენ და არა მარტო სახეს, არამედ ელემენტარულ ლოლიკასაც კი დალატობენ“ (წ. 769).

ეს თემა (ლოგიკური მახვილისა), ძალიან საინტერესოა და საგანგებო შესწავლას საჭიროებს ზოგადად და, კერძოდ, მ. ჯავახიშვილის პროზაში...

\* \* \*

აქვე გვინდა რამდენიმე სიტყვით შევეხოთ წარწერების საკითხს.

„საერთოდ ქალაქის წარწერები წარყვნილია“ – წერს მ. ჯავახიშვილი და ამ კომენტართან ასეთი მაგალითი მოჰყავს: „2 იარუსის ბალკონზე შესასვლელი“.

„ოთხ ენაზე სწერია „სოიუზტრანს“, თითქოს საქმე ეროვნული სიტყვა კი არ იყოს, არამედ ეროვნული ასო“ (ჩ. 252).

თუ რამდენად სადღეისოა ეს შენიშვნა, იოლად დავრწმუნდებით, თუ ქალაქში გავივლით... ანდა: „სასიკვდილოა“ – მომაკვდინებელია. „შეჩერება – გაჩერება“ (ჩ. 252). რასაც უწინ, ათი წლის წინათ, თვითონ სომხები ვერ ბედავდნენ ტფილისში სომხურ წარწერებს, ეხლა კომუნისტებმა გააკეთეს“ (ჩ. 84)...

ეს თემაც ძალიან მტკივნეული და სადარდებელი იყო მ. ჯავახიშვილისათვის, თითქმის ყოველდღიური საფიქრალი (ამის თაობაზე ჩანაწერთა სიმრავლე მიანიშნებს)...

\* \* \*

საკმაოდ ბევრი ვისაუბრეთ „ჩანაწერებზე“, მაგრამ ვფიქრობ, მაინც ვერ ამოვწურე სათქმელი... წიგნში არის არაერთი ენობრივი საკითხი — მოსაზრება, მინიშნება, შეკითხვა..., რომელთაც არ ან ვერ ვუპასუხეთ, ვერ შევეხეთ... თუნდაც ეს ჩანაწერები:

„ხალხურისა და მწიგნობრული ენების ზომიერი შეთავსება შეჰქმნის ნამდვილ ლიტერატურულ ქართულს“ (ჩ. 96);

„ახალი ქართული“ სინტაქსი იაკობ ხუცესისა“ (ჩ. 298);

„ახ. ქართ.“ ჩვენ, სომხები და სხ. რამდენიმე ათას წელიწადს ვცხოვრობთ ერთმანეთის გვერდით. და ურთიერთისაგან ათასი სიტყვა ვისესხეთ. ვინც ეს არ იცის, ყველა ასეთ სიტყვას უცხოურად აცხადებს და სდევნის. (იაფეტური თეორია ასეთ სიტყვებს კარგად ხსნის). დიდი შეცდომა“ (ჩ. 238);

„სიტყვების ალქიმი“ (ჩ. 115);

„ნუ გეშინიათ უხეშობის, ერიდეთ მხოლოდ ტრივიალურობას, შაბლონს, გაკვეთილს“ (ჩ. 90);

თუნდაც: „ერთ ქვეყანაში ბრძანება გამოვიდა, ყველა იადონს ენა მოაჭერთო. დააჭრეს. იმ ქვეყანაში იმ დღიდან სიხარული მოკვდა“ (ჩ. 248) — ეს ბოლო ჩანაწერი 1930 წელს გაკეთდა!...

და სხვა. და სხვა...

ჩვენ ძირითადი ყურადღება მივაქციეთ იმ ენობრივ საკითხებს, რომელთა მოგვარებაც, მწერლის აზრით, აუცილებლად საჭიროა და შესაძლებელიც... ჩანაწერები კვლავაც უნდა გახდეს ფილოლოგთა დაკვირვების საგანი...

VII. „პატიჟავია – კივილი მარადიულობისათვის“  
(ბოლოთქვა)

მიხეილ ჯავახიშვილი: „ორჯერ ვიყავი გარუსებული“ (ჩ. 286)... „გარუსებულს რუსი სჯობია“ (ჩ. 216)...

როცა ზედმიწევნით ისწავლა რუსული: მიხვდა, რომ „ზოგი ცოდნა შხამია. ჩემთვის რუსულის ზედმიწევნით ცოდნა ქართულის დავიწყებას უდრის, დავიწყება კი ენის და ერის სიკვდილია“ (ჩ. 262).

არადა, თავისთავში მოწოდებას ხედავდა – მწერლურ ძალას... იცოდა, რომ „ქართველი მწერლის სახელი უუმიძიესი ტვირთია“ (ჩ. 98); რომ „ქართული კალამი ძალიან ჰგავს გოლგოთურ ჯვარს“ (ჩ. 109)... რომ „სალიტერატურო გამარჯვებისათვის ჯერ კარგი ქართულია საჭირო, მერე კარგი ქართული და ბოლოს ისევ კარგი ქართული“ (წ. 771).

იმედიანად იყო, დამარცხებაზე არ უფიქრია, რადგან სჯეროდა ფრანგული სიბრძნისა: „გამარჯვების რწმენა ნახევარ გამარჯვებას უდრისო. მე დავამატებ: დამარცხების რწმენა სრულ დამარცხებად უნდა ჩაითვალოს“ (ჩ. 253)...

სიცოცხლის ინტერესს იმის ცოდნა აძლევდა, რომ „სამყაროში არაფერია უულამაზესი ჩვენის ქვეყნისა, ჩვენს ქვეყანაში ადამიანისა და ადამიანში სულისა“ (ჩ. 195); და სწორედ „საქართველო მიკარნახებს და მეც მისი მონა ვარო“ (ჩ. 267)...

სჯეროდა, რომ „მწერალი ის არის, ვინც თავის ხალხს ანთებულ სანთელივით ჩაუდგა სულში“ (ჩ. 192)...

და საქართველოსთვის, ქართველისთვის, ქართულისთვის იღვწოდა მაშინ, როცა „ჭიანური, დოლი და დუღუკიც კი გარუსდნენ“ (ჩ. 203)...

და ბედმა ამ ბრძოლის ველზე შეაგდო. ამბობს: „ვიბრძვი, არ მინდა, მაგრამ დღევანდელი უდღეური ხელისუფლება უდაბურ ტყისკენ მეწევა. (...) არავინ იცის, როდის დავბრუნდები“ (ჩ. 186)...

დაინანებს: „სჯობდა უფრო ადრე გავჩენილიყავი, ან უფრო გვიან“ (ჩ. 224)...

და სამი ჩანაწერიც:

**1926-1927 წ.:** „მთავარი გრძნობა: „მე ჯერ არ მითქვამს ჩემი სათქმელი. ჯერ არ შემისრულებია ღვთისგან დაკისრებული. თუ გადავრჩი“... (ჩ. 184);

**1927 წ.:** „მე ჯერ არ მითქვამს ჩემი სათქმელი“ (ჩ. 229);

**1929-1930 წ.:** „მე ჯერ არ მითქვამს ჩემი სათქმელი,

ნაადრევია ჩემი სიკვდილი

ნაადრევია ჩემი სიკვდილი,

მე ჯერ არ მითქვამს ჩემი სათქმელი.

(განმეორდეს)“ (ჩ. 242).

ამ სათაურით 1927 წელს 11 სტროფიანი ლექსიც დაუწერია. ბოლო სტროფი:

„დღეს შემისრულდა ორმოცდაშვიდი,

მე ჯერ არ მითქვამს ჩემი სათქმელი,

ღმერთო მიშველე, ჯერ ნუ გამწირავ,

ჯერ უხვად დამრჩა უქნელ-საქნელი.

21. XI – 27“ (ქ. 1984, 196).

და გაიწირა... „თუ გადავრჩიო“ და ვერ გადარჩა...

„პატარა საქართველოს დიდი მეხი დაეცა: აკაკი გარდაიცვალა“ (წ. 475). ეს მ. ჯავახიშვილმა 1915 წელს დაწერა... დიდი მეხი პატარა საქართველოს 1937 წელსაც დაეცა...

„მოკვდა პოეტი! მოკვდა სხეული, მაგრამ არ მომკვდარა მისი სახელი და დიდება და არც მოკვდება იმ დრომდის, სანამ სძვერს გული ქართველისა, სანამ არსებობს თვითონ ქართველი, სანამ არსებობს ქართული ენა ილიასგან გაფაქიზებული და ქართული კალამი და წიგნი ილიასგანვე განმტკიცებული და გასუფთავებული“ (წ. 429).

ამ კონტექსტში მიხეილ ჯავახიშვილიც შეიძლება მოვიზროთ, თუ თვითონ მწერლის სული არ გაგვინაწყენდება — ილიას აღმერთებდა...

„მე თვითონვე ჩემივე წინაპარი ვარო“ (ჩ. 211) და იქცა ჩვენს დიდ წინაპრადაც...

და საკუთარი ეპიტაფიაც შემოგვთავაზა: „ჩემი ეპიტაფია: აქ მარხია მის. ჯავახიშვილის ფერფლი, მეტი არაფერი“ (ჩ. 161)...

ეპიტაფია კი — „ეპიტაფია კივილია, წყურვილია არარაობისა, მარადიულობისათვის“ (ჩ. 211)...

## დანართი

\* \* \*

მ. ჯავახიშვილის წიგნმა „უბის წიგნაკიდან“ ჩვენი ყურადღება თავის დროზე იმ ჩანაწერებითაც მიიქცია, „ჯაყოს ხიზნებს“ რომ ეხებოდა. წერილიც („ჯაყო“ გმინვაა ჩემი სულის...“) გამოვაკვეყნე ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“ (2008 წ., № 18). ჟურნალის რედაქტორმა, მწერალმა როსტომ ჩხეიძემ არ გაიზიარა ჩვენი პოზიცია და ამავე ჟურნალში (2008 წ., № 25) დაბეჭდა საპასუხო წერილი „ორმაგი ფინალის დრამატიზმი“. ჩვენ არ გვეჩვენა დამაჯერებელი ოპონენტის აზრი; ამიტომ გადავწყვიტეთ, გვეპასუხა; ჩვენი საპასუხო წერილიც („მე მიხეილ ჯავახიშვილისა მჯერა“) იმავე ჟურნალში გამოქვეყნდა (2009 წ., № 5). გადავწყვიტე, წინამდებარე წიგნში დანართის სახით გადმომებეჭდა ჩემი ორივე წერილი: ვფიქრობთ, ამით მკითხველს უფრო სრულყოფილ წარმოდგენას შევუქმნით მ. ჯავახიშვილის „ჩანაწერების შესახებ“...

„ჯაყო“ გმინვაა ჩემი სულის...

„ჯაყოს“ 1924 წ. სექტ.-ოქტომბერში ვწერდი და ვგრძნობდი, რომ ჩემ გულს ცეცხლი ედებოდა, ხოლო სული იმ დროის სისხლში მქონდა ამოვლებული. „ჯაყო“ გმინვაა ჩემი სულის,“ - ეს 1925 წელს ჩაუწერია მიხეილ ჯავახიშვილს უბის წიგნაკში... ასეთი თხუთმეტიოდე ბლოკნოტი ბედად შემოგვენახა დიდი მწერლის ოჯახის წევრთა მონღოკები-თა და რისკით...

და აი, 2005 წელს „მერანმა“ შემოგვთავაზა უნიკალური გამოცემა - „მიხეილ ჯავახიშვილი, უბის წიგნაკიდან, 1924-1935“. ეს არ არის ჩვეულებრივი წიგნი: ეს არის გლოვის ზარი მიხეილ ჯავახიშვილის უდროოდ დაღუპვის გამო; ეს არის კიდევ ერთი დოკუმენტი იმისა, თუ რა ტრაგედია იყო 1937 წელი საქართველოსთვის, ქართველი ხალხისთვის, ქართული ლიტერატურისა და, საერთოდ, ქართული კულტურისათვის.

ღვთის ნებით, მიხეილ ჯავახიშვილმა ბევრის გაკეთება მოასწორო და თავად დაიდგა „ხელთუქმნელი ძეგლი“... მაგრამ რა სიმაღლე შეიძლებოდა მისცემოდა ამ ძეგლს, რა იდეები, აზრები, გეგმები დაიმარხა მწერალთან ერთად, ამის შესახებ ვეაძლევეს წარმოდგენას სწორედ ეს წიგნი. ეს არ არის წიგნი, რომელიც შეიძლება წაიკითხო დროის მოსაკლავად, გასართობად; ეს არ არის წიგნი, რომელიც შეიძლება მოუთხრო ვინმეს!... ეს არის წიგნი, რომელიც შეიძლება შესთავაზო მას, ვისაც უყვარს ქართული ლიტერატურა, ქართული კულტურა, ქართველი ხალხი, საქართველო და, საერთოდ, ყოველივე ის, რასაც ქართული ჰქვია; უყვარს ისე, როგორც უყვარდა მიხეილ ჯავახიშვილს. მოვუსმინოთ: „ბაღზაკმა სთქვა: საზოგადოება მიკარნახებს, მე კი მისი მდივანი ვარო. მე კი საქართველო მიკარნახებს და მეც მისი მონა ვარ“ (1930წ.). გავითვალისწინოთ ისიც, რომ ეს პირადი ჩანაწერებია; ამას თავისთვის ჩაინიშნავს; მწერლის გულისხმაა ეს, რომელიც მხოლოდ თავად ესმის და ამიტომაც აქვს მას განსაკუთრებული მნიშვნელობა!...

წიგნი ვრცელია (365გვ.), ჩანაწერი — მრავალი...

მ. ჯავახიშვილს ჰქონია უამრავი გეგმა; შენიშვნა, მონახაზი, პასაჟი დაწერილი თუ დასაწერი ნაწარმოებებისა. ტიპები, თემები, ფრაზები... ფიქრი, დარდი თუ ტკივილი („საბავ-

შვო სახლიდან 300 ქართველი ბავშვი სომხებმა იშვილეს,“-  
თქვა და დასვა წერტილი...)... უფიქრია მოგონებებზეც... ეს კი  
მოსალოდნელი უბედურების შეგრძნებაა ალბათ: „მე ჯერ არ  
მითქვამს ჩემი სათქმელი“... და იქვე, ცოტა ქვევით, ამ უბედუ-  
რი შეგრძნების მიზეზსაც გაამხელს: „25 თებერვალს მე ვიგ-  
რძენი, თუ როგორ შემოვიდა ტანში მჭრელი მახვილი, რომე-  
ლიც მას აქეთ დღითი-დღე უფრო ღრმად მერჭობა. გააფთრე-  
ბული ვარ და ტანში მუდმივი ჟრჟოლა მივლის. ეხლა სატევ-  
რის წვერი ზედ გულზე მაქვს დაბჯენილი და ვგრძნობ, ოდნავ  
რომ შევინძრე, ჩამესობა და ისე გამათავეებს, რომ გმინვის  
ამოღებასაც ვეღარ მოვასწრებ“ (1926). იმავე წელს ჩაუწე-  
რია: „ადარ იცინის ქართველი, ადარ“... უფრო გვიან იმედიანი  
ჩანაწერიც ჩნდება: „ამ ქვეყნად ისლა დაგერჩა სანუგეშო, რომ  
„ისინიც“ ჩაძაღლდებიან“...

თუმცა ეს ცალკე თემაა... და ასეთი თემა უამრავია  
წიგნში. დღეს ჩვენ საჭაშნიკოდ ჯაყოს თემაზე გვინდა ვისა-  
უბროთ.

ჯაყო მუდმივი საფიქრალი ჩანს ავტორისა. ჩაუნიშნავს:  
„ჯაყოს ხიზნები“ შალვა დადიანს პიესად გადაუკეთებია“; მე-  
რე: „ბათუმშიც აკრძალეს დადგმა „ჯაყოს ხიზნებისა“.

ჯაყო მაგალითია მწერლისთვის: „მომეცით ჯაყო“ და,  
თუ ყოველივე ვიკადრე, მალე თეიმურაზად გადავაქცევ“; ანდა,  
მძიმე ჩანაწერი: „ჩხვიძემ თავი მოიკლა (1926 წ. – გ.გ.); მი-  
ზეზი ცხადია – თავგანწირულობა, სასოწარკვეთილება, უიმე-  
ლობა... არის ჟამი ერის – ადამიანის ცხოვრებაში, ოდეს მაუ-  
ზერის გავარდნა ერთადერთი ვაჟკაცური აქტია: ან სხვას უნ-  
და დაუმიზნო, ან საკუთარი თავი გაიხვრიტო. დღეს ასე უნ-  
და მოიქცეს ყოველი პატიოსანი ქართველი და ვინც ამას ვერ  
გაპბედავს – პირწავარდნილი თეიმურაზ ხვეისთავია. დღეს  
თვითმკვლელობა გარდაუალი მოვალეობაა“.

მუდმივად ფიქრობს „ჯაყოს“ სრულყოფაზე. „ჩაემატოს“, „განივრცოს“, „დაზუსტდეს“...

ზოგი შენიშვნა შემდეგ გამოცემებში ჩაუსწორებია ავტორს:

ჩანაწერი: „თავის დროზე ჯაყომ ეკლესია დააკეტირა. მერე როცა ქორწილი დასჭირდა, ისევ გააღებინა“.

გამოცემა: „ორი წლის წინათ, როცა საქართველოში ეკლესიებს ჰკეტავდნენ, ჯაყო სხვებზე გულმოდგინედ გაჰკიოდა:

– აღარ გინდა ეკლესია! კჩორტუ ეკლესია!... ეკლესია დაძველდა, მორჩი და გათავდი!

და ხევისთავთა ათი საუკუნის ეკლესია დააკეტირა და დააბეჭდვინა. ახლა კი, რომ გადაწყვიტა დიდის რიხით, ზავთით და ზემით თავადის ასულის შერთვა, სოფლის ყრილობაზე უცებ ყაყანი ასტეხა:

– ჯაყოს ეკლესია გინდა! ჯაყოს ღმერთი არ გინდა, მაგრამ მღვდელი ძალიან გინდა!

და ხუთიოდე დღეში ეკლესიის კარებს ბეჭედი ახსნა“.

ძნელი სათქმელია, რა სახეს მიიღებდა საბოლოო ვარიანტში ზოგი ჩანაწერი:

არაერთი ჩანაწერია, რომელიც ჯაყოსა და თეიმურაზის სახის შეცნობაში, გაგებაში, გახსნაში დაგვეხმარება; ასეთი ჩანაწერები, როგორც ჩანს, ამ სახეთა სრულყოფისთვის, სრულქმნისათვისაც კეთდებოდა.

**ჯაყოს სახისათვის:**

– „ჯაყო“. ველურია, პრიმიტივი, უზნეო. სამაგიეროდ ჯანსაღია. თეიმურაზი უკვე დეკადანსი, მომაკვდავი. რა სჯობს, მდიდარი წარსული და საფლავში დგომა თუ უკულტურო ჯანმრთელობა.

– ჯაყო უწინ სტრაჟნიკი იყო.

– თეიმურაზის რწმენას და ლოცვას ჯაყო დასცინის და ეკლესიის დახურვას ემუქრება.

– იარაღით შეუტევეს თეიმურაზს და მარგოსაც, როცა მარგო არჩევანშია – ჯაყო თუ თეიმურაზი?

– ჯაყოს პრობლემა რასპუტინის პრობლემაა. დედოფალ ალექსანდრას წინაშე არჩევანი რომ წამოჭრილიყო – ან რასპუტინი, ან მეფე ნიკოლოზიო – უეჭველად რასპუტინს აირჩევდა. ვინც რასპუტინიადას იცნობს, დამეთანხმება.

– ჯაყოს ეგონა, ვითომ ჩურჩულებდა, ნამდვილად ყვიროდა.

– „ჯაყო.“ ისე იყო ასხმული, თითქოს მისი ნაწილები ცულით იყო გათლილი და მერე წებოთი და ბურღებით შეკოწიწებული.

– ჯაყო ისე ხარხარებდა, რომ ფრინველნი და ცხოველნი ფრთხებოდნენ.

– ჯაყო – თათქარიძე.

– ჯაყოს კბილები ფოცხს ჰგავდა.

– ჯაყოს ხმა ბუნარში ქარის ღმუილსა ჰგავდა.

თეიმურაზის სახისათვის:

– თეიმურაზი მარგოს ძალიან ბევრს ჰპირდებოდა, მაგრამ მეთაუდიც ვერ შეუსრულა. ამიტომ შენეულდნენ.

– თეიმურაზი ყოველ ცოცხალ პრობლემის გადაჭრას მუდამ წიგნით სცდილობდა და პასუხსაც იქ ეძებდა.

– თეიმურაზი სჩივის რწმენის დაკარგვას.

– ხევისთავს ჰქონდა დროშა და გერბი საგვარეულო.

– თეიმურაზ ხევისთავი ამბობს: ჩვენი ცხოვრების ღერძი და იდუმალება ის არის, რომ ხელისუფლება და ხალხი ერთმანეთს ატყუებენ. ამიტომ დღეს მოტყუება უდიდეს მეცნიერებად და ეშმაკობად გადაიქცა.

– „თეიმურაზში“ ჰამლეტის მერყევი სულია.

– თეიმურაზი ამტკიცებს, რომ რუსის ინტელიგენცია პირველია ქვეყანაზე.

– თეიმურაზ ხვეისთავის ყოფაქცევა 25.II.21.წ.

– თეიმურაზი: „ასი ფუთი ავიკიდე, ნამდვილად კი ათის ზიდვა შემძლება“. „სხვას უნდა დავუთმო, ვისაც ამის ზიდვა შეუძლიან“.

– თეიმურაზი რომ გადარჩა დახრჩობას, თავს ინუგეშებს: „ყოველივე დავკარგე, მაგრამ დარჩენილი სიცოცხლე შეიძლება გამოადგეს ჩემს ერსაო“- და თავს გადასდებს მისთვის.

ვთქვი – სრულყოფისათვის-მეთქი (სრულქმნისათვის-მეთქი). დიას, მიხეილ ჯავახიშვილი „ჯაყოს ზიზნების“ გაგრძელების დაწერას აპირებდა! უთქვამს კიდევაც შალვა დადიანისთვის: „ისე არ მოკვდები, რომ სრული ჯაყო არ დავწერო“, – ამას ქეთევან ჯავახიშვილი წერს. 10 წლის მანძილზე აკეთებდა ჩანაწერებს, ქმნიდა ვარიაციებს. ვინ იცის, რა სახეს მიიღებდა ეს დიდებული რომანი, მაგრამ ჩვენ ისლა დაგვრჩენია, ჩანაწერებით დაკმაყოფილდეთ...

– მარგო წაეჩხუბა ქმარს. ბრაზით გაიხადა ტანთ და იატაკზე გორაობდა.

– მარგომ მრავალჯერ დააპირა ჯაყოსგან წასვლა, მაგრამ სქესით და მუქარით იყო დაბმული.

– მარგო ისტერიით გახდა ავად სქესის ნიადაგზე. ჯაყომ მოარჩინა.

– მარგოს ისევ თეიმურაზი უყვარდა. თითქოს, ნამდვილად უყვარდა წარსული და პატივს სცემდა მწიგნობარს. ბოლოს ჯაყომ დასძლია. თეიმურაზმა მიაგნო ლალატს, მაგრამ თვალები დახუჭა, არ დაიჯერა.

– ჯაყომ მარგო გამოაგდო, რადგან უარი უთხრა, რუსეთში არ გაგყვებიო. მხოლოდ ამის შემდეგ დაუახლოვდა

მარგოს ნინიკა. შეიბრაღა და სიბრაღული სიყვარულად გადა-  
იქცა.

— „ჯაყოს“ დაუპირისპირდეს პიტეკანტროპოსი მისი ცო-  
ლი ნინო, რომელიც ბოლოს გაიმარჯვებს — პათოლოგია და  
ესთეტიკა. პირველი იმარჯვებს — ბანჯგვლიანი, კუნთებიანი.

— ნახუცრის ქალს (თამროს) თეიმურაზი გორში შე-  
ხვდება.

— თეიმურაზს რცხვენოდა წარსულის მოგონება, ჯაყოს  
დათმობა.

— თეიმურაზს სოფელი ეხამუშება, ჩივის უკულტურო-  
ბას.

— თეიმურაზ ხვეისთავი: „მე მომტეხეს, მაგრამ ვერ და-  
მიმორჩილეს. დრო მოვა და მე ჩემს ნამდვილ სათქმელს ვი-  
ტყვი. მოვა ის დრო! მოვა! მოვა!“

— მარგოს ნინიკა შეუყვარდა. მუღამ იწვა მარგოსა და  
ჯაყოს შორის. მარგო მას აძლევდა თავის ტანს. ღღისით არ  
შეეძლო, ან თვალებს ხუჭავდა. სამი ჰყავდა: ჯაყო, ნინიკა,  
თეიმურაზი. ნინიკა ჯაყოს გაზრდილი იყო, სოფელშიც გაკვე-  
თილებს აძლევს, ურემშიც ნინიკას წიგნი უჭირავს. მარგოს  
სურს გაკვეთილები სახლში აძლიოს თეიმურაზმა, მაგრამ ნი-  
ნიკა ჯაყოს ერიდება.

ნინიკა ბოლოს აღმასკომად აურჩევიათ.

(მიაქციეთ ყურადღება ზმნის ფორმას — „აურჩევიათ“ —  
გ.გ.)

— ნინიკამ მაგრად სცემა მარგოს, რომელმაც იმ წუთი-  
დან ერთი ათად შეიყვარა ნინიკა.

— ნინიკა თეიმურაზ ხვეისთავის ნათლული იყო.

— განვითარდეს იდეა: ნინიკა და თეიმურაზი რომ მო-  
რიგდნენ, ჯაყო გააგდეს.

— იქვე: როცა ჯაყოს ასამართლებენ, ნახუცარი ივანე  
სწორ ალღოს აიღებს და ნინიკას მიემხრობა.

– ჩემს თავში საბოლოოდ ასეთი დასასრული ჩამოისახა: ნინიკა ბრძოლით დაიპყრობს მარგოს ჯაყოს წაართმევს. მარგო ასამართლებს ჯაყოს და სიკვდილის განაჩენს გამოუტანს.

– თეიმურაზს თავის თავი თავისივე სამშობლოში უცხოელად მიაჩნდა.

– თეიმურაზმა დეპეშა გამოგზავნა რუსეთიდან ძალმომრეობის აქტის გამო: „მოვა დრო“... და, აი, მოვიდა.

– რომანტიკოსი პოეტი – მთვარეულ გადამწყვეტ უამს ჯაყოს მიემხრობა და მასთან ერთად გააძევენ.

– „ჯაყო.“ კიდევ ერთი ტიპია: რომანტიკოსი, პოეტი პოლიტიკაში. ნინიკა გააგდებს მას: „დაიკარგე ამ სოფლიდან! აფრინდი ცაში, თუნდ უფსკრულში, ოღონდ დღიურ საქმეში ნუ ერევი. ჭკუას ნუ მასწავლი. როცა გავძლები, შენს ლექსსაც მაშინ წავიკითხავ. ჯერჯერობით კი მასწავლე, როგორ მივიღო ერთი დღიურიდან ორმოცი კოდი პური, ან ათი საპალნე ღვინო“.

ამ ჩანაწერთა გაცნობა მრავალ კითხვას აჩენს.. ჩანაწერები 1925-1935 წლებშია გაკეთებული. გამოვკრიბეთ და ასე დავალაგეთ (ცხადია, დალაგებისას ჩანაწერების ქრონოლოგიას არ ვითვალისწინებთ)... სითამამეს გვაპატიებს დიდი მწერლის ნათელი სული... უბრალოდ შევეცადეთ, გვეჩვენებინა, 1937-მარა უბედურება დაგვატეხა თავს...

ქეთევან ჯავახიშვილი წიგნში „მოგონებები მამაზე“ აღნიშნავდა, რომ მიხეილ ჯავახიშვილი „ჯაყოს ხიზნების“ გაგრძელებას აპირებდა. ეს განზრახვა მწერალს შალვა დადიანისთვისაც გაუშხელია. შ. დადიანს „ჯაყოს ხიზნების“ პიესად გადაკეთება ჰქონია გადაწყვეტილი და ავტორისათვის შეუთავაზებია, „პიესის ფინალი რამდენამდე საინტერესო გავხადოთ“.

ქეთევან ჯავახიშვილი: „მიხეილის საპასუხო წერილიდან ირკვევა, რომ მწერალი თვითონაც ფიქრობდა რომანის საფუძვლიანად გადამუშავებას და გაგრძელებას“.

შალვა დადიანისადმი გაგზავნილი ბარათიდან: „ესლა ჯაყოზე: რომანი არც სრულია და არც დასრულებული. აკლია რამდენიმე მომქმედი (თემურაზის ანტიპოდი და სხვა). მეორე ვარიანტი თავში თავიდანვე მქონდა დაწერილი, მაგრამ ხომ იცით, აგვისტო-სექტემბერში ვწერდი — 1924. ისე არ მოვკვდები, სრული „ჯაყო“ არ დავწერო... დასასრული სულ სხვანაირი იქნება... აბა, მაშინ გექნებათ თქვენ სადრამო მასალა. მანამდე კი უნდა მოითმინოთ“.

ამ უაღრესად საინტერესო ინფორმაციას ქ. ჯავახიშვილმა რამდენიმე ჩანაწერიც დაურთო მწერლის უბის წიგნაკებიდან, მაგრამ ჩვენთვის ეს მხოლოდ საფუძველი იყო ინტერესისა და უფრო კონკრეტული საუბარი ამ თემაზე შეუძლებელი გახლდათ... რას გულისხმობდა დაუსრულებლობაში, ანდა როგორ ესახებოდა სიუჟეტის შემდგომი განვითარება, არც ამის თქმა შეიძლებოდა იმჟამად, ცხადია... არადა „ჯაყოს ხიზნები“ დასრულებული რომანის შთაბეჭდილებას აშკარად ტოვებდა. უთქვამს კიდევ ოთარ ჩხეიძეს, კომპოზიციური სრულყოფილებით ეს რომანი ანტიკური ტრაგედიების დარიაო...

ამიტომაც მკვლევარმა ლელა წიქარიშვილმა დაასკვნა, მიხეილ ჯავახიშვილმა „ჯაყოს ხიზნების“ დაუსრულებლობის ლეგენდა შექმნაო...

2005 წელს გამოქვეყნდა მ. ჯავახიშვილის „უბის წიგნაკიდან. 1924 – 1935“. ამ წიგნის გაცნობამ დამარწმუნა, რომ ავტორის აზრი „ჯაყოს ხიზნების“ დაუსრულებლობაზე არ იყო ლეგენდა.

ამ თემაზე კამათი არ მიფიქრია. უბრალოდ, თავი მოვუყარე თითქმის ოთხას გვერდიან წიგნში გაბნეულ ჩანაწერებს „ჯაყოს ხიზნების“ შესახებ. მსურდა, მკითხველისათვის შემექმნა შთაბეჭდილება, რომ მ. ჯავახიშვილი 1925-1935 წლებში მუდმივად ფიქრობდა რომანის სრულყოფაზე, გაგრძელებაზე...

მაგალითისათვის, აი, ეს ჩანაწერი 1925 წლით თარიღდება: „ჯაყომ მარგო გამოაგდო, რადგან უარი უთხრა, რუსეთში არ გაგყვებიო. მხოლოდ ამის შემდეგ დაუახლოვდა მარგოს ნინიკა. შეიბრალა და სიბრალული სიყვარულად გადაიქცა“.

ეს კი 1935 წელს ჩაუწერია: „მარგოს ნინიკა შეუყვარდა. მუდამ იწვა მარგოსა და ჯაყოს შორის. მარგოც მას აძლევდა თავის ტანს. დღისით არ შეეძლო ან თვალებს ხუჭავდა. საში ჰყავდა: ჯაყო, ნინიკა, თეიმურაზი. ნინიკა ჯაყოს გაზრდილი იყო. სოფელშიც გაკვეთილებს აძლევს. ურემშიც ნინიკას წიგნი უჭირავს. მარგოს სურს გაკვეთილები სახლში აძლიოს თეიმურაზმა, მაგრამ ნინიკა ჯაყოს ერიდება. ნინიკა ბოლოს აღმასკომად აურჩევიათ“.

ამ ორ ჩანაწერს შორის რამდენიმე ათეული ჩანაწერია ბლოკნოტებში ჯაყოს თემაზე. ბოლო თარიღი 1935 წელია (ათიოდე ჩანაწერია ამ წელს გაკეთებული. სამწუხაროდ, 1936-1937 წლების ჩანაწერები არ ჩანს). ამიტომ მგონია, მე კი არ „მექმნება შთაბეჭდილება“, რომ მწერალი მუდმივად ფიქრობდა „ჯაყოს ხიზნების“ „სისრულესა და დასრულებაზე“, არამედ ჭეშმარიტად ასე იყო... სწორედ ამიტომ, ამ წიგ-

ნის გაცნობის შემდეგ ის აზრი გამიჩნდა, რომ მწერლის სურვილი „სრული და დასრულებული“ „ჯაყოს ხიზნების“ შექმნისა არ იყო ლეგენდა. იმის სურვილიც გამიჩნდა, ერთად მომეყარა თავი ამ ჩანაწერებისათვის, რომ დაგვენახა, როგორ იცვლებოდა მწერლის ფიქრები, რა ვარიაციები იქმნებოდა რომანის გაგრძელებისა... ამბობს კიდევაც ერთგან, „ჩემს თავში საბოლოოდ ასეთი დასასრული ჩამოისახაო...“, თუმცა მერე ესეც იცვლება... ჩემი წერილი ამ თემაზე „ჩვენს მწერლობაში“ დაიბეჭდა (№ 18, 2008)...

როგორც ჩანს, ბატონი როსტომ ჩხეიძისათვის სარწმუნოა „დაუმთავრებლობის ლეგენდა“ და საპასუხო წერილში ამის მტკიცება სცადა („ორმაგი ფინალის დრამატიზმი“, „ჩვენი მწერლობა“, №25, 2008).

რ. ჩხეიძე უპირველესად იმას შეგვახსენებს, რომ „ჯაყოს ხიზნებს“ ოთარ ჩხეიძე „ანტიკურ ტრაგედიას შეადარებდა კომპოზიციური სრულყოფილებით“. ამიტომაც ლოგიკური შეიძლება მოეჩვენოს კაცს საკითხის ასე დასმაც: „ჯაყოს ხიზნების“ გაგრძელების, დასრულების შემთხვევაში –

„კომპოზიციური სრულყოფილება შემოგვერღვევა“...

„რომანის კომპოზიციურ სიმტკიცეს მოშლიდა“...

„კომპოზიციური სრულყოფილება რომ დაირღვევა?“

„კომპოზიციურ მთლიანობას“ რა ეშველებოდა...

გაგრძელების, დასრულების შემთხვევაში –

გამოუვიდოდა „ორმაგი ფინალი: ნამდვილიც და ყალბიც“...

„ხელოვნური ფინალი“ გამოუვიდოდა, „ხელოვნური ჩანაშატი“...

მაპატიოს ოპონენტმა, მაგრამ ხელოვნურ ფინალზე, დარღვეულ კომპოზიციურ მთლიანობაზე ისე ვსაუბრობთ, თითოვინმე ახალბედა შემოქმედზე ვლაპარაკობდეთ და არა ქართული ლიტერატურის კლასიკოსზე...

რა არის სიუჟეტი, რა არის კომპოზიცია, როგორი უნდა იყოს დასაწყისი და როგორი – ფინალი, ქართულ მწერლობაში თუ ვინმეს არ ესწავლება, ჩემი ღრმა რწმენით, უპირველესად – მიხეილ ჯავახიშვილს... „ნუთუ ვერ გრძნობდა, კომპოზიციური სრულყოფილებით „ჯაყოს ხიზნები“ ანტიკურ ტრაგედიას რომ გათანაბრებოდა?“ – ეს ის კითხვაა, რომელზეც პასუხი ძნელი (უფრო სწორი იქნებოდა, გვეთქვა, უხერხული) გასაცემია... შეიძლება ვინმემ ასე უპასუხოს, მ. ჯავახიშვილი ვერ გრძნობდაო? მეუჭევა...

ოპონენტის მთავარი არგუმენტი სწორედ კომპოზიციური სრულყოფილებაა, სიუჟეტის მთლიანობა, ფინალის ლოგიკურობა...

ეს ყოველივე რომ მ. ჯავახიშვილს არ ესწავლებოდა, ამას მისივე ჩანაწერები გვიდასტურებს. თუნდაც ეს: „განუკვეთელი მთლიანობა – აი კიდევ ერთი მთავარი პრინციპი. ყველა ბილიკები მთავარ გზაზე უნდა იყრიდნენ თავს. თუ რომანში ან მოთხრობაში აწერილია წვიმა, ყვავის ჩხავილი, ქალის სევდა ან დახეული ქუდი – ყოველი სურათი და სიტყვა უმთავრესისაკენ უნდა მიდიოდეს და ცხადად თუ ჩუმად დედაბოძს უნდა უმიზნებდეს. ამ პრინციპს თავის თავად მოსდევს მეორე – დაწურვა წყალისგან, განტვირთვა ზედმეტისაგან. თუ მწერალი დაწვრილებით აღწერს უბსკრულს, რომელშიც არავინ გადავარდა, იგი მუწუკია, ხორცმეტია. იგი უნდა ამოიჭრას. მთლიანობა უუძნელესი რამეა ხელოვნებაში“..

ვფიქრობთ, მ. ჯავახიშვილი თავის ყველა ნაწარმოებში ამ მთლიანობას აღწევდა...

ამ თემაზე საუბრისას არ შეიძლება არ გავიხსენოთ მ. ჯავახიშვილის წერილები „ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოების თაობაზე (იხ.; მ. ჯავახიშვილი, წერილები, 2001 წ., გვ. 810-814, 816-829, 830-832). „მწერლის პირად არქივში შემონახული ერთ-ერთი საბუთიდან ირკვევა, რომ რუსთაველის დაბა-

დების 750 წლისთავის საიუბილეო დღეებისათვის მიხეილი ამზადებდა წერილს „შოთა რუსთაველი – სიუჟეტის ოსტატი“ (ქ. ჯავახიშვილი). მხოლოდ ერთი მცირე ამონარიდი, სადაც მ. ჯავახიშვილი რუსთაველოლოგებს ურჩევს, „ნამდვილი დაბოლოების მძებნელმა თავდაპირველად პოემის მკვიდრი ფაბულა, სიუჟეტის გახსნის ხერხები, კომპოზიციის მთლიანობა და პროპორციის აღნაგობა უნდა აღადგინოს“... როცა ამ წერილებს ვკითხულობ, ვფიქრობ, რომ მ. ჯავახიშვილმა იცის, უფრო მეტიც, მას აქვს უფლება, სხვას ასწავლოს, რა არის სიუჟეტი, კომპოზიცია...

მეეჭვება, „ჯაყოს ხიზნების“ გაგრძელების შემთხვევაში კომპოზიციის სრულყოფილება დაერღვია, მთლიანობა მოეშალა... დაუწერელ ვარიანტზე ასე მსჯელობა არა მგონია საგულისხმო ფაქტი... მ. ჯავახიშვილის ნაწარმოებთა გახსენება არ მაძლევს იმის უფლებას, რომ ვიფიქრო, თუ მწერალი გააგრძელებდა რომანს, წაახდენდა მას (დაარღვევდა კომპოზიციურ სრულყოფილებას; მიაბამდა ყალბ, ხელოვნურ ფინალს)... იქნებ იმაზე გვეფიქრა, რომ წერს, „არც სრულია და არც დასრულებულიო,“ რას გულისხმობდა ამაში... მე მაინც იმის მომხრე ვარ, ეჭვის თვალით კი არ შევხედოთ ამგვარ განაცხადსა და ჩანაწერებს, არამედ ინტერესის თვალთ...

ვთქვით და, დაუსრულებლობაზე მინიშნება ლეგენდაა... მიზანი? რისთვის იქმნებოდა ეს ლეგენდა? ეს კითხვა როსტომ ჩხეიძემ დასვა და პასუხიც გარკვევით გასცა:

„ცხადია, თავის დასაზღვევად და ხელისუფლებისაგან მოსალოდნელი გულისწყრომის შესამსუბუქებლად. იმათ მიაწინებდა, „ჯაყოს ხიზნების“ მხატვრული კონცეფცია სწორედ ფინალურ ნაწილში გამოიხატება, ამიტომ მანამდელ ამბებს მაინდამაინც მკაცრად ნუ განსჯით, რაკილა ფინალში ყველაფერი შემოტრიალდებაო“.

შექსპირის მაგალითიც მოიშველია ოპონენტმა: „გულუბრყვილო მკითხველი და მკვლევარებიც მოტყუებდებოდნენ ამ ფანდით — რაც მხოლოდ და მხოლოდ ცენზურისათვის გამიზნულიყო...“

ამიტომაცო, „მონღომებით იმეორებდა „ჯაყოს ხიზნების“ დაუთმავრებლობის ლეგენდას, იქნებ მაცალონ და ამასობაში, ვინ იცის, რა მოხდეს, აღარ დამჭირდეს მიკერებული ფინალიო...“

უდავოდ საინტერესო ვერსიაა, რომ არა უამრავი კითხვის ნიშანი...

მიხეილ ჯავახიშვილის არცერთ ნაწარმოებს ისეთი გამოხმაურება არ მოჰყოლია, როგორც „ჯაყოს ხიზნებს“. მრავალი წერილი დაიწერა, უფრო მეტი — ავი... მოეწყო საჯარო განხილვები, ლიტერატურული გასამართლება... ინტერვიუებს იღებენ ავტორისაგან და ეს გრძელდება წლების განმავლობაში. არსად მ. ჯავახიშვილს ოფიციალურად, საჯაროდ არ უთქვამს, არ დაუწერია, რომ იგი აპირებდა ამ რომანის გაგრძელებას. პირიქით, ყველგან იცავს რომანის გამოქვეყნებულ ვერსიას, იცავს თავის პოზიციას და ამაყობს კიდეც ამ რომანით.

რამდენიმე მაგალითი: 1928 წელი. მ. ჯავახიშვილი ესაუბრება დ. კასრაძეს: „კვაჭი კვაჭანტირაძეს“ მივაყოლე „ჯაყოს ხიზნები“, ეს ქურთა-თამარაშენში ყოფნის სახსოვარია. მართალია, რომანმა აუარებელი მკითხველი გამიჩინა, მაგრამ აუარება დამაწყევარიც! კრიტიკაში ბევრი მაქებდა გულახდილობისათვის, ბევრი მამაგებდა. ზოგიერთებმა ისიც კი მითხრეს, თუ გინდა, რომ ძველებურად მივიღოთ და გულთბილად მოგვპყრათ, შენი შემოქმედებიდან ჯაყო ამოშალეო. ჯერ ერთი, რუსების თქმისა არ იყოს: „კალმით დაწერილს ნაჯახით ვერ ამოშლი“, და მეორეც, საკითხი მართლაც ასე რომ

იყოს დაყენებული, მაშინ მე ყველაფერს დავთმობ, მაგრამ „ჯაყოს“ და „თეთრ საყელოს“ ვერავინ გამამეტებინებს“...

1933 წელს „მნათობში“ გამოქვეყნებული წერილიდან: „უცნაურია, ყველაზე მეტი დავა „ჯაყოს ხიზნებმა“ გამოიწვია, მაგრამ ყველაზე მეტი სიხარულიც ამ რომანის დასრულებამ მაგრძნობინა. იმ დღეს ნამდვილად ბაღვალად გადავიქეცი, რომელსაც გაუსაძლისი ბედნიერება დაატყდა. ვეღარც მე ვცნობდი ჩემს თავს და ვეღარც ჩემი ცოლ-შვილი მცნობდა“...

1925 წელს („ჯაყოს ხიზნები“ 1924 წელს დაიწერა) რუსთაველის სახელობის თეატრში დისკუსია გაიმართა „ჯაყოს ხიზნების“ თაობაზე. მწერლის მოხსენების სტენოგრამა არ არსებობს. შემოგვენახა ამ მოხსენების საკმაოდ კრცელი თეზისები (გამოაქვეყნა ქ. ჯავახიშვილმა)... ავტორი იცავს თავის ნაწარმოებს... არაფერია თქმული რომანის გაგრძელების განზრახვაზე... სხვათაშორის, ნიკა ავიაშვილის გადმოცემით, მწერალს ამ განხილვაზე უთქვამს: „ჯაყოს ხიზნები“ საბჭოთა სინამდვილემ დამაწერინაო“...

მაშასადამე, საჯარო გამოსვლებში, ოფიციალურ პრესაში მ. ჯავახიშვილი არსად საუბრობს იმის თაობაზე, რომ „ჯაყოს ხიზნები“ „არც სრულია და არც დასრულებული“...

თუ მწერალი „დაუსრულებლობის ლეგენდას“ „თავის დასაზღვევად, ხელისუფლებისაგან გულისწყრომის შესამსუბუქებლად“, ცენზორების თვალის ასახვევად ქმნიდა, რატომ არაფერს ამბობდა მათ გასაგონად? რატომ არ წერდა მათ წასაკითხად? ცენზორი თუ ხელისუფალი შ. დადიანის პირად წერილს წაიკითხავდა, თუ მწერლის უბის წიგნაკში ჩაიხედავდა?

მაინც რა არის ეს „უბის წიგნაკები“? უბის წიგნაკის ჩანაწერები შეიძლება თუ არა ყოფილიყო ის, რაც მწერალს „შეუძს-სუბუქებდა ხელისუფალთაგან მოსალოდნელ გულისწყრომას“? ოპონენტი წერს: „თუკი მკაცრად მოჰკითხავდნენ

პასუხს, განა ის რამდენიმე ფრაგმენტი არ მისცემდა ხელჩასაჭიდს. აკერ, გავრძელებას უთუოდ ვაპირებო“... „ეს მაშინ, როდესაც ძალიან წაუჭერდნენ ყელში და იძულებული შეიქმნებოდა, ფინალური მონაკვეთი დაეწერაო“... „ამიტომაც ტრიალებს მის „უბის წიგნაკებში“ ამდენი ფიქრი ამ რომანის დასასრულზეო“...

არადა 1924 წლის შემდეგ, 1937 წლამდე არაერთხელ „წაუჭირეს ყელში“... არსად და არავისთვის უთქვამს, გავრძელებას დაწერო... ამას მხოლოდ „უბის წიგნაკებში“ ჩაინიშნავდა... უბის წიგნაკები ვისთვის იყო გამიზნული? ცენზორთათვის? ხელისუფალთათვის? – არა მგონია... მწერალი ამ ჩანაწერებს თავისთვის აკეთებდა, მხოლოდ და მხოლოდ თავისთვის...

მაინც რა იყო ეს „უბის წიგნაკები“? ქ. ჯავახიშვილი იკონებს: „წესად ჰქონდა შემოღებული, ყოველდღიურად წიგნაკში ჩაენიშნა საჭირო სიტყვა, სახე, გამოთქმა. სხვადასხვა წვრილმანი ამბები, ყურმოკრული და საკუთარი თვალით ნანახი... სადაც უნდა ყოფილიყო, ამ ჩვეულებას არ ღალატობდა. სიარულის დროს ერთი წამით შეჩერდებოდა, პიჯაკის შიდა ჯიბიდან წიგნაკს ამოიღებდა, ფანქარსაც მოიმარჯვებდა, რაც საჭირო იყო, ჩაინიშნავდა და ისევ გზას გაუდგებოდა“... თავად მწერალს, როგორც ჩანს, აღიზიანებდა კიდევ სხვათა დამოკიდებულება ამ ბლოკნოტებისადმი. იმავე ბლოკნოტში ჩაუწერია: „დღეში ათიოდე აზრს, ნახულს და გავონილს ვიწერ უბის წიგნაკში. ეს ამბავი ჩვენს მწერლებს სასაცილოდ არ ჰყოფნისთ. ასე იცინიან ზულუსები და ბუმბენებიც, როცა ევროპიელი კბილებს იხეხავს“...

დიახ, ეს იყო ჩვეულებრივი უბის წიგნაკები, თავისთვის რომ იგულებდა, მხოლოდ თავად რომ წაიკითხავდა; ზოგჯერ გულის მოსაოხებელ რამესაც რომ ჩაინიშნავდა, სხვას რომ ვერც გაუმხელდა, ისეთს... მეტიც, საგულდაგულოდ რომ უნდა

დაეძალა სხვისთვის... ეს ჩანაწერები რომ ცენზორს ან ხელი-სუფალს „ყელში წაჭერისას“ ჩავარდნოდა ხელში, ვერ უშველიდა იმის თქმა, „ჯაყოს ზიზნების“ გაგრძელებას ვაპირებო...

მოდით, ჩავიკითხოთ სხვადასხვა დროს გაკეთებული ზოგიერთი ჩანაწერი:

– 25 თებერვალს მე ვიგრძენი, თუ როგორ შემოვიდა ტანში მჭრელი მახვილი, რომელიც მას აქეთ დღითი-დღე უფრო ღრმად მერჭობა. გააფთრებული ვარ და ტანში მუდმივი ურუოლა მივლის. ახლა სატევერის წვერი ზედ გულზე მაქვს დაბრჯენილი და ვგრძნობ, ოდნავ რომ შევინძრე, ჩამესობა და ისე გამათავებს, რომ გმინვის ამოლებასაც ვეღარ მოვასწრებ.

– 25/II-ს უქმე პატივახდილ დედაკაცის უქმეა, რომელიც 25/II-ს იხმარეს ძალით.

– ბაზალეთის ტბის ძირიდან განგებამ ოქროს აკვანი ამოიღო. იმავე განგებამ სამი წლის შემდეგ წითელ ხიშტით უკანვე ჩააგდო.

– ერთი ამბობს: „მივიღებ ოქტომბერს, თუ თებერვალი გამოაკელით“.

– მე მიყვარს საქართველოს წარსული, მე მძულს მისი დღევანდელობა, მე მწამს მისი მომავალი.

– მთელი საქართველო, როგორც ერთი კაცი, ხრიალებს, ახველებს, ცახცახებს.

– აღარ იცინის ქართველი ხალხი, აღარ!

– საქართველო გაივსო ქვრივებით, ობლებით, ცრემლით და ვალაღით.

არც ასეთი ჩანაწერებია საძებარი:

– წითლების მიზანია, ყველანი ერთმანეთს შეაძულონ და თავისთავიც შეაძულებინონ (ანტიქრისტეს ოცნებაც ეს იყო)... „თქმა არ უნდა, ლენინი ანტიქრისტეა და სტალინი მისი ომარი“, – ამბობს ერთი.

– იყო და არა იყო რა, ლენინზე უკეთესი ვილა იქნებოდა! – ასე იწყება თანამედროვე ზღაპარი.

– ასე მოჰკლა ფილიპემ ჯერ ილია და მერე ნოე. ღმერთი არ მოსჩანს და არ ეკითხება მახარაძეებს: კაენ, სად არს ძმა შენი?

– არსენაში გაძლიერდეს რუსების მხეცობა.

– რა უფრო შეადულებს ქალ-ვაჟს, მათი სახე და სხეული (ერთი ღამე ლოგინში) თუ მარქსის-ლენინის ყველა წიგნები?

– 1925 დეკ. ყრილობაზე მარიამ ორახ-მა განაცხადა: სხვა ენები მოვსპოთ და რუსულის სწავლა გავაძლიეროთ, რათა ჩვენებს შეეძლოთ რუსეთში სამსახურიო. მეფის მოხელეებს ამაზე მეტი არაფერი უთქვამთ.

– შავრაზმელი რუსი მირჩევნიან გარუსებულ წითელ ქართველს, – ამბობს ერთი.

– რუსული შოვინიზმი მთელ კავშირში რჩება მთავარ ხიფათად.

– საოცარია, კომუნისტები ღმერთს ჰბილწავენ, ანგრევენ, ღმერთი კი მაინც მათ მხარეზეა: მყარად სხედან, ცხოვრობენ და ისევ ღმერთს აფურთხებენ (საოცარია).

– ერთი მუშა ამბობს: „გეფიცები დედ-მამას, ცოლ-შვილს, პატიოსნებას: ვინმე რომ გამიყვანდეს დიდ მოედანზე, გამხდიდეს და ას ჯოხს დამკრავდეს – ნიკოლოზ მეფეს რად ებრძოდით, დავუყვირებ: დამკა! დამკა! კიდევ დამკარ! ახია ჩემზე, ახია!“

– ამქვეყნად ისლა დაგვრჩა სან-უგეშო, რომ „ისინიც“ ჩაძაღღდებიან.

და მისთანანი...

ამ და მსგავს თემებზე ჩანაწერების სიმრავლეს ჩემთვის აქაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

ამ ჩანაწერების ავტორს დაიხსნიდა ცენზორისა თუ ყელშიწამჭერთა რისხვისაგან, „დაიფარავდა გილიოტინისაგან“ იმის ჩაწერა, რომ „ჯაყოს ხიზნები“ არ არის დასრულებული და უნდა დავაძვარო? — არა მგონია!

ასე რომ, არც „ლეგენდა „ჯაყოს ხიზნების“ დაუსრულებლობისა“ და არც სხვა ჩანაწერი ამ ბლოკნოტებში სხვისთვის არ იწერებოდა... სხვისთვის ის იყო გამიზნული, რაც საჯაროდ ითქმებოდა, ანდა გამოქვეყნდებოდა...

ამ მსჯელობით იმის თქმა მსურს, რომ თუ ლეგენდაა რომანის დაუსრულებლობის ამბავი, ვერ ვხედავ ამ ლეგენდის შექმნის მიზანს...

ბატონი როსტომი იმასაც ამბობს, თუ მართლა გააგრძელებდა რომანს მწერალი, მაინც არ მივიღებდიო ახალ ვარიანტს: „უღმობელი აღსასრული რომ არ მოსწეოდა მიხეილ ჯავახიშვილსა და ხელოვნური ფინალი დაერთო რომანისათვის, „ჯაყოს ხიზნებზე“ მსჯელობისას მას მაინც ნაკლებ მნიშვნელობას მივანიჭებდით და მის კომპოზიციურ აღნაგობას თავისი ერთიანობითა და შთამბეჭდაობით კვლავაც ანტიკურ ტრაგედიებს შევედარებდით და ტყუილუბრალოდ ნურავინ წამოგვედავებოდა, სრულყოფილება აშკარად ირღვევა, თორემ მწერალს სიუჟეტური ქარგის განმეორებას რა რჯიდა რომანის ფინალურ მონაკვეთში“...

მიუხედავად ამგვარი კატეგორიული განცხადებისა, მაინც გავბედე „წამოდავება“ და საკმაოდ მრავალი კითხვაც დავსვი... ამის უფლებას მ. ჯავახიშვილის მწერლური ნიჭი, გამოცდილება და ოსტატობა მაძლევს... და, რა თქმა უნდა, მასალა... არ ვამტკიცებ, რომ ჭეშმარიტება ისაა, რასაც მე ვამბობ. უბრალოდ ვადასტურებ, რომ მე მიხეილ ჯავახიშვილისა მჯერა... თუ დასმულ კითხვებზე პასუხს მივიღებ და დამარწმუნებენ, რომ ვცდები, მაღლობას ვეტყვი ოპონენტს...

და კიდევ, როსტომ ჩხეიძე ბრძანებს: „ჯაყოს ხიზნები“ დამთავრებულია, თუ მოდერნისტული რომანებივით დაუსრულებელი, ამის თაობაზე შეთანხმებული უნდა ვიყოთ“... დიახ, ასეა. დღეს ეს რომანი დასრულებულია... არავინ დავობს, რომ ასე არ არის... სხვა საქმეა, თუ ავტორი გააგრძელებდა, რა სახეს მიიღებდა ნაწარმოები... ამაზე საუბარი უცნაურიც მგონია. როგორც მე არ შემიძლია ახლა ვთქვა, რომ ეს იქნებოდა გენიალური ვარიანტი, გამარჯვება მწერლისა (ისე ეს უფრო მოსალოდნელი იყო); ისე ჩემს ოპონენტს არ შეუძლება ამტკიცოს, რომ ეს იქნებოდა გაცრუებული იმედები, მარცხი ავტორისა...

## შინაარსი

I. მისემილ ჯავახიშვილი (შესავალი).....	3
II. „ქართული მნის ფანატიკოსი“.....	9
III. „მნა მფარლის ბალავარია“.....	14
IV. წერილები ქართული მნის შესახებ.....	32
ა) (ზოგადად ამ წერილების შესახებ).....	32
ბ) საბაწმთო წერილები 1909-1928 წ.წ.....	36
გ) „ახალი სალიტერატურო ქართულინათვის“.....	47
1. ძველი და ახალი.....	47
2. კუთხური.....	53
3. ვერ შემოვა ლიტერატურში.....	73
4. სინტაქსი.....	81
5. არქაიზმები და ნეოლოგიზმები.....	84
6. დღევანდელი ქართული.....	87
დ) საბაწმთო წერილები 1933-1935 წ.წ.....	97
V. და სხვა... ანუ საბანგებო წერილების მიღმა.....	112
VI. „უბის წიგნაკდან 1924-1935“ – ჩანაწერები.....	123
1. *** (რა სდება „ჩანაწერებში“).....	123
2. ჩანაწერები ქართული მნის, მისი ბედის და „ბედის-მფარლის“ შესახებ.....	127
3. ჩანაწერები კონკრეტული მნობრივი საკითხების შესახებ.....	138
VII. მკითაფია – კივილი მარადიულობისათვის.....	172
დანართი.....	175
„ჯაყო“ გმინვაა ჩემი სულის.....	175
მე მისემილ ჯავახიშვილისა მჯერა.....	183

დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
გამომცემლობის სტამბაში

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14  
14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179  
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279  
<https://www.tsu.ge/ka/publishing-house>

